

გეაქტოგეო

114/3
1997



9-10

1997

გნათობი



წელიწადი 73-ე

№ 9-10

1997 წელი

საქართველოს შვიკალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

იზა თაგონიძე — ლექსები	3
მანანა ზაღორაძე — ჩვენი საუკუნის კარადღმკმები... მოგონებები	
გაგრძელება	9
გივი სულაბაძე — ლექსები	51
თინათინ ჩალაშვილი — პანაშვილი. მოთხრობა	54
გიორგი შვიკაშვილი — ლექსები	72
ჯინეტ მამია — ლექსები	74
ნოდარ გუგუშვილი — ლექსები	75
ნუნუ ჯაფარიძე — მოხუცი შვიკაშვილი. მოთხრობა	76

160 — ილია ჭავჭავაძე — 160

მანანა ზაღორაძე — „ჭიშკარიტბა ზუღისა“	80
ალექსანდრე მუხომბი — ილია და ქართველი სოციალ-დემოკრატები	94

კრიტიკა, კულტურისტიკა

გონიერ პარულაძე — შინაგან კრებული „სომხური“ მკლსიბა საქართველოში?!	107
როსა კვიციანიძე — საქართველოს შვიკალთა კავშირი 1917—1997	120

ხალკვნება

ასილ ხინ-ხინი — ისტორია და ლეგენდა მუსიკალურ დრამაში.	
თარგმანი მანანა ზაღორაძე	140

შეატბები, მოზონებები

შინსტონ ზიჩილი — შიშკარიტბი. ნაწყვეტები წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი“.	
გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმანი რუსულიდან მანანა ზაღორაძე	145



ბელოჯი



1933 წელი

№ 1-10

საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირის გამომცემი

საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირი

1. ... — ...

2. ... — ...

3. ... — ...

4. ... — ...

5. ... — ...

6. ... — ...

7. ... — ...

8. ... — ...

9. ... — ...

10. ... — ...

საბჭოთა კავშირი

11. ... — ...

12. ... — ...

საბჭოთა კავშირი

13. ... — ...

14. ... — ...

საბჭოთა კავშირი

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლექცია: ...

რეზო ავაშუკელი, მერაბ ბერაქნიშვილი, გურამ გვერდშითელი, გურამ ღოჩიაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლეხანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრეღაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ კატა-რიძე, ჯანსუფ ჩარკვიანი, ვაჟა ცორღელი (პახუხიძე), ნოდარ ფულეისკირი, ოთარ ჭილაძე, სიკ სარანაული, რევაზ ჯავარიძე.



ივანე ჯავახიშვილი

ნიგნიღან—„ქართული ქრონიკები“

საკრიტიკო

შენ, სიყვარულით სწეული ბავშვო,
(გარშემორტყმული მუღამ ფლიდებით!)
რატომ გგონია, რომ წყარო დაშრა
და ქარებს ველარ გაკეილები?!

რატომ გგონია, რომ შენი სენი
ამ სოფელს აღარ გადაედება

და მხიარული ნიაღვრის დენა
არ გადააქცევს მიწას ედემად?!

მოირთე შროშნით! (ჯანდაბას იჭვი,
ჯანდაბას სედაც — ჯოჯო ხნიერი!)
მოდის ოცი წლის სულელი ბიჭი,
თავაწვეტილი და მშვენიერი!

8.II.97

ომი დამთავრდა...

(თბილისი — 1993 წ.)

როგორც გამსკდარი ზედ ზღურბლზე
ნადმი,
თავაწვეტილი, ბილწი ვინება
აფრუებს ქალაქს — მშიერს და დაღლილს,
შენც, —ზურგში დაჭრილს,—არ გეძინება.

რა საზარელი მოაქეთ ალაფი!
ეს ქარაუანი ჩაივლის როდის?
ველი ღვთის რისხვას და სხვას არაფერს,
ველი ღვთის რისხვას და... ისიც მოდის!

8.II.97

მიწისქვეშა გადასასვლელი

შენი ქალაქი — ნაჭუჭი ბნელი,
სავსე ქეცთან, მშიერ ძაღლებით,
უნდა შენს სისხლშიც ვაისერის ხელებს,
ცხრა თოკში გამძვრალს რა ანადგულები?

აურაცხელი აყრია ჭინჭი
ოღესღაც ძვირფას წიგნების თაროს...
გატარას უკრავს მიწისქვეშ ბიჭი,
და თავდახრილი გამეღვლა სუბტონს!

საქართველოს
წიგლისკაცთა
კავშირი
803 01 01 33

25255

და ვიდრე ამ გზას ბოლომდე გალევ,
 ვიდრე, ვით ტყვია, ზურგს აგწვავს გესლი,
 ვიდრე ხელგაწვდილს ჩაუვლი ქალებს
 და ხუსხიანი სიმღერაც გესმის,

იტირე მაინც, ნუ, ნულარ ითმენ,
 (გაუტყდა ზამთარს თეთრი მარხელი)
 უცებ გაითბობს გათოშილ თითებს
 ბიჭი, ვიტარის ტანზე დახრილი...

10.II.97

დასრულებულია

მუღაც

მუღამ რაღაც აკლია
 ჩვენს ცხოვრებას საცხეს,
 ვით დარბაზებს სარკიანს,
 ვით უღონო ამ მზეს...

მუღამ რაღაც აკლია
 ქალის თვალში ნაქმრევს,

როგორც სხივი კალიანს,
 როგორც სიტყვას — საქმე!

მუღამ რაღაც აკლია
 შენ მზერას და შენს ხმას,
 როგორც ღობის კაკიას
 ჩემგან ზოტბის შესხმა...

22.III.97

ერთი ნაღვლიანი წარიღის შრაპეინტაგი

სარკმლის ცივ მინას შუბლს თუ მივახლი,
 სულ ეს იქნება ამ წლის სიახლე!
 გაინტერესებს შენც ის, რაც—მასებს, —
 მომწვანო ჭიქებს ვინმე თუ აესებს...

დამშვიდდი! პარიზს არა ვარ ბინად!
 საკუთარ მკლავზე დანდობილს მძინავს
 და ჩემთვის მხოლოდ ქარბუქი მღერის,
 ვიტარას ადევს ტაბუ და მტვერი...

შემოიბრუნდა ზოლზე ეროტი;
 მაგრამ მე მუღამ სულ სხვას ველოდი!
 სდუმს კამერტონი, სიმიც და ხემიც,
 ხანიმუშოა ცხოვრება ჩემი!

მარტოობაშიც არის სიაძე,
 რომელიც შუქს ჰფენს ფოფნის ყიაშეთს,
 რომელიც სახელს არქმევს ყველაფერს,
 ღვთის უკითხავად ჩვენგან შენაფერს...

ეს ზომ ასეა, მაგრამ სხვაც არი:
 ცხელია, ცხელი ისევე ნაცარი
 და ერთი ცელქი ნიაკი უნდა...
 შენ კი... ჩემს აღზრდას ღამობდი მუღამ!

მე უსაშველოდ ვარ კუზიანი!
 როგორც უღრანი და უსიერი,
 როგორც ნანგრევში ნახამთი გველი,
 მზის ალტკინებას მეც ისე ველი...

დღეს კი... ქარბუქი სარკმელს თვალს
 უხვევს.

არაუინ მოვა, სიტყვები მოვლენ!
 დღლით მოგართმევ დაწერილს წუხელ —
 ნოემბრის ვარდის ფურცლებზე თოვლით.

30.III.97



პირთი ძალგატონის კავთაზია

(ანუ მემორიალურ-სიმბოლური წარწერა
გ. ვ.-ძის ტანსაცმლის კარადაზე, რომე-
ლიც, სამწუხაროდ, დაიწვა თბილისის
ომის დროს...)

წმინდა წყაროდან არ ვისვამს წვეთიც... თავად განგებამ დაგველო სამანი:
(წერილად მოვიზღავს ძალადი ღმერთი!) როგორც პრასი და იასამანი,
მრცხენია კიდევ ქალაღდის, კალმის — როგორც ნაწუწი ღვინო — ზედაშეს,
რაც შენ გეკუთვნის — მე ის არ ძალმომს! ერთმანეთს ისე ეგავართ მე და შენ!

30.III.97

საყვედურის კავიერ

შენც იმ ჩერჩეტი ჩიტივით მოგდის — რა ვიზარია, ჩემო ტურფა
საკუთარი ჭორფლიანი იუკადრისა დედინაცვალო?!
და უხსენებლის კრიალა კვერცხს მხოლოდ გიჟი ზის ქვაზე, რომელიც
გადაეფოფრა! უფსკრულისკენ მიექანება!

6.III.97

აივანი მთავარ ქუჩაზე

ნინო ზოფერიას

ფანჯრის რაფაზე ქოთნით ისევ გამოდგეს ია,
(გახსოვს? აპური აქ უცდიდა ბიჭებს გულიანს...)
შემცვიენებული, გაცრეცილი მოვიდა გვიან,
მაგრამ გვიანი გაზაფხულიც — გაზაფხულია!

შენც აწრიალდი აივანზე, როგორც მერცხალი,
(აბა, მშვიდობით იარაღო და შიშით ძრწოლავ!)
ძალე წვიმები ძველ აფიშებს ჩამორეცხავენ
და ტროტუარებს თეთრ მაგიდებს დააფენს „ქოლა“,

ძალე დაისხამს მახრჩობელა ბუსუსს ჭადარი
და მთვარიანში კვლავ სიცოცხლე მოგეჩვენება,
ვითომ არ იცი — სიყვარული აღარსად არი
და ამ აივანს შერჩა მხოლოდ შენი მშვენება.

შენ ყვავილს პგავზარ, ჩემს წიგნებში ჩარჩენილ ყვავილს,
ცვარს დანატრებულს, მაგრამ მაინც პირველ—ვეწიანს,
ნუ გეშინია, არ მოუკლავს შენს პოეტს თავი
და ამ გაცრეცილ გაზაფხულთან ერთად გეწვია.

17.IV.97

სააღდგომო ეპისტოლე ზედისწერით კოპტინადამ

«Поэт ты Царь! Живи один!
 აწ. კუშკიბე

«რომ მეფე ვარ და პოეტი»
 ბალაკტიონი

აპრილის ფაციფუცი გულზე არ გეკარება,
 (ო, რა ძნელი ყოფილა ბნელში კვარის ტარება!)
 ნაღვლიანად გახედავ აყვავებულ ალუჩებს —
 ადრე გადაქათქათდნენ — ყინვა გადაალურჯებს.

მიკვირს, დაუდგრომელი, ზიზარ, ვითომ ისვენებ,
 მიკვირს შენი დუმილი, თვალთა შენთა სისველე,
 კვლავაც სევდით საესეა შენი ლურჯი რვეული
 და თვალეში, თვალეში — ნუგეშს გადაჩვეული...

ნუთუ მოშურნეთაგან გწვინს მუშტების ღერება?!
 ჩემი კარგი ქვეყანა არც შენ მოგეფერება,
 ვიდრე გაძვირფასდება, სისხლის ფასად რაც იცი,
 ბრბოსთან ვით გეკადრება ლაქუცი და ლაციცი!

გიზაროდეს — მტკივან გულს სხვა რად უნდა წამალი,
 ქრისტე აღდგა, ოსტატო,
 ქრისტე აღდგა სამართი!

21-24. IV.97

ისევ ურახვენტაბი მაისის დაგდვს

●
 შეუნდე ქალაქს აბდაუბდა, ქუნას — ერესი,
 არ გვეღირსება ჩვენ სამშობლო სხვა — უკეთესი!
 ვიამჟამელის არ მასვენებს მალი-მალ ჩქაში —
 ამ მიწას მეტად რა სწფურია, სისხლი თუ ნამი?

●
 რად წამოვედი ბავშვობიდან? აქ ვისთან დავრჩე?!
 (ვიღაცა უკვე სქოლიოსთვის სახელებს არჩევს!)
 ად შიანი, ატუზული სიკვდილის კარად,
 რად ეძებს ტკივილს?! სიხარულს კი არ ეძებს — არა!

●
 არც ეს დარია ჩემი მწე და ჩემი მკურნალი!
 ძლივს ფეთქავს გული — შენახული წმინდად ურნალი,
 გზად გადმომდგარი თავს დაიქნევს მალე ასკილი
 და თუ გაეძელი — სულგრძელ ცრემლსაც არ ვითაკილებ...

28-29.IV.97



რუსულან ბერიძისადმი

ტახტის ყურეში მიწები და მიიყუეები;
შემოვოლილი სივრცისგან გითრთის ტურები;
არც ვის ინატრებ, არცთუ ვისმეს მოუხმობ ფარად,
(ჭირთ სამალაუად მშვენიერი დიმილიც კმარა!)
და სიტყვაც ისე უძღურია, ვითარც ოდიოგან...
ლაგამაფრილი ეს ქვეყანა შენც გამოგიდგა
და გდია დიდხანს, მწუხარების ჭიშკრამდე ლამის...
გახსოვს ქანდარა – სიყმაწვილის უზურგო სკამი
და სახადივით მოდებული „სანტა-ლუნია“?
მე ვეძებ ქალაქს – მეუღროსა და ვიწრო ქუჩიანს
და იასამნის ტოტებს მკლავზე ვადარწვეულებს,
მე ლანდებს ვეძებ და წარხულში წაფლულ რვეულებს,
რომელთაც, თურმე, შესაშური ბედი ეწიათ...
ო, გაზაფხულის თბილი ქარი, აღიწეწია,
პირმოცინიანი და შენსავით მშვეილად ეული!

29.IV.97

ქუჩაში გაბონილი სიძლერა

ნეტავ გული მწყდებოდეს,
არ ვიცოდე, ნეტავ...
ისევ შენთვის მინდოდეს
ციო უარსკვლავის წვევტა...
ნეტავ მენატრებოდეს,
დაშაქრული განგებ,

მატყუარა მაისის
გაცრეცილი ბაგე...
ნეტავ ცრემლი მადრწობდეს,
მეხი მცემდეს ნეტავ,
ნეტავ ისევ მიყვარდე,
ნეტავ, ნეტავ, ნეტავ...

7.07.97

კვირადღე

მიშიკო ხუჯაძეს

ჩრდილში ვზივარ. ქათამი კენკავს კვერცხის ნაჭუჭებს.
ხედა თუ არ აკეთებს, არც არაფერს აფუჭებს.
ერთ ყლორტს შესწერებია ქეძვი, ძირში მოჭრილი,
ირწვევიან მინდვრები ყვითლად გადაქოჩრილი...
ყვავილობენ ფშატები ხევისპირას დარგული...
მიხმობს მიეიწყებული, გულში გადაკარგული...
სოი გადი-გამოდის, მოაქვს მოტკობ სურნელი,
უმიზეზო ნადეელიც, უკვე განუკურნელი...

21.VII.97

ქართული პრონიკვაი

კენჭს აღარ ესვრის სარკმელს
უბნის ყვითელი ფონი,
კარგახანია ნაკლებს
ყლაპავს მონტევი ნორჩი...

აღარც ქალს კაპულეტის
ჰყვანან ძიძები მკაცრი...
დილით, ასაკით მეტი,
შინ მიიჩქარის კაცი...

ამკობს დუმილი მწარე
 ბნელში ჩაძირულ ქუჩას,
 ივლისის სავსე მთვარეს
 ჭიპის ნასვერტი უჩანს...

რად გაჩხერილა კარში ირჩინული
 მუდამ მერვევი „იქნებ“ ბიჭუნისთვის
 როცა სავსეა მთვარე
 თურმე ნათელი იკლებს...

25.VII.97

ციკლიდას

„ბიბლიური მოგონებანი“

არჩევნისათვის

დიდი სიბრძნე — დიდი დარღია,
 ბევრის შეცნობა უმრავლესსო ადამიანს
 ურვებს და წუხილს —
 ასე ბრძანებს ეკლესიასტე.
 ჭეშმარიტს ბრძანებს,

მაგრამ განა ბრძადა და ყრუდ ყოფნას
 ტანჯვის ნათელი არ გირჩევენია?
 ქარის მონაბერს
 არ სჯობს ჩემი ნუგეში ღეთისგან?

22.IV.97

ღმობა

სულ მიწას ჩაპბლერი,
 სულ ქვესკნელს ჩაპყურებ
 და ხელში იფნის საბრეს აწვალებ...
 ცის დასალიერთან თელემს თითქო
 საყურე —
 ღრუბელი — დაღლილი წანწალით...
 ამ დილით ველს გულზე გვირილა ეყარა,
 ცხვარ-ძროხა ესია მინდვრებს...
 რა მშვენიერია, კაენ, ეს ქვეყანა,
 სისხლი აყვავდება ვიდრე!

წუხელის მერქენა:
 ცვარს სვამდა მერცხალი,
 მოლზე გორაობდნენ ბიჭები ნარბენი...
 გრგვინაედა უფალი!
 „რა იქნა მეცხვარე?“
 „შენი ძმა ხად არი?“
 „ხად არის აბელი?“

31.III.97

ნახსენადის...

მე ცოცხალი ვარ და
 თქვენს ნახვას მოვესწარ,
 გულმა იხარა და
 ახლა საზეიმოდ ვიმოსები,
 გიცანით ძვირფასობა,
 დანახვისთანავე გიცანით!
 (ძმებმა კი... ძმებმა ვერ იცნეს იოსები!)
 მობრძანდით, მობრძანდით,
 წაიღეთ, რაც ფასობს ამ დროს,
 წაიღეთ ყველაფერი —
 ხორბალიც, ზეზიც და ერბოც,
 სვედას ვერ გაგატანთ,
 ჰერც ჩემს გულისტკივილს განდობთ,

თქვენ პური გჭირდებათ
 და სხვა — არაფერი, ძმებო!
 ნახვამდის.. ამ გზაზე ბევრჯერ
 მობრუნდებით,
 დასხდებით ინახად,
 იქ, სადაც მშობლიურს დანატრებული
 მრავალ წელს თავს ცრემლით ვიოსებდი,
 სადაც არს უფალი —
 ხად დღესაც სიყვარულს გინახავთ
 ძმებისგან ეგვიპტეში გაყიდული
 თქვენი იოსები!

22.III.97

ჩვენი საუკუნის პარადოქსები

მომონტაჟი

იმ დღეებს რომ ვიხსენებ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება ჩვენივე სოფლის მაგალითით, რომ ოცდაათი წლის ამბებშია კი არ დააშინა ხალხი, როგორც ამას ხელისუფლება ვარაუდობდა, არამედ კიდევ უფრო გაახელა. სჯეროდათ, რომ მარცხი შემთხვევითი იყო და დროებითი; რომ საბოლოო გამარჯვება მათი იქნებოდა. ყოველდღე მესმოდა შეუკალი სიმტკიცით წარმოთქმული სიტყვები: „ექვსი თვე მიმიცია — მეტს ვერ გასძლებენ“, და ამავე შინაარსის სხვა ფრაზები. ან არა-და, მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ერთა ლიგა ამას არ აპატიებს, დაუდგენიათ კიდევ“... და ა. შ.

ასეთი თავდაჯერება ადვილი ასახსნელია, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ხალხის დიდ უმრავლესობას — სწორედ იმ ნაწილს, რომელიც თავაუღებელი და გონიერული შრომით დოვლათსა ქმნიდა და საზოგადოების ნამდვილ სახეს წარმოადგენდა — უპირისპირდებოდა მცირერიცხოვანი ბანდა უქნარებისა და დემაგოგებისა, რომელთაც თავად არაფერი ებადათ, ხოლო სხვისი შრომით შექმნილსა და ნაამპარს შურითა და გაბოროტებით უცქერდნენ. მაგრამ ამით უკან ხომ სხვა ძალა იდგა, სხვა საშინელი ძალა! საო-

ქარია, მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევდნენ. პირიქით, ქედმაღლურად უყურებდნენ ამ ბანდას, და ვერ ხედავდნენ თუ არ უნდოდათ ერწმუნათ, რომ ერთა ლიგასა და დასავლეთის ქვეყნებს სულაც არ ენაღვლებოდათ მათგანვე განწირული პატარა ქვეყნები. ვერ ითვალისწინებდნენ ამას და უნებურად თვითონვე უწყობდნენ ხელს ხელისუფლების ვერაგულ გეგმებს, რაც დემაგოგიასა და პროვოკაციას ემყარებოდა.

მახსოვს, ერთხელ მოხუცმა ნათესავმა უთხრა მამარქმს: ფრთხილად იყავი, ყველასთან ნუ ლაპარაკობ ასეთ რამეებს, ხომ ხედავ, რა საშინელი ხალხიაო!.. „რას დამაკლებენ, — ლაღად უპასუხა მამამ, — თუ გაჭირდა, ჩემს ცოლშვილს ხის კენწეროზე ვარჩენ“. ეს სიტყვები გულს შვებად მოეფონა, და არა მარტო იმედი განმიმტკიცა, არამედ სიამაყეც მაგრძნობინა. მაგრამ, როგორ დამწყდა გული, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა ახალგაზრდა მეზობელმა ზუსტად იგივე გაიმეორა საუბრის დროს. როგორც ჩანს, ეს იმხანად მოარულ გამოთქმასავით ყოფილა.

ვრცელდებოდა ათასნაირი კალამური თუ ანექლოტი, რომლებშიაც კომიკურად იყვნენ წარმოდგენილი ხელისუფლების მესვეურნი და ძიული მათი საქმიანობა. გურიაში ენამოსწრებულ ხალხს რა გამოიღევს.

ერთი ახლო მეზობელი ვეყავდა, ჩვენივე გვარის კაცი, პანტელეიმონი ერქვა, სოფელში ყველა პანტელიას ეძახდა, მოსული კაცი იყო, მხარბეკიანი, ლოყბლაყლაყა, დიდი ღონის პატრონი; და როგორც ყველა ძალოვანი ადამიანი — საოცრად კეთილი და უწყინარი. ერთი ეს არის, რომ მუშაობა მაინცდამაინც არ უყვარდა. დადიოდა ღუქნებზე, ხალხის თავშეყრის ადგილას და ანეკლოტებს ყვებოდა. ქვეყნის ანეკლოტი იყოდა. არ ვიცი, საიდან მოქონდა ამდენი ანეკლოტი. ზოგს ალბათ თვითონვე ივონებდა. ყვებოდა დინჯად, პუნქარებლად, სათანადო პაუზებით — როგორც კაი გამოცდილი ორატორი. მსმენელები გულიანად იცინოდნენ, თვითონ კი ერთს არ გაიღიმებდა, თუმცა სახეზე ამკარად ეტეობოდა კმაყოფილება, რაკი მისი ანეკლოტები ასე მოსწონდა ხალხს.

ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ, და თუმცა პირველ ხანებში ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან არავითარ პოლიტიკურ ძალას ეს კაცი არ წარმოადგენდა, ბოლოს, როცა ნახეს, როგორი პოპულარული გახდა, მისი ანეკლოტებიც რა ფართოდ ვერცოდებოდა ხალხში, ერთი-ორჯერ თქმისში გამოიძახეს, მკაცრად გააფრთხილეს; ხოლო მერე დააბატიმრეს კიდევ.

ახლაც მავონდება ერთი ანეკლოტი, რასაც მერე ხშირად გაიხსენებდნენ ხოლმე და მუდამ ისე გულიანად იცინოდნენ, თითქოს პირველად მოესმინათ. ეს ანეკლოტი უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის, როცა კოლექტივიზაციამ სულ დაარღვია ცხოვრების წესი.

მთელი ოჯახი ჩაის სამუშაოზე გაკრეფილა, ბუძუშეოვარა ბალღი აკვანში ჩაუწყენიათ და მომეღულად მიუჩენიათ მასზე ოდნავ უფროსი ბავშვი, თავად მოსაველელი და საპატრონო. აკენის ბავშვისთვის „კოლექტივიზაცია“ დაურქმევიათ. იცოდნენ დასაველეთ საქართველოში ასეთი აზირობული სახელების დარქმევა — ეკლესია არ იყო, რომ ვინიერა რჩევა მიეცათ მშობლებისათვის, ქრისტიანული სახელი დაერქმეიათ, და

ასე თავისებებაზე იყო მიშვეტნილი ღელაფერი.

და აი ეს ანეკლოტიც: გარბის მომეღული ბავშვი, დაფთობული, და დედას გასძახის ჩაის პლანტაციასში, მთელი სოფლის გასაგონად ყვირის: „დედა, დედა, კოლექტივიზაციამ ჩაისვარა“ (აქ მე შეეცვალე სიტყვა — ანეკლოტში უფრო პირდაპირ და უფრო გასაველად იყო ნათქვამი, რა მოიქმედა ბაღლმა). დედა იქიდან გამოსძახებს, დარიგებას მისცემს: „მოხვი, ნენა, კომუნისტს თავი და (აქ ერთ სიტყვას გამოეტოვებ, თუმცა პანტელეიმონი არ ერიდებოდა მის საჯაროდ თქმას) ამოუსვი“...

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ასეთი უწმაწური ანეკლოტებიც იყოდა პანტელეიმონმა. „კომუნისტი“ რომ ახსენა, დედა გაზეთს გულისხმობდა, მაგრამ ანეკლოტში სულ სხვა რამეა ნაგულისხმევი, და მარილიც ამშია. სხვა ანეკლოტებს აღარ გავიხსენებ, ზოგიერთი ამაზე უფრო მწარეა...

საოცარია, მაგრამ ბავშვებს არ გვარიდებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო საუბრის მოსმენას. ჯერ არ იჩენდნენ ასეთ სიფრთხილეს. და ჩვენც ჩვენებურად გამოეხატავდით ჩვენს განწყობილებას. ჩვენ ეიცოდით, მაგალითად, რომ აბრევიატურა „სსსრ“, ოფიციალურისგან განსხვავებით, სხვაგვარადაც იშიფრებოდა, და სწორედ ასეთი გაშიფრვა იყო ნამდვილი ვითარების გამოძახატველი: „საწყალ საქართველოს სძარცვავს რუსეთი“. როცა ზაფხულობით თბილისიდან ბიძამეილები — დედაჩემის ძმისშვილები — ჩამოვიდოდნენ, საღამოობით, სხვა სიმღერებთან ერთად, ისეთ რამეებსაც ვმღეროდით, რაც აკრძალული იყო. ერთი ასეთი სიმღერა ზემოთაც ვახსენე: „აისო, დაისო, მშვიდობით ქუთაისო, ჩვენი დედაქალაქი სულ ძაბრებით გაივსო“.

უფრო საშიში იყო, მაგრამ მაინც ვმღეროდით, ცოტა უფრო ფრთხილად, იმ დროს საქმეოდ გავრცელებულ სიმღერას — „მიყვარს, ვარდი, მიყვარს ია, მიყვარს ნოე ჟორდანი“. ეს იმდენად ნოე ჟორდანიას სიყვარულით არ იყო



ალბათ შთაგონებული, რამდენადაც პროტესტის გამოხატვის მძაფრი სურვილით.

არ ვიცი, რატომ ითვლებოდა მენშევიკურად, და ამიტომ აკრძალულად „ნარიშნა გოსაძე“, რომელიც ძალიან გვიყვარდა და ხშირად ვმღეროდი.

ვმღეროდი ახალშემოღებულ ქალაქურ სიმღერებსაც, და მათ შორის ისეთებს, რაც ოფიციალურად მიუღებელი იყო:

„შვილი მყავდა, მემწვანილედ მინდოდა, ტაჭკის გვერდით წავიდ-წამოვიდოდა; გადაუცდი და მივაბარე სკოლაში, ის კი ჩაწერა-რილა კომსომოლაში“;

ან ამავე პანგზე:

„ცოლი მყავდა წყნარი როგორც გუგული, გუშინ დილით გამიხეთქა მანგული: ფეხებს იქნევს, როგორც გადარეული, ფენაღელში ჩაწერილა წყუღი“...

ვმღეროდი და უფროსებთან ერთად ჩვენც გულიანად ვიცინოდით. ფაქტიურად, ეს სიმღერები ზომ პროტესტი იყო არსებული ხელისუფლებისა და იმ ძალად მოხვეული, ჩვენი ხალხის ბუნებისათვის მიუღებელი ცხოვრებას წესის წინააღმდეგ, რის დამკვიდრებასაც ხელისუფლება ესწრაფვოდა.

ზემოთ ერთი აბრევიატურა ვახსენე. მასინ ფართოდ გავრცელდა ისეთი აბრევიატურები, როგორიცაა, მაგალითად, „მუშკლებინი“, „რემდასი“, „შენაღელი“ („Жен. отдел“), „სმუხი“ და სხვა, ამასაც მწარედ დასცინოდნენ, პაროდებიც კი გაჩნდა. ხშირად ვიმეორებდით ერთ ასეთ პაროდიას:

„ამფილმაზ, მოვირტაჭკ; სანმიზო, კიტეროს“, რაც ასე იმიფრებოდა: „ამხანაგო ფილიპე მახარაძე, მომპარეს ვირი და ტაჭკა; სანქროდ მიიღე ზომები. კინტო ტერ-ოსიპოვი“.

იმ მწარე ირონიის გარდა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს მოპარული ვირისა და ტაჭკის გამო მიმართავენ, აქ მართლი სხვა რამეშიც გახლავთ: „კიტეროს“ სიმხურად უწმაწური გამოთქმა.

ერთი სიტყვით, ოცდაათის წესრიგში სიებმა თუ საწინააღმდეგო არა, ყოველ შემთხვევაში ისეთი რეაქცია ვერ გამოიწვია, რასაც მთავრობა ელოდა, და შინების მაგივრად ხალხი უფრო შეუპოვარი გახდა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მეოთხედურად შეუდგნენ ნიადაგის მოშადებას ფართო მასშტაბის რეპრესიებისათვის.

დაიწყო ყველაფერი იმით, რომ სოფლის ცენტრში, საპარიკმახეროს გვერდით — სადაც უფრო ხშირად იყრიდა ხალხი თავს — კვლევზე გრძელი სია გამოჩნდა. სია გადაეწერა საბჭოს მდივანს, ვის ხელწერასაც სოფელში ყველა იცნობდა. რემინგტონის მანქანა არა ჰქონიათ, და ყოველგვარი საბუთი — დაბადების ცნობა იქნებოდა თუ სიღარიბის მოწმობა, რასაც მასინ ოქროს ფასი ჰქონდა, ამ ხელით იყო შედგენილი. ამ უბრალო ფაქტითაც გამოკრულ სიას ოფიციალური ხასიათი ეძლეოდა. ეს გახლდათ იმ წლებში ყველასათვის კარგად ცნობილი „შავი სია“. იგი საკმაოდ გრძელი იყო, და გადამწერი ცდილიყო, თავის ცოდნის კვალობაზე, აღფავიტური თანმიმდევრობა დაეცვა, რაც აადვილებდა საკუთარი გვარის პოვნას.

სიის პირველ სვეტში გვარი სახელი და მამის სახელი ეწერა, ხოლო მეორე უფრო ვიწრო სვეტში, რომელიც უსწორო ხაზით იყო გამოყოფილი პირველისაგან, კონკრეტულად იყო დასახელებული მიზეზი, თუ რატომ მოხვდა ესა თუ ის მოქალაქე „შავ სიაში“.

ბაბუაჩემის სახელის და გვარის გასწვრივ, მაგალითად, ეწერა „ღვთისმსახური“ (პირველ წელიწადს ასე ეწერა, მომდევნო წლებში კი, როცა „სტილისტურად დახვეწეს“ სია, „ცრუმორწმუნე“ მიაწერეს. ბაბუა იცინოდა — ცრუმორწმუნეები ვგინი არიან, მე ზომ ღმერთი მწამსო); მამაჩემის სახელის გასწვრივ „პოლიტიკურად არა საიმედო“ ეწერა (მომდევნო წლებში აღარ დასკირვებიათ მისი სიაში შეტანა).

არ მახსოვს, კიდევ რა „დამსახურებისათვის“ მოხედნენ სხვები იმ გრძელ სიაში ეს კი ვიცი, რომ კიდევ ერთი

მტრული ელემენტის დასახელება უფრო მოგვიანებით — რამდენიმე წლის შემდეგ — გაჩნდა...

ერთ შუაუბნელ გლეხს, გვარად გორდელაძეს, მთელს ჩვენს დიდ სოფელში ყველა იცნობდა, და ეს უმთავრესად ხარების წყალობით. ღირსეული და პატივსაცემი კაცი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ კარგი ხარების გამო ჰქონდა სახელი გავარდნილი...

ვინც სოფელს კარგად იცნობს, მისთვის ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. გამორჩეულად სცემდნენ ზოლზე პატივს, ვისაც კარგად მოვლილი, ღიშინი პირუტყვი — ხარი ან ცხენი ჰყავდა (ახლა აღარც კარგი პირუტყვია და აღარც მისი დამფასებელი). იმ კაცს კი მართლაც დიდებული ხარები ჰყავდა — ქედმალელები და მუხლმკარები; მუდამ კარგად მოვლილი, ნაპატივები, დაურევბული... საიუარია, რომ რქებიც — თითქოს პატრონის საგანგებო ზრუნვითა და წვრთნით — სანთლებივით მალლა შემართული ჰქონდათ. რაც უნდა დიდი ტვირთი სდებოდეთ, მოდიოდნენ ლაღად, დინჯად, თავი ღირსეულად მალლა ეჭირათ — თითქოს უღელი არცა სდგმოდეთ, და თითქოს ტვირთის სიმძიმეს ვერცა გრძნობდნენ. გაგიხარდებოდათ, რომ შეხედავდით.

ყველაფერი კარგი და ლამაზი გულს ახარებს.

არ მიკვირს, რომ ზოგ-ზოგებს შურდათ ამ კაცისა. იმ ორ „აქტივისტთაგან“, რომლებიც ჩვენს მახლობლად ცხოვრობდნენ, ერთს მგონი თავის დღეში არა ჰყოლია ხარები და ურემი, ზოლო მეორეს ორი ბღინეი ხარი ჰყავდა — უჭმელი, მოუვლელი, ქეციან კატასავით ვალეულები, ფერდზე მუდამ ფუნანაშუმარი. ხაცოდავი სანახავი იყვნენ, უღელს რომ დაადგამდნენ. მოჩაქჩაქობდნენ ბაძიობით: ზან ერთი იმპლავრებდა და მიწვევობდა — ლამის თხრილში გადაჩეხავდა, ზან მეორე ჩაღის ღერს თუ დანახავდნენ გზაზე დაეგარდნილს, წაეპოტიანებოდნენ. მთელს სოფელს სასაცილოდ ჰყავდა ეს ხარებიცა და მათი პატრონიც...

ერთი სიტყვით, კარგად მოვლენილი პირუტყვებიც შურდათ, და რადგან ვინც ვინცა, რომ მათი პატრონი კულაკად ჩაეწერათ. ასე იყო ყველგან. იმავე ხანებში სურამშიაც დაეჭვავდი ზაფხულობით მამიდარემს, რომელიც იქ იყო მასწავლებლად. და იქაც ზუსტად ასე უქნარა და ღატაკი ხალხი შურით უყურებდა ჰეციანს და მშრომელი გლეხის კარგად მოვლილ პირუტყვსა და კარმიდამოს, და რაკი შავი სიის შედგენა სწორედ მათ ევალეობდათ, რაღა გასაკვირია, რომ კულაკებად ჩაწერდნენ.

პარალელურად გაამძაფრეს ეკლესიის წინააღმდეგ ადრევე დაწყებული ბრძოლა. „რელიგია ხალხის ოპიუმია!“ წამდაუნუმ გვესმოდა ეს ლოზუნგი. გახშირდა მღვდლების კარიკატურები გახუთებსა და განსაკუთრებით „ტარტაროზში“, რომელიც ძალიან პოპულარული იყო ჩვენში. სკოლებში სისტემატურად გეიტარებდნენ ანტირელიგიურ ლექციებს და ძალიან მარტივი დასკვნებით „აკამტყერებდნენ“ სამყაროსა და ადამიანის შექმნის ბიბლიურ თეორიას, უპირისპირებდნენ მას „საღ-აზრს“. „სად არის ღმერთი?“ პათეტიკურად სვამდნენ კითხვას ისინი. „უნახავს რომელიმე თქვენგანს?“ ეს ძლიერი არგუმენტი იყო, რადგან ღმერთი მართლაც არავის ენახა... მოუწოდებდნენ ბავშვებს, გაეღენა მოუხდინათ მშობლებზე...

ერთ დღეს ეკლესიის გუმბათიდან ჯვარი ჩამოაგდეს. ეკლესია ამ დროს უკვე დაკეტილი იყო. დააცადეს ხალხი რას იტყვისო. ახლა დედო-ზარზე მიდგა ჯერი. მაგრამ, სწორედ ამ დროს გაიმართა ის მიტინგი, რომელზეც ფილიპე მახარაძემ ხალხს აღუთქვა, წირვა-ლოცვა აღდგებო...

მართლაც გახსნეს ეკლესია, მაგრამ ჩვენი ზატები, — ისევე როგორც გურიის სხვა სოფლების ეკლესიებისა — ოზურგეთში წაეღოთ. ბაბუა წავიდა ურმით ზატების ამოსატანად, ჩემი ძმაც გაიფოლა. თურმე ძალიან გაძნელდა იმდენ ზატებში ჩვენი ეკლესიის ზატების ამორჩევა. ბევრი დამტკრულიყო. ზედ ფეხით დგებოდნენ თურმე.

ერთი სიტყვით, წირვა-ლოცვა აღდგა. ხალხმა გაიხარა... წირვა-ლოცვა კი აღდგა, მაგრამ ათეისტური მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ეს მეორე სიცოცხლე ეკლესიისა ხანმოკლე გამოდგა. კვლავ დაკეტეს. ამჯერად საბოლოოდ. ვველაზე მეტი თავგამოდებით, შეიძლება ითქვას, გააფთრებული ერთუბაზმით ეკლესიის დაკეტვისათვის იბრძოდა ცნობილი ბოლშევიკი ნატაშა ქიქოძე, მიქელაძის ქალი, მარიამ ორახელაშვილის და. მას სერგო ორჯონიკიძესთან შეგობრობით მოჰქონდა თავი და მთელს მახრამში დიდ ანგარიშს უწყევდნენ. ორჯონიკიძის შეგობარი მართლა ყოფილა — ჩრდილო კავკასიაში ერთად „უმოღვაწით“, ეს ჩვენს ენციკლოპედიაში ამოვიკითხე. დიახ, ენციკლოპედიაში ეს ქალიც შეუტანიათ, როგორც მგზნებარე რევოლუციონერი!..

ერთი ბედი მაინც ერგო ჩვენს ღამაზ ეკლესიას: ბოსლად ან საწყობად არ გაუზნდათ, როგორც ეს ბევრგან მოხდა, სხვა კუთხეებში.

რაკიღა გაუთვალისწინებელი ვითარების გამო ჯერის ჩამოხსნის შემდეგ დედო-ზარის ჩამოხსნა დაუგვიანდათ, ახლა გაშმაგებით ეცნენ (პატარა ზარი აღრევე ჩამოხსნეს და სკოლის ეზოში დაკიდეს). გაშმაგებით კი ეცნენ, მაგრამ ზარი ძალიან დიდი იყო და ჩამოხსნა ადვილი არ გამოდგა, გაუჭირდათ. ხოლო როცა წვალებითა და ჯახირით სამრეკლოდან გადმოაგდეს, ისე ღრმად ჩაეფლო მიწაში, რომ მერე იქიდან მისი ამოღება არანაკლებ ძნელი გამოდგა...

ეკლესია უფრო მოგვიანებით დაანგრიეს. მაშინ მე უკვე წამოხული ვიყავი სოფლიდან. რაღა თქმა უნდა, ნატაშა ქიქოძის გაფაცინებული მეცადინეობით მოხდა ეს. იმ მოტივით, რომ ეკლესიის ქვევით სკოლა უნდა ავაშენო. დიდხანს ეყარა ეკლესიის ქვევით ეზოში. ბევრი დაიკარგა, დაიშხურა. ბოლოს ერთი ნაწილი მართლაც გამოიყენეს სკოლის საძირკვლად. სკოლას, რაღა თქმა უნ-

და, ნატაშა ქიქოძის დიდი ქვევების ქვევით უწოდეს.

უნდა გამოვსტყდე, ყოველთვის შემზარავს ხოლმე, როცა ამ შენობის საძირკველს დაინახავ, რა უღაზათო და უფერული გამზდარან ეს ქვევით, რომლებიც ეკლესიის კედლებში სიღამაზით ბრწყინავენ და შევებისმომგვრელ სისპეტაკესა და სიწმინდეს აფრქვევენ.

* * *

დაიწყო დაჭერები. ჯერ აქა-იქ, კანტიკუნტად, ფრთხილი შერჩევით. ოცდაათშიმდე ვათავისუფლებულები ხელახლა მოკრიბეს, და ხუთჯერაც მეტი სხევიც დაუმატეს.

მამაც ვერ გადაურჩა ამ ტალღას. საპარიკმახეროში წვევს იპარსავდა, როცა ჩვენი შორებელი მეზობელი, გლაზუნა ჩიტაიშვილი, შევიდა და უთხრა: შენს დასაჭერად არიან მოხულები, ჩქარა თავს უშველიო. საპარიკმახეროს მეორე კარი ხეებით დაბურულ ეზოში გადიოდა... დიდხანს იმალებოდა — ხან ბათუმში, ხან თბილისში, ხან სოფელშივე — მეზობელ-ნათესაებში. ასე გავიდა რამდენიმე თვე. რებრესიები კი ამასობაში თანდათან ძლიერდებოდა. ჩვენს მთავარ შარაზე და ორლობებში ყოველდღე — ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე — გადაითქარუნებდა ოცდახუთ-ოცდაათი კაცი-საგან შემდგარი ჩეკისტების ცხენოსანი რაზმი. მხრებზე შაშხანები მოველოთ — ზოგს, ჩინით უფრო მაღალს, მაუზერიც ეკიდა წელზე, კისერი წინ წაეგლოთ და შარასა თუ ორლობებში მათრახების გამეტებული ტლაშუნით დააგელეებდნენ გაქაფულ ცხენებს. მათი ყოველი გამოჩენა შიშისზარი გამზდარიყო. იმის მაუწყებელი, რომ ვინმეს დეჯახში უბედურება უნდა დატრიალებულიყო. „დავრჩენდა სოსელიას ჩეკისტები გამოჩნდნენ!“.. უმრავლესობა ზიზღით იტყოდა ამას, ხოლო აქტივისტ-ბოლშევიკების ოჯახის წევრები (მათი პატარა ბავშვებიც კი) — ამაყად და ნიშნისმოგებით. შიშსა თესავდნენ, თორემ იმ უბედური

ხალხის დაჭერა ხომ ისედაც შეიძლება, რა საკურო იყო ამდენი აურზაური. გამოიძახებდნენ და გამოცხადებდნენ. ვისაც გაქცევა გადაეწყვიტა, ისინი მაინც მოუხელთებელი რჩებოდნენ. ცხენების თქარათქური შორიდანვე ისმოდა — თითქოს საგანგებოდ აფრთხილებნო — და თავის შეფარება ჯერ ისევ ვაუკაფავ უკანარსა და ჭალებში ძნელი არ იყო. დროებით შეაფარებდნენ თავს, მერე კი გადაიხვეწებოდნენ.

ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა წაიყვანეს ჩვენი უბნიდან. სოფელში გლოვის ხარი იდგა.

მამას დროდადრო მოაკითხავდნენ — ხან ადვილობრივი თემკომიდან, ხან ოზურგეთიდან ჩეკისტები. ასე გავიდა ხუთი თუ ექვსი თვე. და აი, ერთ დღეს ლავრენტი სოსელიას მთელი რაზმი მოადგა ჩვენს ეზოს. სახლი და ეზოს მობშული სიმინდის ყანა საგულდაგულად დაჩხრიკეს.

წინა ღამით მამა მართლაც იყო სახლში. დაკითხეს უფროსები, დაგკითხეს ბავშვებიც. ჩემი უფროსი ძმა და მე უკვე გამობრძმედილები ვიყავით ამ საქმეში. რამდენი ხანია თვალთ არ გვიჩანახავსო, შეთქმულებივით ვუთხარით. პატარა დას მიუაღერეს, რა კაი გოგონა ყოფილხარო, კანფეტს მოგცემთ, ოღონდ მართალი გვითხარო. ბავშვი ადრევე იყო უფროსებისაგან დარიგებული. კამფეტები არ მინდაო, მაშინვე ცივად უთხრა, აგერ რამდენი კამფეტი მაქვს, მამამ მომიტანა გუშინო. ბოლო სიტყვები წამოცდა და მაშინვე შეცბა, მაგრამ გვიანდა იყო. დედამ დაუცაცხანა, ტყუილის თქმა როგორ შეიძლება ბიძიებთანო. გოგონამ ტირილი მორთო.

„ბიძიებმა“ ხელახლა გადააქითეს სახლი, სხვენზეც ამკრნენ, ნალიაშიაც შეიხედეს, ყანა და თხილნარიც კიდევ ერთხელ დაჩხრიკეს. მამა იქ ხომ არ გაუჩერდებოდათ. მუქარას მოყვნენ, ავაწოკებთ თუ არ ჩაგვაბარებთო. რაკი ვერაფერს ვახდენ, ცხენებს მოასხდნენ და წაიღენ. სხვებიც ჰყავდათ დასაჭერი. ოღონდ ერთი ჩეკისტი სახლში დავკითხვეს. ალბათ იმ ვარაუდით, რომ

მამა იმ დიდ რაზმს გაიგულუნდა და უკანვე მობრუნდებოდა. ცხენი — ჩეკისტისა წაიფანეს, ეზოში რომ არავის დაენახა, ეჭვი არ აეღო.

შემოდგომის ცივი დღე იყო, წერილი წვიმა ცრიდა. ოთახში ხუთნი ვიყავით — დედა, ჩვენ სამი ბავშვი და ჩეკისტი. ახალგაზრდა კაცი იყო, სულაც არა ჰკავდა კაციჭამისა და მხეცს, როგორაც ჩვენ ისინი წარმოგვედგინა. უფროსი ბავშვები გაკვეთილებს ვუსხედით. ადვილი მიხახვედრია, რა გაკვეთილის მოშალება იქნებოდა — გულს ბაკა-ბუვი გაჰქონდა. ჩემი და დედას ეჯდა კალთაში. ახალგაზრდა ჩეკისტი ტახტზე იჯდა, ბუხართან ახლოს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ჩეკისტს ეტყობა ეძინებოდა, მაგრამ თავს ებრძოდა, ძილს იფრთხილდა. როცა ოთახში დათბა, შინელის საკინძი გაიხსნა, მხარზე გადაკიდებული მოკლე შაშხანა ჩამოიღო და ბუხართან მიიყუდა, ისევ ტახტზე დჯდა. მას არ გამოპარვია, როგორ ვაფაციცებით მიხერებოდა დედაჩემი შაშხანას...

დიღხანს იყოყმანა დედამ, მერე ბავშვი კალთიდან ჩამოსვა და ფრთხილი, გაუბედავი ნაბიჯით ბუხრისკენ წაიდა. ჩეკისტი თვალს არ ამორებდა, წარბებს ქვეშიდან უყურებდა. დედა ხელის კანკალით მისწვდა შაშხანას, და ჩეკისტი მივარდა, გამოსტაცა.

„ცეცხლთან ახლოს... არ გავარდეს“, ძლივს ამოთქვა სუნთქვაშეკრულმა დედამ.

მომშიში ქალი იყო.

ახალგაზრდა მაშინვე მიხვდა ყველაფერს და ღიმილით დაამშვიდა: „ასე ადვილად არ გავარდება, ქალბატონო“.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, რამდენ ხანს იჯდა ახალგაზრდა ჩეკისტი ჩვენს ოთახში. მერე გამოუარეს, კიდევ ერთხელ მოათვალაერეს სახლი და ეზო და წაიღენ, ახალგაზრდა ჩეკისტიც გაიყოლეს.

აღარ მახსოვს, მალე ამის შემდეგ, თუ დიდი ხანი გამოხდა, ერთ ხალამოს მამა მოვიდა და გამოგვეთხოვა. თბილისში წახვლა გადაწყვიტა, დიდ ქალაქში

უფრო ადვილად შეიძლება დამალვა. გვიან ღამით ნივითში გავიდა ფეხით, ტყე-ტყე იარა. ნაკლებ მოსალოდნელი იყო, ნივითზე აეღოთ ეჭვი. იქ კი ბათუმ-თბილისის მატარებელში ჩაჯდებოდა.

თბილისში დააპატიმრეს. ერთმა „მეგობარმა“ გაახშირა თურმე სტუმრობა. არ მინდა მისი გვარი ვახსენო. ერთ ხალხის ჩვეულებრივ ისაუბრეს, ნარდი ითამაშეს, ალბათ ივახშმეს კიდევ, და მერე სტუმარმა შესთავაზა, „გოლოვინსკზე“ გაეისეირნათო. შინ აღარც მობრუნებულა. მერე დღეს ბიძამ, დედის ძმამ მოიკითხა. უკვე ციხეში ჰყავდათ.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს იყო თბილისის ციხეში. 1926 წლის ნოემბრის მიწურულში გადაასახლეს. ერთხანს მოსკოვში, ბუტირკის ციხეში ჰყავდათ, წერილებიც მოგვეღიოდა ციხიდან, ღია ბარათები. მერე ციმბირში გადაასახლეს.

მამის დაპატიმრების ამბავი რომ გავივით, დედა, რაღა თქმა უნდა, მაშინვე გაემგზავრა თბილისს. ოზურგეთამდე, ჩვეულებრივ, ურმით გავაცილებო-მე და ჩემმა ძმამ. მატარებელი საღამოთი გადიოდა, ახალდაბნელებულზე...

სწორედ იმდამინდელმა შთაბეჭდილებამ — თუ ძალიან მაღალფარდოვანად არ გამოძღის — დასტოვა წარუშლელი კვალი ჩემს სულსა და გონებაში. ავერ სიბერეშიაც შემზარავს და შემადრწუნებს, როცა იმ ბავშვობისდროინდელ საღამოს გავიხსენებ.

სადგურისკენ რომ აუხვიეთ და ორასამდე მეტრი გავიარეთ — ურემს წინ მე მივუძღვოდი, ჩემი ძმა კოფოზე ეჯდა, დედას ურმის ქალისთვის ჩაველო ხელი — ერთი სიტყვით, სადგურს რომ მივუახლოვდით, გადამკვეთი ქუჩიდან თოფშემართული კაცი გამოვიდა აჩქარებული ნაბიჯით და, ურემი გაჩერო, დამივირა. ზურგით დამიდგა წინ, გზა გადავიღობა. ვერ ვიტყვი, შიმში უფრო შემაცუბუნა თუ გაკვირვებამ, ისე მოულოდნელი იყო ამ კაცის გამოჩენა: ჩვენს წინ გზა თავისუფალი იყო, ხოლო გვერდით ქუჩებზე რა ხდებოდა, არ

შემიმჩნევია. მაშინვე შევანერვიულვით და ახლავა გავიხედე იმ ქუჩისკენ, სადა იდნაც თოფიანი კაცი გამოვარდა. და სწორედ მაშინ დავინახე გულისშემბერელი სანახაობა.

უკვე ბინდი წვებოდა, ქუჩაც ხეებით იყო გადმობურული, მაგრამ ისე ახლოს იყვნენ ჩემგან, რომ გარკვევით დავინახე: ასამდე აღამიანს — იქნებ მეტსაც, იმ ვითარებაში ხომ ვერ დაეთვლიდი — ირგვლივ თოფიანი მცველები ამოღვომოდნენ და მოაცილებდნენ. საოცარია: ისე მოდიოდნენ, რომ ჩქამი არ ისმოდა, თითქოს სუნთქვა შეეკრათ, ფეხზედაც თითქოს ნაბდის ღანჩიანი ქალამნები ამოცვათ... ეს უფრო სამგლოვიარო პროცესიასა ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ უკუფში ქალები არ ერია — მამაკაცები იყვნენ. ყველანი წვერმოშვებულები. გრძელი ბლუზები ყველას ერთნაირად გადმოეშვა შარვლებზე, ქამრები არა რტყმით. ეს ერთი შეხედვითაც თვალმისაცემი იყო. ხელები ყველას ერთნაირად ჰქონდათ ჩამოშვებული, იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთს ცალ ხელში სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფუთა ეჭირა. ეტყობა, გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ხელები ჩამოშვებული ჰქონოდათ.

„პატიმრები მიჰყავთ“, ჩაილაპარაკა დედა. მე ისედაც მივხვდი, რომ პატიმრები იყვნენ. აღრევე გვექონდა გავონილი: ოზურგეთიდან ღამის ყოველდღიურად მატარებლით მიჰყავთ პატიმრები, უკრ თბილისის ციხეში და იქიდან კი ციმბირში ასახლებენო.

როგორც ითქვა, შებინდებული იყო და სახეებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ საოცარია: თითქოს მათ თვალბეჭდში ჩამეხელოს და ამომეკითხოთ მძიმე სევდასთან უცნაურად შერწყმული გრძნობა ზიზღნარევი რისხვისა...

სწორედ ასეთი თვალბეჭდები ჰქონდა ერთ პატიმარს, რომელიც მეზობელ მთიან სოფელში დაეჭრათ და ურმით გამოატარეს ჩვენს სოფელში; აქედან ტელეფონით ოზურგეთს დაუკავშირდნენ, ახარეს — შევამყარით და მცველები მოვკავშველეთ, რომ გზაში არაფერი მოხ-

დესო. კარგა ხანს იღვა ხარებგამოშვებული ურემი კანცელარიის წინ, იმ დიდ მოედანზე. ტყვე პირადმა იწვა ხელნადაშვებულ ურემზე, ტანს ნაბადი უფარავდა, შავი წვერით შებუმბული სახე კი კარგად მოუხანდა, ორი გუშაგი შორიახლო ჩამომჯდარიყო, თოფები ლაჯებში ჰქონდათ ამოდებული. თვალები ებლიტებოდათ, უძინარები და დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ მაინც ფხიზლობდნენ, ხშირად გახედავდნენ ურემს უძილობისაგან გამოღუნებული თვალებით. ტყვე ვერსად გაიქცეოდა — მძიმე ჭრილობა ჰქონდა, ბარძაყში დაეკოდათ, მაგრამ მაინც ასე შიშობდნენ და ფხიზლობდნენ. სკოლიდან გამოსული ბავშვები ურემს შემოკვებვიეთ, შეშინებულები გაოცებით შეჟურებდით ურემზე გაშოტილ ადამიანს, რომელსაც ანიებულ სახეზე ეტყობოდა, სიცხე ჰქონდა და ჭრილობა სტიკიოდა, მაგრამ ითმენდა, არა კვენსოდა; მისი თვალები კი ამკარად გამოხატავდა იმ უცნაურად არეულ განცდას, ზემოთ რომ ვახსენე. კარგა ხანს ჰყავდათ აქ ასე, ხანამ ოზურგეთიდან უფრო საიმედო ცხენოსანი ბადრაგა არ ამოვიდა...

იმავე ხანებში კიდევ მოვხვედრილვარ მატარებლის ვასელის დროს რკინიგზის ვაგზალში — ხან მამიდები ვავიცილებია, ხან ბიძაშვილები... და ვერ ვიტყვი ყოველთვის-მეთქი, მაგრამ ბევრჯერ ვავმზადრვართ ასეთივე ხანახაობის შემსწრენი, როცა მცველებით გარშემორტყმული პატიმრები სადგურისაკენ მიჰყავდათ.

ამ დროს ვაგზლის წინა მოედანს სასწრაფოდ დაკლიდნენ, ხალხს ვაგზლის შენობაში შერეკავდნენ.

პატიმრებისათვის სავანგებო ვაგონს ფანჯრები არა ჰქონია, მთლიანი ფოლადის ფურცლებით იყო შეკრული, მხოლოდ თავსა და ბოლოში ჰქონდა დატანებული ვაგონს ციხის ვისოსივით საგულდაგულოდ გამაგრებული თითო ვიწრო ფანჯარა...

მიჰყავდათ და მიჰყავდათ, უმეტესად ახალგაზრდობა, რომელთაც ჯერ დოჯახება ვერ მოესწროთ. ზოგჯერ ერთი

ვაეონი რომ არ იკმარებდა, მეორეც კი ხის ვაგონსაც გამოითხოვდნენ. მაგალითად — ამის მომსწრეც ვუიფილვარ...

ასე დაიცალა იმ წლებში გურიის სოფლები...

ბეკრი, ვინც დაჭერას გადაურჩა, სოფლიდან გადაიხვეწა, და არა მარტო მამაკაცები, მამანემის ბიძაშვილმა — მასწავლებელმა ქალმა, რომელიც, სხვათა შორის, პირველ კლასში მასწავლიდა — როგორც იტყვიან, ერთი ფეხით გაასწრო; ვიდაც ნათესავმა კასპში მოაწყო მასწავლებლად. წაეიდა და რამდენიმე დღეში მოაკითხეს კიდეც. მაშინ იმდენი დაჭერილი და დასაჭერი ჰყავდათ, რომ გამოდევნება და ძებნა, თუ ძალიან არა ჰყავდათ თვალში ამოღებული, მაინცდამაინც არ იცოდნენ: იქაურობას თუ მოშორდებოდა და აღარ გამოჩნდებოდა, მოეშვებოდნენ ზოლმე-ამგვარადვე გაეცალა სოფელს ჩემი შუათანა მამიდა. სურამის თემში მოეწყო მასწავლებლად — ერთხანს წაბლოვანსა და ცედანში, საბოლოოდ კი იტრიაში.

• • •

ერთხანს მოდიოდა მამანემის წერილები, და ისიც ღებულობდა ჩვენს წერილებს. ჯერ კიდევ არ იყო გამკაცრებული რეჟიმი. ჯერ არა კრძალავდნენ მიწერ-მოწერას. მაგრამ გავიდა სამი თუ ოთხი წელი, იქნებ ცოტა უფრო მეტიც, და წერილები ერთხანად შეწყდა. ჯერ გვეგონა, ფოსტაში დაყოვნდაო. დეპეშა ვაევაზხანეთ, პასუხი არ მიგვიღია... მოგვიანებით გაირკვა, რომ ისიც და ყველა დანარჩენი ქართველიც, ვინც მასთან ერთად იყო გადასახლებული ციმბირის იმ პატარა ქალაქში, „ბელომორკანალის“ მშენებლობაზე გადაევაზნათ. იქიდან წერილების გზავნა აკრძალული იყო — უმკაცრესი თუ უსასტიკესი რეჟიმის ბანაკი გახლდათ.

იმ ბანაკში, სადაც ყოველი პროფესიისა და მდგომარეობის ასი ათასობით პატიმარი ჰყავდათ, ყოველდღიურად იხოცებოდა ასობით ადამიანი. პატიმარ-



თავან შემდგარი სამოცდაათი ბრიგადი-
დან, ერთი - საეანგებოდ „მესაფლავე
ბრიგადა“ ყოფილა: საღამოობით ჩამო-
ივლიდნენ, მკვდრებს აკრუფდნენ და
წაილებდნენ, საღდაც მიწაში ჩაფლავ-
დნენ.

აქ სწორედ რომ სოციალისტური
პრინციპით იყო გათანაბრებული პრო-
ფესორი, მასწავლებელი, მუშა თუ გლე-
ხი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - ყველა,
ვისაც კარგად ცნობილი ორმოცდამეთ-
ვრამეტე მუხლი ჰქონდა მიყენებული;
სწორედ ეს მუხლი ათანაბრებდა მათ.
გარჩევა არა ყოფილა... ის, რაც შემდეგ
ფელასათვის ცნობილი გახდა, მაშინ
არაიენ იცოდა; მით უმეტეს, ჩვენ საიდან
გვეცოდინებოდა, რა ჯოჯოხეთი ტრია-
ლებდა იქ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რე-
ჟიმი გაამკაცრეს და წერილების ვახანა
აუკრძალეს. რეჟიმის გამკაცრებაში ჩვენ
სწორედ წერილების აკრძალვას ვგუ-
ლისხმობდით...

2525

მახსოვს გაზეთებში დაბეჭდილი ერ-
თი ქრონიკა იმ დღეებისა: არხის მშე-
ნებლობას ეწვივნენ და დათვალეირეს,
დიდი სტალინი და მისი ერთგული თა-
ნამებრძოლი კიროვი; და როგორც ქრო-
ნიკა იუწყებოდა - სწორედ ეს არის
საგულისხმო - თურმე მეტად კმაყო-
ფილნი დარჩენილან.

ნეტა რამ უფრო გაახარათ: თვით
მშენებლობამ, რაც, როგორც უფრო გვი-
ან გაირკვა - მგონი არა ვცდები, ასე
უნდა იყოს - სულ ფუჭი და უსარგებ-
ლო გამოდგა, თუ მილიონობით ადამი-
ანების ელექტის მასშტაბმა!..

შეიდი თუ რვა წელი გაატარა მამამ
გადასახლებაში (იქიდან დაბრუნებული
დახვრიტეს - 1937 წელს)...

ასე მოკლედ ითქმის - 8 წელი! მაგ-
რამ ჩვენთვის, ჩვენს დღეში მყოფათ-
ვის, ასე მარტივი არითმეტიკით არ იან-
გარიშებოდა: რვა წელიწადი ჩვენთვის
რვაჯერ სამას სამოცდახუთი დღე იყო-
შიშის, უმწეობის, უკიდურესი ვაჭირ-
ების, დამცირებისა და მეტად ბუნდო-
ვანი მოლოდინის უსასველოდ გაწელი-

ლი დღეები, როცა ბავშვურად გრძობ-
ბიც კი გაუბედავი და ფრთაშეკვეცილი,
ხოლო ადამიანებთან ურთიერთობა -
დაეჭვებით გაფაციცებული და დაძაბუ-
ლი. ახლა არც მინდა გაეიხსენო ის მძა-
მე წლები, თუმცა მრავალი მწარედ მო-
საგონებელი ეპიზოდი კვლავ მწვავე
სიცხოველით შემახსენებს ხოლმე თავს...

• • •

უსწავლობდი კარგად. ალბათ ამიტო-
მაც, საპირველმადისო და საშვიდნოემბ-
რო მიტინგებზე, რაც, ჩვეულებრივ, სო-
ფლის იმ ვრცელ მოედანზე იმართებო-
და, „მოსწავლეთა სახელით“ მე გამო-
მიყვანდნენ ხოლმე სიტყვივით. შესამე-მე-
ოთხე კლასში ვიყავი ამ დროს.

ახლა ღიმილიანი სიბრალულით წარ-
მოვიდგენ ხოლმე გაწლიკულ პატარა
ბავშვს, რომელსაც მამა ციმბირში გა-
დაუკარგეს, აქ კი გამოუყვანიათ და გა-
ზეპირებული სიტყვივით არსებულ წყობი-
ლებას აქებინებენ. სიტყვას ხან ვინ და-
მიწერდა და ხან ვინ, მერე კი სკოლის
გამგე შეამოწმებდა, მთავარი ცენზორი
ის იყო - თემკომი მხოლოდ მას ენდო-
ბოდა, ვახუპირება არ მიჭირდა.

ერთხელ მასწავლებლებმა, ეტყობა,
ვერ მოიცალეს და მევე დამავალეს -
ვინმე დაიხმარე და დაწერე, მერე აქ
ჩვენ გაგისწორებთო. ვინ უნდა დამხმა-
რებოდა?! ჩვენს მეზობლად ცხოვრობ-
და ერთი ყოველი სიკეთითა და სიქვე-
ლით შემკული ახალგაზრდა ქალბატო-
ნი დარიკო მგელაძე - სათნო, მშვიდი,
კეთილი ქალი, შესახედავად ძალიან
ლაშაზი და სანდომიანი. ახლა რომ აღ-
ვადგენ მეხსიერებაში, ისეთი ქალი, რო-
გორც ჩვენი თაობის ადამიანებს უმ-
თავრესად წიგნებით დამახსოვრებიათ.
მასწავლებელი ვახლდათ, ბათუმში თუ
ოზურგეთში მსახურობდა, მაგრამ იმ-
ჟამად დათხოვნილი იყო, როგორც „პო-
ლიტიკურად არასაიმედო“. მაშინ მა-
სობრივად ხდებოდა იდეოლოგიურ სფე-
როში ასეთი „წმენდა“. ამ ქალბატონის
დათხოვნას კი უნდა ვიხსენებო, უნდა

საქართველოს
პარლამენტი
მეცნიერებათა
და ხელოვნების
აკადემია

ხელი, რომ ცოტა ხნის წინ ძმა დაუ-
პატიმრეს, მოეღს ჩვენს უბანში გამო-
ჩეული ვაჟკაცი...

სწორედ ჩვენს მეზობელს, იმ მშვე-
ნიერ ქალბატონს ვთხოვე სიტყვის და-
წერა, დედა მიმეცა, თორემ მე რას გავ-
ბედავდი. იქნებ არც დამხსომებოდა ეს,
თუ არა ერთი საგულისხმო ამბავი.

დაწერილი სიტყვა, ჩვეულებრივ,
სკოლის გამგემ წაიკითხა, შემომხედა.
კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი. შე-
ვაბტყვე, რაღაც არ მოეწონა.

ვინ დაიწერაო, მკითხა.

ასეთ შეკითხვას არ მოველოდი. გავ-
წითლდი. ავიწურე, დავიბენი, მაგრამ
ის კი ვიახზე, ჩვენი კეთილი მეზობელი
არ დამესახელებინა. მე თვითონ დაე-
წერე და დედამ გამისწორა-მეთქი, ძა-
ლიან ორჭოფულად და გაუბედავად წა-
ვიღულულუღე.

სკოლის გამგე აღარ ჩამცივებია, აღა-
რაფერი უთქვამს, ჩაიციხა მხოლოდ და
პირველი ორი სიტყვა, რითაც ჩემი მი-
საღმება იწყებოდა, ირონიულად წარ-
მოთქვა: „პატივემულო მოქალაქენო!“
კიდევ გაიმეორა ეს სიტყვები, ახლა უკ-
ვე კეთილი სიცილით.

„ნამდვილი მენშევიკური გამოთქმა!“
თქვა და ფანქრით წაშალა ეს ორი სი-
ტყვა.

ისეთი ქინით გაუსვა ფანქარი, თით-
ქოს რაც ქვეყანაზე მენშევიკებია, ერთ-
ბაშად იმათ ჯავრს იყრისო. ჩვენში ამ
დროს ასე იყო — სულ მენშევიკები ელა-
ნდებოდათ, სულ „მენშევიკი“ კვირათ
პირზე. წაშალა და ზემოდან დააწერა:
„ამხანაგებო!“

არ დამავიწყდება ერთი საშვიდნოემ-
ბრო მიტინგი. წვიმიანი შემოდგომა
იყო, მიწა წვიმას გაეჟღინთა, გზებზე
გუბეები იდგა, მაგრამ იმ დღეს არ უწ-
ვიშია, თუმცაღა ცა ღრუბლებს დაეფა-
რა და საკმაოდ ციოდა. მოედანზე მაინც
ბლომად ხალხს მოეყარა თავი — მიტი-
ნგზე გამოუცხადებლობა პოლიტიკურ
პროტესტად ჩაითვლებოდა, ხოლო ამას
რა მოყვებოდა, ეს უკვე კარგად იცოდა
ხალხმა.

სოფლის თავკაცები აივნებზე იდგნენ,
წინ წითელნარმა გადაფარებული მაგი-
და ედგათ, ზედ წყლიან გრაფინით, რო-
გორც წესი და რიგია, ანუ როგორც სა-
ერთოდ იყო მიღებული.

როცა ჩემი ჯერი დადგა და პირველი
სიტყვები წარმოთქვი სხაპასხუპით,
ხალხმა ეტყობა მოითხოვა, დაგვანაზ-
ვეთ ეს ბავშვიო: მაგიდა ხომ აივნის
მოაჯირზე იყო მიდგმული და აივნის
სიღრმიდან ზეირიანად ვერც მე ვზე-
დავდი ხალხს და ხალხი მით უმეტეს
ვერა მხელავდა. უცებ მაგიდასთან მდგო-
მთაგან ვილაღამ დამავლო ხელი და
მაგიდაზე შემსვა.

სიტყვა შუაზე გამიწყდა. მოვიხედე,
რა ხდება-მეთქი.

განავრძე, გააგრძელო, გამამხევეს.
გაგრძელება უზერხულად მომეჩვენა
და, დაბნეულმა, თავიდან დაიწივე.

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა; ამანაც შე-
მაკითხო. უცებ გავიფიქრე, ალბათ თავ-
ვიდან არ უნდა გამეძვორებინა-მეთქი.

შეკვწხდი. ეს ალბათ ჩემს მეტყველ-
ბასაც შეეტყო.

მაგიდასთან მდგომხნაც ეტყობა შეიშ-
მუშნენ.

მიზუზი სულ სხვარამ ყოფილა. ხალხ-
ში მგონი არავის გაუცინია, თუმცა სა-
საცილო კი იყო: ამ შემოდგომის წვი-
მასა და სიცილეში წითელ ნაჭურვლა-
ფარებულ მაგიდაზე შემდგარი ფეხშიშ-
ველი პატარა ბავშვი ქვეყნის მიღწე-
ვასა და კეთილდღეობაზე ესაუბრებოდა
ხალხს (ალბათ ასეთი იქნებოდა იმ სი-
ტყვის შინაარსი). გავიგონე მაგიდასთან
მდგომთაგან ერთ-ერთმა როგორი მტკი-
ცი გადაწვეტილებით გადაულაპარაკა
სხვებს: „ახლავე უნდა ეუფილოთ, ამდენ-
ხანს როგორ ვერ შევინძნეთ“. იგულის-
ხმებოდა ჩემთვის წულუბის ჟიღვა. რაღა
თქმა უნდა, ეს მტკიცე გადაწვეტილება
მერე აღარავის გახსენებია.

ქართული ლიტერატურის გარდა, ძა-
ლიან იყვარდა გეოგრაფია. საქართვე-
ლოს გეოგრაფიას, მგონი მესამე კლას-
ში, დავით ღონდუას წიგნით ვვასწავლი-
დნენ. სწორედ ამ წიგნმა შემავყარა. დი-



დებული წიგნი იყო — შესაშურად ზომიერი მხატვრობით დაწერილი. ასე ხახალისო რომ იყოს ყველა სახელმძღვანელო! შემდეგ მგონი აკრძალეს ეს წიგნი. საერთოდ, საქართველოს გეოგრაფია ამოიღეს სასწავლო პროგრამებიდან.

ზეპირად ვიცოდი მთელი წიგნი. იგი არა მარტო დასახელებით გაცნობდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს, სოფელსა, თუ მდინარეს, არამედ თითქოს ცოცხალ არსებაზე მოვითხრობდა, მის ხასიათსა და ჩვევებსაც ვაგავცნობდა. და სანამ უშუალოდ ნახავდი, შენ უკვე იცოდი, რა დაუდგრომელი იყო, დროდადრო როგორ გახედლებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ კი რა ანტი როკით მოცქერიალებდა, ვთქვათ, ზემო იმერეთის მდინარე ჩხერიმელა... ცოცხალ არსებასავით შეგაყვარებდა ყველა მთასა თუ მდინარეს; ხოლო წლების შემდეგ, როცა უშუალოდ მიიხახულებდი, თითქოს დიდი ხნის განმორების შემდეგ ხელახლა გენახოს ძველი კუთილი ნაცნობი თუ მეგობარი, რომელიც იქნებ ცოტათი კი შეცვლილა, მაგრამ ზასიათი და ჩვეულება წინანდელი, შენთვის კარგად ნაცნობი, შერჩენია.

მამის დაბატმირების გამო შევიწროება თუ ათვალწუნება სკოლაში არ მიგრძენია. მასწავლებლებს ვუყვარდი და ქებით მომიხსენიებდნენ... მხოლოდ ერთხელ შემხვდა გულდასაწყვეტი ამბავი, და ისიც არ ვიცი, შემთხვევით თუ „პოლიტიკური სარჩულის“ გამო, როგორც მამის ზმირად იტყოდნენ ხოლმე. ჩვენს სკოლას ერთადერთი საგზური გამოუყვეს ქობულეთის ბავშვთა საზაფხულო ბანაკში. გამომიძახა სკოლის გამგემ — მითხრა: პუდსაბჭომ გადაწყვიტა, შენ გარგუნოთ ეს საგზური, ოღონდ ექიმის სათანადო ცნობა მოიტანეო, ზღვა ჯერ არ მენახა, და ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამიხარდებოდა. უნდა გამოვტყდე, არა ნაკლებ სასიხარულო იყო ქობულეთამდე მატარებლით მგზავრობა, რადგან მატარებელი რაღაც გატაცებული სიყვარულით მიყვარდა; ორთქლმავალი რომ მოაკივლებდა და შერე ქმე-

ნით შემოვიდოდა ოზურგეთის სადგურში, ტანში ერთნატილი დაწინილია. ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს სულ სხვა სამყარო შემოდიოდა — ზღაპრული, მიუწვდომელი და ოცნებაში მონატრებული..

ხელად მივარბენინე სკოლაში ჩვენი ექიმის ცნობა — ახლაც ზეპირად მახსოვს: „...ავად არის მაღარიით და საჭიროებს ზღვის ჰავით მკურნალობას“. გამომართვეს ცნობა და საქალაქდში ჩადეს. წასვლის თარიღს შეგატყობინებოთ (ამ დროს საზაფხულოდ დათხოვნნილები ვიყავით).

გულისფანცქალით ველოდი იმ დღეს.. და წარმოიდგინეთ, რა მწარე უნდა ყოფილიყო იმედისგაცრუება, როცა ვაივგე, საგზური სხვისთვის მიეცათ... მაშინვე ყველასთვის აშკარა გახდა, რატომ დაარღვიეს პირობა. იმ ბიჭის მამა ბოლშევიკი იყო, თანაც ძველი, სანდო ბოლშევიკი.

ერთი სიტყვით, ეს იყო პირველი მწარე იმედისგაცრუება... იქნებ იმ დროიდან დამჩმედა: სანამ დასახული მიზანი თუ ნატერა არ შემისრულდება — სულერთია, მნიშვნელოვანი იქნება თუ უმნიშვნელო — წინასწარ სრული გარანტიაც რომ მქონდეს, მაინც დაეშვებით მოველი საქმის ბოლოს.

და აქვე ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ, რადგან იგი ძალიანაა ჰგავს ზემოთ მოთხრობილ ამბავს, თუმცა ვაცოცხლებით უფრო გვიან მოხდა, 1960 წელს. მე მამინ „ცისკარში“ ვმუშაობდი.

ეს იყო ე. წ. „დათბობის“ პერიოდი, როცა ხრუშჩოვმა დაუნდობლად ამხილა ბოლშევიკური ტირანიის საშინელი ბოროტმოქმედებანი, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე და მოთავე, როგორც ცნობილია, თეადლეე იყო. და იმჟამადაც, თუმცა კი ძველს თითქოს სასტიკად გმობდა, პარალელურად უმკაცრესი ცენზურა დამყარა ლიტერატურასა და ხელოვნების ყველა დარგში, და არა ერთ ნიჭიერ შემოქმედს სიცოცხლე გაუმწარა... ჩვენშიაც სწორედ იმ წლებში გადაეშალა ფართო სამოქმედო ასპარეზი მწერლობას მიტმანნილ ბევრ

უნიჭო და უსინდისო დემაგოგს... მაგრამ ამაზე ქვემოთაც მექნება საუბარი. ახლა კი იმ ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

„დათობასთან“ ერთად, ზრუშნოვმა თითქოს რკინის ფარდა ცოტათი გაღასწია და დასაკლეთისაკენ „სარკმელი გამოაღო“. გაჩნდნენ პირველი ტურისტული ჯგუფები (თავისთავად იგულისხმება, ძალიან ფრთხილი შერჩევითა და მკაცრი შემოწმებით). ამ ჯგუფებს უცხოეთის ამა თუ იმ ქვეყანაში აგზავნიდნენ მეტისმეტად შეკუმშული ვადით — სულ რამდენიმე დღით — და უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ: თითოეულ ასეთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა უმისრობის ორგანოებში გამობრძმედილ-გამოწრობილი ე. წ. ვიდი, რომელსაც ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა გამოძმული. ეს ოფიციალურად, ხოლო არაოფიციალურადც ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი „ფხიზელი“ მეთვალყურე მიჰყვებოდა. პირველად, რაღა თქმა უნდა, მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან აგზავნიდნენ ასეთ ჯგუფებს. იქ უფრო ენდობოდნენ ხალხს.

ბოლოს, როგორც იქნა, საქართველოს ჯერიც დადგა, და, თუ არ მეშლება, ერთ-ერთი პირველი ტურისტული ჯგუფი საქართველოდან ინგლისში გაემგზავრა. „გოქისი“ (სახლვარკარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ორგანიზაციის) თავმჯდომარემ დამირეკა და შემომთავაზა: სამართლიანობა მოითხოვს, პირველ რიგში შენ წახვიდე ინგლისში; ახლავ შეაგროვე საქაირო საბუთები და წარმოადგინო. სასწრაფოდ შეეკავე ათასნაირი ანექტა, მწერაღოთა კუშარიდან სამ-სამ ბეჭედღასმული შუამდგომლობა და სხვა ცნობები ავიდე და ჩავაბარე. წასვლის დრო რომ მოახლოვდება, შეგატყობინებთ, მანამდე კი ფული მოამზადეო. საკმაოდ ძვირი ღირდა ტურისტული მოგზაურობა.

ადილი წარმოსადგენია, როგორ მოკვლიდი იმ დღეს, როცა დამირეკავდნენ და გამგზავრების დროს შემატყობინებდნენ. ახლა, ალბათ, ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს, როგორ აღიქმებოდა

ჩვენს ცნობიერებაში ე. წ. ტურისტული ქვეყნებში ფეხის შეღვრა. ათეული წლების განმავლობაში იქიდან მხოლოდ „კაკებს“ ფილტრში გატარებული ათასნაირად დამახინჯებულ-გაუკუღმართებული ცნობები აღწევდა ჩვენამდე. ვვლამ კარგად უწყოდა, რომ ეს ცნობები ვალბი და დამახინჯებული იყო, მაგრამ იქაური სინამდვილეც არავინ იცოდა. ჩვენ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა იქაურ ცხოვრებაზე. აქ გამგზავრება და იქაურობის მონახულება კი იმგვარივე აუხდენელ ოცნებად იყო ჩამოყალიბებული ჩვენს ცნობიერებაში, როგორც, ვთქვათ, მცირე ხნით საიქიოს მონახულება და მერე უკანვე გამოძრუნება.

ვადიოდა დღეები, და არავინ მირეკავდა. შემთხვევითი გავიეცე, რომ იმ ტურისტული ჯგუფიდან ზოგიერთს მგზავრობის ფული უკვე შეეტანა. რაღას დავკვლიდებოდი, მე თვითონ დაერეკე „გოქისში“. თავმჯდომარემ მითხრა, ეს საქმეები ჩემს მოადგილეს ეხება, ზვალ გამოიარე და პირადად მოუღაპარაკეო. მერე დღეს აღარ დამირეკავს, პირდაპირ მოადგილეს მივადექი. ამ კაცს — გვარად ფლენტს — შორიდან ვიცნობდი, მხოლოდ საღმით. მისი ხმა, მგონი, არც კი გამეგონა. ფლენტმა ცივი თავაზიანობით მიმილო, სკამი შემომთავაზა, თავდაც დაჯდა. ერთხანს არცერთს არ გაგვიღია ხმა; მე მის პასუხს ველოდი, ის კი, არ ვიცე, რას ელოდა: ძალიან კარგად იცოდა, რისთვისაც მივედი. იქნებ თავის უხერხულ პასუხს ალაკებდა გონებაში.

ვერ ვიტყვი, ამ უსიამო და უხერხულ დღეში რამდენმა წამმა გაიარა. მერე ისევ მან გატეხა ნავის და უჩვეულოდ დაბალი ხმით, თითქოს რაღაც საიდუმლოს მანდობსო — თუმცა მუშაბააკრული კარით მჭიდროდ დახშულ ოთახში ჩვენ ორს გარდა არავინ ყოფილა — მითხრა:

„ალბათ, ტურისტული საგზურის საქმეზე მოხვიდით...“ რაკი არაფერი უუპასუხე, მანვე განაგრძო: „იცით, რაშია საქმე?“.. — თქვა და შეისვენა, შე-

მათალიერა. და მცირე პაუზის შემდეგ: „მამათქვენი რეპრესირებული ყოფილა და...“

სათქმელი არ დაემათავრებინე. პირველივე სიტყვიდან მიუხედი, რა უნდა ეთქვა.

„ეს ხომ არც დამიძალავს, ანკეტაში მითითებული მაქვს“... — მღვლეარებას ვეღარ ვფარავდი.

„ხო, მაგრამ, როგორც ამბობენ... მამათქვენი გადასახლებიდან ინგლისში გაქცეულა და ახლაც იქ იმყოფება“... — პირველი ნაწილი ამ წინადადებისა ძლივს ამოღერდა, მეორე კი სხაპასუხებით წარმოთქვა.

ჟერ ვიტყვი, აღარ მახსოვს, მაშინვე რომ გეკითხათ, ჟერ ვეტყვოდით, რა იყო ეს სიტყვები ჩემთვის: ცის ვახსნა? ქვესკნელის ვაპობა? მეზის ვაგარდნა?... ჩვენ ვიცოდით, რომ მამა ცოცხალი აღარ იყო, მაშინვე დახვრიტეს. აგერ კი, სერიოზული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მეუბნება, ციმბირიდან ინგლისში გაიქცაო. ასეთი დაუჯერებელი რამ ზღაპარშიაც არა ხდება, ზღაპარსაც თავისი კანონები აქვს!..

ენა დამება, ხმა ვეღარ ამოვიღე... ელენტი კი იჯდა მაგიდის იქითა მზარეს საფარძელში და გაქვევებული სახით შემომცქეროდა.

არ ვიცო, კარი როგორ გამოვალე და კიბე როგორ ჩავიარე (მისი კაბინეტი მეორე სართულზე იყო), ქუჩაში გამოვედი...

ამ დროს უკვე დაწყებული იყო ერთგვარი კამპანია რეპილიტაციებისა. უზენაეს სასამართლოში სავანგებოდ გამოეფოთ ოთახები, სადაც ჭირისუფლები განცხადებებს აბარებდნენ რეპილიტაციისათვის. ეს ჩვენც ვიცოდით. მაგრამ ოჯახში მოვილაპარაკეთ, რომ ასეთი რეპილიტაცია იმავე მთაურობისაგან, კიდევ ერთი გამოხატულება იქნებოდა ცინიზმისა, და გადაწყვიტეთ, არ მიგვემართა ასეთი ცნობისათვის.

მაგრამ აგერ მითხრეს, ინგლისში გაიქცაო. ხომ შეიძლება, მართლა ცოცხალი იყოს? რაღაც თეორიული შანსი — თუნდა ერთი ნამცეცა — ხომ არსებობს?! ხომ არ შეიძლება, ასე უტყუარად იყოს ოდეს ეს კაცია?! ეს ხომ გაუგონარი სიხასტივე და ცინიზმი იქნებოდა..

და მე, იქიდან გამოსული, პირდაპირ უზენაესი სასამართლოსაკენ ვავემართე. ეს ხდება აგვისტოში. სულ რამდენიმე დღე ვაეილა ამის შემდეგ, და პროკურატურიდან, 30 აგვისტოს თარიღით, ცნობა მივიღე: თქვენი განცხადება განვიხილეთ (ცნობა რუსულადაა შედგენილი, ხელს აწერს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გოგაეა) და პროტესტთან ერთად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნეთ, საიდანაც საბოლოო პასუხს მიიღებთო.

ნოემბრის დასაწყისში უზენაესი სასამართლოს პასუხიც მივიღეთ, ასევე რუსულად დაწერილი:

«...Постановление бывшей тройки при НКВД ГССР от 9 октября 1937 года... отменено, дело производством прекращено и он реабилитирован».

არ გვინდოდა ეს რეპილიტაცია, და იბულებული გავხდი ამელო. იაეიდან ვეფიქრობდი, „გოქსში“ მივსულიყავი ამ ცნობით და სახეში მიმეფარებინა, მაგრამ მას შემდეგ სამი თვე ვაეიდა. ახლა უკვე გადაწყვიტეთ, თავის დამცირება იქნებოდა კიდევ იქ მისულა და ამ ცნობის ჩვენება.

ამის შემდეგ ბევრჯერ შევხვედრივარ იმ კაცს. მე ვედილობდი, თვალი ამერიდებინა; მეჩვენებოდა, რომ ისიც ამასვე ცდილობდა; მაგრამ ნამდვილად ვედილობდი: მას ალბათ სულაც არ ახსოვდა ეს.

როგორც ითქვა, ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა. ახლა კი ისევ დაწყებულ ამბავს დაუბრუნდები.

პირველ ხანებში კიდევ არა უშავდა: დიდი ოჯახი ვეჭონდა, ერთად ვეზოვრობდით, ჭირი თუ ლხინი ვანუყოფდით იყო. დიდებს ბავშვებიც ვშველოდით. საყანე მიწის ნაკვეთები სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული: ვარდა იქვე

* * *

ეზოს წინ მდებარე ნაკვეთისა, საყანე მიწები გვექონდა ზედა და ქვედა ეწერ- ში, აგრეთვე ორიოცში, სახლიდან 5-6 კალომეტრის მოშორებით... ისე იყო აწყობილი, რომ თითო ნაკვეთს, მონაცვ- ლეობით, ორი-სამი წლით მაინც ვას- ნევენებდით, რათა არ გამოფიტულიყო. ამ ნაკვეთს, ასეთი „დასვენების“ დროს „ვა- შობილა“ ერქვა, და იქ ამ დროს არა- ფერს ვეთესავდით, დღისით მხოლოდ პი- რუტვებს ჩაერეკავდით. სადაც მოსახერ- ხებელი იყო, მდინარის ტოტს მიეუშე- ბდით, წყალს ღამი მოქქონდა, განსა- კუთრებით გაზაფხულობით, ლანქერო- ბის დროს. მიწა თანდათან მოდონიერ- დებოდა, საქონლის ნაკელიც ანაყოფი- ერებდა. მინერალური სასუქი იმხანად, ღვთის მადლით, სავსებით უცხო იყო.

გვექონდა კიდევ ერთი პატარა ნაკვე- თი — ორი თუ სამი ქვევა მიწა, ჩვენი სოფლიდან კარგა მოშორებით, მდინარე სუფსის ნაპირზე. აქ გაზაფხულზე უფ- როსები დათესავდნენ ხოლმე სიმინდს, ხოლო გამარგვლა და ორჯერ გათიხნა ჩვენ გვეკლებოდა — მე და ჩემს ძმას. ეს მიწის ნაკვეთი აკეთილი ბიცოლას — ესაკელის ქალის ნაშობთი გახლდათ, და რაკი უშუალოდ მდინარეს ეკვროდა, მიწა ღამიანი, და ამდენად, ადვილად და- სამუშაებელი იყო. იმიტომაც გვექონდა მონდობილი ბაეშეებს — მე მაშინ 10-11 წლისა ვიქნებოდი.

აკეთში სამუშაოდ წასვლა დიდ სიხა- რულთან იყო დაკავშირებული. გვეამა- ვებოდა, რომ უკვე დიდებულ გვთვლი- დნენ — მხარზე თოხგადებულები შორე- ულ სოფელში სამუშაოდ მივიდიოდით, სწორედ ისე, როგორც დიდი მამაკაცები. უნდა გავვევლო რამდენიმე სოფელი, „გადაგველაზა“ ორი მდინარე (ბახვის- წყალი და სუფსა) — ბახვისწყალზე სა- ცადლესა ხიდი იყო გადებული, სუფ- სის „გადალაზა“ კი მართლაც რომან- ტიკულ საბურველში ზევედა ჩვენს მგზავრობას: სუფსაზე ხიდი არ ყოფილა და სოფელ ნავომართან ნავით უნდა გა- დავგვესტრა ჩვენი წარმოდგენით საკმა- ოდ დიდი მდინარე. შენაეუები დღედა- დამ მორიგეობდნენ და ნავით „მგზავ-

რობა“ ერთი ნაპირიდან მეტრემეტრე მან- ური ღირდა. სიამაყით გვაგებდნენ, რომ ბიცოლასვენის ოჯახში როგორც დიდებს, როგორც საპატიო სტუმრებს ისე გვეღებულობდნენ. შუადღისას ბიცო- ლას დას სადღილი ჩამოქონდა ყანაში (ულამაზესი სოფელი აკეთი მაღალ გო- რაკზეა შეფენილი, ჩვენი ყანა კი გო- რაკის ძირში იყო, მდინარის ნაპირზე). ღამით იქვე ვრჩებოდით — ორი დღე ეუნდებოდით გამარგვლასა თუ გათიხ- ნას — და ვახშამზე მეფურად გვიმას- პინძლდებოდნენ; როგორც დიდებს, ისე გვემუსაიფებოდნენ...

ერთი სიტყვით, პირველ ხანებში არა უშავდა, მაგრამ მდგომარეობა თანდა- თანობით გაუარესდა. გახშირდა ღამა- რაკი კოლექტივისაციაზე. თანაც, იმ ცნობების პარალელურად, რაც ვაზეთებს მოქქონდა, ნიაღვარივით წამოვიდა ზე- პირი ინფორმაცია — ჭორი თუ მართა- ლი, ათასნაირი მოგონილი თუ ნამდვი- ლი გულისშემძვრელი ამბები რუსეთის ცხოვრებიდან. ცოტა უფრო მოვიანე- ბით დაიძრა კიდევ ლტოლვილების დი- დი ტალღა რუსეთიდან და უკრაინიდან, მთელ საქართველოს მოედო, და ჩვენს სოფელშიაც შემოაღწია. ესენი ან გან- კულაკბუნებულები იყვნენ ან განკულაკების შიშით მშობლიური ადგილებიდან გა- მოქცეულები.

სულ უფრო ქარწყლდებოდა ბოლშე- ვიკური დიქტატურისაგან თავის დაღწე- ვის ფუქი იმედი, რასაც დაბნული ხა- ლხი აქამდე ისე ვჭიდებოდა, როგორც წყალწაღებული ხავსს. ახლა უკვე ვე- ლარ გაიგონებდით სიტყვებს, რითაც გან- წირული ხალხი თავს იმხნეებდა — „ქეხსი თვე ან ერთი წელი მიმიცია, მეტს ვერ გაძლებენო“. პანტელეიმონნაც ახა- ლი ანეკლოტი გამოაცხო, რაც სიმახვი- ლითა თუ მხატვრულობით იქნებ მის- სავე სხვა ანეკლოტებს ვერ შეედრებო- და, მაგრამ? საქმის არსს კი კარგად გა- მოხატავდა:

„რას ნიშნავს კომუნისტური პალო?“ — ასეთი პათეტიკური შეკითხვით იწყე- ბოდა ეს ანეკლოტი, — „ეს პალო ადა- ჰიანის სხეულში სრიალით შედის, მე-

რე იქ იშლება, იტოტება, და უკან ვე-
ღარანართად ვერ გამოიღებ“.

განა მართლა ასე უსაშველოდ ძნელი
არ ვახდა კომუნისტური რეჟიმისაგან
თავის დაღწევა?! ასე მოუშორებელი
ჭირი არ გამოდგამ!

სოფლის დამოკიდებულება კოლექტი-
ვიზაციისადმი აშკარად უარყოფითი
იყო, და ამის თქმას გლეხები არც ერი-
დებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხე-
ლისუფლებამ წინასწარ დაიჭირა თავა-
რები, ხალხის დასაშინებლად დიდი
„პროფილაქტიკური ღონისძიება“ ჩაა-
ტარა — ვეღლაზე ენერგიული ძალა სო-
ფლისა ციმბირში გაისტუმრა.

ზოგი დაუფარავად გამოხატავდა თა-
ვის განწყობილებას, ზოგი უფრო რბი-
ლად და შეფარვით, ზოგი როგორ და
ზოგი როგორ...

ზოგჯერ გამახხენდება ერთი მოკლე
გახაუბრება ნატალია ქიქოძისა თავისი-
ვე მაზლიშვილ ჭიკო ქიქოძესთან, და
ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, გული-
ანად გაშეცინება.

ეს ჭიკო მაშინ ჯერ ისევე ახალგაზ-
რდა კაცი იყო — მაღალი, მხარბეჭდანი,
ღონიერი და დაუდგრომელი, უფროსი
ღების ნებიერი, ჩუმი და თავაზიანი.
მოდიოდა, მხრებს მოათამაშებდა, და
თითქოს თვალსაჩინოდ ხედავდი, რო-
გორ აფრქვევდა ირველივ მოჭარბებულ
ენერგიას. ბევრი თანატოლი მეზობლი-
საგან განსხვავებით, პოლიტიკაში თით-
ქოს ინდიფერენტული იყო — ასეთი
შთაბეჭდილება გექმნებოდა; მაგრამ ეტ-
ვობა, ზერელე და მცდარი იყო ეს შთა-
ბეჭდილება: როგორც ახლაც ვნახავთ,
ხელისუფლების მიმართ თავისი დამო-
კიდებულების მკვეთრად გამოთქმასაც არ
მოერიდებოდა, თუკი გამოიწვევდნენ.

და, აი, ერთხელ ნატალიამ რბილი
საყვედურით მიმართა მაზლიშვილს:

„ჭიკოია, შენ ცალი ტრაკით ხარ
ჩვენსკენ, ბიჭო“.

„ორივე ტრაკით თქვენსკენ ვარ, ბი-
ცოლა“, — ისე სწრაფად მიაკვება ჭი-
კომ, თითქოს პასუხი წინასწარ გამზა-
დებული ჰქონოდას.

„... უკურე ახლა ამას!“ — ამის თქმა-
და მოახერხა გაწბილებულმა ზიცოლამ,
რომლისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნ-
და ჩუმი და უსიტყვო მაზლიშვილის
მკვახე პასუხი.

ძველი ბოლშევიკები კვლავ აქტიუ-
რად ეღვნენ მხარში ხელისუფლებას
პარტიის კურსის განუხრელად გატარე-
ბისათვის — სიტყვით თუ საქმით, აშ-
კარა გამოსვლებით თუ ფარული საქ-
მიანობით.

ზოგჯერ ახლაც გაივონებთ: შემდ-
გომი თაობები გადაგვარდნენ, თორემ
პირველი თაობის ბოლშევიკები სპეტა-
კნი, სამართლიანნი და სათნონი იყვენ-
ნო. მეექვსება, ეს მართალი იყოს.

მაგონდება ერთი საოცარი კრება. და-
ნამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ალ-
ბათ 1929 წელი იქნებოდა. უკვე ზაფ-
ხულის მიწურული იყო, მაგრამ მაინც
ძალიან ცხელია და იქნებ ამიტომ
კრება ჩვენი სკოლის ბაღში ჰქონდათ,
ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე. თარიღი
კარგად არ მახსოვს, მაგრამ იმის დავი-
წყება, რაც იმ კრებაზე ხდებოდა, შე-
უძლებელია. ეს გახლდათ პარტიის წმენ-
დისადმი მიძღვნილი ღია კრება, და
რაკი ღია იყო, უპარტიოებიც ესწრებო-
დნენ. ოღონდ მათ მონაწილეობა არ მი-
უღიათ. ისხდნენ თავისთვის და ჩუმე-
მად იცინოდნენ. სასაცილო კი მართ-
ლაც ბევრი იყო იმ კრებაზე.

მონაწილენი პირდაპირ მწვანე გაზო-
ნზე ისხდნენ; რაკი კრება სკოლის ბა-
ღში ტარდებოდა, და თან რაკი შუადღი-
სას დაიწყო, ბავშვებიც იქვე ვიყავით
და შევეყურებდით ამ საოცარ სანახაო-
ბას.

ღარიგუნენ ერთმანეთს ძველი ბოლ-
შევიკები, და ძნელი წარმოსადგენია, რა
ბრალდებები არ წაუყენეს.

ჯერ მშვიდად დაიწყეს, თითქოს გა-
უბედავადაც კი. რაც დრო გადიოდა,
სულ უფრო გახურდნენ, ვნებებმა იმძლა-
ვრეს, ემოციებს ვედარ იმორჩილებდნენ,
ღვარძლს ანთხევდნენ, თაიხავდნენ და
ჯიჯგნიდნენ ერთმანეთს. ძაღლების ჩხუ-
ბი მინახავს, როგორ გამეტებით ეკვე-
თებიან და ცოცხლად გლეჯენ ერთმა-

ნეთს, დანდობა არ იციან (თუმცა ანდა-
ზა კი ამბობს, ძალი ძალის ტყავს არ
დახვეს); სწორედ ისეთი დაუნდობლო-
ბით ჯიჯვნიდნენ ერთმანეთს.

როგორც ახლა მახსენდება, ქურდო-
ბაშიაც ადანამაულებდნენ ერთმანეთს.
მეტწილად წვრილმან ქურდობაში: ზოგს
წისქვილიდან ფქვილი მოეპარა; ზოგს
სხვის მიერ ტყვეში დამზადებული შეშა;
ზოგს ღორი და ინდაური; ერთმა მგო-
ნი თოხის ტარიც კი ახსენა... იყო სხვა
ბრალდებებიც — თაღლითობა, შანტაჟა...

მთავარი მაინც სხვა, უფრო სერიო-
ზული ბრალდებები იყო: ერთი „პარტ-
წყერი“ ვილაც მენშევიკის მზახალი აღ-
მონდა, თანაც ახალი დამზახლებული;
ზოგს ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადა-
მიანების თანდასწრებით, პარტიული ამ-
ხანავისათვის შეუფერებელი ეჭვი გა-
მოეთქვა პარტიის ხაზის სისწორეზე...
ერთი პარტიის წევრი ოცდაოთხი წლის
გამოსვლების დროს თურმე სახლის
სხვენზე იმაღლებოდა, მონაწილეობა არ
მოუღია „კონტრრევოლუციონური პანდე-
ბის წინააღმდეგ ბრძოლაში“, ის კი არა-
და, ელოდა, რომელი მხარე გაიმარჯ-
ვებდაო... და ა. შ.

პრეზიდენტს გაზონის შუაში ედგა
მაგიდა. მაგიდას უსხდნენ თემკომის მდი-
ვანი და ორი „მომარეებული ამხანა-
გი“ — ერთი ალბათ სამაზრო კომიტე-
ტიდან და მეორე ცენტრიდან. მაგიდის
შორიანხლოს, სკამებზე ისხდნენ ნატა-
ლია ქიქოძე და მასთან რამდენიმე დღით
სტუმრად ჩამოსული უმცროსი ვეიცი,
პლატონი, ანუ პატიკო; მომდევნო წლე-
ბში სალიტერატურო გაზეთის რედაქ-
ტორი, ცნობილი კრიტიკოსი; ცნობილი
განსაკუთრებული სიმკაცრითა და პარ-
ტიის ხაზის ერთგულებით. თუმცა რამ-
დენიმე ხნის შემდეგ, ჯერ ისევ ოცდა-
ჩვიდმეტი წლის დიდ რეპრესიებამდე,
ტროცკისტობაში დადეს ბრალი და გა-
დაასახლეს, როგორც ამბობდნენ, რო-
მელილაც მივარდნილ კუნძულზე. იქი-
დან აღარც დაბრუნებულა.

დედასთან ერთად, ისიც აქტიურ მო-
წაწილეობას იღებდა კრების მუშაობა-
ში, თუმცა კონკრეტულად არც მას და

არც მის დედას არავეისთვის დაუდევრად
ბრალი, სხვებისგან დასახელებულებს
შეუტყვედნენ ხოლმე, მაგრამ მთელი სი-
მკაცრით და სისასტიკით.

პატიკო რამდენჯერმე სიტყვით გამო-
ვიდა. ილაპარაკა სიფიზლის აუცილე-
ბლობაზე, „მენშევიკურ და სხვა კონტრ-
რევოლუციონურ გარემოცვის პირობებ-
ში“. ამ ახალგაზრდა კაცს აეადმყოფო-
რი ფერი ედო, შესამჩნევად გამზღარი
იყო; ისედაც ბეჭეპში მოხრილი, ლა-
პარაკის დროს, წინ წაიხრებოდა, და
სულ სათვალისკენ მიჰქონდა ხელი. ეტ-
ყოზა, ჩვეულებად ჰქონდა ლაპა-
რაკის დროს სათვალის წვალება.
ლაპარაკობდა სწრაფად, სხაპასხუპით.
და, როგორც ითქვა, გველაზე მკაცრი
სწორედ მისი გამოსვლები იყო. შიგა-
დამიგ ადგილიდან მწარე რეპლიკებსაც
ისროდა. დედის რეპლიკებიც ძალიან
მწარე და გესლიანი იყო, და ზშირად
დუეტივით გამოსდიოდა დედა-შვილს:
თითქმის ერთდროულად ალაპარაკე-
ბოდნენ, ან ერთმანეთის ნათქვამს აე-
სებდნენ.

ამჟამად ჩანდა, დედა ამყოვდა შვი-
ლით — როგორც ითქვა, პლატონი ამ
დროს სახელგანთქმული კრიტიკოსი
იყო.

არ ვიცი, რამდენი კაცი ვარიცხეს იმ
დღეს პარტიიდან — ბოლომდე არ დაე-
რჩენილვარ; დიდხანს არ დამთავრებუ-
ლა კრება, მგონი მეორე დღესაც კი გა-
გრძელდა.

ასე რომ, იმ კრების მიხედვითაც თუ
განუხჯით, არც მთლად უმწიკველი
ყოფილან ძველი ბოლშევიკები.

* * *

დაწყებულ ამბავს დაეუბრუნდები და
კიდევ ერთ კრებას გავიხსენებ, ამჯე-
რად სოფლის კრებას, რომელზეც კოლ-
მეურნეობის ჩამოყალიბების საკითხს
განიხილავდნენ. თუ არ ვცდები, ეს ზე-
მით ნახსენებ ღია კრებაზე ადრე იყო,
და ჩაატარეს ოზურგეთიდან, და მგო-
ნი თბილისიდანაც, ჩამოსულმა თანამ-
დებობის პირებმა.

ზამთარი იყო, ციოდა, მაგრამ ხალხით გაჭედვილ დიდ ხაკლასო ოთახში, რომელსაც ნავთის ლამპის შუეი მკრთალად ანათებდა, თანდათანობით დაცხა. სადამოხანს დაწყებულმა კრებამ გვიან დამძვლე გასტანა. გურულები ფიცხები არიანო, იტყვიან ხოლმე, მაგრამ ჩამოსული ავტორიტორები თუ დიდი თანამდებობის პირები უფრო ფიცხობდნენ. ჩვენი სოფლელები კი პირიქით, საოცარ სიმშვიდესა და ხიდიანჯეს იჩენდნენ. მგონი სწორედ ამ სიმშვიდეს გამოჰყავდა მოთმინებიდან თანამდებობის პირები. ისინი ღია წინააღმდეგობას მოელოდნენ და ამისთვის იყვნენ, ეტყობა, მზად. ამკარად ჩანდა, ნერვიულობდნენ.

სოფელთაგან სიტყვით არავინ გამოსულა, მაგრამ შეკითხვები და რეპლიკები ისეთი სუსხიანი და ირონიული იყო, რომ ჩამოსულები თუ ადგილობრივი თანამდებობის პირები იბნეოდნენ, პასუხის გაცემას ვერ ახერხებდნენ და ეს კიდევ უფრო ანერვიულებდათ.

ლამპაში ნავთი თანდათანობით გამოილია. ერთხანს შეანჯღრევდნენ ხოლმე — ძირში ჩარჩენილი სითხე მცირე ხნით გაქვლინავდა პატრუქს. ბოლოს აღარც შენჯღრევვა შეულოდა. ეს მარჯვედ გამოიყენა ერთ-ერთმა ჩამოსულმა: „ა, ბატონო, კაი მაგალითი: კოლექტივი რომ გექნებათ, ნავთის ლამპა ვილას დასჭირდება — აგერ ჩამოიქვით ილიჩის ნათურას (ჭერისკენ აიშვირა ხელი) და დღესავით გაანათებს“.

ამას ვილატამ რეპლიკით უპასუხა — თვითონ ილიჩი ხომ არ ჩამოგვეკიდაო, რასაც დარბაზში სიცილი მოჰყვა. ეს შედარებით ხმადაბლა იყო ნათქვამი, მაგიდასთან მსხდომებმა, ეტყობა, ვერ გაიგონეს, მაგრამ ხალხის რეაქციაზე მიხვდნენ, რალაც მწარე იქნებოდა. ვერც ის გაარჩიეს, ვინ წამოიძახა — დარბაზში ამ დროს უკვე საკმაოდ ბნელოდა. ჩაკითხნენ, მაგრამ ხმა არავინ ამოიღო. ბოლოს თემკომის მდივანმა მუქარის ტონით განაცხადა: „ამისთანა რამეზე არ ხუმრობენ, ამხანაგო!“

ბოლოს რაკი სიტყვით გამოსულა, პრეზიდენტი ვინ ისურვა, პრეზიდენტში მოითათინერეს, და თავმჯდომარემ (თემკომის მდივანმა) გამოაცხადა: „ეტყობა, თანახმა ხართ, ამხანაგებო, და ბარუდამ ჩაუწეროთ ასე ოქმში“... ცენტრიდან ჩამოსულმა შეახსენა, რომ კენჭისყრა იყო საჭირო. თემკომს ყველაზე უფრო კენჭისყრისა ეშინოდა. პრეზიდენტში ჩონქოლი შეიქნა. ამ დროს ერთი გლეხი წამოდგა და ასეთი წინადადება წამოაყენა: ეს ახალი საქმეა და აჩქარება არ ივარგებს; ნურც აჩქარდებით; ჯერ პარტიულები შევიდნენ მაგ კოლექტივში, და ენახოთ, თავის მტრები ხომ არა ვართ — თუ კარგი და სახელო გამოდგება, მერე ჩვენც შევალთ. აკი თქვენ თვითონ ბრძანებთ, ნებაყოფლობითიაო.

ეს წინადადება, ეტყობა, მოულოდნელი გამოდგა. მზა პასუხი ამაზე არა ჰქონიათ. ერთხანს შეჩქვიფდნენ, დაიბნენ. ადგილობრივი პარტიულები ალბათ დაფეთდნენ კიდევ: ადვალთი წარმოსადგენია, რა მეურნეობა იქნებოდა, რომელშიაც თავიანთ ბლინჯ ხარებს (ზოგს არც ეს ჰყავდა) და გავერანებულ მიწის ნაკვეთებს გააერთიანებდნენ! ან ვის უნდა დაემუშავებინა ეს მიწა, როცა გულდამჯდარი მუშაობა არცერთ იმათგანს არ ეხერხებოდა. კოლმეურნეობა მათ იმიტომ უხაროდათ, რომ დიდი ხანია შურით შეჰყურებდნენ სხვათა ნაბატივებ პირუტყვს, გამოიწვევად მოშრიალე ყანებსა და კარგად მოვილილ სახლკარს... ისევ თათბირი გაიმართა პრეზიდენტში. მერე ერთი სტუმარი წამოდგა და შემწყნარებლური გაკვირვებით წარმოთქვა: ეს რამ გაფოქრებინათ, ამხანაგებო?! ასეთი დაპირისპირება გამიგონია!

კრება ისე დამთავრდა, არაფერი გადაუწყვეტიათ. არ ვიცი, კიდევ გაიმართა თუ არა ისეთივე კრება. იმ კრებაზეც შემთხვევით მოეხედი — ბიძამ წამიყვანა.

მაგრამ ამის შემდეგ სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე: გამოქვეყნდა სტალინის ცნობილი წერილი „თავბრუნდა გვა წარმატებისაგან“. ამ წერილის სა-

თაურიცა და არსებობაც მე ვაცილებით უფრო გვიან გავიგე, იმდროინდელი კი ის დამამახსოვრდა, რომ სოფლის მოინტელიგენტო მანდილოსანი, რომელსაც ჭრა-კერვის კურსები ჰქონდა გახსნილი; გურული ქალის მგზნებარებით ყვებოდა: სტალინი თურმე დანაზე ნაწლაკებს იხევეს — ეს რა მიქნეს, როგორ უკუღმართად გაიგვეს პარტიის კურსიო. მანდილოსანი სოფლის ცენტრში, საპარტიკამბუროს წინ იდგა, რამდენიმე ადამიანს ესაუბრებოდა, მე კი, ეტყობა, სწორედ იმ დროს ჩავიარე და ყური მოეკარი; ხოლო ეს შემთხვევა ასე ცოცხლად იმან დამამახსოვრა, რომ უცებ შემზარაუი სურათი წარმომიდგა — როგორ იხევედა დანაზე შეივრულს ის კაცი, რომლის სურათი ორიოდე დღის წინ ჩვენი საკლასო ოთახის კედელზე ჩამოკიდეს. ეს იყო პოლიგრაფიული წესით დაბეჭდილი საკმაოდ დიდი ზომის პორტრეტი; სტალინის მწვანე კიტელი აცვია, მაგიდასთან დგას, ზელში მსხვილი წითელი ფანქარი უჭირავს და პირდაპირ შენ შემოგყურებს. მეწაულ ფონზე შთამბეჭდავად გამოკვეთილა მწვანე კიტელი და უკან გადავარცხნილი შავი თმა. სტალინის პორტრეტი მაშინ პირველად ვნახე. მანამდე მისი სახელიც, მგონი, არ გამეგონა. მისი პოპულარობა მერე დაიწყო, და თანდათანობით ვაიზარდა.

კოლმეურნეობაზე ლაპარაკი შეწყდა. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაძლიერდა ცოტა უფრო ადრე დაწყებული პროპაგანდა ჩაის გასაშენებლად.

მახსოვს, ცხენით ჩამოივლიდა სოფელ-სოფელ ძალიან კაცი, რომელსაც რუხი ბრეზენტის ლაბადა ეცვა და ზემოდან ტყავის ჩამოგრძელებული ჩანთა ეკიდა. ეს კაცი აგრონომი გახლდათ, ჩვენივე უბნელი, ძალიან კარგი მოქალაქე და კარგი ოჯახის პატრონი, ჩვენს კუთხეში ჩაის მოშენების დაუცხრომელი ენთუზიასტი. ჩამოხტებოდა ცხენიდან, გლეხებთან ერთად ყანის პირას ჩაცუცქდებოდა, ჩანთიდან ჩაის თესლებს ამოიღებდა, წაწვეტებული ჯოხით გაფხვიერებულ მიწას მოინჩქნიდა და თესლს

ჩაადებდა, მიწას წააფარებდა. გლეხებს ჩაის დათხევს წესს ასწავლიდა, თან კი იმ დიდ სიკეთეს ჩამოთვლიდა, რასაც ჩაი მოუტანდა მწირმიწიან სოფელს.

მას გულწრფელად სჯეროდა ამ დიდი ხიკეთისა.

გლეხები პატივსა სცემდნენ ამ ადამიანს. ალბათ მისი გულწრფელობისაც სჯეროდათ, მაგრამ ძალიან ფრთხილად ირჯებოდნენ, დაეჭვებით ახედავდნენ, ათასნაირ გამოშწვევ კითხვას დაუსვამდნენ, და თუმცა ამ კაცის პასუხი მუდამ მტკიცე და დამაიმედებელი იყო, მაინც დაეჭვებით და ყოყმანით გადააქნევდნენ თავს, ვერა და ვერ გადაწყვიტათ. მთავრობისაგან თითქოს ძალდატანება არა ვოფილა, თუმცა სწორედ მთავრობა იყო ამით სისხლხორცულად დაინტერესებული. თუნდაც იმიტომ, რომ ჩაის მეურნეობის ფართოდ გავრცელება კოლექტივიზაციის დამკვიდრების მტკიცე საფუძველი გახდებოდა ამ კუთხეში.

მაგრამ არა მხოლოდ ამიტომ...

ეს ის დროა, როცა ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს. ზედიზედ წაუწყვო წვიმიანი წლები. ყანა დამწიფებას ვეღარ ასწრებს, წვიმა ალბობს. პურის ცხობა სახელმწიფო ფურნებში მკვეთრად შემცირდა. დილაადრიან შინიდან გასულები, მოვივლიდით ხოლმე ახლომახლო სოფლებს იმის იმედით, რომ სადმე მაინც ვიშოვიდით პურს. მაგრამ ხშირად ამაოდ. იტყოდნენ, დღეს ფაშფაღეთში გამოუცხვიათ პურიო. ავიდოდით ფაშფაღეთში — ფურნე დაკეტული დავვხვდებოდა. იქ ვინმე, ჩვენსაკით პურის მამიებელი, ამბავს მოიტანდა — ცხემლისხიდიდან მოქონდა ვიღაცას ამდლით თურმე ერთი გოგორა პური, ეტყობა იქ გამოუცხვიათო; ახლა ცხემლისხიდისკენ გავქანდებოდით. აქიდან დეაბუში, და, როგორც ითქვა, ხშირად ხელცარიელები ვბრუნდებოდით შინ.

პური არა თუ სოფლებში, ოზურგეთშიაც იშვიათად ცხვებოდა.



სიმიინდის ფასმა ბაზარზე საზღაპროდ აიწია. იაფიც რომ ყოფილიყო, ან ამის ფული ვის ჰქონდა: აბრეშუმის საფასური უკვე დახარჯული იყო — სოფლის მთავარი შემოსავალი ეს გახლდათ; თხილი ჯერ არ გაეყიდათ — ცოტათი უნდა შემხმარიყო, მოკრეფის შემდეგ; გასასყიდი ვაშლიც უფრო გვიან მოდის ჩვენში; არყების ხდაც ჯერ არ დაეწყოთ — თხილსა და არაყსაც კარგი მუშტარი ჰყავდა, და ჭირდა ფული. რით უნდა ყვიდა საწყალ ხალხს სიმიინდი.

განსაკუთრებით ჭირდა ზაფხულობით — შწირი მოსავალი იენისის დამლევა-მდე ძლივს მიეკვებოდა. ამ დროისათვის ისედაც ნახევრად შეეხებული ნაღობი და ბელლები ერთიანად გამოიფხიკებოდა. რა აღარ მოიგონა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა ხალხმა...

არ ვიცი, პირველად ვის მოაფიქრდა: მსხლის გამოცხოვა დაიწყეს. მსხალი ჩვენში ბევრი მოდის; გაფცქვინდნენ, წვრილად დაჭრიდნენ, ცოტაოდენ ფქვილს შეაზელდნენ და გამოაცხობდნენ. შიმშილს, ასე თუ ისე, კლავდა. სექტემბერი რომ მოახლოვდებოდა და სიმიინდი ტაროებს დაისხამდა, უკვე ჭყინტ სიმიინდს გაურევდნენ. თუმცა ჯერ ჭყინტიც არ ეთქმოდა — მარცვლები ძლივს ანდა ჩვილ ნაგულას — დანით ჩათლიდნენ ხოლმე ამ წვრილ, ჯერ გაუმკვრივებულ მარცვლებს. ამასობაში ხაპიც შემოვიდოდა, და ხაპს რომ შეურევდნენ, უკვე დელიკატესი იყო...

...უწინ ამ დროს ჩვენ ბახმაროზე ვიყავით, აგვისტოს დამლევეს ჩამოვკვივანდნენ. ამ დროისათვის მთავრდება ბახმაროს სეზონი. და მოახლოვდება თუ არა სექტემბერი, მოაგარაკეები ერთბაშად დაიძრებიან. მთელ გზაზე უწყვეტ ნაკადად მოედინება საპალნეაკიდებული ცხენების ქარავანი; ბარგებიდან ბავშვებს ამოუყვიათ თავი ბარტყებივით — ზოგან ორ-ორს, ზოგან სამ-სამს — და სწორედ რომ ბარტყებივით ფლურტულუბენ, შინ დაბრუნების მოლოდინით გახარებულები...

რა საოცარი სურათი იქნებოდა, სამღებელი ყოფილიყო, ზემოდან ვადელოთ ამოდენა გზაზე მდინარესავით უწყვეტ ნაკადად მომდინარე, დაწალიკებული ცხენები: ვიწრო ღარებში გვერდიგვერდ ორი ცხენი ვერ გაივლის.

თავაკვივარში, ბახმაროს მთების მისადგომებთან, ნაშუადღევისათვის უკვე ურმები ირევიან: აგარაკიდან დაბრუნებულებს ელოდებიან, რათა აქამდე ვაკიჯვრელი ჩალვადრების მიერ ცხენებით ჩამოყვანილი მოაგარაკეები ოზურგეთამდე ურმით ჩაიყვანონ, თავიანთი ბარგი-ბარხანით. ავტომანქანები მაშინ საესკებით არ ყოფილა, ეტლიც ძვირი ღირდა, ურემი ხელსაყრელი იყო, ვაცილებით იაფი ჯდებოდა. ოზურგეთიდან მერე მატარებლით გაემგზავრებოდნენ. ბახმარო სახელგანთქმული კურორტი იყო და ზღვისპირა ქალაქების მცხოვრებნი, ვისაც კი რაიმე სახსარი ჰქონდა, მთისკენ მოისწრაფოდნენ.

ერთ დღეს მე და ჩემმა ძმამაც გაემართეთ ურემი და ვაკიჯვრისკენ გაეწიეთ. ჭირდა ფული, და ცოტაც რომ გვეშოვა, მაინც შეღავათი იქნებოდა. იქ იმდენი ხალხი დაგვხვდა, იმდენი ურემი იყო, და ისეთი კონკურენცია იყო, რომ მარჯვედ თუ არ გაირჯებოდი, მგზავრებს ვერც იშოვიდი. ჩემი ძმა ფოჩალი ბიჭი იყო; ვაძვრა, გამოძვრა — ურემთან მე დამტოვა — და მალევე იშოვა მუშტარი. შევუძახეთ ხარებს, და ჩვენი მგზავრებიანად — ბათუმელები იყვნენ — ოზურგეთისკენ წაუჩქაჩქაღით. მეზობლის დიდი ბიჭი, თითქმის მოწიფული ვაკეცი, ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

მეორე დღესაც ვაკევიმართლა. იმ ბიჭს ახლაც მოეცარა ხელი. შურით გულზე სკდებოდა, შინაც ერთი ამბავი დაწიეს; სტუქსაუდნენ, დასცინოდნენ — თითისტოლა ბაღნებმა ვაკობებს ამხელა ოფლაყს, ნეტა რას აკეთებდი, სირცხვილით სად უნდა გამოყო თავაო.

მესამე დღესაც ვიშოვეთ მუშტარი, ახლაც სამ მანეთად გაურიგდით. ამ დროს მოვარდა ჩვენი ხელმოცარული მეზობელი, და, მე ორ მანეთად წაგვი-

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ერეკლესი

ვანთო, შესთავაზა. მგზავრებმაც გაკვირებულნი და იმას გაყვინ. „ცოტა ხანს აქვე იტრიალეთ, უსათუოდ იშოვით მუშტარს“, უტიფრად დაკვიამედა მუშტარის შოვნით გაზარებულმა ოყრაგმა მეზობელმა.

ამჯერად ჩვენ დავბრუნდით შინ ცარიელ-ტარიელებით.

ამის შემდეგ დაეთარსეთ, რამდენჯერმე ასე ხელმოცარულები დავბრუნდით შინ. მგზავრებმაც უკვე შესაძინევად იკლეს. მაგრამ დემრთი სამართლიანია — ხარბსა და შურიანს სჯის: აღარც იმ ბიჭს გაუმართლა მეტად. ჩვენ უკვე გული ავიყარეთ. ამასობაში ხეზონიც დამთავრდა.

* * *

ცხოვრება მოულოდნელობით სავსე გახდა. ხმა გაერცელდა — ჭიაფერას ძირებს იძენს სახელმწიფო, და კარვა დიდ ფასსაც იხდისო. ჭიაფერის მეტი რა იყო ღელის ნაპირებზე, და თუ ამაში ფულს გადახდიდა მთავრობა, ამას რაღა აჯობებდა, სწორედ რომ სულზე მისწრება იყო. მოედო მთელი სოფელი — დიდი თუ პატარა — უხნავ მიწებს, ოროკს, სულ გადათხარეს ღელის სანაპიროები, სადაც ჭიაფერას გაედგა ფესვები. ერთი რამ კი ვერ გაერკვიათ — რაში სჭირდებოდა მთავრობას ჭიაფერის ძირები. ზოგი ამბობდა, სამხედრო საქმეში იყენებენო, ზოგი — საფეიქრო მრეწველობაშიო...

ერთი სიტყვით, ყველა ეზოში ნახავდით ერთად დახვეაებულ ჭიაფერის ძირებს... და ისევე დაღმა, კაციშვილს არ მოუკითხავს.

რით შეიძლება ამის ახსნა? იქნებ ესეც მთავრობის ერთი ფანდი იყო, რათა კიდევ უფრო გაემწარებინა ხალხი და მერე უფრო ადვილად შეერეკა კომპიუტერობაში..

* * *

განსაკუთრებით გურიისა და ზემო იმერეთის მწირმიწიან სოფლებს გაუ-

ჭირდათ. ქართლში, ეტყობოდა, უკვე უჭირდათ არა ყოფილა. მაშინდამე, რომელიც სურამში მასწავლებლად მუშაობდა, ხაშურში ვეიღნა რამდენიმე ფუთი სიმინდი და ჩამოიტანა. ახლაც მიკვირს, როგორ მოახერხა ახლავარდა ქალმა მატარებლით ამოდენა ტვირთის წამოღება. ყოჩალი ქალი იყო მაშინდა, ოჯახის ერთგული და მისიყვარული.

ერთხელ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოიტანეს სიმინდი ვაგონებით — წერილი, ძეტად უზარისხო მარცვლები, და ისიც სანახევროდ დამპალი. სხვა ვითარებაში საქონელსაც არ აჭმევდნენ ასეთ სიმინდს. კავკავის სიმინდს ეძახდნენ. სოფლებზე გაანაწილეს. ყოველ სოფელს თავის წილი უნდა წაეღო ოზურგეთის რკინიგზის სადგურიდან, სადაც სიმინდით დატვირთული ვაგონები იდგა. მობილიზაცია გაუკეთეს ურმებს. ჩვენი ოჯახიდან მე მანდეს ურემი — ჩემი ძმა ამ დროს თბილისში სწავლობდა.

მახსოვს, დეკემბრის მშრალი, ყინვიანი ამინდი იდგა. ძალიან ძნელია იმის აღწერა, რაც სადგურში ხდებოდა. სადგურის დიდი მოედანი და მოსაზღვრე ქუჩები ურმებს აევსო, გვერდს ვერ აუქცევდი. იყო ფურისწამლები ყვირილი, გნახავ. ყველა სოფელი იმას ცდილობდა, როგორმე სხვებზე ადრე მიეღო... შინიდან დილით გასულეებს, შუალამისას ძლივს გვერგო. სიმინდი ტომრებში იყო. მე, რა თქმა უნდა, მეზობლები მშველდნენ. ტომრები საგანგებოდ მომზადებულ დიდ ხაწყობში გადმოვცალეთ, რათა შემდეგ თემკომსა და სოფლის საბჭოს მოსახლეობაზე გაენაწილებინათ. თითო ოჯახს ფუთი-ფუთნახევარი თუ ერგო. სულადობის მიხედვით ანაწილებდნენ, რა თქმა უნდა, შავსიელების გამოკლებით. ისიც იმ ერთხელ მოიტანეს, და მორჩა...

გაჩანაგდა პირუტყვი. ჩვენს დიდ ოჯახში სამი მეწველი ძროხა მაინც მუდამ იყო, ახლა ერთი და დარჩა. უკვე ცხენიც აღარა გვეყავდა — არ მახსოვს, როდის გაყიდეს. ყველა ოჯახში შეიხედა უკიდურესმა გაჭირვებამ.

„დააბით ჯორი?“ — გვეითხადა ხოლმე ბავშვებს ღიმილით დედა (ეს იმას ნიშნავდა, თუ დანაყრდითო).

„დავებით, დავებით“, მოვინიღი ხალისით ვუბახუხებდით, თუმცა ჩვენი ჯორი (მაღა ჩვენი) კვლავ საჭმელს ითხოვდა.

* * *

ჩაის გაშენების პროპაგანდა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. ხალხი კი ისევ ითრევდა ფეხს, ყოყმანობდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ყოყმანი, ხელისუფლებას ვერაულოდ ღონისძიება რომ არ მიეღო.

სოფელში შემოვიხიდე პურის ფქვილი: ვინც საყანე ნაკვეთს ჩაის დასათესად გადაბარავდა, წინასწარ ავანსად აძლევდნენ პურის ფქვილს. როცა დათესავდა ჩაის, დამატებით კიდევ მისცემდნენ. რამდენს მეტს გაიმეტებდა მიწას ჩაისთეის, იმდენს მეტს მისცემდნენ ფქვილს.

ჩაის გაშენებით ხელისუფლების ასეთ დანტერვებას, იმ ერთი მიზეზის გარდა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა: უსაშველოდ დიდ ქვეყანას ბლომად ჩაი სჭირდებოდა, და რატომ უნდა შეეძინათ უცხო ქვეყნებში ოქროზე (ან ამდენი ოქრო სადღა ჰქონდათ!), როცა „საკუთარ ქვეყანაში“ ჩალის ფასი უჯდებოდათ.

ჯერ ისევ ფრთხილობდა ხალხი. ვერ ენდობოდა ხელისუფლებას — ნდობა თავიდანვე დაკარგული ჰქონდათ. მერე, თანდათანობით, ვერ გაუძლევს ცოუნებას. ხშირად გაიგონებდით ქვის დიდრონ კრებზე გამოშვებული პურის ქებას. შვება გამოდგა ავანსად მიღებული პურის ფქვილი. ვერავითარი სიტყვიერი ავტაცით ვერ მიაღწევდნენ ასეთ შედეგს. მითუმეტეს, კოლმურნობის ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი ერთი პირობა სულ შეწყდა. ზოგმა საბოსტნე ნაკეთიცი კი შეკვეცა და ჩაი დათესა. საყანე მიწები ხომ სულ საჩაიედ გადაბარეს.

მერეღა მიეცნენ სინანულს. როცა ყოველი მტკაველი ჩაის ფართობი მთავრობამ აღრიცხა, და ჩაის ბუჩქების ამოთხრა, თუნდაც პატარა ნაკლეჯ მიწაზე, ხასტიკად აკრძალა: „დამნაშავეს“ სისხლის სამართლის პასუხისმგებში აღლევდნენ.

ვევლაფერი ჩინებულად გათვალა და გაიანგარიშა ხელისუფლებამ: ქვეყნის ყველაზე ძნელი დასამორჩილებელი მხარე ასე იოლად დაიმორჩილა. ახლა უკვე ადვილად ჩამოაყალიბებდნენ კოლმურნობებს. წინ აღარაფერი დაუდგებოდა. საკუთარი მიწა აღარავის შეუნარჩუნა და რალა წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ! გლეხს ვველაზე უფრო სწორედ მიწის დაკარგვისა ეშინოდა, და რაკილა მიწა მას უკვე აღარ ეკუთვნოდა, წინააღმდეგობას რალა აზრი ჰქონდა...

ჩაიმ გადაუარა მინდორ-ველებსა და გორაკებს, ჩაიმ გადაფარა მთელი ეს მხარე. და საყანე მიწები კი არა, სამოკარიც აღარ დატოვა. ოჯახს ახლა თითო ძროხის ყოლის უფლება ჰქონდა, მეტის აღარა, და იმ ერთი ძროხის გამოხაკვები ბალახისა და ჩალის შობოვებაც ჰქონდა.

„გადავდენი დილით ეზოდან ძროხას, გავა შარაზე, მიიარ-მოიარს; ბალახს სად იშოვის — ვველგან ძირგასახმობი ჩაია! მერე ასფალტზე დაწვება და სალამოს ფერდებნაკვირული შობადგება შინ“, — მწარე ღიმილით ვეტყვოდათ ოჯახის დიასახლისი.

დიდ ოჯახს ერთი ძროხა, ისიც სანახევროდ მშვიერი, რას აუვიდოდა. რძე იყო საჭირო, მაწონი, ყველი, ნაღული... და იძულებული ხდებოდნენ — თუკი ფულს იშოვნიდნენ და დროსაც გამოტყვნიდნენ — ბაზარში ერბინათ, შორიდან ჩამოტანილი ვეიდათ.

ცხვრებმა შეჭამეს ადამიანებიო, ოდესღაც თომას მორი წერდა. მერე ფართოდ გავრცელდა ეს გამოთქმა: და მიუხედავად იმისა, რომ ჩაი სულიერი არ არის, მაინც შეგვეძლო ჩვენი მღვდმარობისათვის მიგვესადაგებინა ეს გამოთქმა, თუმცა იქნებ ტლანქი შედარება გამოგვივიდეს: ჩაიმ შეჭამა ადამიან-

ნები, ჩამო გადამოვა მთელი ეს მხარე-ადამიანები ჩაის პლანტაციებში მომუშავე მონებად იქცნენ.

ჩაი დასალეკვად ყოფილა ადვილი, თორემ მოსაყვანად ძალიან ძნელი გამოდგა. ჩელი ბავშვივით სათუთ მოვლას საჭიროებს, და თუ ხელი დააკელი, მასავით ჭირვეულია. თანაც, ერთი ადამიანის ყურადღებით როდი კმაყოფილდება, მთელი ოჯახის — დიდისა თუ პატარის — ზრუნვას მოითხოვს. ჩაის საშუალებები მთელი წლის განმავლობაში გრძელდება, მისთვის ზამთარ-ზაფხული არ არსებობს: ზამთარში და ადრე გაზაფხულზე — დაბარვა, გამომარგვლა, სასუქის შეტანა, გასხლეა... ხოლო როგორც კი გაზაფხული ძალას მოიკრებს და დაიბუბა — კრეფა, კრეფა... განუწყვეტელი კრეფა, ადრე დიდიდან დაბნელებამდე... თუ ქორფა ყლორტი დროზე არ მოწყვიტე — ერთი დღეც რომ დაუგვიანო — გაუხეშევენება და მერე მორჩა... ამიტომ სულ ჩაის პლანტაციებში უნდა იტრიალო — დარსა თუ აედარში, თაკარა მზესა და თუ თავსხმა წვიმასა და ქარაშოტში... და იღვწენ გადაუღებელ წვიმაში სეულ ბურქებთან ერთიანად გალუმბული ქალი თუ ბავშვი, და კრეფდნენ, კრეფდნენ...

ახეა ვეიან შემოდგომაძდე, და როცა კრეფა ჩათავდება, როცა იფიქრებ, ახლა კი ცოტას მოვისვენებო, ისევ ბარვა, ისევ მარგვლა, ისევ სასუქის შეტანა... ხულის მოთქმასაც ვერ ასწრებ.

მხოლოდ იმხანად მომრავლებულ ფერად ფილმებში ჩანს ჩაის მოყვანა იოლი და ძალიან სახალისო...

წელიწადის დროთა მომხიბლავი თავისებურება, რომლისთვისაც ვლენკაცს თავისი ცხოვრების წესი ჰქონდა მორგებული, წაიშალა. საუკუნეობით ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი ახლა წლიდან წლამდე ირღვეოდა... აღარც სტუმრის მიღება და გამასპინძლება ახალისებდა ვინმეს, აღარც მოყვრების მოსახალეობლად წახვლა, არც ბაზმაროზე მხიარული დასვენების დრო და ხალისი შერჩათ, ალეგრობებისთვის ხომ ვილასა სცხელოდა, ან ვინ მოაცილიდა...

დროზე თუ არ მოკრიფე, გაუხეშევენება, ითქვა. ამას ანკი უკინ-დაგანქნება, თავზე გადავა ბრიგადირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტკომი, პროფკომი, რაიკომის ინსტრუქტორი... კვარტლის ბოლოს თვით მდივანი რაიკომისა და ცეკას წარმომადგენელი... დიდიდანვე იწყებოდა ბრიგადირის ყვირილი თუ ზეენა-მუღარა: „აბა, ჰე, გამოდით, ყველა გამევიდეს! რას მიშვრებით, კაცო!.. გეგმა გვეარდება... სტუმარიც გამევიყვანეთ... გეგმა გვეივარდება... ავადყოფობა არ გამაგონოთ, ცეცხლი გვეკიდება, კვარტალი გვეივარდება... ნუ გოუშობთ დღეს ბაღნებს სკოლაში, ყველა გამევიდეს!“

და მართლაც იკეტებოდა სკოლები, ბავშვები ჩაის საკრეფად გაჰყავდათ. გეგმას შესრულება უნდოდა, ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულ უშველებელ ქვეყანას უჩაიოდ ხომ ვერ დატოვებდნენ?

ბოლოს ბრიგადირის „ზედამხედველობასაც“ არ მიენდნენ — უფრო ეფექტური ხერხი მოიგონეს — ისედაც შემცირებული ე. წ. საკარმიდამო ნაკვეთს კიდევ ჩამოაჭრეს კარგა ბლომად; ფაქტიურად გლეხს აღარაფერი დაუტოვეს, რათა „საკუთარი საქმე“ მოშლიდა და მთელი თავისი ძალა, ღონე და ენერგია კოლმეურნეობის უნაყოფო შრომისთვის მოენდომებინა.

„ჩამოჭრილ“ ნაკვეთში ზოგან საგულდაგულოდ გაშენებული თხილნარი მოჰყვა — კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემოსავალი საოჯახო ბიუჯეტისა; ზოგან „შვილივით ნაზარდი“ დაბლარი ვენახი, ხილის ბაღი... ეს „ჩამოჭრილი“ ნაკვეთები თავიდანვე განწირული იყო დასალუბავად: ყოფილ პატრონს შიგ ჩახვლის უფლება არა ჰქონდა, ხოლო კოლმეურნეობა მის მოსავლელად რას მოიცლიდა, ჩაის გეგმა იყო შესასრულებელი. ბაღსა და ვენახს ყოველდღიური მოვლა, სათუთი მოაყრობა სჭირდება. საოცარია, მაგრამ მცენარე გრძნობს, როდის უკლიან მას სიყვარულით; უბრალო ხელის შეხებითაც არჩევს მზრუნველ, მოსიყვარულე ხელსა და ტლანქ მომხმარებელს, და

იმ სიყვარულის წილ ათეცად მეტს მიუზღავს პატრონს...

თანდათან გავერანდა საგულდაგულოდ მოკლილი და ნალოლიაუები ბაღება; ეკალ-ბარდებით დაიფარა, სარეველამ გაიღვა ფეხი. მერე და მერე — როცა ნახა სულ დაეწეხებული და მივდებულ იყო — ძველი პატრონი (ანუ ნამდვილი პატრონი) ჩუმად ჩააპარებოდა და მალეით წამოიღებდა (არ მინდა, ამ მოქმედების ამსახველი უფრო უხეში და შეუფერებელი გამოთქმა ვიხმარო) თავისივე რუღუნებით მოკლილი ზაღას აწ უკვე მეტისმეტად შემცარებულ ნაფოფს... თუ წაასწრებდნენ, პასუხს აგებინებდნენ.

ცენტრალური გაზეთები გადაჭრელებული იყო ცნობებით: ამა და ამ კოლმურნემ ამდენი კილოგრამი ჩაი დააკლო სახელმწიფოს; ეს ჩამორჩა, ის დაწინაურდა; ამან იმაზე ამდენი კილოგრამით მეტი ჩაი ჩააბარა სახელმწიფოს; ამ სოფელს - ჩამოართვეს გარდამავალი წითელი დროშა და იმ სოფელს გადასცეს; მავანმა და მავანმა ამდენი კილოგრამი უპატაკა პარტიის ყრილობას...

სხვათა თვალისა და სმენისათვის უცნაურ ცნობებს თანდათან შეეჩვია თვალი და ყური...

გულისშემძვრელი რომ არ იყოს, კომიკური სურათი იქნებოდა: ხალხი საკუთარ სახლში ემაღებოდა არამკითხე ზედამხედველებს. პარადოქსული აქ ის იყო, რომ შრომისმოყვარე ადამიანები თითქოს შრომას გაურბოდნენ და ემაღებოდნენ! ასეთ ვითარებაში ბახმაროზე დასასვენებლად ვინ მოვაკლიდა, მოვერების მოსახელებლად ვინ გავიშვებდა, აღევროს მოწყობას ვინ დაგანებებდა... გულშიაც რომ გავეცლო, დღეს ჩაის სამუშაოს გავაცდენ და ჩემს ხაქმეს მივხედავო, იმათ იქ უკვე იცოდნენ და საჭირო ზომებს მიიღებდნენ.

ერთი საშველილი დარჩა — ახალგაზრდები როგორმე უმაღლეს სასწავლებლებში გაარიდონ!

და სოკობებით მომრავლდა ვერუწოდებული უმაღლესი სასწავლებლები. თითქმის ყოველ კუთხესა და ასე თუ

ისე დიდ ქალაქებში, მაგრამ ყველაზე ხრუპარ შეუძლია თუნდაც ის გააღვიღებული სწავლა! მისაღებ გამოცდებსაც ვეწვია ხომ ვერ ჩააბარებს — იქაც რამდენი პრობლემა და უბედურება გაიწვია... და უმაღლეს სასწავლებლებშიაც ყველა მქეტამეობა, თანაც, ვანა მართო მისაღებ გამოცდებზე...

განდნენ ცრუ სტუდენტები, ანუ ის კატეგორია ახალგაზრდებისა, რომელთაც მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარებს, უმაღლესში ვერ მოხედნენ, მაგრამ აღარც შინ დაბრუნება ისურვეს. ეს მშობლებსაც არ უნდათ — აკი თვითონვე გამოარიდეს სოფელს — და ტყუიან, უსწავლობო, ანუ მიუკაბა-მიუკაბავად თუ ვიტყვით, უსაქმურები გახდნენ. აკაკი წერეთელმა ქუთაისის ბულვარზე ერთი ასეთი ცრუ-სტუდენტი შენიშნა მგონი, და საქვეყნოდ შეარცხინა, საშვილიშვილოდ... ახლა ამათი რიცხვი აღარ დაითვლებოდა...

უსაქმო კაცს — თუკი ამავე დროს კარგად აპატივებს, ფულსა და საჭმელს-სასმელს არ მოაკლებ — ქონი მოეკიდება. ასე განდნენ ლიპწამოზრდილი ემაწვილები. ზემოთ ერთგან გაეიხსენე, ჩვენს დიდ სოფელში ერთადერთი ღიბიანი კაცი იყო-მეთქი, და ისიც, უბედური, ავადმყოფობის გამო. ახლა უკვე ასეთი ღიბიანების აღრიცხვაც გავიჭირდებით. უსაქმური ზალხი, ბუნებრივია, აღარც ოჯახს მოეკიდება, და მრავალნაირი შედეგით ამისა ძნელი წარმოსადგენი არ არის...

თავიდან ვეწვია ერთად გაყვავადო პლანტაციებში, კოლექტიური შრომის მაღლი ეს არისო, ამბობდნენ. მერე, როცა ნახეს, ასეთი „კოლექტიური შრომა“ ნაყოფიერი ვერ გამოდგა, ცალკეული ოჯახები მიამაგრეს ნაკვეთებზე: რამდენსაც ჩააბარებდა მოკრეფილ ჩაის ოჯახი, იმდენს უზდიდნენ. ახლა უკვე დიდი ძალდატანებაც აღარ იყო საჭირო ზალხის პლანტაციაში გასაყვანად: არ მოკრეფდა ჩაის მიამაგრებულ ნაკვეთზე, თვითონვე დაზარალებოდა; დროზე არ დაბარავდა, არ გასხლავდა, სასუქს არ შეიტანდა, მოსავალიც ნაკ-

ლები იქნებოდა და ეს მისთვისვე იყო საზარალო. ამასობაში ხალხიც უფრო მორჩილი გახდა. დრო ვეღვაწურს კურნავს; დრო მორჩილებსაც თანდათანობით აჩვევს ადამიანს.

* * *

პირველ ხანებში, როცა ასე თუ ისე იცაღენენ კრეფის ვადებსა და დამზადების ტექნოლოგიას, ქართული ჩაის ხარისხს არა უშავდა რა, და სახელიც კარგი ჰქონდა. მერე და მერე, როცა „ცენტრში“ ნახეს, ამით ოქროს ვზოგავით, მეტი და მეტი მოითხოვეს. იმოღენა ქვეყანას რა გააძღებდა, რა დააკმაყოფილებდა! ქორფა ყლორტების წამოზრდას ვილა აცლიდა. ან ვის ევოფოდა ქორფა ყლორტებით დამზადებული ჩაი.

„მობლუჯეთ, მობლოტეთ, რაც ხელში მოგზღებათ და გამოგზაუნეთ, ფულს მაინც იმდენსავე მოგცემთ“.

ქალაქის ფულის დაბეჭდვას რა ბეკრი რამე უნდოდა, და ემეტებოდათ. გვეც ხომ ოქრო არ იყო!..

„სასუქიც რაც შეიძლება მეტი მიეცით, აბა რისთვისა გვაქვს სასუქის ქარხნებიო“.

ამდენი სასუქით ან ჩაის რა გემო და არომატი შერჩებოდა, ან მიწას რა მოუვიდოდა! ამას ვილა დაგიდეკა. მთავარი იყო, დღეს შევსრულებინათ გვემა, დღეს დაეკმაყოფილებინათ დიდი ქვეყანა ჩაით. ხვალ რა მოხდებოდა, ამას არაინ დაგიდეკა.

მაგრამ ბევრი და კარგი რომ ერთმანეთს არ უთავსდება!..

ამაზეც დაეხუჭავთ თვალს — საბჭოთა ხალხი თავმდაბალია, უზარისხოსაც კარგად მიირთმევსო.

გლეხებისათვის ეს თითქოს ხელსაყრელი გამოდგა, შემოსავალი გაეზარდათ...

შემდგომ მართლაც მოიტანა მოჩვენებითი სიკეთე. მოსახლეობის კეთილდღეობა თითქოს ამიღდა, პური ახლა უკვე ყველა სოფელში ცხებოდა. თან-

დათანობით მოელ ქვეყანაში გაუმჯობესდა სურსათით მომარაგების საქმე, ცხოვრების პირობები. დიდი შიმშილიანობის წლებისა და უკიდურესი გაჭირვების შემდეგ, როცა შიმშილისა და შიმშილით გამოწვეული ათასგვარი სნეულებისაგან დიდძალი ხალხი გაწყდა, ეს „კეთილდღეობა“ უფრო თვალშისაცემი და შესამჩნევი იყო. ამას ტექნიკის განვითარებამ და მიწის უგუნურმა და დანაშაულებრივმა ექსპლოატაციამაც შეუწყო ხელი...

დაღვა „საამური ცხოვრების“ წლები, „გამარჯვებული სოციალიზმის“ ხანა.

მაგრამ ამას ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ...

1970 წელს, პოლონეთში ვოფნისას, მეუღლესთან ერთად, ზაგურსკების ოჯახს ვესტუმრე. როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი პოლონური თარგმანი სწორედ ირეი ზაგურსკის ეკუთვნის. იმიტომაც ვესტუმრეთ, ჩვენი მადლიერება გამოვხატეთ. ოჯახის დიასახლისიც, განათლებით ხელოვნებისმცოდნე, ქართული ხელოვნების დიდად მოყვარული და მთამაგე აღმოჩნდა. რამდენადაც მახსოვს, ამ ქალბატონმა შალვა ამირანაშვილის წიგნი თარგმნა პოლონურად. მასპინძლებს გაეხარდათ ქართველების სტუმრობა, მოგვეფერნ, მოგვიაღერსეს, როგორც მოხუცებს ჩვევიათ. მერე, მათი ჩვეულებისამებრ, გვკითხეს — ყვა მოგართვათ თუ ჩაის ამჟობინებთო... და ქალბატონმა ზაგურსკიმ მეგობრის გულშემატკივრობით, მაგრამ მოურიდებლად გვითხრა: ქართულ ჩაის, სამწუხაროდ, ძალიან ვაუტყვია სახელი, კაციშვილი აღარ ყიდულობსო.

გული დაგწყვდა, მაგრამ რა გვეთქმოდა, ჩვენ თვითონ უკეთ არ ვიცოდით, რომ ქართულ ჩაის თავმოსაწონებელი აღარაფერი ჰქონდა!

კიდევ უფრო გულდასაწყვეტი ის იყო, როცა ჩვენი ჩაი ვარშავის ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში დავინახეთ, უბატონო გერევით სადღაც კუთხეში მიკუნჭული. გვინდოდა გვეკითხა, როგორ ხალდებო, მაგრამ გაჩუმება ვარჩიეთ:

ისე საცოდავად გამოიყურებოდა დიდი ხნის დებისაგან ეტიკეტკამოხუნებული, რომ ისედაც ვველაფერი ნათელი იყო.

ასე გაუტეხეს სახელი ქართულ ჩაის. ბევრი ანდჷა მოუგონებია ჩვენს ხალხს სახელზე, მაგრამ ამ ვითარებას ალბათ ეს უფრო მიესადაგება: „საქმელი ერთი დღისაო, სახელი ასე წლი-ხაო“.

თუკი გონივრულად წარმართავდნენ საქმეს, თუ მეურნეობის ტრადიციულ დარგებს ერთიანად არ მოშლიდნენ და სახნავ-სათვის მიწების მხოლოდ ერთ ნაწილს დაუთმობდნენ, მაშინ მწირმიწიანი სოფლებისათვის ჩაის, რაღა თქმა უნდა, სიკეთის მოტანა შეეძლო. მაგრამ ასე არ მოხდა. როცა ამ მხარეში ჩაის მასობრივად გაშენება დაიწყო, მეურნეობის ტრადიციული დარგები თითქმის სავსებით მოიშალა. ანკი როგორ შეინარჩუნებდნენ: მიწები ერთიანად ჩაიმ დაიკავე, და ხალხიც ჩაის სამუშაოებს ძლივს აუდიოდა, მეურნეობის სხვა დარგებისთვის — მიწა კიდევ რომ ჰქონდათ — ვინ მოაცილიდა!

ამრიგად, სოფლის ინტერესები უგულვებელყოფილი აღმოჩნდა; უკვე ვველასთვის აშკარა გახდა, რომ ჩაის მასობრივი გაშენება არა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას, არამედ სულ სხვა მიზნებსა და ინტერესებს ემსახურებოდა.

სიმინდის ყანაში მარტო სიმინდი როდი მოჰყავდა გლეხს — ლობიოსაც თესავდა, სოიოსაც, რასაც აქ იაპონიის ლობიოს ეძახდნენ, გოგრასაც... მთელი წელიწადი ჰყოფნიდა ოჯახს სიმინდის ყანაში მოწეული ლობიო, სოიას სიკეთე, რასაც დღეს დიდ პრეპაზანდას უწევენ და ღამის ახალ აღმოჩენად დაგვი-სახონ, ჩვენებური გლეხი ძალიან კარგად იცნობდა, და კარგადაც იყენებდა. კარგი დიასახლისი ზომიერად რომ შეურევდა სიმინდის ფქვილში, რიგიანი

ნამცხვარი გამოდიოდა; ახლაც მამსრტაში იმის გემო, სახნის მაგიერადაც ჩვენს დენ დაფქვილ სოიას, და უფრო საიმედოც იყო, ვიდრე ზოგიერთი საეჭვო მასალისაგან დამზადებული საპონი; კანს სასურველად არბილებდა, თითქოს ეალერსებოდა. საქონლის საკვებს რომ შეურევდნენ სოიას ფქვილს, ნოყიერებას მატებდა, ძროხა მეტსაც იწველიდა და რძეც უფრო ცხიმოვანი ჰქონდა.

იმავე სიმინდის ყანაში ხეებიც იდგა, და იმ ხეებზე ვაზი იყო გაშვებული — უმთავრესად იზაბელა. მაგრამ ჩხავერსა და მტევანდიდსაც ჯერ ისევ შეხვებო-დით.

სამეურნეო-ეკონომიური თვალსაზრისით, კახურ რთველს, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდა აქაური რთველი, მაგრამ თავის განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა. ხწორედ ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა თავისებურება ქმნიდა მოწიბლავ მრავალფეროვნებას... კარგად მოვლილი იზაბელა ბევრს იხზამდა — თითო ხიდან ზოგჯერ სამი-ოთხი ჩვენებური დიდი ვალორი ყურძენი მოიკრიფებოდა, და ღვინოსაც ბლომად აყენებდნენ. თავმოწონე გლეხი მამაპაპეული ცაცხვის დიდი საწინახლითაც ამყოობდა, მამაპაპეული დიდრონი ქვევრებითაც და ჩხავერის ღვინოთაც, რომელიც დიდხანს ძლებდა — კარგი მეურნე სამი-ოთხი წლის ჩხავერის ღვინოთ გავიმასპინძლდებოდა; თავის დაყენებულ იზაბელასაც კი, რომელსაც სასიამოვნო არომატი აქვს, მაგრამ სიმაგრით ჩხავერს ვერ შეედრება, თავდაჯერებით შეასხურებდა ცეცხლს, რათა შენც დაერწმუნებინე მის სიმაგრეში, და მართლაც სპორტივით ააღვლებოდა; აქაური ჭაჭის არაყის სიმაგრე და არომატი განთქმულია, და ბევრსაც ხდიდნენ არაყს, მუშტრებიც გამოულე-ვლად იყო...

მევენახეობა-მეღვინეობა აქ უხსოვარი დროიდან ფართოდ ყოფილა გავრცელებული, დამახასიათებელია, რომ, მკლევარების აზრით, თვით სახელწოდებაც ჩვენი სოფლისა — ბაზვი — ბახუსიდან წარმოდგება... აქ ბოლო დრომდე უმღერდნენ მევენახეობა-მეღვინეო-

ბის ქართულ წარმართულ ღვთისა აგუ-
ნას:

აგუნა, გადმეიარე,
ბახვი, ახვანა ჩამეიარე...
ჩვენს ეზოში ფურქენიო,
მტრის ეზოში ფურცელიო...

როველში და საახალწლოდ დააგუგუ-
ნებდნენ ამ სიმღერას, ყურძნის უხვ მო-
სავალს შესთხოვდნენ აგუნას.

ისიც საგულისხმოა, რომ ტყვიდან
საწნახლის დიდი ხის გამოტანას, რაც
მრავალი ადამიანის დიდ გარჯასა და
სიმარჯვეს მოითხოვდა, გურიამა სა-
განებო სიმღერა უძღვნეს — „ელესა“,
და ამ სიმღერას დღესაც მღერაინ.

ულამაზეხი იყო დროის ეს მოხატე-
თი — როველი, ანუ ტეხა-კრეფა, რო-
გორც ჩვენში ეძახიან. ჩემს მაზხორო-
ბაშიაც კი, ზოგჯერ იმდენი ყურქენი
მოიძლოდა, ვეღარაფერში ვტყველით...
ჩვენც გვედგა დიდი საწნახელი. დაწე-
ხილი ყურძნის პირველი წვენი — ანუ
ტკილი, როგორც ჩვენში უწოდებენ —
დიასახლისებს ეკუთვნოდათ. მოადგებო-
დნენ საწნახელს ჭირიკებით, დიდრონი
კარდლებით... საჯანჯუხე თხილი და ჩი-
რი წინასწარ მომზადებული ჰქონდათ —
ძაფზე აცმული, ხარიხებზე ხმებოდა.
მალე ფელამუშს მოადღებენ დიდ კარ-
დლებში, ჯანჯუხების ამოსავლებად, და
ჩვენც, ბავშვები, ჩვენებურად ვეშაღე-
ბით — ყავრისაგან პატარა ლაფერებს
ეთლით. ლაფერით მირთმეულ ფელამუშს
უფრო კარგი ვემო აქვს...

ჩხაკერი და მტვერდიდი უფრო მოვ-
ვიანებთ შემოვიდოდა: შემოდგომა მი-
იწურებოდა, და როცა პირველი სუს-
ხი დაჰკრავდა, მაშინლა მოკრეფდნენ...

ერთი სიტყვით, შევენახებომა-მეღვინე-
ობა ფართოდ იყო გავრცელებული. რო-
გორც ითქვა, თედო სახოკია გასული
საუკუნის მიწურულს ესტუმრა ჩვენს
სოფელს. იგი თავის ეთნოგრაფიულ ნა-
რკვევში ერთგან მდინარე ბახ-ისწყალს
აკვიწერს: ეს „მთის წყალია, ჩქარი,
ერთთავად ქაფი ადგას პირზე. კალა-
პოტი და ნაპირები ხაესე აქვს უშველე-

ბელი სიამი ქვევით, რომელიც ადრე-
ბის დროს პატარა კუნძულებით შიგო-
რებს ხოლმე მთიდან. ამ დროს მისი
გრვენივის ხმა შორს მანძილზე ისმის
თურმე და ადამიანს მისი სიმძლავრის
ყურებაზე შიში იაფრობს, თავის უძლე-
ურებას შეაფიოდ გრძობს“. და იქვე:
„ბახვისწყლის ჩაფარდნილი კალაპოტი-
დან იწყება ხერები, ვახებით შეფენილი“.

ახლა ის ხერები ჩაის დაუფარავს.

...ჩაის მასობრივად გაშენებამ სიმინ-
დიც განდევნა, ლობიოც, სოიაც, და
გლეხის თავმოსაწონებელი ჩხაკერი და
იზაბელაც; პლანტაციებში ხეც ადარ
გააჭაჭანეს, სულ დათხარეს...

ახლაც აყენებენ ღვინოს, მაგრამ...

ერთი ანეკდოტი დადიოდა (მგონი ჩვე-
ნებული კაცისვე მოვლილი, მწარე ირო-
ნიით) და გულიანად იცინოდნენ, თუმცა
სატირელი უფრო იყო:

მეზობელი მეზობელს მიმართავს —
შენი ჭაჭა მათხოვე ცოტა ხნით, მალე-
ვე დაგიბრუნებო;

ჭაჭას როგორ დაგიჭერ, მაგრამ ამ
და ამ კაცს ვათხოვე, ის რომ დააყენებს
ღვინოს, ერთზე კიდევ უარ შეპირებუ-
ლი, და მერე შენი ჯერი იქნება, შენ
წაიღეო...

ეს ანეკდოტისგვარი ამბავი სიმათ-
ლისაგან ძალიან დამორებული არ უნ-
და იყოს.

საჯავახური ხუმრობა ნახევარი მარ-
თალიაო, ესეც ჩვენში უთქვამთ.

ამ დღეში ჩააყენეს ჩვენი გლეხი.

მაგრამ ვატყობ ბევრი წუწუნი გამომ-
დის.

ერთი სიტყვით, თუ გონივრულად წარ-
მართავდნენ სქემს, ჩაის სიკეთის მო-
ტანა შეეძლო.

* * *

ისე იმ კეთილდღეობას უნდა დაუბ-
რუნდეს. მოჩვენებითი კეთილდღეობა მარ-
თლაც მოიტანაო, ითქვა. მერე და მე-
რე ვასამრჯელოს მართლაც საკმაოდ უხ-
დიდნენ ჩაიში მომუშავეებს. ახლა უკვე
სასიმელ-საჰემელი აღარ აკლდათ. უფრო

მოკვიანებით ავტომანქანებიც შეიძინეს... მაგრამ კეთილდღეობა მოიწვენიებით იყო. ხალხი გატეხა ჩაის სამუშაოებმა, განსაკუთრებით ქალები. მთელი დღე წელში მოხრილმა მუშაობამ, უმეტესად თავსხმა წვიმასა და ჭონჭვონი — რადგან აქ ერთხელ თუ მოიხსნა ცამ პირი, ელოდე გამოდარებას! — ხალხი დააუადა, შობადობა მკვეთრად დაეცა...

ნიკოლოზ მეორეს რომ წარუდგინეს თურმე საქართველოში ჩაის მასობრივი გაშენების პროექტი, ხელი არ მოაწერა — ეს მშვენიერი ხალხი მონური შრომისათვის ცოდავო. ახალმა მეფემ და მისმა ჩვენებურმა ნაზირ-ვეზირებმა კი არ დაინდეს ხალხი.

სხვა კუთხითაც შევხვდით საქმეს, ითქვა.

რაკილა ხალხს ფული გაუჩნდა, ძველებური წაბლის სამთვლიანი ოდა-სახლები აითვალწუნეს, და ორ-ორ ხართულიანი რკინა-ბეტონით ნაგები უღაზათო სახლები წამოვიძვს. იმ დიდ სახლებში უკვე 10-12 ოთახი აქვთ. ეს არის რომ, გამოკეტილია ის ოთახები, „აუთვისებელი“. ძველად თუ ეზოში 10-12 ბავშვის ჟრიაბული იდგა, ახლა ერთ კინილა ბავშვს შეჰხარაიან და შესციონებენ...

ახლა უკვე, ბნელ დამეში ალვეროზე მიმავალთ, მუგუზლებით გზის განათება აღარა სჭირდებოდათ — იმ ავტოტორის სიტყვა მართალი გამოდგა: „ილიჩის ნათურებმა“ არა მარტო ეზო და სახლკარი, ქუჩებიც გააჩინაღდა... მაგრამ ახლა ალვეროები აღარ იმართებოდა, ამისთვის აღარავის სცხელოდა, მთელი დღის წელში მოხრილი მუშაობით გასავათებულებს აღარ ეალვეროებოდათ...

როგორც უკვე ითქვა, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი მოიშალა, სოფელმა თავისი სახე დაკარგა.

* * *

მაგრამ ეს მერე მოხდა, თანდათანობით. მე კი ჯერ ისევ სოფელში ვარ და, ხიციხით გათანგული, ჩამოხნელებულ ცას გავცქერი ფანჯრიდან. წვიმს. წვიმს

გადაულებლად, დამორგუნელებად, წველის წამლებად... ასე გადაეშლება ხოლმე წვიმიანი დღეები; აღარა გვონია, ოდესმე თუ გამოიდარებას...

პოეტები მიწვევენ წვიმის აუგად მოხსენიებას... მეც ძალიან მიყვარს წვიმა, წვიმიანი დღე. მაგრამ წვიმაც არის და წვიმაც...

წვიმა ჩვენშიაც სხვადასხვანაირია. სხვაზე უფრო მეტად, ალბათ სწორედ ჩვენში.

ღვთისმშობლობის შემდეგ ერთს აირევა, აქოთქოთდება ამინდი, ატყდება ჭექა-ქუხილი, ამოვარდება ქარიშხალი, წამოუშენს წვიმას, აცივდება... და შალევე, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, საღამო ხანს გამოდარებას იწყებს... დილით გაიხედვ — ცა გადაწმენდილა, ბახმაროს მთაზე თოვლი დაუდგია. ეს კარგი ნიშანია — წინ ერთი ჰატარა ზაფხული კიდევ გელის, და სანამ ტეხაკრფვას მორჩებოდნენ, აღარც გააუდარდება, კარგ ამინდებს დაიჭერს.

ეს შემოდგომის პირველი წვიმაა.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გურია-აჭარაში მოგზაურობის დროს, სწორედ ღვთისმშობლობას მოხვედრილა ჩვენს სოფელში. იგი აკვიწერს, როგორ გაჭვილია ხალხით ეკლესიის ეზო ღვთისმშობლობის წინა საღამოს, და, სხვათა შორის, იქვე შენიშნავს: ღვთისმშობლობას ოჯახს ვერ ნახავ, მეზობელი სოფლებიდან რამდენიმე ოჯახი არ ესტუმროსო. შემდეგ მოგვითხრობს, როგორ დაიწყო და დამით თანდათან გაძლიერდა წვიმა. თქვენი მოდიოდა და დილაამდე არც გადაუღიაო; ამბობდნენ, ასეთ თავსხმას ჯერ არ მოვსწრებოვართო; ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს ასეთი წვიმაო; მთელ დამეს ჭექა-ქუხილი მძვინვარებდა და გვაკართობდაო...

ამას ძალიან ჰგავს მთის წვიმაც.

ერთბაშად მოვარდებოდა ხოლმე მთის წვიმა — ჭექა-ქუხილით, გრუხუნით, ერთი აურზაურით. თითქოს ცა გაიპოო. ნისლს წამოშლიდა, ერთს გაინაარდებდა მერცხალივით, და გადაივლიდა, გაქრებოდა... ცაზე მზე ამობრწყინდებოდა, მისი სხივები ათახურად

ააფერადებდა ხეებსა და ბუნებზე შერჩენილ წვიმის წვეთებს. ზედ ჩვენს თავზე, მაღლა, ცისარტყელა გადაიშლებოდა (თუ მოასწრებდა, და გასათხოვი ქალი ამ დროს თავის სანუკვარ სურვილს ჩაუთქვამდა, უსათუოდ აუსრულდებოდა); ნისლის ზღაბანდები ახლა შორს მოჩანდა, მთებში. ერთბაშად მოდიდებულ ნაკადულის ჩხრიალი მალევე ჩვეულებრივ ბუტბუტში გადავიდოდა. ხეებს შეფარებული საქონელი მშვს მიუსვერდა ზურგს. ფრინველები კვლავ მზიარული ჟღერტულით მოედებოდნენ ცას. დაბანილ-დავარცხნილი სოფელი მართლაც პატარძალს დაემსგავსებოდა (დიდი ხნის შემდეგ ივანე მაჩაბლის წერილი წავიკითხე, თავის დასა სწერს პარიზიდან — მოშენატრა ჩვენი პატარძალივით მორთული სოფელი).

სულ სხვაა ზღვიდან მძიმედ დაძრული წვიმა.

ჯერ სადღაც შორიდან ვერ ბუხუნით დაგეშუქრებოდა. ბიძაჩემი ამ დროს, შეწუხებული, გადააქნევდა თავს — „მოდის, მოდის ის ოხერი“. პაერი ვაფერმკრთალდებოდა, ცა თალზ ფერს გადაიკრავდა, დაბლა ჩამოიწვედა, თითქოს მიწას უნდა განერთხოს... სუნთქვა გვეკროდა, გული გიმძიმდებოდა... წვიმის მსხვილი წვეთები ჯერ ნელა წამოვიინდა, მძიმედ; მერე ერთბაშად მოიხსინდა ცა პირს, წვიმდა, წვიმდა, წვიმდა დღისით, წვიმდა ღამით, გადაუღებლად წვიმდა, ბოლო არ უჩანდა, შიში ვიპყრობდა, ვაი თუ მშვს ველარასოდეს ველირსო... როდის, როდის, როცა უკვე იმედი გადაწურული გქონდა, საღამო ხანს წვიმა შეწყდებოდა, თითქოს გამოდარებას იწყებდა — ნელა, მძიმედ, წვალეებით (ამინდი ჟრუბაო, მგონი ასე იტყოდნენ), თითქოს თვალსაჩინოდ ხედავდი, როგორ უჭირდა მშვს სტიქიის ძალებთან გამკლავება. ის ღამეც ღრუბლიანი იყო. დილით დაამძიმებული გულით იღვიპებდი — გარეთ ისევე წვიმას ელოდი... ვაიხვდავდი, მზე მძიმედ მოიკვლევდა გზას ღრუბლებში...

ეტვობა გვეშველა!..

სწორედ ასეთი წვიმიანი და მოუსაგლიანი წლები გადაება ურთმანქონს, ზემოთ რომ ვწერდი. და მე, მაღარიით გათანგული, ვწევარ, ფანჯრიდან ვაკვურებ ჩამობნელებულ ცას.

ეს კერავი ავადმყოფობა — მაღარია — მაშინ ძალიან გავრცელებული იყო ზღვისპირა რაიონებში. ...ყველაზე საშინელი ის ვაგზლავთ, რომ ყოველგვარ სატკივარს აქ საფუძვლად ციება აქვს. აქაური აფთიაქიდან ქინაქინის ოდენა არც ერთი წამალი არ გააკეთ ვურული ოჯახისათვის“. ამას თეოდ სახოკია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს წერდა. ასე იყო იმ დროსაც, რომლის ამბებსაც ახლა ვიხსენებ. კოლხეთის ჭაობის ამოშრობისა და ევკალიპტების მოშენების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ავი სნეულება თითქმის სულ განიდეკნა. ეს ხელისუფლების დიდი დამსახურება იყო და ამის დაუფასებლობა უმაღურება იქნებოდა.

თეოდ სახოკიასი არ იყოს, მაღარია ყოველგვარ სატკივარს წამოშლის, ყოველგვარი სენის წყაროა. და არა მარტო მაშინვე. მერე, სიბერეშიაც გიწევს ბავშვობის დროინდელი მაღარია, ანუ ციება-ცხელება, როგორც ჩვენში უფრო მარტივად და ზუსტად განსაზღვრავენ მის სახელს. იმიტომაც არის კერავი.

ჯერ შემამცინებდა, კანკალი ამიტანდა, გაგანია ზაფხულში საბნებს მახურავდნენ და მაინც ვერა ვიხებოდი, ცოტა ხნის შემდეგ სიცხეს მომცემდა, თანდათან მაღლა იწვედა სიცხე, ორმოც გრადუსამდე აღიოდა. სახე ამენთებოდა, პირი გამიშრებოდა, ვიწვოდი, ველარ მომესვენა.

ამ დროს თავივე უნაგირის ბალიშს ამომიდებდნენ — ტყავის ბალიში გრილი იყო. მე კი იმიტომაც მსიამოვნებდა, რომ უნაგირი მამარემისა იყო, და მისი ნიეთის სიახლოვეც კი შევბასა მკვრიდა, მითუმეტეს ასეთ დღეში მყოფს, სიცხით გათანგულს. მაგრამ ეს ჩემი სიაღუმლო იყო და არაეის ეუმხელდი. ამის გამქლავება მრცხვენოდა.

ციებიანისათვის გურული უსათუოდ ბაზმაროს გამოვიწერს, როგორც ერთად-



ერთ ხსნასა და შეველას. მაშინ ბახმაროზე წახვლის შესამდებლობაც აღარა გეჭონდა.

უნდა გამოვტყდე, როგორც ყველა გურული, მეც მალალი წარმოდგენისა ვარ ბახმაროს სასწაულმოქმედ ძალაზე, მაგრამ მეტყვება, ციებაზეც ისე სასწაულბრივად იმოქმედოს.

* * *

მე სურამმა მიშველა. სურამი მართლაც სასწაულმოქმედი გამოდგა მალარიის წინააღმდეგ.

რა დაუდევრები ვართ, როგორ ვერ ვაფასებთ და ვერ ვუვლით ღვთივ ნაბოძებ სიმდიდრეს! რა უპატრონოდ და უწარადლებოდ არის მიგდებული ეს დიდებული კურორტი. ღიბიმიერმა კაცმა წელიწადში თითო თვით მაინც სურამში უნდა დაასვენოს ბავშვები.

მაგრამ სურამი სხვა მხრივაც გამოდგა მარად კეთილდამსავსებელი.

პირველად ცედანში მოვხვდი — ხანამ იტრიის სკოლის გამგედ დანიშნავენ, ჯერ აქ მასწავლებლობდა მამიდა. ღიბის მთის კალთაზე შეფენილი ეს სოფელი დაბა სურამიდან ექვსიოდე კილომეტრითაა დაშორებული.

ქართული სოფლიდან ქართულსავე სოფელში მივედი, და თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო ჩემთვის უცხო და გასაკვირი, მაგრამ მე სულ სხვა სამყაროში მოვხვდი.

ახლა სამწუხაროდ (აღბათ სამწუხაროდ!), ერთგვარი ნიველირება ხდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისა — მეტყველებითაც, ადრე-ჩვევებითაც, სამოსელითაც, კერძებითაც, სამეურნეო ტერმინოლოგიითაც, ცხოვრების რიტმითაც, ზანიათითაც კი. რაც დრო გადის, სულ უფრო სწრაფად იშლება ცალკეულ კუთხეთა გამოკვეთილი თავისებურებანი, რაც ასე აღამაზებდა ჩვენს ქვეყანას, და ცხოვრებას საინტერესოსა და მიმზიდველს ხდიდა.

ძველად ჩვენებურ კაცს კახეთი რომ მიუნატრებოდა, უსათუოდ იქაური პუ-

რის გემო, ან ხაშლამა გაახსენდებოდა, ახლა გურიამი, ნადიმის სუფრაზე, იქნებ ბეჭი არ მოგართვან განუმეორებელი საწებლით, მაგრამ ხაშლამას კი უსათუოდ ჩამოატარებენ, და დილასაც ხაშით გაგიმასპინძლებდნენ... კახეთში კი, არ ვაგვიკვირდეთ, ჩვენებური საცივი მოგართვან, ან ურწყულში ამოვლებული ბადრიჯანი და ბაჭყალი ჩადებული ქათამი. კარგია ეს? ალბათ კარგია. გარკვეული თვალსაზრისით კარგია, მაგრამ...

სასურველი მრავალფეროვანება ქვეყნის ცალკეული მხარეებისა, ფარნავაზ მეფიდან მოკიდებული, საუკუნეების განმავლობაში, უმნიშვნელო ცვლილებას თუ განიცდიდა. და რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა, აგერ, ჩვენს თვალწინ, სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში მოხდა. ეს ხელოვნურად დაჩქარებული მეტამორფოზა ჩვენი ცხოვრებისა შედეგია სოფლის ნორის, საერთოდ სოფლის მოშლისა, როცა ყველაზე ახალგაზრდა და აქტიური ძალა მოსახლეობისა თავის ძირითად საცხოვრისს მოწყვეტეს — ზოგი მამინვე მოსპეს, ზოგი გააციმბირეს, ზოგი კი იძულებული გახადეს, „საკუთარი ნებით“ მიეტოვებინა მამა-პაპის კერა, და ზსნა — ანუ ფიზიკური გადარჩენა — ასევე ხელოვნურად გაზრდილ და მომრავლებულ ქალაქებში ეძია...

ეს პროცესი ალბათ გარდაუვალია, და ცდა მისი ხელოვნურად შეჩერებისა ისეთივე უეუნურება იქნებოდა, როგორც ის ხელოვნური და ტლანქი დაჩქარება, რაც ჩვენში მოხდა.

ისეთ არატრადიციულ ქვეყანაშიაც კი, როგორიც ამერიკაა, მიმედ განიცდიან ცალკეულ მხარეებსა და შტატებს შორის მომხდარ სწრაფ ნიველირებას, რაც აქ ტექნიკის ზღაპრული სისწრაფით განვითარებამ გამოიწვია. ჯონ სტაინბეკი დიდ გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ცალკეულ მხარეებს შორის უკვე წაშლილია მეტყველების თავისებურება, რაც მას ახალგაზრდობიდან ასე სასურველად დამახსოვრებია. ცვლილებების წინააღმდეგე როდი ვარ, მაგრამ მიმ-

ძიძს ამასთან შეგუება და იმიტომ მივსტირიო, მიმართავს მწერალი სავარაუდებელ ოპონენტებს.

თავის ბუნებრივი დინებით რომ ხდება ასეთი ცვლილება, ისიც კი ვულდასაწყვეტია, ხოლო როცა ტლანქად და ხელოვნურად აქაჩავენ — მით უფრო.

ძნელი სათქმელია, დაბეჯითებით ვერ იტყვი, კარგია თუ ცუდია ეს: თავგამოღებით ვებრძვით ამა თუ იმ დიალექტიკულ მწერლის მიერ გამოყენებულ სიტყვას ან გამოთქმას, რომელსაც, ვარდა განსაკუთრებული კოლორიტისა, ხშირად სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ, შინაარსით მსგავს სიტყვისაგან განსხვავებული ნიუანსი აქვს და აზრს უფრო მარჯვედ გადმოგვაცემინებს. ამდენად, სალიტერატურო ენის გამდგრების წყაროც არის...

კოლორიტი ვახსენე. როგორ ვაღარიბდებოდა ამ თვალსაზრისით ჩვენი ლიტერატურა, ყაზბეგს, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილს ან ნინოშვილს განსხვავებული, თავიანთი კუთხეებისთვის დამახასიათებელი სურნელება არ შემოეტანათ!.. მწერლობასაც რომ თავი დაეკარებოთ, განა განუმეორებელ სილამაზეს არა ქმნის ჩვენი კუთხეების განსხვავებული ქართული მეტყველება?! ყველა განუმეორებელი და თავისებურად მიმხიდაველი და საყვარელი. და სწორედ კოლორიტის თვალსაზრისით როგორ ვაღარიბდება ეს ცოცხალი მეტყველება, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე სალიტერატურო ენის კანონების მიხედვით რომ აღაპარაკდეს, საკუთარი ინტონაციებისა და კილო-კავების ნიველირებით?!

თანდათანობით აღბათ ამასაც მივალწვეთ!..

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა, მე კი უბრალოდ ის მიხლდა მეთქვა, რომ სურამში ჩასულს — ეს იყო 1928 წელი — თითქოს ახალი და მომხიბლავი სამყარო დამხვდა. საფერადლად მომხიბლავი იყო აქაურების მეტყველება, გამოკვეთილად შემოიმერული აქცენტირებით; მომხიბლავი იყო მეურნეობის წესიც, დიდად განსხვავებული იმისგან,

რასაც მე ძალიან კარგად ვიცნობდი.

სწორედ ალიობა იყო, როცა პირველად მოხვდი სურამში, და მთელი დღეები კვერიდან არ ჩამოვდიოდი. კალოს ჩვენ ერთად დახვავებულ სიმინდის ტარიებს ვეძახდით, ხოლო ის კალო და კვერი, რაც აქ ვიხილე, მხოლოდ წიგნში მენახა, „სურამის ციხის“ ერთ-ერთი მარტივად შესრულებული ილუსტრაციით. ჩემთვის ახალი და უცხო იყო ტერმინებიც — არნადი, კაბლო, ცხავი, ვაცხავება და ვაცხრილვა, ცხრილი, ბზე, ნამჯა, ხელეური, ულო... და დიდი გატაცებით ვითვისებდი არა მარტო ამ სახელებს, არამედ მათ მოხმარასაც; არც თონეში პურის ჩაკვრა მენახა, და ასევე გახარებული ვტრიალებდი ეზოში, თონის ირგვლივ, ფინხს ვუმარჯვებდი, ცხელ შოთებს ხონჩაზე ვაწყობდი, თან გემრიელად ვიღებოდი, პირველად ენაზე სადღეებელიც — ჩვენში ხომ კარაქს არ დღვებავენ, და არც ჭამენ, მხოლოდ ბახმაროზე ვვიდულობდით კარაქს აჭარლებისაგან. დოც მხოლოდ წიგნებით ვიცოდი, მკონი რაფიელ ერისთავის მშვენიერი ლექსებით, და როცა საშუალება მომეცა, ვაჭუსინჯა დოცა და დოს შეჭამანდიც, გახარებული ვიყავი.

დღე ისე დაღამდებოდა, შინ არ შევიდოდი — ხან კალოზე ვიყავი (ოღონდ მხოლოდ კვერზე, განაიებებს — როცა ნინაბი ნელი, მოზომილი მოძრაობით მაღლა უნდა შემართო, ნიავს მიუმარჯვო — ვერანაირად ვერ შევეჩვიე), ხან ახოში, სიმინდისა და ლობიოს ასაღებად — ურმით წავეიდოდი ვათენაბამდე და მთელი დღე იქ ვიყავით. და ვსრომობდი თავგადაკაული — არა მარტო მთელი ენერგიით, არამედ სიყვარულით და გატაცებითაც. ძალდაუტანებელი შრომა მუდამ ასე სახალისოა... დამით გვიან შევდიოდით შინ; თუ ღხინი იყო, ხომ შუაღამემდე იქ ვიყავით. და ვერც კი ვერძნობდი, როგორ ვისუნთქავდი აქაურ მაცოცხლებელ ჰაერს — მთელი არსებით. სხეულის ყველა ფორით — და როგორ თანდათან იღვენებოდა ჩემი სხეულიდან მალარია.

ჩემი მასპინძლის ოჯახში ჩემზე ორი წლით უფროსი ბიჭი იყო — ნიკოლა — მთელი სიმძიმე სამამაცო სამუშაოებისა ამ ბიჭის მხრებზე გადადიოდა. ასეთი მშრომელი ხომ იყო, ისედაც ძალიან კეთილი და გულიანი ბიჭი გამოდგა, და ძალიანაც შევეთვისეთ ერთმანეთს.

ყოველ კვირა-დღეს სურამში ჩავდიოდით, დავებეტებოდით ამ მშვენიერი დაბის ქუჩებში. ჯერ, რაღა თქმა უნდა, სურამის ციხეზე ავიდოდით, და მე ბავშვის ფანტაზიით ედვილობდი, დანიელ კონქაძის მოთხრობის პერსონაჟები წარმოქმდებოდა აქ — კედელში ჩასატანებლად მოვყვანილი, წელზე თოქომპული ზურაბი, და იქვე დედამისის ანდრეები დამელანდა... საოცარი იყო ეს განცდა. მე მართლა ვათვლიერებდი მიწით სანახეროდ დაფარულ კედლებს — ვეძებდი, სად შეიძლებოდა მომეაზრა ის ადგილი.

სურამის სადგურიდან ჩუმათელეთში უსათუოდ „კუკუსკით“ გავემგზავრებოდით. მზე რომ გადაიხრებოდა, „კუკუსკის“ სადგურის მოპირდაპირე მხარეს, მუხნარით დაფარულ ფერდობზე, თანდათანობით გამოეფინებოდა ხალხი, ერთმანეთის მიმართ სიკეთითა და სიყვარულით განწყობილი ადამიანები (ასე აღვიქვამდი მე მათ), ნელი ნაბიჯით, აუჩქარებლად — ზოგი დაწყვილებულად, ზოგი რამდენიმე ერთად; ზოგს საზაფხულო ქოლგა წამოედო; ზემოთ, მუხნარის სიღრმეში, ხეებზე გაჭიმული პამაკებიც მოჩანდა... და მე იდუმალად გულის კუნჭულში, თითქოს მივეარდა ეს სასიეროდ გამოეფინილი ხალხიცა და იქვე, ფერდობის ძირში, საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე მოთამაშე ბავშვებიც.

სულ რამდენიმე წელიწადში მომშალა ეს ყველაფერი. დღითი დღე მკაცრდებოდა ცხოვრება.

ზოგჯერ ზაშურშიაც ჩავდიოდით. რაღა თქმა უნდა, მატარებლით...

ერთხელ ოჯახის უფროსი ქალიშვილი ზონა და მისი მეზობელი ქალი გვიან ღამით გავაცილეთ ზაშურში. ახლაც, ჩვეულებრივ, ფეხით წამოვედით სოფ-

ლიდან, და რაკი სურამში მატარებელს ვერ მივუსწრით, ფეხითვე ჩავედით ზაშურში. ახალგაზრდები ვიყავით, დაღლა რა იყო, არ ვიცოდით, ყველაფერი გვეხალიხებოდა.

სონა და მისი მეზობელი ქალი გასათხურები იყვნენ; რაღაც ჯაღოს წყალით სარკვეში თავიანთი მომავალი საქმროები დაენახათ, და რაკი ვათხოვება მოახლოებულად ჩათვალეს, გადაწყვიტეს ნუნისის წყლებზე წასულიყვნენ კიდევ უფრო გასალამაზებლად.

მთელი კვირა სამზადისში იყვნენ; შედევბებს კარაქი, დაიქლა და მოიხარმა ვარიები, გამოცხვა ერთი თონე პური... წახვლის წინ, სურამელი ებრავლისაგან ნაყიდი ფერუმარლით, რიგიან-პირიანად წაითხიპნენ, ჭრელი ფანერის ჩემოდანში საგზალი და საჭირო ნივთები ჩაალაგეს, ქოლგები ხელში მოიმარჯვეს, და მთვარე კარგა მალა იყო წამოსული ცაზე, როცა შინიდან დავიძარბით.

ზაშურში კარგა ხანს მოგვიხდა ცდა, სანამ ფოთის მატარებელი ჩამოდებოდა. ეს მატარებელი ყველაზე გვიან გამოდიოდა თბილისიდან, და იმით იყო მარჯვე და მოსახერხებელი, რომ სწორედ ახალ გათენებულზე იქნებოდნენ მოლითში, საიდანაც ნუნისისაკენ ფეხით ან ურმით წავიდოდნენ.

ჩამოდგა მატარებელი, და ისე მხურვალედ და გულაუყვებით გამოგვეთხოვენ, თითქოს სამიოდე დღით კი არა, მთელი საუკუნით გვემშვიდობებოდნენ. ფაცხა-ფუცხით ავარდნენ ვაგონში. რაკილა ასე მშვიდობიანად ავიდნენ, ახლა ვაგზლის რესტორანიდან რამდენიმე ბოთლი „იხენტუკა“ გამოგვატანინეს: არა იმდენად მოწყურების შიშით (მოლითამდე ორი საათის გზა არც კია), არამედ წესი და რიგი იყო ასეთი...

...ტკბილად მახსოვს ეს რესტორანი — ეს „წარსულის მკურნალობის“ რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გააპრატხდა და გაუქმდა...

აქ, ამ გაჩირაღდებულ დარბაზში დღეღამ თაებრუდამხვევი ფუსფუსია, მიღეთის ხალხი ირევა, ყველას ეჩქარე-

ბა, ყველა სადღაც მიეშურება. მგზავრების აჩქარებული რიტმი რესტორნის თანამშრომლებსაც გადასდებია, თუმცა ესენი არხად მიეშურებიან. რიტმი განსაკუთრებით მატულობს, და კულმინაციას აღწევს, როცა მატარებელი ჩამოდგება; ვაგონებიდან ფაცხა-ფუცხით ჩამოსული მგზავრები ბრბოში ძლივს მიიკვლევენ გზას, ეშურებიან ბუფეტში იგიღონ მოხარშული დედალი, შემწვარი ვარია, თხლად დაჭრილი მოხარშული ხორცი, ღვეზლები, ფუნთუშები, და უხათუოდ „ნარზანი“ და „ესენტუკი“ (საოცარია: ბორჯოში იქვეა, ოციოდ კილომეტრზე, მაგრამ მაინც ცხრა მთის იქიდან „ნარზანი“ და „ესენტუკი“ მოაქვთ... „თურამაშულის პატრონი ტყეში დაეძებებს პანტასაო“, ამაზუა ზედგამოჭრილი)...

ნეტა ახლა, არა სწყურიათ, როცა ვაგზლებში არც რესტორნებია და არც ხელში დოქიმოძარავებული პატარა ბიჭები ირევიან, რათა მგზავრებს ვაგონშივე მიართვან ცივ-ცივი წყალი — ტოლწა შაურად!..

ერთი სიტყვით, დიდი ფაციფუცით უყვიდეთ და ვაგონის ფანჯარაში მივაწოდეთ „ესენტუკი“. მაგრამ საფაციფუცო არაფერი ფოფილა: ხაშურში ზომ ორთქლშავალს ცელიდნენ და კარგა დიდ ხანს უზდებოდა მატარებელს დგომა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო სიცილი, კისკისი; ქალიშვილები დროს არ კარგავდნენ და ჩუმჩუმად აქეთ-იქით გააპარებდნენ თვალს — ზომ შეიძლებოდა სარკეში დანახული მოხდენილი ჭაბუკი აქვე გამოცხადებოდათ, მატარებელში!.. სონას უცებ ქოლგა გაეშალა და დაკეცვა გამწვანდა, მერე თბილისიდან მომავალი მგზავრი დაეხმარა. ამან სიცილის ახალი ტალღა გამოიწვია...

ბარემ აქვე დაძვენ: იმ ჯადოსნურმა სარკემ სონას ვაუმართლა — მეორე ზაფხულს გათხოვილი დამხვდა; ოღონდ ვერ ვიტყვი, სწორედ ის კაცი შეხვდა თუ არა, სარკეში რომ დალანდა. მეზობელ ქალს კი მგონი რამდენჯერმე ისევ მოუწია ნუნისის წყლებზე გამგზავრება.

ბედნიერი ხალხი იყო მატარებლის გრძნობდნენ თავს. პოლიტიკით დიდად არ ინტერესდებოდნენ და ამ მხრივ დამშვიდებულები იყვნენ.

პირველად რომ ჩავედი, იმ წელიწადს ჯერ არ ყოფილა კოლექტივიზაციის ხსენება. ჩემს მასპინძელს ყვეარი ხარი ჰყავდა, ძროხები, დეკეულები, მოზერები... უთენია გარეკავდა ნახირს საძოვარზე ოჯახის უმცროსი შვილი. მთელი ამბავი იყო დილით მიხი გაღვიძება. ძილი არ ეთმობოდა ყმაწვილს, ჯერ ისევ განთიადის ბინდუნდი იდგა: „გიორგა, ადე, შეილო, ადე, დედა შემოგველოს, ადე, გენაცვალე, ადე — ბიჭებმა უკვე გარეკეს ნახირი, ადე, დედა გენაცვალის“... ოჯახის ნებიერი ნაბოლარა ვიორგა ზანტად წამოდგებოდა, წელათრევით, თვალების ფშენვით, ზანტადვე ჩაფრატუნდებოდა ეზოში, ლურჯი ნარმის ვიწრო ჩანთას გადაიკიდებდა — შიგ პური, ხახვი და ყველის ნაჭერი ედო, მთელი დღის საგზალი, და საქონელს გამორეკავდა — „ვირო, ვირო... აქეთ შე საოზრო“... ამ სიტყვების გარდა, მისგან არაფერი გამოიგონია იმ სამი ზაფხულის განმავლობაში. ჩუმი ბიჭი იყო, უხიტყვო...

პირველი სწორედ ვიორგა იმსხვერპლა ტიფში.

გაზეთებს იქ მაინცდამაინც არ კითხულობდნენ, და მოახლოებული სუსხის შიში არ აწუხებდათ. ასე იყო მეორე წელსაც. ოღონდ ამჯერად, უკვე აქამდეც, ნელ-ნელა, სუსტად, მაგრამ მაინც აღწევდა ხმები კოლმეურნეობაზე — ჰორი თუ მართალი... ერთხელ ჩვენს მასპინძელს ბრილიდან ესტუმრა მოზუცი ნათესავი, და როცა სუფრას მოუსხდნენ, ბევრ შემამოფოთებელ რასმე მოყვა. მახსოვს, სახეზე, გრძელი მძივივით, უცნაურად ჩამოკონწიალებული ტყირაბი უყანყალებდა, და შიშით შევეურებდი, არ მოწყდეს-მეთქი.

მესამე წელს მდგომარეობა საკვალოდ შეცვლილი დამხვდა — აღარც ხარები, აღარც კვერი, აღარც საღამო ხანს კალოზე ნიავის ჩვეულებრივი მო-



ლოდინი... აღარც ახოში წასვლა სიმინდისა და ლობიოს ახალდება.

ეს ვეკლაფერი ჩამორთმეული იყო. დაბნეული და გაოგნებული დადიოდა ხალხი...

ცედანში აღარა ვყოფილვარ მომდევნო წლებში. იქიდან შემამარწუნებელი ამბები მოდიოდა. სოფელს მუცლის ტიფი მოსდებოდა. ტიფს ემსხვერპლა ჩემი მეგობარი ნიკალა, მისი უმცროსი ძმა ვიორგა... ერთ-ერთი დისთვის ტიფის გართულების შედეგად ცალი ფეხი მოეკვითათ. გაუბედურებული დედა ჰკუიდან შეშლილიყო...

ეს იმ პატარა სოფლის ერთ ოჯახში... აქ რეპრესიებს, მგონი, ისეთი მწვავე ხასიათი არა ჰქონია იმ წლებში, მაგრამ ტიფის ეპიდემიამ გააუვლო მუსხი. მრავალი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მთელ ქვეყანაში მძებნეარებდა მაშინ ეს საშინელი სნეულება.

* * *

ხურამში ყოფნის იმ პირველ წლებს რომ ვიხსენებ, არ შემიძლია გვერდი აუუარო ორ გატაცებას. ახლა რომ ვიხსენებ, ღიმილის მომგვრელს. მაგრამ მაშინ ასე არ ვფიქრობდი.

პირველი ის, რომ აქ მეწვია სიყვარული.

ზოგი ჩემი ტოლი ბიჭი სკოლაში თავმოწონებით ყვებოდა ხოლმე: ეს გოგო მიყვარს; ან: იმ გოგოზე ვარ შეყვარებული; იმას სიყვარული აუუსხენი... ზოგი უხამს რამესაც ამბობდა... მე კი არავეინ შემყვარებია, და გამოვიტყდებით, ეს ერთგვარად მანუხებდა კიდევ.

და მოულოდნელად, აქ, ცედანში შემიყვარდა...

მაგრამ უცნაური იყო ჩემი სიყვარული: არც ჭამის მადა დამიკარგავს, არც ძილი და მოსვენება. ეს კი არანაირად არ უთავსდებოდა იმას, რაც წიგნებში წამეკითხა. ამ დროს მე უკვე წაკითხული მქონდა ყაზხბევის მოთხრობები, „პირველი ნაბიჯი“, „ტრისტან და იზოლდა“... ამ წიგნების პერსონაჟები უძილოდ დამეკვს ოხერაში ატარებდნენ, საჭმელი გაუგეზურებული ჰქონდათ, მოთქვამდნენ, ვერ მოესვენათ. მე კი დაუდებდი თავს ბალიშზე და უკვე მეძინა... ეს ცოტა არ იყოს მაფიქრებდა.

უფრო შემაწუნებელი სხვა რამე იყო: ერთბაშად ორი ქალი მომეწინა, და ვერ გადამეწყვიტა, ვისთვის მიმენიჭებინა უპირატესობა, ანუ ამ ორში ვინ უფრო მიყვარდა. მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ ისინი უკვე გასათხოვად მოწიფული ქალები იყვნენ, 19-20 წლისანი, მე კი მაშინ 12 წლისა ვიქნებოდი. ვგონობდი, რომ ეს აუსრულებელი გატაცება იყო, და ამიტომ ვერც ვამეფლავებდი. მხოლოდ ნიკალას გავუჩინე. კიდევ რომ გაეგოთ ჩემი ახირებული გატაცების ამბავი, ვეჭვობ, თანაგრძნობით მოკიდებოდნენ.

ბიძაშვილები იყვნენ — ერთი მაყვალევით შავი, მეორე — შხესავით ნათელი; მაგრამ ორივენი ძალიან კარგები. ისე გასრიალდებოდნენ წრეში, საცეკვაოდ გამოისულები, ისე საყვარლად გამწიფდნენ ხელებს...

ამ მწელ არჩევანში ვიყავი და ეჭვით გულს ვასკდებოდი, როცა „ღიზინის“ დროს საცეკვაოდ გაიწვევდნენ ზან ერთს, ზან მეორეს; ზან ხაშურელი ახალგაზრდა რკინიგზელი. და ზანაც უღვაშდამწვენებული მოლითელი ახალგაზრდა, ისიც აგრეთვე რკინიგზელი (მთელს ამ რეგიონში — ზესტაფონიდან მოკიდებული ხაშურამდე, ახალგაზრდა თუ ხანშიშესული, — თითქმის სულ რკინიგზელები იყვნენ). შხაკურელი ფიქრი გამოეღებდა: ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვალ სწავლადამთავრებული, ჩაუვლი მათ სახლებს (სკოლის მახლობლად ცხოვრობდნენ) და ამყად გადაეხედავ. გულს დაეწვევებ... მაგრამ ეს დიდი სისასტიკე და უსამართლობა იქნებოდა, ასეთ მკაცრ მოპყრობას არ იმსახურებდნენ — მათ ხომ არც გაუგიათ ჩემი სიყვარულის ამბავი. თანაც, უკვე გასათხოვად შეღებებული მშვენიერი ქალიშვილები, დამხედებოდნენ კი ისევ შინ გამომჯდარ-

ნი?! ან გაუთხოვარს ვინ დააყენებდა ასეთ ქალიშვილებს?!

უტყობა, მალევე გამინელდა ეს გატაცება. მეორე წელს რომ ჩავედი, ძალიან გულგრილად მოვიხმინე ნიკალასაგან: ერთი — ის ქერა — უკვე დაეინშნათ. შემოდგომაზე ქორწილისათვის ემზადებოდნენ. მგონი, ერთ-ერთ იმ რკინიგზელს უნდა გაჰყოლოდა. მეორე კი — შაკერემანი — ქალაქში წასულიყო, არ ვიცი გორსა თუ თბილისში, კრაკერვის სკოლაში, და იქიდან სახელგატეხილი დაბრუნებულიყო. მგონი, რაღაც უბედური ხენიც კი შეჰყოლიდა.

ასე უიღბლოდ დამთავრდა ჩემი პირველი სასიყვარულო გატაცება.

ახლა მეორე გატაცების ამბავიც.

მე მტკიცედ ავირჩიე მომავალი პროფესია.

ოჯახში ხშირად გვექონდა საუბარი, რა უნდა გამოვსულიყავი მე — ექიმი, მასწავლებელი თუ ინჟინერი. ასეთი საოჯახო განსჯანი ჩვეულებრივია, ყველა ოჯახში ასე ხდებოდა და ხდება. სამივე პროფესია დიდად საპატიოდ ითვლებოდა მაშინ. არჩევანი დიდი იყო: სწორედ იმ წლებში ათასნაირი ტექნიკური ვარიანტი. ერთი მაშინდა ინჟინრობას მირჩევდა: სადღაც ენახა, როგორ პატივისცემაში ჰყავდათ მხლებლებს ინჟინერი; მისი ქოლგაც კი იმათ დაქონდათ თურმე. სწორედ ეს დეტალი მოხვედროდა თვალში. ალბათ გეოლოგი იყო, ან საგზაო ინჟინერი.

სურამში წასულამ ეს დიდი ცხოვრებისეული პრობლემაც გადაამწვევტინა.

პირველსავე წელს, მატარებელში, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სულ ფანჯარაში ვიყურებოდი...

მაშინ გზებზე მანქანები არ დადიოდნენ — ან მანქანები სად იყო, ან სამანქანო გზები! — მატარებლით კი, შინიდან ღამით გამოსული, მეორე დღის გვიან დილით თუ ჩააღწევდი... მანქანებმა მანძილი შეამცირეს, და თითქოს კადე უფრო დააპატარავეს ჩვენი ქვეყანა... მატარებლით კი, მითუმეტეს ბავშვის

წარმოდგენით, სადღაც სულსხებაში რეულ, უცხო სამყაროში შედიოდი...

ბავშვის ოცნებაშიორეული ცნობისმოყვარეობით შევეურებდი სადგურში შემხვედრ მატარებლებს. რამდენი ცხოვრება ჩაიქროლებდა ჩემს თვალწინ, როცა ელექტრონით გაანახიხებულ ვაგონებში მგზავრებს ეხედავდი. ისინი ერთმანეთში მზიარულად საუბრობდნენ, იცინოდნენ, ზოგს ტკბილად ეძინა... და ყველა თავისებურად ბედნიერი მეჩვენებოდა... რაღაცნაირი სევდა შემიპყრობდა. გამოუცნობი იყო ეს სევდა — ერთსადაიმავ დროს მძიმეც და რაღაცნაირად ტკბილიც...

უფრო მოვივანებით, უნივერსიტეტში ერეკლე ტატიშვილმა ერთი უცნობი ავტორის ლექსი გვასწავლა ინგლისურად: ვეპი ნავსადგურს სტოეებს და მიცურავს. შენ მას გასცქერი და გამოუცნობი სევდა შეგიპყრობს („Right sad we were“ — „და ჩვენ სევდამორეულები გავცქეროდით“... ახლაც ამეკვიატება ხოლმე ეს სტრიქონი); მართლაც სევდა არ მოვიცავთ, როცა მიმავალ მატარებელს თუ ვემს ვასცქერი! გვითხრა მაშინ ჩვენმა მასწავლებელმა, მე ადრევე გამოუცადე ეს.

უღელტეხილის ძნელ მონაკვეთზე — მარეღისსა, მოლითში, ან ხარაგოულში, მატარებელს წინ სამ-სამი ორთქლმავალი ჰყავდა მობზული. მძიმედ ქმინადნენ ორთქლმავლები — დამაშვრალეები, დაქანცულები, ოფლში გახვითქულები; როგორც ყველა მშრომელი არსება, საოცრად კეთილები; სწორედ ისეთები, როგორიც ჩვენი ხარები იყვნენ — უღელში შებზულები, მძიმე აღმართს რომ ამოვივლიდნენ და შეიხვეწებდნენ. მეოცნებე ბავშვს, ცოცხალ არსებად წარმომედგინა ისინი. და გულში მტკიცედ გადაწვევტივ, ორთქლმავლის შემანქანე, ანუ როგორც მაშინ უბრალოდ ვეძახდით, „მამინისტი“ გავმზადარიყავი. იმდენად მტკიცე იყო ეს გადაწვევტილება, რომ შინ დაბრუნებულმა დედას ვაუწყებავს. ძალიან კარგიო, მომიწონა დედამ; ოღონდ ეს არის, ფილტვების ანთება იცის, მუღმივად ორპირ ქარში



უნდა იყო. ამან ცოტათი შემაფიქრია-
ნა — მალაჩით გატანჯულს, საშინლად
მეშინოდა ყოველგვარი ავადმყოფობისა.
მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შემაცვლე-
ვინა.

ერთ წელიწადში ეს გატაცებაც გამი-
ხელდა, თუცა ორთქლმავალი დღემდე
განსაკუთრებით მიყვარს და გული
მწყდება, რომ იგი ელექტრომაგალია
შესცვალა.

ელექტრომაგლის გახსენებაზე: სხვა-
თა შორის, მე და ნიკოლა ხაშურში მო-
წმე გავხდით პირველი ელექტრომაგლის
გაშვებისა.

აღბათ კვირადღე იყო, რაკი იქ მოვხ-
ვდით. ეს იყო აღბათ 1930 წელი. აგ-
ვისტოს მცხუნვარე მზე, ამკარად ეტყო-
ბოდა, ძალიან აწუხებდა ტრიბუნაზე
მდგომთ — თბილისიდან საგანგებოდ ჩა-
მოსულ მაღალი თანამდებობის პირთ და
ადგილობრივ ხელმძღვანელობას — თუ-
მცა ბევრ მათგანს ჭილის ქუდი ეხურა.

სწორედ ამ მიტინგზე წარმოთქვა ბუ-
ღუ მდივანმა: ხედავთ, რას მივალწიეთ!
რკინიგზის ელექტროფიკაციას ვახდენთ.
მენშევიკებმა კი ნატანებიდან ოხურგე-
თამდე, სულ რამდენიმე კილომეტრზე,
ვერ მოახერხეს რკინიგზის გაყვანა; იყო
არზების გზავნა, თხოვნა, მუდარა, ზე-
წნა... მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩვენ
კი დღეს, აგერ, ელექტრომაგალს ვუშ-
ვებთ.

სულ მენშევიკებს ეჯობებოდნენ. ამა-
თი ჯავრი ვერა და ვერ მოეკლათ.

რიზიანი ლაპარაკი იცოდა, მქუხარე-
და კარგ ორატორადაც ითვლებოდა. თუ-
მცა ჩვენში ზოგჯერ მცდარად არის გა-
გებული მკვერმეტყველების ხელოვნება:
ვინც კი მქუხარედ, სხაპასხუპით და შე-
უნერებლად ლაპარაკობს, კარგ ორატო-
რად არის მიჩნეული. იყო ერთი ასეთი
კრიტიკოსი — სხაპასხუპით, სულმოუთ-
ქმელად ლაპარაკობდა; მასზე ამბობდნენ:
სხეაფრე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ
ორატორი კი ნამდვილად შეუდარებე-
ლია, ამას ვერ წაართმევო. არადა, კარ-
ვად რომ გავიქექა და გავეჩხრიკა მისი
სიტყვა, შექსპირის ერთი პერსონაჟისა

არ იყოს, ერთ ვოდორ ბზეში გახსნილ-
თითო-ორილა მარცვალი თუ აღმოჩნდ-
ბოდა, და ისიც ფუტუტე..

ბუღუ მდივანზე ჩამოვარდა სიტყვა.
იქნებ კარგი ორატორიც იყო. ამის მოწ-
მედ და მხაჯულად მე ვერ გამოვდგები —
ბავშვი ვიყავი ეს ერთადერთი გამოსვლა
რომ მოვისმინე, მისი მეტყველების მქუ-
ხარებადა დამამახსოვრდა, და ის პატა-
რა მონაკვეთი სიტყვისა — ისიც აღბათ
მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს კუთხეს შე-
ეხებოდა. ივრძნობოდა დიდი საიმეფეც
არსებული ხელისუფლებით, რომლის
ჩამოყალიბების ერთ-ერთი ავტორი თა-
ვადაც იყო.

არ დაუფასდა ეს ერთგულება: რამდენ-
იმე წელი გავიდა ზემონახსენებ მი-
ტინგის შემდეგ, რომ დააპატიმრეს და
დახვრიტეს.

სხევიც გამოვიდნენ მიტინგზე, ბე-
რი ილაპარაკეს, ბევრი იბაქიბუქეს. კა-
ცმა რომ თქვას, საამაყო მართლაც ჰქო-
ნდათ: თუ არ მეშლება, ეს იყო პირვე-
ლი ელექტრომაგალი მთელს საბჭოთა
კავშირში.

მიტინგის შემდეგ, მრავალრიცხოვანი
დამსწრეების ტაშის გრიალში, პირველი
ელექტრომაგალი დაიმრა წიფის გვირა-
ბისაკენ; ამ ელექტრომაგალს მიბზული
ჰქონდა ერთადერთი ვაგონი მთავრიბას
წევრებისათვის.

ნახევარი საათის შემდეგ მეორე ელე-
ქტრომაგალმა (სულ ორი ელექტრომა-
გალი იყო თავდაპირველად), ასევე ტა-
შის გრიალში, ბაქო-ბათუმის მრავალა
ვაგონისაკენ შემდგარი მატარებელი და-
სძრა.

იმავე ხანებში — იქნებ იმავე წელ-
საც, კარვად არ მახსოვს — ხაშურშივე,
საშინელი ტრაგედიის მოწმენიც გავხ-
დით.

ესეც კვირა დღეს მოხდა. ბაზრობის
შემდეგ ზემოიმერელი გლეხები — ასე-
ულობით ადამიანი, რომელთაც ხაშურის
დიდ ბაზარზე თავიანთი სანაქებო ღვი-
ნი, ყველი და ზოგი სხვა პროდუქტი
გაყვიდათ და სანაცვლოდ სიმინდი შე-
ეძინათ (იმ წლებში ხომ შიმშილი მძეი-
ნვარებდა) — ხაშურიდან დასაუფლეთისა-

კენ მიმავალ ნათობით სახე მრავალი ცისტერნისაგან შემდგარ მატარებელზე მოკალათდნენ; ჯერ ერთი, ეს მატარებელი მათთვის მარჯვე დროს გადაიღა, ხაზრობის შემდეგ, საღამო ხანს; ვარდა ამისა, გაჭირებული გლეხებისათვის უფასო მგზავრობაც ერთგვარი შეღავათი იყო.

დაიძრა მატარებელი, გასცდა ღიბის სადგურს, და გვირაბში რომ შევიდა, ამკარა გახდა, მუხრუჭები მოშლილიყო, ვეღარ იჭერდა. მუხრუჭები ყოველ ვაგონსა და ცისტერნაზეა მოწყობილი. რამდენადაც ვიცი — ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ამბობდნენ — ახალი ტიპის მუხრუჭები იყო, ხულ ცოტა ხნის წინ შემოღებული, და ამ უსამველოდ დიდი ხიმძიმის ტვირთზე კი გამოსცადეს.

გვირაბის შუიდან დაღმართი იწყება; მემანქანებმა რომ ნახეს, მუხრუჭებს ველარაფერს უხერხებდნენ, წიფის სადგურს აცნობეს, ამ დღეში ვართო. სასწრაფოდ მიიღეს ზომები, ვხა დასცადეს წიფაშიაც და მომდევნო სადგურშიაც. თავქვე დაგორებული მატარებელი თანდათან უმატებდა სინქარეს. მოფიქრების დროც აღარ იყო, და გადაწყვიტეს, მოლითში, სადგურის ჩიხში შეეყენებინათ მატარებელი: ჩიხში, რელსებითვე საგანგებოდ აღმართულ ზღუდეს იქნებ როგორმე შეეკავებინა. მაგრამ ისეთი მძიმე იყო და უკვე ისეთი სისწრაფით მიდიოდა მატარებელი, რომ ჩიხმა ვერ შეიკავა, ცისტერნები ზრამში გადაეშვა, მაშინვე ცეცხლი გაუჩნდა და, ნათობთან ერთად, ასეულობით ადაბიანი, თავიანთი ნავაჭრი სიმინდითა და ფულით, დაიწვა, დაიბუგა...

მატარებლების მოძრაობა დიდი ხნით შეფერხდა. ნახევარი მატარებლებისა მოლითს იქით დარჩა, ნახევარი — აქეთ; თბილისიდან გამგზავრებული ადამიანი მოლითის სადგურში ჩამოვიდოდა, თავის ბარგიანად ფეხით გაივლიდა ორი-ოდე კილომეტრს, და იქ ღიზგადაღმა დარჩენილი ასეთივე მატარებელი დახვდებოდა; იქიდან წამოსულ მგზავრებს კი აქეთ ელოდა მატარებელი. კარგა ხანს ვაგრძელდა ვხის გაწმენდა, და, რაც

განსაკუთრებით გულმოსაგლავდა, მინათა დამწვარი სხეულების მოძიება და ხაშურში გადმოსვენება. მეორე კვირა დღესაც, ხაშურში ჩახულვებს, სადგურში დაგვხვდა ბრბო გაუბედურებული ჭირისუფლებისა, რომლებიც ცდილობდნენ, რაიმე ნიშნით ამოეცნოთ თავიანთი დაღუპული ოჯახის წევრის სხეულის რაიმე ნაწილი...

როგორც იქნა, ეს იყო ოციანი წლების მიწურული თუ ოცდაათიანის პირველივე წელი.

* * *

ოთხწლეულში ქართულსაც კარგად ვსწავლობდით, გეოგრაფიასაც, ბუნებისმეტყველებასაც, რუსულსაც... მომდევნო წლებში საქმე ცოტა უფრო სხვაგვარად წარიმართა.

მეზუთე კლასიდან სწავლის რეჟიმი შეიცვალა, და ახალ რეჟიმთან შეგუება მძელი გამოდგა. შემოგვემატნენ განაკირა სოფლებები — მშვიდობაურლები, ოქროსქედლები, ქვედაბაზველები, ფამფალეთლები, ბაღდალები (ჩვენშიაც არის პატარა სოფელი ბაღდადი). ამ სოფლებში მხოლოდ ოთხწლეულები იყო და სწავლის გასაგრძელებლად ჩვენს სკოლაში მოდიოდნენ.

მაგრამ რეჟიმის შეცვლა რომ ვახსენებ, ამას არ ვუვლისხმობდი. აქამდე ერთი მასწავლებელი გვეყავა — მუდამ ალერსიანი, მომღიმარი და კეთილი. ვეწვლა საგანს ის გვასწავლიდა. ახლა ყოველ საგანში ცალკე მასწავლებელი დაგვინიშნეს. სწორედ მათთან შეგუება გაძნელდა. პირქუშები იყვნენ, დაბლკერილები, ერთს არ გაიცინებდნენ. ან იქნებ ჩვენ გვეჩვენებოდა ასე. ხეირიანად არც კი მოვესალმებოდნენ, თითქოს საღამს ვეყვდრიოდნენ. ჟურნალს ვაღაწვდიდნენ, გვარებს ამოკითხავდნენ და პირდაპირ გაკვეთილის გამოკითხვას დაიწყებდნენ. არც ის ძველებური ტყბილი საუბარი, აღარც ძველი სიტბო...

ყველაზე შურაღმწეოფელი მინც იმის იყო, რომ სახელით არ მოვემართავ-

დნენ, გვარებით გამოვიცალებდნენ. „ინ-
სტირეულო, დაფასონი!“.. ნიშნისმოკე-
ბით იტყვოდნენ, თითქოს იმაში დარწ-
მუნებულები, რომ გაკვეთილი არ ეცო-
დივებოდა, და წინასწარ იხარებდნენ.
ასე გვეჩვენებოდა. „სურგულაძე, დღე-
საც დაივიწყებინებს ზაკუსკა?!“ თითქოს
კმაყოფილებას გრძნობდნენ მისი დაცი-
ნებით. „მობრძანდი კუთხეში!.. შენც, ქა-
ლბატონო!“.. იმ ბიჭთან ერთად, ჩვეუ-
ლებრივ, ერთი გოგონა მოდიოდა, ეტ-
ყობა, მისი ახლო მეზობელი; ბუნებით
წითელ ლოყებზე ახლა ცვეხლი წაი-
დებოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდათ
ბავშვებს, ბევრი ერბინათ, სულ ძლივს
ითქვამდნენ. ბახვისწყლის ვაღმა ცხო-
ვრობდნენ, ოქროსქედლები იყვნენ,
გრძელი გზა ჰქონდათ გამოსაველი.
ზამთარში, თოვლჭყაპში, ხშირად იგვიან-
ებდნენ, მდინარეზე მაშინ საცალფეხო
ხიდი იყო, ზამთრობით ხშირად წაიფი-
ნებოდა, ფეხი სხლტებოდა, დიდი სი-
ფრთხილე იყო საჭირო, არ მოცურე-
ბულიყავი. დაყენებდნენ ხელ-ფეხ წა-
ფინულ ბავშვებს კედელთან, და ზარს
დარეკვამდე ასე იღვგენ.

ჩემს გვერდით, მერხზე ერთი აწოწა-
ლი ბიჭი დასვეს, გვარად კიდურაძე,
რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი. მე-
ხოთე კლასში მეორედ დაეტოვებინათ,
და მგონი წინა კლასშიაც ორ წელიწადს
მჯდარა. ჩვენი სოფელი არ ყოფილა,
დედამამით ობოლი, ჩვენს სოფელში
გამოთხოვილი მამიდა ზრდიდა. სუსტი
ბიჭი იყო, კაფანდარა, ბიასხვით გაყვი-
თლებული და გაცრცილი. უჩვეულოდ
გრძელი ხელები ღამის მუხლებამდე
სწვდებოდა. ყოვლად უწყინარი და ხათ-
ნო ბავშვი ჩანდა; დასვენებაზე, სხვები
რომ ქრიაშლით მოედებოდნენ სკოლის
ფართო ეზოს და ათასნაირი თამაშობით
იყვნენ გართული, იგი აივანზე კედელს
მიყვებებოდა და შორიდან მოწყენით
უცქერდა.

ალბათ იმის გამო, რომ ობოლი იყო,
და მუდამ ასეთი მოწყენილი, პირველი-
ვე დღიდან რაღაც გაურკვეველი გრძნო-
ბა აღმებრა ამ ბიჭის მიმართ, სახელი
ვერ შემირჩევია — სიბრაღული? თანა-

გრძნობა? სიმპათია? თუ უწყვეტად
ერთად?

მაგრამ სწავლის დაწყებამდე ორი
დღეც არ გასულა, და ამ ბიჭმა სულ
სხვა თვისება გამოამჟღავნა: დაწყებო-
და თუ არა გაკვეთილი, მერხის ქვეშ
გადაშალულ კარგა მოგრო „რეიკას“ გა-
მოაძერუნდა, ჩონგურივით მოიმარჯვებ-
და ხელში და ჩუმად დიდინებდა, თავი-
სივე შეთხზულ ყოვლად გაუმართავ შა-
ირებს დაამღერებდა. შაირებში მასწავ-
ლებლები იყვნენ გაკენწილები. ოღონდ
არა უწამწურად, და არა იმდენად გეს-
ლიანად. მღეროდა და თან ყოვლად
მშვიდი და თანაგრძნობის აღმძვრელი
თვალეებით მასწავლებელს შესცქეროდა.
ისე დაბალ ხმაზე დიდინებდა, რომ თუ
ახლოს არ ჩაგვივლიდა მასწავლებელი,
ვერ გაიგონებდა; ხოლო თუ ჩვენსკენ
წამოვივლიდა, ისე სწრაფად და უხმაუ-
როდ დაღებდა თავის „ჩონგურს“ ადგა-
ლზე, ჩქამს არ გაიღებდა, და მოძრაო-
ბაზეც ვერაფერს შეატვობდი, მასწავ-
ლებელს შესცივინებდა სკვდინა ივა-
ლებით. გაწაფული იყო ამ საქმეში.

პირველად შეჩითირა ეს მკრეხელი, ა,
ვერ წარმომედგინა, ასეთი რაზე თუ შე-
იძლებოდა გაკვეთილზე. მერე და მერე
შევეჩვიე, და ამ ბიჭის ასეთი „გააფლუ-
ლება“ მომწონდა კიდევ. მაგრამ უკე-
დურება ის იყო, რომ სცივლს ვერ უკ-
აკვებდი: მოიმარჯვებდა თუ არა „ჩონ-
გურს“ ხელში, ვერ დიდინიც არ დაე-
წყო, მე უკვე მეცივებოდა.

ყველა გაკვეთილზე როდი აკეთებდა
ამას. ამოჩემებული ჰყავდა მათემატი-
კის მასწავლებელი, ახალგაზრდა კაცი,
რომელიც სულ პატარა რამეზე ბრზ-
დებოდა და ცოფებსა ყრიდა; და რუსუ-
ლისაც — ჩლიფინა მოხუცი, ბუნებით
კეთილი, როგორც შემდეგ თანდათანო-
ბით გაირკვა; მაგრამ გაკვეთილზე მე-
ტად მკაცრი.

პირველად მათემატიკის მასწავლებე-
ლმა დამინახა ასე გაჭყანული და დამ-
ჭყვილა: „ქელძე! ვერ შენმა ძმამ აგ-
ვიკლო, და ახლა შენც დაიწყე!“

ჩემს ძმას შეიღწლედი უკვე დამთავ-
რებული ჰქონდა და ახლა თბილისში

აგრძელებდა სწავლას. კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით მათემატიკა უყვარდა და ეხერხებოდა, მაგრამ ცუდი იყო, მოუსვენარი... საერთოდ, ბავშვები სისხლს უშრობდნენ ახალგაზრდა, ბრაზიან მასწავლებელს.

ბოლომდე არასასურველი დამოკიდებულება გამყვა მათემატიკის მასწავლებელთან, სანამ მეშვიდე კლასში ახალი მათემატიკის მასწავლებელი მოვიდოდა, განათლებული და საყვარელი ახალგაზრდა კაცი სანდრო თოდრაძე, რომელიც შემდეგ რეპრესიების მსხვერპლი გახდა...

გვლახზე ტკბილად ქართულის ეკვეთილები მახსოვს. ქართულს თვით სკოლის გამგე ნიკოლოზ ჩხატარაშვილი გვასწავლიდა. ეს იყო სავსებით ახალგაზრდა კაცი, არა უმეტეს 20-21 წლისა — განათლებული, ხაგნის კარგი მცოდნე და თავისი თანამდებობრივი მოვალეობით ერთგული. მასწავლებლებსაც უყვარდათ იგი და მასწავლებლებსაც.

გატაცებული იყო ნადირობითა და ხბორტით. მისი თაოსნობით სოფელში საფეხბურთო გუნდი შეადგინეს, და თვითონ ამ გუნდის შუუცველი მკარე გახლდათ.

ზაფხულობით არადაეგვებე ჩამოსული ახალგაზრდობით შეივსებოდა ხოლმე ჩვენი გუნდი. ერთხელ ოზურგეთელი ფეხბურთელები გვესტუმრნენ, და რაკი სამაზრო ქალაქის გუნდი იყო, თავი ყინაღ ეჭირათ. მალე გაირკვა, რომ საყოყლოინო არაფერი ჰქონოდათ.

სათამაშო მოედანი შუა სოფელში იყო მოწყობილი, დეკანოზის მამულში, სოფლის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით.

დეკანოზის სახელით კი მოიხსენიებდნენ ამ საკმაოდ დიდ მამულს, მაგრამ დეკანოზ ქიქოძის შთამომავლებს უკვე დიდი ხანია ჩამორთმეული ჰქონდათ. და იყო ახლა შეუღობავი, მოუვლელი და გაკვრანებული. თავის დროზე, ეტყობა, აქ ყრძინის დიდი მოხაველი მოდიოდა. ჩამორთმევის შემდეგაც, ერთხანს, სანამ სულ არ გაპარტახდებოდა, ჯერ ისევე კარგა ბლომად ყრძინს კრეფდნენ — ჩვეულებრივ, „ტორეში“ ჰყიდდნენ. მერე და მერე, უპატრონოდ მიე-

ღებული ვაზი სულ უფრო დაუფლებს და ხაღდა. ბოლოს ხომ ერთიანად ვაღაბარეს — ჩაი გააშენეს; ხეები და ხეებზე გამეხებული ვაზი დათხარეს და შემად გაიღეს. ფეხბურთის მოედანი კი არა, მტკაველი მიწაც აღარ დატოვეს დაუბარავი. კაცმა რომ თქვას, სათამაშოდაც აღარავინ მოაცილიდა.

მაგრამ ეს მერე მოხდა, მოგვიანებით, ხოლო ოზურგეთის გუნდთან თამაში რომ ვახსენე, ის ადრე იყო. და რაკი ამ შეხვედრაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი შემთხვევაც უნდა გავიხსენო, ალბათ ფეხბურთის ისტორიაში უიშვიათესი.

მოედანზე, როგორც წესი და რიგია, კარის ძელები იდგა, არსებული სტანდარტების დაცვით, ოღონდ ძელებს ბადეები არა ჰქონია მობმული, და, როგორც ვნახავთ, ამან უსიამოვნო გაუგებრობა გამოიწვია.

კარგი ამინდი იდგა, და შეჯიბრებას მიყურებელიც დაესწრო; უმოთაურესად სოფელში საზაფხულოდ ჩამოსულები და სკოლის მოსწავლეები — მოედნის აქეთ-იქით პირდაპირ მინდორზე მოიკალათეს. რაკი სამაზრო ქალაქის გუნდს უნდა შეხვედროდნენ, საგანგებოდ მოემზადნენ — მიელს ჩვენს დიდ სოფელში მოკრიბეს კარგი მოთამაშეები. დიდ იმედებს ამყარებდნენ ვილაც გოგიბერიძეზე (მგონი გვარი არ უნდა შემლებოდეს), მაგრამ ეს ახალგაზრდა კაცი იგვიანებდა, და ამიტომ დიდი მღელვარება იყო. მხოლოდ თამაშის დაწყების წინ მოვიდა, დედასა და უმცროს ძმასთან ერთად. სიმპათიური ჰაბუკი იყო, ათლეტური აღნაგობა ჰქონდა, გრძელი შავი თმა, უკან გადაეკარცხნა, და თამაშის დროს რომ ხელი არ შეშლოდა, წერილად ნაქსოვი ბადით დაემკარებინა. მისმა გამოჩენამ ჩვენები გაახარა, და, ეტყობა, მეტოქე გუნდის მოთამაშეებზეც მოახდინა შთაბეჭდილება: ჩაიკრიკტებით გამოიკითხეს, ნამდვილად თქვენი სოფელია, თუ ვინმე გარეშე მოიწვიეთო...

თამაშის დაწყებიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ სწორედ ამ ჰაბუკმა გაიტანა პირველი ბურთი მეტოქის კარში.

თამაში რომ გახურდა, დედას მოეჩვენა, შეილი ძალიან გაიფლანდაო, და უმცროს შვილს, პატარა ბიჭს, პიჯაკი გაატანა, ბექებზე მოიხუროს, ქარმა არ დაჰკრახო. პატარა ბიჭი პირდაპირ შეიჭრა მოედანზე გახურებული თამაშის დროს და ძმას პიჯაკი გაუწოდა, დედამ გამომატანა, მოიხურეო. მსაჯმა — რომელიც ოზურგეთიდან მოჰყვა თავის გუნდს, და ჩვენი მაყურებელიცა და ფეხბურთელებიც შეუვალი სიმტკიცით ირწმუნებოდნენ, მიკროფონით სჯისო — თამაში შეიჭრა, და რაილა წესრიგი ჩვენმა მაყურებელმა დაარღვია, საჯარიმო დანიშნა ჩვენი კარისკენ, საკმაოდ ახლო მანძილიდან. ბურთი აცდა ჩვენს კარს, და მგონი მაყურებელი უფრო დაახარალა. ესეც — ანუ სათამაშო მოედანზე პიჯაკის შეტანაც — ალბათ ერთადერთი კურიოზული შემთხვევაა საფეხბურთო ისტორიაში. მაგრამ ეს არ მიგულისხმობს, უიშვიათესი შემთხვევა რომ ეახსენე.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში 3-2 იყო, ჩვენები იკვებდნენ, და ამ დროს მსაჯმა ჩვენს კარში პენალტი დანიშნა. შეიქნა დავა, საქმეში მაყურებელიც ჩაერია, მსაჯს უმტკიცებდნენ, თამაშის წესი არ დარღვეულაო. მაგრამ მსაჯი ჯიუტი და შეუვალი აღმოჩნდა...

ჩვენი მეკარე — სკოლის გამგე ჩვენი — აშკარად ეტყობოდა, ძალიან ღელავდა, მაგრამ შესაშური რეაქცია გამოამჟღავნა — სწრაფი ნახტომით მოიკერია ბურთი. კი არ მოიკერია, დაიჭირა ბურთი. მაყურებელმა სიხარულის ფიჭინა დასცა, ნირწამხდარმა მსაჯმა ანიშნა, სწრაფად წამოდექი და ბურთი გადმოაგდეო. ცოტა დრო იყო დარჩენილი, და ვინ იცის, თავში შაკერულმა უიქრმა გაუელვა, კიდევ ერთი პენალტი დაეინიშნა, რათა თამაში ყაიმით მაინც დამთავრებულიყო და სულ თავლაფლასხმულები არ დაბრუნებულიყვნენ: დიდი რიზითა და ბაქი-ბუქით იფენენ ამოსულები. ჩვენს მეკარეს არ ეჩქარებოდა, მძიმედ წამოდეგა, ძელს მოეჭიდა, და პირდაპირ წინ კი არ გამოვიდა ბურთის

დასარტყმელად, ძელს უკან შემოიხრია — ეტყობა, ასე უფრო მარტივად უხერხდა.

და გაისმა კიდევ მსაჯის ხასტყენის ხმა: ბურთი ჩაითვალა. ამაზე კიდევ უფრო დიდი დავა შეიქნა. რაკი ძელს უკან შემოუარა, ბურთმა, ბუნებრივია, ხაზი გადაკვეთა და კარში მოხვდაო, ამტკიცებდა მსაჯი... რალა ბევრი ვაგაგრძელო, მსაჯმა ჩასთვალა ბურთი, და მოგებული თამაში ასე უსამართლოდ ყაიმით დამთავრდა. ახლაც ცოცხლად მახსოვს ჩვენი სკოლის გამგის საშინლად შეწუხებული სახე და დანანებით, თითქმის მუდართით წარმოთქმული სიტყვები: „ეს ხომ მაშინაღურად მოხდა!“.

ამის შემდეგ თითქმის სამოცდაათი წელი გავიდა, და ამ რამდენიმე წლის წინ რედაქციაში მეწვია ჩვენი ძველი სკოლის გამგე და ქართულის მასწავლებელი. უკვე მოხუცი, მაგრამ საესეებით მხნე და საღად მოაზროვნე. ვავახსენე ეს შემთხვევა, მახსოვსო, ღმილით მითხრა, და, მომეჩვენა, ისეთივე დანანებით ვადაქნია თავი, როგორც მაშინ, იმ კვიმატ წუთებში.

* * *

ჩვენი ქართულის მასწავლებელი სასკოლო პროგრამებს იმდენად არ მისდევდა — გვაკითხებდა ქართველი მწერლების ქმნილებებს, და გვაყვარებდა ქართულ მწერლობას. საერთოდ ლიტერატურას. საშინაოდ გვაძლევდა ე. წ. კლასგარეშე საკითხავს, თვითონვე გვიჩვენდა და გვაძლევდა წიგნებს. თანამედროვე ქართველ მწერლებზედაც გვიამბობდა, რომელთაგან ზოგს თავად შეხვედროდა. ერთხელ, მახსოვს, ხარიტონ ვარდოშვილის ლექსები წავაკითხა. ხარიტონი მიხი მეზობელი სოფლიდან იყო და თურმე იცნობდა კიდევ. დიდა პატივისცემითა და სიყვარულით მოიხატვინა, სწორედ იმ დღეებში შეხვედროდა, სოფელში ჩამოსულ პოეტს. ჩვენ აღერთივანებულები და გაკვირვებულები ვიყავით, რომ უხედავდით კაცს, რომელსაც

თურმე ცოცხალი მწერალი ენახა და მასთან ესაუბრა კადეც. ახლაც მახსოვს ცალკეული სტრეიკონები ხარიტონის ლექსებისა, რომელიც მაშინ ჩვენმა მასწავლებელმა წაგვიკითხა: „...ადგება მამანემი დილით ადრე ყველაზე, ყველაზე ყოჩაღია, ჭარბარში მყოფელი, მე ვაუცქირდი დედამეჩს დილით ძროხის წველაზე, უფრო შემეყვარდება ჩემი მყუდრო სოფელი“. მგონი „ჩემი სოფელი“ ჰქვია ამ ლექსს. მხატვრობის მხრივ, როგორც ხედავთ, დიდად ვერ დაიკვებინს. ამ თვალსაზრისით მასწავლებელსაც არ უქია მგონი, მაგრამ, როგორც ითქვა, ჩვენთვის ის იყო საკვირველი, რომ ეს კაცი, ჩვენი ქართულის მასწავლებელი, ცოცხალ მწერალს შეხვედროდა თურმე, და მასთან ესაუბრა. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ხარიტონს პირადად გავიცნობდი და კეთილი ურთიერთობაც შექნებოდა მასთან.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ლიტერატურული ვასამართლებანი, რასაც ჩვენი მასწავლებელი პერიოდულად გვატარებინებდა. ვასამართლებებში მონაწილეობდნენ 6-7 კლასების მოსწავლეები, და ერთი მე ვიყავი მეხუთე კლასელი. პაექრობა იმართებოდა ორ ბრალმდებელსა და ორ დამცველს შორის, როგორც იხედავთ ისე მოხდა რომ მე მუდამ ერთერთი დამცველი ვიყავი. ეს კი მეტად რთული საქმე გამოდგა, რადგან ვასამართლებდით, ჩვეულებრივ, უაწყოფით ლიტერატურულ პერსონაჟებს, და რა ენაშუობაც არ უნდა გამოგვჩინა დაცვის დროს და რა არგუმენტებიც არ უნდა წამოგვეჩვენებინა მათ დასაცავად, მსმენელები მაინც მკვეთრი ანტიპათიით იყვნენ განწყობილნი მათ მიმართ. გულს ვერანაირად ვერ მოულობდით. არადა, საბოლოო სიტყვა მსმენელებს ეკუთვნოდა, განაჩენი მათ უნდა გამოეტანათ, თანაც კენჭის ყრით. და არც მახსოვს, შემთხვევა, თუნდაც ერთ მსმენელს მიეცეს ხმა „ბრალდებულის“ დასაცავად. გავასამართლეთ ტარიელ მკლავაძე, ერეშია წარბა, გოგია უიშვილი (ბრალი ედებოდა, რატომ მოიკლა თავი და რატომ აქტიურად არ შეებრძოლა

არსებულ უსამართლობას) მტრისგან გაიწიო გადალენდიაც... დაცვის მართლმდებელს გუმენტები ასეთი იყო: ბრალდებული ისეთ გარემოში აღიზარდა, ისეთი არასახსურველი იყო გაღვინა გარემოცვისა, რომ თავად კი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა დრო, გარემო, რომელშიაც ისინი იზრდებიან და მოქმედებენ... ახლაც მიკვირს, როგორ ვწვლავთ ამ მოკლე არგუმენტს ისე, რომ თითო დამცველს 15-20 წუთი გველაპარაკა. ზოგჯერ კი მეტიც, სადღაც ვაგვეგონა „ტაბულა რახა“ და, მახსოვს, სულ ამას ვიმეორებდით, ამით რა თქმა უნდა, ჩვენს ცოდნასაც ვამეღაწებდით...

მაგრამ მთავარი ის იყო, და იმიტომაც შევჩერდი ასე დაწვრილებით, რომ ჩვენი მასწავლებელი ვაგვეარებდა ლიტერატურას, ზრუნავდა ჩვენი ზეპირი მეტყველების დახვეწისათვის. რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო იმ დროს, დამოუკიდებელ აზროვნებას გვაჩვენა და საოცარია, რომ, როგორც ითქვა, ეს იყო 20-21 წლის ახალგაზრდა კაცი, ვერ სავესებით გამოუცდელი მასწავლებელი.

სამწუხაროდ, მეშვიდე კლასიდან ჩვენი სკოლის გამგე სადღაც გადაიყვანეს. დაგვინიშნეს ჩვენივე სოფელი, ერთი უფროდი და როგორც შემდგომ გამოირკვა, ღრმო კაცი. სხვათა შორის, სწორედ ის, ვინც ერთხელ მამიდანემს „შეახსენა“ — დეტუ მეგრელის „პატარა ქართველი“ აკრძალულიაო. მანვე შეითავსა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობაც. საერთოდ გაუცინარი კაცი იყო, და თუ ზოგჯერ ჩაიცინებდა, უსათუოდ ირონიულად. ვერ გაიგებდი, ვის დასცინოდა ან რას დასცინოდა; ან მისი დასაცინი ვინ იყო ამქვეყნად.

რაც წინა მასწავლებელმა დაგვაკლო, ამ კაცმა შეგვისრულა: მოგვყვარა ნაოროუშვილის, ფედოსიშვილის და სხვა პროლეტმწერლების ლექსები, მაიაკოვსკის უზეირო თარგმანები, უნიჭო და უმხგავის მთიხრობები იმავე პროლეტმწერლებისა. ლიტერატურული ვასამართლებანი ვიდას ახსოვდა. როცა მო-

რიდებით უუთხარიო, ასეთ გასამართლე-ბებს ვაწყობდითო, ჩვეული ირონიით ჩა-იცინა და ცხვირი ახზიკა. ეს ჩვეულე-ბად ჰქონდა — უცნაურად აბზეკდა ზო-ღმე ცხვირს. საქართველოს ისტორიას, რაღა თქმა უნდა, არ გვახსნავილდენ, არც მსოფლიო ისტორიას. სამაგიეროდ, გვახეპირებინებდნენ „სახოგადოებათ-მეცნიერებას“ (არ მახსოვს, ვინ იყო ავტორი ამ სახელმძღვანელოსი). თით-ქმის ყოველდღე გვქონდა სახოგადოებ-ათმეცნიერების ვაკეეთილი. მთავარი სულისკვეთება ამ წიგნისა ის იყო, რომ კაპიტალიზმს და ბურჟუაზია ცუ-დი ხალხია, პროლეტარები — კარგი, და რომ პროლეტარიატმა უნდა გაერთიანე-ბული ძალებით იბრძოლოს ბურჟუაზი-ის წინააღმდეგ. უტრირებულად კი გად-მოვეცი, მაგრამ დაახლოებით ასე იყო, ასე მარტივად და სქემატურად იყო და-წერილი ეს წიგნი.

ორი საკითხი განსაკუთრებით დამა-მახსოვრდა ამ წიგნიდან.

პირველი ის, რომ 1886 წლის პირ-ველ მაისს (ეს თარიღი დღემდე მტკი-ცედ არის ჩაბეჭდილი მეხსიერებაში) კაპიტალიზმმა ამოხოცეს დემონსტ-რაციასზე გამოსული ჩიკაგოელი მუშე-ბი, რომლებიც ხელფასის მომატებასა და სამუშაო დროის შემცირებას მოით-ხოვდნენ, და რომ ამის შემდეგ ყოველი წლის 1 მაისი გამოცხადებულია მსოფ-ლიო პროლეტარიატის სოლიდარობისა და საბრძოლო ძალთა დაოჯალღერების დღედ. ჩვენც ვაკვავდით საპირველმაისო დემონსტრაციასზე, ჩავატარებდნენ სო-ფლის მოედანზე და გვამღერებდნენ ვი-ორგი ქუჩისვილის ლექსზე დაწერილ სიმღერას („დღეს პირველი მაისია და პირველი ვაზაფხული...“), და სიმღერას არსენა ჯორჯიაშვილზე („მე ვარ არსე-ნა ჯორჯიაშვილი, თავისუფლებას შევ-წირე თავი“...).

და მეორე: ეს იყო ფორმულასავით ჩამოყალიბებული დებულება, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, რადგან რუსეთის პროლეტარიატი არ იყო სა-
4. „მნათობი“ № 9-10

თანადოდ მომზადებული. ეს ფორმულა არა თუ ვაზებირებული, შენსხლბორ-ცებულიც გვექონდა. რამდენი გამოცდა ჩამიბარებია მას შემდეგ — ათწლეულის დამთავრებისას, უნივერსიტეტში მისა-ღებ და ასპირანტურაში მისაღებ გა-მოცდაზეც კი — პროგრამაში ზუსტად ამ ფორმულით იყო ჩამოყალიბებული. მახსოვს, უნივერსიტეტის მისაღებ გა-მოცდაზე ჩემთან ერთად რაიონიდან ჩა-მოსულ ბავშვსა სცადიდნენ. გამომცდელმა ასეთი საკითხი მისცა: მითხარიო ყი-რიმის ომის დამარცხების მიზეზები. ბიჭს, ეტყობა, სულაც არ გაეგონა ყი-რიმის ომი; ჯერ კი შეჩქეფდა, მაგრამ მალევე მოვეო გონს, ჯერ რიხიანად გაიმეორა: „ყირიმის ომი“, თითქოს ლე-ქსის სათაურს ამბობსო, და შერე ხმა-პასხუპით მიაფარა დაზებირებული ფორ-მულა: „ყირიმის ომი დამარცხდა, რად-განაც რუსეთის პროლეტარიატი არ იყო სათანადოდ მომზადებული“.

მარტო სკოლის პროგრამას თუ მიე-ყვებოდით, ძალიან მწირი ცოდნა გვექ-ნებოდა ქართული მწერლობისა, მაგრამ რასაც სკოლაში გვაკლებდნენ, შინ ვიე-სებდით. იმდენად ძლიერია ჩვენს ხალ-ხში საკუთარი მწერლობის სიყვარული და ისე განსაკუთრებულია ამ მწერლო-ბასთან ურთიერთობის კეთილი ტრადი-ცია, რომ სკოლაში მშობლიური ლიტე-რატურის იმდროინდელი გაუკუღმარ-თებული სწავლების კომპენსაციას ოჯა-ხები ახდენდნენ. როგორადაც არ უნდა დაემცირებინათ გაუკუღმართებული აზ-როვნების ახალმოვლენილ „მკვლევა-რებს“ დიდ კლასიკოსთა შემოქმედების მნიშვნელობა და მათი პიროვნული ღირ-სებანი, ხალხში ჩვენი მწერლობის სიყ-ვარული ოდნაჲადაც არ შენელებულა.

შესამძლელობის კვალობაზე, მეც ოჯა-ხში უეცნობადი ჩვენს დიდ მწერლობას. მაშინ წიგნები ძალიან მცირე ტირაჟით გამოდიოდა, მაგრამ ასეთ პირობებშიაც კი წიგნი მაინც აღწევდა დაინტერესე-ბულ მკითხველამდე. ახლა წიგნის თხო-ვება ძალიან უჭირს ადამიანს; უწყვია თაროებზე, ზოგჯერ იქნებ არც კითხუ-

ლობს, მაგრამ უძიძის, სხვას ათხოვოს. რალატნარი ეგოისტები გავხდით. მაშინ ერთი წიგნი მთელს ნათესაობასა და ნაცნობ-მეგობრებს შემოივლიდა ხოლმე, თანაც დიდი გეოგრაფიით. ყაზბეგის თითქმის ყველა მოთხრობა ორ-ორჯერ გადავიკითხეთ თბილისიდან გამოგზავნილი წიგნებით — ბიძაშვილებმა გამოვეცხადებინათ, რათა წაკითხვის შემდეგ უკანვე დაგვებრუნებია; თანაც, მგონი მათაც სხვისგან ჰქონდათ ნათხოვარი ეს წიგნები. თითქმის იმავე ხანებში იყო გამოცემული ორი დიდი ტომი ყაზბეგისა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ბუკინისტთან შეეხვდი ამ გამოცემას და უდიდესი სიხარული განვიცადე, როგორც ძველი კეთილი მეგობრის ნახვა გავახარებ; ხახლში მქონდა ყაზბეგის შემდგომ გამოცემული ტომეულები, მაგრამ მაინც ვიყიდე; სიყვარულით შევათვალიერებ ხოლმე, იმ საოცარ წუთებს მახსენებს და განმაცდევინებს, როცა დედანეენი კედლის პატარა ლამპის სუსტ შუქზე ზამთრის გრძელ ღამეებში ვიკითხავა ბავშვებს. ვიწვევით ყველანი, ოთახში ციოდა, დედას ცალი ხელი საბინიდან გამოეყო, საკმაოდ დიდი წიგნი მოემარჯვებინა და დიდის გატაცებით კითხულობდა, ჩვენ კი სულგანაბული ვუსმენდით. „საზიზღარი“, „გარეწარი“ — შიგადაშიგ ჩაურთავდა დედა, გირგოლასა და სხვა უარყოფითი პერსონაჟებს უღირსი მოქმედებით აღშფოთებული. ყაზბეგის გმირების რომანტიკული ცხოვრებით ვცხოვრობდით. რამდენადაც ვიცო, მაშინ საერთოდ მთელს

საქართველოში ასე გატაცებით ვითხოვდით და ვაძიძობდით. ამას იქნებ უკრძაკებდნენ იმანაც შეუწყო ხელი, რომ თბილისში ამ დროს თურმე გატაცებულნი პაექრობა იყო ამ მოთხრობების ავტორობის საკითხებზე.

ილიას დიდი, გედევანიშვილისეული, გამოცემა და აკაკის ცალკეული თხზულებანი გიგო შარაშიძემ გვათხოვა. მანვე გვირჩია წაგვეკითხა.

რალა თქმა უნდა, წაკითხვით ვგნატე ნინოშვილის ყველა მოთხრობა. სწორედ იმ ხანად გამოვიდა ორ დიდ ტომად, კარგად ილუსტრირებული, კარგი, რომელშიაც ნინოშვილის პერსონაჟები მოქმედებენ ძალიან ახლობელი იყო ჩვენიც.

იმავე წლებში კოლა ლომთათიძის ორი ტომი გამოვიდა. ესეც თბილისიდან გამოვეცხადებინა. მაშინ ყველაზე უფრო „პირველი მაისი“ მომეწონა. მგონი სკოლაშიაც ვეასწავლეს ეს მოთხრობა.

რაკი წიგნის განათხოვრების ვრცელ გეოგრაფიაზე ჩამოვარდა სიტყვა, უსათუოდ უნდა გავიხსენო, რომ თედო რაზიკაშვილის შედგენილი ზღაპრების ძეგლი, საკმაოდ მდარე გამოცემა, მგონი ორ წიგნად, ასევე თბილისიდან გამოვეცხადებინა, და ეს ზღაპრებიც რამდენჯერმე წავიკითხეთ.

უდიდესი მადლიერებით ვიხსენებ ამ წიგნს და მის შემდეგეულს. თუ გსურთ, ქართული ენის განუმეორებელ მადლს აზიაროთ, უსათუოდ ეს ზღაპრები აკითხეთ თქვენს შვილებს. სწორედ თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი და შედგენილი ზღაპრები.



გივი სულაკაური

შავი კაცი

აი, მოდის კაცი,
მღვრიე თვალებით, არეული ტვინით და
მშფოთვარე გულით და სისხლით...
მითხარი,
განა არ შეცვალა
ეს ჭალა მისმა გამოჩენამ,
თითქოს დაბნელდა,
თითქოს დელემაც უკლო ხმაურს,

სხვა ხმებიც მიწყდა,
გაირინდა სუყველაფერი...
აჰა, წყალსაც გადააბიჯა,
ლურჯ ხეებში მიიმალა,
წავიდა, გაქრა...
სულ ერთი წამით...
მაგრამ, როგორ შეკრთა ჭალა და
ჩვენც რა უცებ გამოვიცვალეთ...

დანაიდების კასრი

რამდენი სიყვარული თან წარიტანა,
ექვები, შვება, გადაუხდელი ვალი,
ბოდმა და მკვლელობა, საღი აზრიც ბუერი...
და კიდევ რამდენს ელის მარადმწყურვალი
ეს უნიტაზი — დანაიდების ქვეერი...



დადამდეს თუ დადამდება,
ჯავრი არა მაქვს ამისა,

სხვა ვინ წასვლია ჩემფერი,
მე რომ გავექცე დამესა...



კედელზე წელა მიდის საათი —
სარკეში მოჩანს დროის დინება...

ვინც წამოიწყო დროსთან კამათი,
ვერ მოახერხა გამოძინება...



ღვინოში ეძებს კაცი თავისას,
თავისას იტყვის მერე ღვინითა...

ღრო ახალ-უხლებს ჩამოუტარებს
გაცვეთილ ამბებს ძველ ხურჯინითა...

დაუთვრები, დამავიწყდება
ნაოჭი ამ ჩემს სახეზე,
ვიფიქრებ, — ხომ არ წაუიდე,

შენ, — აქ დარჩიო, — მაქვზებ...
დავრჩები, არ დაბრუნდება
ძალღი — ღიმილი ბაგეზე...

გაბეკრდნენ ჩემი წელიწადები —
დაბერდა მღვდელი, დაირღვა მრევლი...

გაცვდა, განშრევდა გულისნადები
და შემრჩა ცრემლი, ბებრული ცრემლი...

რა უცნაურად ელავს ვიტრინა —
ჩამავალი მზე კაწრავს დანებით...

...და უკვე მთვარეს იხუტებს მინა
სხვანაირ ენებით და გაქანებით...

მე შენში მიფეარს ქალი
და არა ვვაილი ან ვარსკვლავი
და მინდა ჩემს თვალეში მარადიულ
შუადღესავეთ
ვარეარებდეს
შენი. მძიმე,
უდაბნოს ქვიშისფერი თმა...
(დაინახე
ჩემს თვალეში გაწოლილი შენივე ვნება,

წაიკითხე
თვალის სიღრმეში ჩალერილი მუქი
ჩრდილები
იდუმალი იეროვლიფი...
ხედავ,
რა უცებ დამოკლდა გზა —
ერთმანეთს როგორ მივეუახლოვდით,
ივრძენი,
როგორ გაიზარდა ზღვა სურვილის და
გრიგალი სიფიქვების...)

მითხარი, ტირეზია,
მიმარჩიეღე უსინათლო ლანდო,
მირჩიე,
რა გზას დაეადგე,
რომელ გულისთქმას მივენდო
ან რომელ ვნებას გამოვედევნო,
რომელ სინათლეს გავყვე ბოლომდე,
ქარს გავეტანო თუ აქვე ამ წვიმებს

დავემორჩილო...
ჩქარა ბებერი,
მოასწარი,
სანამ ჯერ კიდევ შემიძლია
თვალის გახედა,
ვიდრე ეს ქუნა
ჩემი სისხლით მოსერილ ტუჩებს
გაილოკავდეს...

ვიდრე მე წაეალ
გაფერინდები
ჩემი კოშკის სახურავიდან
ნამძინარევე ქალაქს გავხედავ
ფანჯრებდაბინდულ
ნისლში ჩასრესილ ქალაქს
გავხედავ

და სანამ წაეალ
გაფერინდები
ჩემი კოშკის სახურავიდან
დაეინახავ
სკოლისაკენ მიმავალ ბავშვებს
და ჩემთვის ვიტყვი:
„ჯერ გოგონებმა გაიარონ...“

* * *

მე შეერჩი იმათ, ვისაც შეეცხე
და რაზეც ჩემი თვალი შეჩერდა —
გასროლილ ვაზნას,
გადაჭრილ თოკს,
კოლოფებს წამლის...
ჰო, საყვარელ ცივ სახეებს

თვალდახუჭულებს,
ჩემი ვეველაზე დიდი ნაწილის
თან წამლებებს,
სხვა ნაპირებზე გადამტანებს...
მე მარტო ვარ —
ცოტალა დაერჩი...

* * *

მზე
ბროწეულის მარცვლებივით გაბნეულია
ზღვის ზედაპირზე
დაა მოტორტმანე სიმორეები,
ვისფერი, დასიცხული,
დაკლაკნილი სიმორეები
არ ხსნიან შინის დაღვენთილ ფარდას,
ჯერ არ ელიან მხსნელ საღამოს,

საღამოს მიღმა —
ღამის სიგრილეს, —
როცა ბნელი დანთქავს ყოველს
და სიმორეც — მთვარის მოსულამდე —
იკარგება წარმოსახვის სიბნელებში,
რათა იქიდან
იღუზების ვარსკვლავებით
გამოანათოს...


* * *

მე ვარ გოლიათი
და მე ვარ მკვდარი.
ე. ი. მკვდარი გოლიათი ვარ. —
ჩემი ნარჩენი ვდია მდინარეში,
რომელსაც ჰქვია მტკვარი.
უფრო სწორად:
ვწევარ ძალზე უხერხულად,
თავით ქვიშას ვეზები,
ბოლო უცნაურად გაღუნული ტანი და
ფეხები

თვალის ადგილას გამოკვეთილ
გამოქვაბულში
ჩასახლდა ციციქნა კიბორჩხალა.
ის ემალება ბორჯღალს
და უყვარს სისუფთავე —
ტვინს აცლის კეფას.
დგას აბრილი. ქათქათებს რიყე,
თოლია და ჩემი კბილები —
გამუდმებით ვიღიშები —
შიშველ ფეხისგულებზე მეხება ზაფხი
და მეხებიან თევზის შვილები...
დგას აბრილი, შეიძლება — მარტი...
მე ვწევარ მარტო და დიდ წვიმებს
ველოდები.

უფრო სწორად:
სამყარო იხედება ჩემი მკვდარი ქუთუთოს
თაღში.
მეორე თვალი აღარა მაქვს —
ჩიტმა წაიღო სახლში.
(ჩიტი ახლა სამი თვალით უმზერს
სამზეოს)

ველოდები დიდ აედარს მთაში...
უფრო სწორად:
ველოდები დიდ წყალდიდობას —
როდემდე უნდა ვეგდო რიყეზე,
მე ხომ მკვდარი გოლიათი ვარ,
ჩემი ადგილი არის ზღვის ფსკერზე —
სისხლისმსმელი თევზების ბაღში...



თანამიწი ჩალაური

პ ა ნ ა შ ვ ი დ ი

მოთხრობა

მოხუცი ბერძენი არხიდან სანახევროდ ამოიწივებულ უნიჩბო ნავზე იჯდა და ხის დიდი ნემსით სასროლ ბადეს კემსავდა. წელზევით შიშველს, თავისი განუყრელი ჭილის ფარფლებიანი ქუდი არ ეხურა, რადგან მზე ახლადამოწვერილი იყო და არხის გაყოლებაზე ჩამწკრივებული ეკალიპტების ჩრდილი არც თუ მწველი სხივებისაგან იფარავდა.

ბიჭები ტურისტების ხის სახლში, აღმინისტრატორის ოთახში ისხდნენ და კინგს თამაშობდნენ. ოთხნი იყვნენ, ამიტომაც ერთ-ერთი აუცილებლად ისვენებდა, თამაშში მონაწილეობას არ იღებდა, მხოლოდ კარტს არიგებდა თან მეგობრების ქალაქში იცქირებოდა, იმათ შესაძლებლობებს აფასებდა და თუ რომელიმე მათგანი შეცდებოდა, მიმიკით ამუღავნებდა უკმაყოფილებას.

ბოლო ადგილზე გასულს თამაში უნდა მიეტოვებინა, ასეთი რამ კი, უმეტეს შემთხვევაში, ენართებოდა ჩიორას, რომელიც კინგის თამაშის ნიუანსებში ისევ ვერ ეყოდა, როგორც ჩინურ იეროვლიფებსში.

დიდმა დათომ ამჯერად გული გამოაცხადა კოზირად და რვა შესაძლებლობიდან რვავე აკროფა, რითაც პირველობა წინასწარვე გაინაღდა. მას უკვე ვერაიან აჯობებდა და უკმაყოფილო ჩიორამ კარტი მაგიდაზე დაყარა, — „ჩემი ბედის

ყველაფერიო...“ დაიწუნუნა და წამოდგა.

— ახალი ხელი დაიწვეთ, — თქვა მან, — მე წავედი.

პატარა დათომ დამცინავად ახედა თავზემდგომს.

— ხალ, მამაჩემის მამასთან? — იქედნურად დაეკითხა, თითქოს არ იცოდა მისი გეზი და საბოლოო პუნქტი.

— კარმენ სუიტაზე აგვიანდება, — განუმარტა კისა-კისამ, — რას ეკითხები, ხომ იცი, ძალაზიაში მიეთრევა, ცეცხლოვანი წყლის შესაძენად.

ყველას ვაუცინა გარდა ჩიორასი, რომელიც სკამზე შემოდებულ ზურგანთის ცლიდა და იქიდან ამოყრილ ხარახურას ოთახის კუთხეში ახეავებდა.

ოთხივენი ყოფილი თანაკლასელები იყვნენ, სამოქალაქო ომში მოხალისეებად წამოსულები. ორკვირიანი მომზადება საარტილერიო სასწავლებელში ქონდათ გავლილი. ზეირიანად არც სროლა იცოდნენ, ხანგარიც კი არასოდეს გაეთხარათ და ომი თამაში უფრო ეგონათ, ვიდრე ის საშინელება, რასაც ხინამდვილეში წარმოადგენდა...

ჩიორა კი (თუ ასე ითქმის!) ძალით ჰყავდათ წამოყვანილი, რადგან მისი უბელური ჩვევის ამბავი იცოდნენ და იქნებ როგორმე გადაეახიოთ და გამოვასწოროთო...

ასეთ ჭაობში ჩაფლულის გამოთრევა კი, არათუ პირველი კურხის სტუდენტებს, გამოცდილ ფსიქიატრ-ნარკოლოგებსაც ძნელად ხელეწიფებოდათ.

ერთი კია, რაც აქ იყენენ, „წამლის“ უქონლობის გამო, ჩიორა არაფრე იყო გადასული, რადგან მთელი დღე და, განსაკუთრებით ღამით, აუტანელი შეტყეები აწუხებდა, მისივე ჟარგონით — „ლომკები“, რომელსაც ერთი ბოთლი არცით იყენებდა. უღველო კატის ქნუტივით მოკუნტული იძინებდა, ამასთანავე, ერთიანად საბანწახურული, მიუხედავად იმისა, რომ შუა ზაფხული იდგა და ზღვისპირეთში ღამითაც გვარიაანად ცხელოდა.

— ახლა ვველაფერი დაკეტილი იქნება, — სხვათაშორის აღნიშნა დიდმა დათომ, ამ დროს მხარზე ზურგნაწთამოგდებული ჩიორა ფანჯრიდან ეზოში აპირებდა გადასვლას.

— შენ შესს კახა პაიადებს მოუარე, — გააბიბრუა ჩიორამ და გულიანად ჩაიციინა, რაც ყოველთვის დიდებულად ეხერხებოდა.

დიდი დათო სწრაფად დაიხარა, იატაკიდან ჯარისკაცის ბათინკა აიტაცა და ესროლა, მაგრამ ჩიორამ ზღუდზე გადაასწრო, ფანჯრის იქით ჩაიციუტა და ახლა იქ ჩაბეირდა.

მიუხედავად ასეთი დიდი ნაკლისა, თუ ავადმყოფობისა, საოცრად მზიარული ბუნებისა იყო, ამასთანავე ენაჭარტალა და მანვე. გამუდმებით იმის მცდელობაში იყო, ვისთვის რა ეხიმაგა, ვინ როგორ გაეცუცურაკებინა და ამის უბადლო გამოშგონებლობის ნიჭი ჰქონდა. თუმცა მეგობრებს ეს ცეცობა თუ ონაერობა ოდნავადაც არ აღიზიანებდათ, რადგან მიანდათ, რომ სიცილი და სიმზიარულე საუკეთესო მკურნალს სჯობდა. ვევე რომ არა, მართლა უყვარდათ ჩიორა მისი სიკეთისა და ერთგულების გამო, რომელიც სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

ვიდრე შეურაცხყოფილი დათო მეორე ფეხსაცმლით ხელში სარკმელს მიადგებოდა, ჩიორამ დამდურულ კატასავით მოცოცხა, ზიგზაგებით გარბოდა, რომ მეგობრის მძიმე ბათინკი არ მოხვედრო-

და და ბოლოს ბერძნის ნაქში ჩაბტე-
ემსაკურად მომდიმარი და თვალებში მოცი-
ციმე.

— რა მოხდა, ძალი გამოგედევნა? — შეიცხადა მოზუცმა, ისე რომ, საქმისათვის თავი არ მიუნებებია, — აღარ უნდა შეეშვა მაიმუნობას?

— ვერ გავიგე, რა უნდათ ნემვან, რას ბერძიან? — თავი მოისაწყვლა აქოშინებულმა ბიჭმა, — ვველა მე მტრობს, არადა, სიკეთის მეტს არაფერს ჩაედივარ, დაწყველილი ვარ პირდაპირ!..

ამას რომ ჩიოდა, ისეთი უცოდველი და უმწიკვლო სახე ჰქონდა გულუბრყვილო კაცს, მართლა დაარწმუნებდა საკუთარ უწყინარობაში, ოღონდ — არა ბერძენს.

— იცი, რას გეტყვი, ძმისშვილო, — დამრიგებლურად მიმართა მენაეკმ, — ეგ სატყუარა სხვას დაუგდე! თითქმის მთელი კვირაა, გაკვირდები და შენისთანა ოინბაზი, ვვონებ, არასოდეს შემხვედრია! დიდი მზაკვარი ვინმე ხარ!

ჩიორას მაცდურის გამომეტყველებამ გადაურბინა სახეზე.

— ასე კარგი ქართული სად ისწავლეთ?

მოზუცმა ბერძენმა ბადის ქსოვა მიატოვა და სათვალის ზემოდან გადმოხედა, გამოცმდელად და გამჭოლად, „კიდევ რაიმეს ხომ არ „პამპულობსო“.

— მე აქა ვარ დაბადებულ-გაზრდილი და ქართული სკოლა მაქვს დამთავრებული. ეგ იმიტომ, რომ ჩვენს ქალაქში მრავალი სხვადასხვა ეროვნული სასწავლებელია გახსნილი, გარდა ბერძნულინისა, მიუხედავად იმისა, რომ ათი ათასამდე ბერძენი სახლობს აქ. ამასთანავე გვარიც ქართული მაქვს — ხოდაშნელი.

— ეგ ვასაგებია, თუმცა რა ძალა ვედგათ, ვანა ბერძენები ჩვენზე რაიმეთი ნაკლებები ხართ? ჯერ თუნდაც თქვენი კულტურა, ისტორია და რაღა არა... რატომ შეიცვალეთ ეროვნება?

მოზუცმა ბადის კმსვა განავრძო. საინტერესო და ძლიერი სახე ჰქონდა, ნაღლი მამაკაციისა; მზეზე ხშირი ყოფინისაგან ერთიანად დანაოჭებული, თუმცა უფრო დღარული ეთქმოდა. შუბლზე

რომ აღარაფერი ვთქვათ, თვალის გარე კუთხეებიდან ლოყების ჩამოვლით, კანაფის სიმსხო ნაოჭები გასჩენოდა, ისეთი გამოკვეთილი, თითქოს, დანით ჩამოუსერიათო.

ჩიორას არასოდეს ენახა მსგავსი რამ.

— ეგ პაპანჩემის პაპის დამსახურებაა, — მცირე ღუმელის შემდეგ გაუმზილა მოხუცმა, — მაღალი რანგის სასულიერო პირი გახლდა და საბერძნეთის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში, მიუღია მონაწილეობა, ხოლო როდესაც დამარცხებულან, იძულებული გახდა, ოჯახთანად გახიზნულიყო. პოდა, საქართველო აურჩევია, კახეთში, ხოდაშენში დასახლებულა და, როდესაც მის ეპისკოპოსად კურთხევაზე მიმდგარა საქმე, წმინდა ხინოდს უარის მიხედა რომ არ ჰქონოდა, გვარად ხოდაშენლობა აურჩევია და ჩვენც აგრე გადმოგვიღოცა. თუმცა ეროვნება არ შეუცვლია, ბერძენად დარჩენილა.

— ვახ, — გაიკვირვა ჩიორამ, — სასულიერო პირს რა ესაქმებოდა სახელმწიფო შეთქმულებაში. ეს ხომ ქრისტიანული კანონით ღვთისმსახურებს აკრძალული აქვთ.

— ჰე, ჰე, — ჩაიქირქილა ბერძენმა და ნემსიანი ხელის ნეკით ყურის ძირი მოიქექა, — საქმე ის არის, რომ ჩემი წინაპარი წარმოსობით ძალი-კარნასის ტახტის მემკვიდრე იყო, ასე ვთქვათ, პრინცი, და ალბათ ძველი დიდების აღდგენა მოისურვა. იმიტომაც ასროლინეს კუდით ქვა.

— გამოდის თქვენც ტახტის მემკვიდრე ყოფილხართ, — დაასკვნა ჩიორამ, — სამეფო გვარისა და აქ კი მენავედ და ფარაულად მუშაობთ.

უარყოფის ნიშნად ბერძენმა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ვააქანქარა.

— მე არა, მემკვიდრე ჩემი უფროსი ძმაა. ისევე, როგორც ყველა მონარქიულ ქვეყანაში, ტახტიც და სკოპტრაც უფროსობით გადაიცემა.

— ეგ ხომ მეც ვიცი, — იცრუა ჩიორამ, — თქვენი ძმა ახლა სად არის?

მოხუცმა კვლავ მოიქექა ყურისძირი.

— ხოდაშენში ცხოვრობს, — უპასუხა მოხუცი და ახლაც ძველ სამშობლო დაბრუნებაზე ოცნებობს, მაგრამ უშინია.

— რისი? — შეიცხადა ბიჭმა, — წინაპრის ცოდვას შეილიშვილის შეილიშვილს ვინღა მოჰკითხავს?

ბაღის მკვლავმა ბოლო კვანძიც ამოქანა, ჯიბიდან ჯაფა ამოიღო, გახსნა და თოკი გადაჭრა.

— შენ, ჩემო ძმიშვილო, ჭურში ხომ არ ზიხარ? — ვაოცებით დაეკითხა, — როგორ გვონია, შინამტრობა და ძმათა ზოცვა-ყლექა მარტო ქართველებმა იცით? ყველა ეროვნებას ჭირს ეგ უბედურება, და ერთიცაა, საკუთარი ხალხის გაწყვეტა-მოსპობაში რომ გულმოდგინებას ვიჩენთ, ისეთს თვით მოსისხლე მტრის მიმართაც არ ჩავეღვივართ.

ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ცოტა ხნით გაყუნდა და პორიზონტისაკენ გაექცა მზერა.

— თუნდაც თქვენ, — განავრძო ხმაშეცვლილმა, — ის მაინც თუ იცით, რატომ ზოცავთ ერთმანეთს?

ჩიორას საფიქრალი გაუჩნდა „მართლაც და რატომ?“ გაიახზრა, თუმცა ისიც იფუმანა, რომ რალაციით თავი უნდა ემართლებინა.

— ჩვენ სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ვიბრძვით, სხვაგვარად როგორ?!

მოხუც ბერძენს მრავლისმთქმელად გაეღიმა, წამოდგა და წელში გასწორდა.

— თავისუფლება... მთლიანობა... — გამოჯავრებით გააქილიკა, — ვთქვათ, დაგეთანხმე, მაგრამ როგორ ფიქრობ, ზეიადისტებს რომ დაეკითხო, ისინი რიღასთვის იბრძვიან? მე ვიპასუხებ მათ სათქმელს — სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, ამასთანავე დემოკრატიისათვის... საბოლოოდ კი ყველას ერთი სენი გჭირთ, იმ ფანდურზე ცდილობთ დაკვრას, რომელსაც ლარები არა აქვს და ერთიმეორეს ადანაშაულებთ. ისინი თქვენ კრემლის აგენტებს ვეძახიან, თქვენ კიდევ „სუკის“ შპიონებს უწოდებთ, მოკლეთ დიდ „სიამტკა ბილობაში“ ხართ.



ახლა ეს ამიხსენი და გამარკვიე — ხომ შეიძლება, რომ იმათი მხრიდან შენი ზიდაშვილი ანდა ახლობელი გესროლოს ბიდაშენს? ჯერ ხომ ოც-ოცი წლის ახალგაზრდები ხართ, იქნებ ქალთანაც არ გაგიტყუიათ დაჰე და უკვე ვაბოროტებულები უდრენთ ერთმანეთს. სიკვდილ-სიცოცხლე ხათამაშო ტიკინად გიქცევიათ და ამით ერთობით კიდევაც. თუ იცით, ასეთი ტაკიმასხრობით რამდენი ფიჭვილი კაცი იმსხვერპლეთ და ვინ განჭვრეტს, მათ შორის იქნებ რომელიმე მომავალი იღია უნდა ფოფილიყო, ან დავითი, იქნებ ვაჟა და თვით შოთაც კი... დაფიქრებულხართ ამაზე ან თქვენ და ან ისინი? ჰყავს საქართველოს გასაწირი ახალგაზრდობა? ყველა უკუღმართობაში რუსეთს რატომ ვედრებით და ვბაძათ... იმათთვის მილიონიანი მსხვერპლი იგივეა რაც თქვენთვის ათასი კაცი. ამიტომაც არის, რომ ხან ავღანეთის ჩექმაში ჩაჰყვეს ტურტლიანი ფეხი, ხან ვოტნამის, უნგრეთის, პოლონეთსაც ნუ დაივიწყებთ... თუნდაც 9 აპრილი გაიხსენე, ვნებას ბაქო; ვინდა ყარაბაზი, ჩენჩეთი... ააქოთეს და ამყრალეს ქვეყნიერება, სისხლით მორწყეს და ამას სამშვიდობო, ინტერნაციონალურ მოვალეობად ნათლავენ... მალე აქაც გამოჩნდებიან და აი მაშინ ენახათ «Где паки зинуют!»!

ჩიორას უკვე ველში უთუხთუხებდა ბოლშა, ბევრ საკითხში მართალი იყო მოხუცი ბერძენი, მაგრამ მაინც არ სურდა მის წინაშე თითის მოკაკა და დამოძობა.

— სხვაგვარად დემოკრატია არ მიიღწევა, უმსხვერპლოდ უკეთესი მერმისი არ დამკვიდრდება.

ამ დროს მოხუცი ნავიდან აპირებდა გადასვლას, ფეხიც აწეული ჰქონდა და ზურგში ზანჯალდაკრულივით შედგა.

— რაო, რაო, დემოკრატიაო? — ჩაეძია, — ზედები მკვ სიტყვის მნიშვნელობას? გაგიგია, რეკავინ და საიდან, არც იცი. ისტორიას მაინც გადახედეთ, თუნდაც საბერძნეთისას... დემოკრატია

რომ დამყარდეს, აუცილებლად უნდა ტირანიამ იმარჯვოს, შიში და წესრიგი დაამყაროს ქვეყანაში, ხალხი დაიმორჩილოს, თუნდაც დაიმონოს, სახელმწიფო გააძლიეროს, გააფართოროს და... მოკლედ, მერე უნდა მოვიდეს დემოკრატია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაშლის, დააქუცმაცებს და დაღუპავს ძალით შექმნილ ქვეყანას. ასე მოხდა ყველგან და ჩვენთანაც იგივეს უნდა ველოდეთ, ვერსად გავეცდებით.

ჩიორა თითქოს გააღიზიანა მოხუცის დიდაქტიკურმა მსჯელობამ.

— მე ერთს ვეტყვი, — ტოლწორივით მიმართა, — ომისა და პატრიოტული მოვალეობისა, ვგონებ, ძლიერ ცოტა გაგვიგებათ... ამიტომაც უბერავთ მთელი ძალით ჭანჭან ტრომბონში. ერთხელ მაინც რომ გჭეროდით თოფი ხელში და სიკვდილისათვის პირისპირ შეგებულათ, სულ სხვა ხმაზე იმღერებდით მაგ არიას.

— თოფი მართლაც არასოდეს მკავებია, — დაეთანხმა მოხუცი, — მაგრამ ტანკის საჭე კი მჭერია.

ამის წარმოთქმისთანავე შეტრიალდა, ზურგი უჩვენა და ცერი თითით ლაეისის ძვალს უკან მიანიშნა.

ბეჭის ქვემოდან, მარცხენა თირკმელამდე ჩაჭრილი ნაიარევი უჩვენა, შემზარავად ღრმა და დაკბილული. ზივზავად გაწელილი ეს შრამი რაღაცით მითიურ, ჯაგარაშლილ უხსენებელს მიავადა, გააგებულსა და დასაგესლად შემართულს.

— ამას ხომ ჰხედავ? — ნიშნისმიგებით ჰკითხა, — როგორ გგონია, ეს მარცხი ხილის ქურდობის დროს შემემთხვა?

იმის შემხედვარე ჩიორას უსიამოვროვლავმ გაუარა მთელ სხეულში. „რადაც მივქარე, — გაიულო გუნებაში, — მგონი უკულმა ვერკვები“.

— ეგ რისაგანაა... სად შეიძინეთ? — მოჩვენებითი მიამიტობით გაიოცა.

— ვარშაისის მისადგომებთან, — ნაძალადევად გაიღიმა ბერძენმა, — იმხელა ბოშბი გვეთქვს ბეწუზე გადაყრის. ჩვენი ვეიპაჟი ერთიანად დაიღუპა. მე კიდევ ტყვედ ჩამიგდეს, უგონოდ ვიყავი.

— მერე, მერე რა მოხდა? — ჩაეძია ჩიორა.

— რაღა უნდა მომხდარიყო, კონცლაგერში მიკრეს თავი. იქ კი, დღესაც ვერ ამიხსნია რატომ, ჯერ მიმკურნალეს და გამომაჯანმრთელეს, თუმცა დამცირებას და დაეინებას არ მაკლებდნენ, „წითელ ღორს“ მიწოდებდნენ და მერე ვიღაც გერმანულ ფერმერთან გამამწესეს დამხმარე მუშად.

— ის როგორღა გეპყრობოდა?

— როგორც გამრჯე გლეხი კარგ სახედარს. თუ ხარმაცი არა ხარ და შრომას არ გაურბიხარ, მაშინ შედარებით შემწყნარებლურად გექცევიან. გერმანელებმა იციან გარჯის ფასი. მართალია, რაღაც ბოსელისმაგვარ სადგომში მიმიხინეს ბინა, მაგრამ კვებას არ გვაკლებდნენ. კარგად ხედებიან ვირმა რომ საპალნე ზიდოს მუცელი ამოყორილი უნდა ჰქონდეს.

— ბოლოს და ბოლოს რითი დასრულდა თქვენი თავგადასავალი?

— ომის დამთავრების შემდეგ, როგორც იქნა, სამშობლოში დაგვაბრუნეს. აქ კიდევ, დიდუბეში შემოვედით თუ არა მატარებელი გააჩერეს და ყოფილი სამხედრო ტყვეები საყასბოში შესალალი საქონელივით ჩამოგვყარეს, და ცოტაოდენი ყბებში „მოფერების“ მერე რუსთავის დიდ სანატორიუმში გაგვამწესეს, სულ რაღაც ოცდახუთ-ოცდახუთი წლით.

ჩიორა იოლად მიხვდა, რომელი სანატორიუმშიც ჰქონდა მხედველობაში.

— რატომ, რა საბაბით? თქვენ ხომ მოღალატეები არ ყოფილხართ?

— მაგას ვინ კითხულობდა. ტყვედ როდესაც ვარდებოდით, რატომ თავები არ დაიხოცეთო. ცემა-ტყეპას არავის ამაღლიდნენ. მე ნაწილობრივ იმან მიშველა, რომ ომში მოხალისედ ვიყავი წასული და ნაჭრილობევიც მიდასტურებდა, ტყვედ ჩაუარდნისას გონება რომ მქონდა დაკარგული.

„რამდენი უბედურება გადაუტანია ამ კაცს, — დააჯამა ჩიორამ, — მე კიდევ რა სისულელები მოუწმახე“.

— იქ, რუსთავის კოლონიის მართვან-ღა გექცოდნენ?

მოხუცმა სარკასტულად ჩაიციხა.

— დიდებულად, ზღაბრულად, მხოლოდ ეს იყო ცული, რომ თუ დილით კაკაოზე და კარაქიან პურზე უარს განვატყობდით, საღამოს გადამახილზე მწყობრის წინ გამოგყავდით და ლაერენტი პავლოვისის სახელით საყვედურს გვიცხადებდნენ.

ამ ირონიული განმარტების შემდგომ ცოტა ხნით ვაფურდა, შეეტყო რაღაცას იხსენებდა და უცებ შემოენით ვაგულისება.

— უხ, იმათი დედის სული! — რისხვით ააცახცახა ორთავე მუშტი, — კონცლაგერი ვწვლგან ერთი ჭირია, ვინდ ფაშისტებთან და ვინდ ბოლშევიკებთან.

ჩიორამ კიდევ უფრო მეტად იგრძნო სირცხვილი.

„აჯობებს დროზე უუგანო და გავეცალო“. სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

— ბოდიშს ვიხდი, ბიძაჩემო, — ალალი მონანიებით უთხრა, — არ ვიცოდა თქვენი ისტორია და მამაკითვით; ეხლა კი წავალ, თორემ, შესაძლოა, ფროსიამ ვიხური გამოკეტოს.

ბიჭმა ცარიელი ზურგნანთა ილიაში ამოიხარა და ნაეიდან გადახტა.

— ვერე არ წახვიდე, — გააფრთხილა მოხუცმა, — იარაღი წაიღე, ხომ იცი, ეშმაკს არასოდეს არ სძინავს.

— რა ოხრად მინდა, — შეიცხადა ჩიორამ, — ზეიადისტებმა ხომ ამ დილით დასტოვეს აქაურობა. ისე, კაცმა რომ თქვას, ასე ხატის ხარებივით რატომ გაუშვეს თავის ნებაზე?

ბერძენმა სათვალე მოიხსნა და ახლა ისე დააკვირდა.

— ევ მოლაპარაკების შედეგია, — ამცნო, — აქაური კომისრის დამხმარება. შენ კი იარაღი მაინც წაიღე. ყოფილ პრეზიდენტს აქაც ბევრი მომხრე ჰყავს და ახლა, როდესაც თქვენებმაც დასტოვეს ქალაქი, შემოდგომის ბუზებივით აფუთფუთდებიან და მწარედ დაიწყებენ კენას.

— კარგი, დავიჯერებ. — მორჩილად დაყაბულდა ბიჭი და ტურბახისაკენ გაე-

მართა, სადაც მისი მეგობრები კინკის მორიგ ხელს ამთავრებდნენ.

ამჟამად კისა-კისას გაუმართლა, ბოლო დაკვეთა შეასრულა და პირველობაც გაინაღდა. გახარებულმა მძიმე ყოფაქცევის ქალივით ატეხა ტრეციალი და იმის თავაშვებულ სიცილზე ყველანი გამხიარულდნენ. სულ გადაავიწყდათ, სადღა რატომ იყვნენ.

მართლაც სასაცილო ვინმე იყო კისა-კისა — ქერა, ბუნწულა და ჭროღაფივლება. მენხერი უღვაში ჰქონდა მოშვებული და ზედმიწევნით წააგავდა შემძლე ოჯახის განებიერებულ კატას. ამიტომაც შეარქვეს მამაკაცმა ჯერ „ფისო“, მერე „კისა“, და ბოლოს „კისა-კისად“ მონათლეს.

ჩიორა ფანჯრიდან აღარ გადაძვრა, კარიდან სცადა შეძურწულიყო, მაგრამ ზედმა უმუხთლა, როგორც კი ცხვირი შეჭლა, დიდმა დათომ იმწამსვე დაიღრინა:

— შემოეთერი, ბოლმა აღარა მაქვს, უკვე გამიარა.

წინილაპარია ლეკვით ყურებჩამოყრილი შეიტმასხა ჩიორა, მაგრამ გაფაციცებული იცქირებოდა, დიდ დათოს არ ენდობოდა, ეშმაკმა უწყოდა, როდის წამოუფრიტინებდა.

— იარაღისათვის მოუბრუნდი, — ძე ცთომილის ხმით განაცხადა, — მოხუცმა მირჩია, ისე არ წახვიდეო.

— არეის საშოვნელად ვინ დადის ავტომატით, — შეეკამათა პატარა დათო, — შენც ხანის მცველივით არ მიპქარო.

— იმან რა მიპქარა რო? — დაინტერესდა კისა-კისა.

პატარა დათომ უნდობლად შეათვალთვალა, მაგრამ თაღლითობისა ვერაფერი შეატყო. კისა-კისა ალალი მხერით უყურებდა.

ბაირამობის დღესწაულის წინ ხანმა თავისი მცველი ბაზარში გააგზავნა ძვირფასი ფაფახის შესაძენად. ის ოტროველაც წავიდა და მალევე მობრუნდა საუკეთესო ფაფახით ხელდამშვენებული, მართლაც დიდებული კრაველით.

— სულ ეგ არის? — გაუკვირდა დიდ დათოს, — მიქარვას რაღატომ ამბობ?!

ამბის მოხრობელს ყურებამდგევაუნსა პირი.

— მიქარეა ის არის, რომ იმ ყვეენმა ის ფაფახი მთელ ქალაქში ცნობილი სოვდავრის თავიანად მიიტანა.

მოულოდნელი ფინალისაგან ბიჭები ჩაბვირდნენ და ვიდრე გულს მოიხებდნენ ჩიორამ დრო იხელთა, ავტომატი დაითრია, ფანჯრიდან გადახტა და ისე დაითხა ღოდის ცხენიც ვერ დაუწყოდა.

— მაინც გამასწრო ამ ვირიშვილმა, — კბილები გაახრჭიალა დიდმა დათომ, — ნამდვილი ხუთკუნჭულაა ეს ოხერი.

ამასობაში ჩიორამ ბერძენსაც ჩაუარა, არხზე გაღებულ ვიწრო ხილზე გადავიდა და ცენტრისაკენ აიღო გეზი, იქ სადაც „სეცხლოვანი წყალი“ ეგულებოდა. მოხუცმა მხერა გააყოლა და უნებლიედ გაეღიმა. ტანმორჩილ ჯარისკაცს ბეჭზე გადაკიდებული ავტომატი თითქმის მიწაზე მისთრეულა და ომში მიმავალ ჩარლი ჩაპლინსა ჰკავდა.

„შენი დამარცხებული არმია რა ვთქვი...“ გუნებაში ვაივლო, მერე სილაზე მიყრილი ნიშნები აიღო, ნაეში ჩაყარა, კინოდან მიაწვა და წყალში შეაცურა.

წინ გრძელი გზა ედო, მდინარემდე უნდა ასულიყო იქამდე, სადაც სასროლი ბადით თეჯაობა შეიძლებოდა.

ადმინისტრატორის ოთახში მყოფმა ბიჭებმა თამაში მოამთავრეს და საუხუმის თადარიგს შეუღვნენ. ჩაიღანი ელექტროქურაზე შემოღვეს, კონსერუები გახსნეს, მაგიდაც გადაწმინდეს და ჩიორას დაუწყვეს ლოდინი.

მუსტრების ვასახარად ფროსიას ჯიხური დია აღმოჩნდა და ჩიორამ, რაც განზრახული ჰქონდა, უკლებლივ შეიძინა. მერე ქუჩის მეორე მხარეს გადაინაცვლა და პურის მაღაზიასთან გრძელ რიგში ჩადგა.

ომი და ქაოსი აქაც იგრძნობოდა. მოქმარებულთაგან ზოგი ახალ პრეზიდენტს ლანძღავდა, ზოგიც ნაპრეზიდენტალს, ხოლო ქალაქის მერს უკლებლივ ყველა ავიწყებდა.

უცნობი ჯარისკაცის გამოჩენისთანავე რიგში მდგომნი ახლადმოსულს მიანერ-

დნენ, ისე უნდობლად თითქოს უცხო-
ლანტელი გამოცხადებოდათ. ჩიორა კი,
ვითომც არაფერიო, იმდაგვარად ასტყე-
როდა ზეცას და მზერადქცეულ ხალხს
აგრძობონებდა, „ფეხებზე შვიდია თქვე-
ნი აზროი“. ამასთანავე სხვასაც ფიქრო-
ბდა — „ახლა დიდი ლეღვა რომ არ იყოს,
ზღვაში ჭყუმპალს არაფერი აჯობებ-
დაო“.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა,
რიგამც მოუწია, ნახევრადცოში პურები
შეიძინა და ზურგჩანთაში ჩააწყო, ისე
რომ არყის ბოთლი შუაში მოაქცია, შე-
მთხვევით არ გამიტყდესო.

ტურბაზისაკენ იმავე გზით დაბრუნდა,
დიდრონ ეკალიბტებს შორის გაკვალუ-
ლი ბილიკით. სტვენა-სტვენით მოდიოდა
და ერთი შეხედვით ცუდი განწყობილება
არ ჰქონდა, სინამდვილეში ყველა სახ-
სარი ღრღნიდა და კუნთებშიც თითქოს
ვერცხლისწყალი ჰქონდა ჩახხმული.

ავტომატებისა და ტყვიამფრქვევის
სროლის ხმა არხთან მიახლოვებისას შე-
მოესმა. ყველა იარაღიდან ერთდროულად
ატყდა ბათქიბუთქი. სულ მცირე ოცი-
ოცდაზუთი კაცი მანაც აქუზებდა ჯოჯო-
ხეთის იარაღს და ამასთანავე — უწყვე-
ტლად.

პირველხანად ვერაფერი იაზრა, ტან-
მსხვილი ეკალიბტის ძირში ჩაჯდა, არ-
ყის ბოთლი ამოიღო და „ცეცხლოვანი
წყალი“ ცერის დადებამდე მოსვია. სას-
მელს ჯერაც არ ჰქონდა გამჯდარი, რომ
უცებ დენდაკრულივით დაფეთებული წა-
მოვარდა, „ბიჭები“, გაუღელა გონებაში,
ბალახზე მივდებული ავტომატი აიტაცა
და საბრძოლველად გაამზადა.

იმ დროს, როცა მოულოდნელი სრო-
ლა ატყდა და ფანჯრის მინები ზრილით
დაილეწა, საწოლებზე ჩამომსხდარი ბი-
ჭები თანატოლი ვოგონეზის დადებით და
უარყოფით თვისებებზე პაექრობდნენ და
უცებ ვერც გაიზარეს, რა ზღებოდა. მე-
რე კი, როდესაც დიდმა დათომ იღრია-
ლა, „თავდასხმა!“ გონს მოეგნენ და კედ-
ლებზე ჩამოვიდებულ ავტომატებს მის-
ცვიდნენ. კისა-კისა გვერდით ოთახში
გაეარდა, დიდმა და პატარა დათომ კი
საწერი მავიდა გადააბრუნეს, ფანჯარას-

თან მიაჩინეს, ამოეფარნენ და სხვასაც
შედღუხი გამართეს, თუმცა მოწინააღმ-
დევეს ვერ ხედავდნენ და ინტუიციით,
ტყვიების ხმის მიმართულებით ისროდ-
ნენ. იმავე წამს მეორე ოთახიდან კისა-კი-
სამაც აუბათ მხარი.

დასაწყისში ყოველგვარი განსჯისა და
მდგომარეობის რეალური შეფასების გა-
რეშე აქუზებდნენ იარაღს, მაგრამ მერე,
ხის კედლებიდან რომ ტყვიებით ანატკე-
ჩმა ნაფოტებმა იწყეს ცვენა, მიხვდნენ,
რომ თავდაშსხმელები ბეკრნი იყვნენ და
ამასთანავე მიზანშიც კარგად ახვედრებ-
დნენ. ჩანდა საგულდაგულოდ ჰქონდათ
წერთა გაგლილი. ამასთანავე ისიც გან-
ჭკრიტეს, რომ თავის გადარჩენის მცირე
შესაძლებლობა ჰქონდათ და საფასბოში
შერეკიდ საქონელივით იყვნენ გამოშწყ-
ვეულნი.

დახმარების არავითარი იმედიც არ
გააჩნდათ, სამთაგრობო ჯარები დილაბნე-
ლში გაეცალნენ აქაურობას და მონალი
სეთა ოთხეული ტურბაზის დასაცავად
ისე დააყენეს და მიატოვეს, თითქოს ეს
ზუზულა რაიმე მნიშვნელოვან სამხედრო
ობიექტს წარმოადგენდა.

მათ გარდა ქალაქის ჩრდილო-დასავ-
ლეთ შემოსასვლელში „თეთრი არწივის“
ერთი ათეულიც გარნიზონივით ჩააყენეს
და ახლა უეჭველად ისინიც მათ მდგო-
მარეობაში იქნებოდნენ. იმათზეც მოეწ-
ვობოდა თავდასხმა.

რაცია, რომელიც გვერდით ოთახში
იღვა, მართალია, მოქმედი იყო, მაგრამ
მისი ამუშავება არცერთმა არ იცოდა.
როდესაც ჭაღარა მეთაურმა მათ წასვლი-
სას უთხრა, „თუ გაგიჭირდეთ, რაციით
გამოგვიძახეთო“, ახალბედებმა ისიც
ვერ შეკადრეს, ეთქვათ ეს აპარატურა
ოთხ მათთვის რკინის ჯართს წარმოად-
გენდა და მისი გამოყენება თუნდაც სცო-
ღნოდათ, ვის და სად უნდა დაკავშირებო-
დნენ, არ იცოდნენ.

ამასობაში სროლის ინტენსიობა ოდნავ
შენეღდა. „მჭიდებს თუ ცვლიან“, ვაი-
ფიქრა გადაბრუნებულ მავიდასთან თავ-
ჩაზრილმა პატარა დათომ, „მაღე შეტე-
ვაზე გადმოვლენ...“ და მართლაც მოწი-



ნაღმდევის ოცეული თავდასხმისათვის ემზადებოდა.

სულ მალე ცეცხლი ძველებური სიხშირით განახლდა და ბიჭებმა ისიც შენიშნეს, რომ სამოქალაქო ტანსაცმლიანი მოწინააღმდეგენი ზოგზაგებით გამოობოდნენ გამწვანების სიღრმეში მდგომი ხეებიდან არხისპირა ეკალიტებისაკენ.

— ცურვით არ გადმოვლენ, — მეგობრის გასაგონად ივარაუდა დიდა დათომ, — აჯობებს ზიდი ამოვიღოთ მიზანში, იქნებ როგორმე იქ შევაჩეროთ.

გვერდით ოთახში კი კისა-კისა დროებით უკანა კედლისაკენ გაფორთხდა, ზურგით ზედ მიეყრდნო და სიგარეტს მოუკვდა.

სულ ცოტა ხნის წინ, როდესაც ფანჯარასთან ჩაცუცქული ისროდა, ლოყაზე ისეთი სიმწარე იგრძნო თითქოს კატამ ჩამოჰკრაო ბრჭყალი. ახლა ხელისგული ჩამოსევა და როდესაც დახედა ნები სისხლით ჰქონდა მოთხერილი.

„გამკაწრეს, — აღნიშნა თავისთვის, — თუ გადავური, ეს ნაიარევი ჩემს ფუნთუშა სახეს მამაკაცურ იერს მისცემს... იქნებ ნათიასაც კი მოვეწონო“.

ეს გაიფიქრა და დამცინავად გაეღიმა, „რა სისულელეები მიტრიალებს გოგრაში, ახლა ამის დროა?“

რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა და ძველ პოზიციას დაუბრუნდა. ლოყიდან ღვარად ჩამოსდიოდა სისხლი და კისერში ეღვენებოდა.

შერე გარკვევით გაიგონა, არხის იქით როგორ დაიფორა ვილაცამ, მაგრამ სიტყვის აზრს ვერ მიხვდა, თუმცა იგივე ხმამ ეს ძახილი რამდენჯერმე გაიმეორა.

ეს ფიქრილი გვერდითმყოფებმაც გაიგონეს. პატარა დათომ იოლად გაშიფრა — „ზურგია“ და ამის შემდეგ სროლაც შეწყდა. მხოლოდ ერთი ავტომატილა ისროდა და ისიც გამწვანების სიღრმიდან.

ცოტა ხანში საბრძოლო მოქმედება კვლავ განახლდა, ამასთანავე მეტისმეტად უცნაურად, ტყეები მათკენ აღარ მოწოდნენ, ვეღარი გამწვანების სიღრმეში ისროდნენ. განცვიფრებული ბიჭები დიდი დათოს შემახილმა დაუბრუნა რეალობას.

— ჩიორა! — იღრიალა მან, — ფეჩენული ორაა!

ამ ყვირილზე კისა-კისა ფეთიანით შემოვარდა. თვალები მონადირე კატასავით უელავდა.

— მართალი ხარ, — ხაველით დაუდასტურა, — ჩიორა ისერის.

დიდი დათო, რომელიც ყოველთვის სწრაფად იღებდა გადაწყვეტილებას, უცებ წამოიშართა და კარისაკენ გაეშურა.

— უნდა მივეშველო, — გარკვევით თქვა, — მოკლავენ, აუცილებლად მოკლავენ.

ღერეფნის გარბენით სამთავენი ეზოში გაცვიფრნენ, ყოველმხრივ დაუცველ ტერიტორიაზე და ეს საქციელი სამიხუნდ დადგომას უდრიდა.

გარეთ გასვლისთანავე მუხლებში ჩაიხარნენ და როგორც წერთნის დროს საძებრო ინსტრუქტორმა ასწავლათ, ქედნადრეკილები გაიქცნენ არხისაკენ, იქ, სადაც ახლადმეღებილი ნაგები ირწეოდნენ.

კისა-კისამ იცოდა, მოხუცი ბერძენი სადაც ინახავდა ნიჩბებს, ერთი წყვილი ნახევრადდაშლილ გადაბრუნებული ნაგების ქვეშიდან გამოიღო და მომლოდინე მეგობრებისაკენ გაიქცა.

სამივენი დიდ ნაგში ჩასხდნენ და გაღმა ნაპირისაკენ გასწიეს.

დიდი დათო კინოზე იჯდა შემართული ავტომატით ხელში და ყოველ წამს ელოდა ან ახლა, ან ახლა აგვიტყვენ სროლასო, მაგრამ იმ ნაპირიდან, რომელსაც უახლოვდებოდნენ, ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

არხის პირს ვერაც არ იყვნენ მიმდგარნი, რომ დიდი დათო გადახტა და დამრეც ნაპირზე გაწვა. გაფაციცებით იცქირებოდა ვველა მხარეს, შერე მისი მეგობრებიც გაერთხნენ აქეთ-იქეთ.

— დაუჯერებელია, მაგრამ მგონი წასულან. — ივარაუდა კისა-კისამ.

პატარა დათო არ დაეთანხმა. — შეეჭეება, — უთხრა, — იქნებ ხაფანგს გვიკვებენ და ახლოს გვიტყუებენ.

მათი საუბარი დიდმა დათომ ტუნზე თითისმიდებით შეაჩერა „განუშდითო“, თან საგულდაგულოდ აფურადებდა, პო-

ლოს სწრაფად წამოდგა და, თითქოს წვეულებაზე მიდისო, ისე აულელევებლად გაემართა ევკალიბტებისაკენ.

ბიჭებიც ვევრდივევრდ მიჰყვნენ.

თავდამსხმელები მართლაც წასულიყვნენ, მაგრამ — რატომ? მათ ხომ გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ, თუმცა უმსხვერპლოდ ამას ვერ შეძლებდნენ.

ახალბედა ჯარისკაცები გამწვანების სიღრმისაკენ გაეშურნენ. დიდი დათო შუაში, მისი მეგობრები კი აქეთ-იქიდან მისდევდნენ შემართული ავტომატებით ხელში.

ბებური ევკალიბტის ქვეშ იბოუნეს ჩიორა. გულადმა იწვა. ხელები ჯვარცმულივით თავზევით და განგანზე ჰქონდა გადაყრილი. ერთ მუშტში მჭვდი ეჭირა, მეორეში კი რამდენიმე ტყვია ჩაებლუჯა. ავტომატი თავდამსხმელებს წაელოთ.

ბიჭებს არც მოთქმა-შეცხალება გაუმართათ და არც თავში წაუშენიათ ხელეები. დაზაფრულები იდგნენ და მოკლული მეგობრის ცხედარს დასცქეროდნენ, რომელიც თავითფეხამდე ხაცერავით იყო დაცხრილული.

— გამართული მღგარა, — ხორხის მიერი მშრალი ხმით აღნიშნა დიდმა დათომ, — არ მორიდებია... არც არაფერს ამოჟფარებია.

ისეღაც ფერმერთალი პირისახე მთლად სანთლისფერი გახდომოდა ჩიორას. წინწამოწეული პატარა ყურებიც თეთრ ნიჟარებს მიუგავდა — სიფრიფანა და სხივკამტარი. საფეთქელზე ღრმა ჭრილობა აჩნდა, სისხლი ჯერ კიდევ ვონავდა, და მაინც ევკალიფერზე საოცარი მისი პირისახის გამომეტყველება იყო, — ოღნავშესამჩნევი დამცინავი ღმინილი, რომელსაც დანანებისა უფრო ეთქმოდა — „ეპ, რა იოლად გაფუჭდიო...“

თვალები წარბებისაკენ გაქცეოდა, გასციებოდა და დიდრონ მარგალიტებით უბრწყინავდა. გადათეთრებულ გუგებში ევკალიბტის სიმწვანე ირეკლებოდა — ხახხასა და ცოცხალი.

დიდი დათო თავითთ დაუდგა, უცქირა, მერე მოიხარა, ცერი და საჩუქრებელი თითები ქუთუთოებზე ჩამოუსვია და თვალები დაუხუჭა.

„სამუდამოდ, — გაიფიქრა სიამარბილი ხისოდ“.

ცოტა ცოტა ხნის შემდეგ ძალდატანებით მარჯვენა მჯილი გაუხსნა, რომელშიც ჩიორას სამი ტყვია ჩაებლუჯა. ჯერ დააცქერდა, რაღაც სიმბოლური იგრძნობოდა ამ სამ ტყვიაში. მერე ერთი გომნასტურის ჯიბეში ჩაიღო, თითო-თითო კი კისა-კისას და პატარა დათოს გაუწოდა. როდესაც იმათ ტყვიები ჩამოართვეს, კვლავ მოიხარა, დაღუპულ მეგობარს ხელში შერჩენილი ავტომატის მჭვდი აართვა, გაღმობრთიყდა და ჩახედა. ვაზნის ნასახიც არსად ჩანდა, ერთიანად ცარიელი იყო.

— ბავშვობაში შაშვი მოვკალი, — რატომღაც უადვილოდ ვაიხსენა კისა-კისამ, — ხიდან ჩამოვავდე შურდულით და ასალებად რომ მივედი, ფრთებგაშლილი ველო... დავხედე და ვერ ავიღე.

ეს თქვა თუ არა განზე გადგა, სიგარეტს მოუკიდა და იქვე, პატარა ჩირგვის წინ ჩაიცუცკა. ზედიზედ რამდენჯერმე მოქანა, უცებ სიგარეტი შორს მოისროლა და სახე ხელებში ჩამაღა.

ბიჭს გამძლეობა აღარ ეყო, უხმოდ იცრემლებოდა და რატომღაც შვებას ვერ გრძნობდა.

— წადი, გადახაფარებელი მოიტანე ან სხვა რაიმე, — დასაქმა დიდმა პატარა, — უნდა გადავიყვანოთ.

ის დავალების შესასრულებლად რომ წაიდა, დიდმა დათომ უნებლიედ ევკალიბტის მეორე მხარეზე ზურგჩანთა შენიშნა, ახალბედა მივიდა და მაშინდა შეამჩნია ბალახებში ჩადებული არყის ბოთლი. გულშეკუმშული დააცქერდა, ველში სპაზმები იგრძნო, ძლივს შეიკავა თავი.

— ო, ღმერთო, რა დაგიშავით, რა შევცოდეთ ასეთი? — მშრალი ხმით ამოიგმინა, არყის ბოთლს ტერფი გაჰკრა და წააქცია. „მთლიანად მაინც დაეცალა ამ უბედურს...“ გაივლო გუნებაში.

პატარა დათო უკან ბრუნდებოდა, არხზე ნავით მოცურავდა, მზე უკვე ხეთა სიმძლავრეზე იდგა და გვარიანად აცხუნებდა. ბიჭს მარჯვენა ლოყა და ფერი უხურდა. გაზვითქული იყო და მაინც

ისე გამაღებული უსვამდა ნინებებს, თითქოს სადმე აგვიანდებოდა. სქელი ბრეზენტის ხაკისფერი გადახაფარებული ნავის ცხვირზე ჰქონდა მიგდებული.

ჩიორასთან დარჩენილ ბიჭებს საოცრად გაჭიანურებული ეჩვენათ დრო, თითქოს ყოველივე შეჩერდა და გაიჩინდა. ნიაჟიცი არ იძროდა და აღარც ჩიტები ჭლურტულდნენ. ირგვლივ რაღაც არაბუნებრივი სიჩუმე იდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, პატარა დათოც გამოიხდა მხარზე გადაკიდებული ბრეზენტით, რომელიც მოხელისთანავე მოკლული მეგობრის სიახლოვეს გაფინა და გაასწორა.

— ფეხებიდან ამიწიეთ, — სთხოვა დიდმა დათომ. თავად ჯერ ხელები გადაუჯვარედინა, მერე იღლიებიდან ასწია და მეგობრების დახმარებით ბრეზენტზე გადაასვენა. ცხედარს კისერი არ გადავარდნია, გამშებული ჰქონდა.

ნაეში ჩასხდომა გაუჭირდათ. პირველად უზღებოდათ ცხედარის გადატანა. ბოლოს დიდმა იმარჯუა, ნაეი შემოატრიალა, ბოლოთი მიუყენა ნაპირს და ბიჭებმა ბრეზენტში გამოხვეული ჩიორა გვერდულად გადააწოდეს; იმანაც მუხლებზე პატარა მძინარი ბავშვივით გადაიწვინა და სწორედ მამის მოხდა, რომ კბილები გაახრჭიალა და ორი მძიმე კურცხალი გადმოუგორდა.

ჩიორა ადმინისტრატორის ოთახში საწერ მაგიდაზე დაასვენეს, ზედ ზეწარი გადააფარეს და მამის შეხედეს ერთიმეორეს პირველად. ახლა უკვე აღარ იცოდნენ, რა ეკეთებინათ, რა ელონათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ყველაფრის იმედი გადაწურული ჰქონდათ.

— სხვა გზა არა ვაქვს, ბერძენს უნდა დაველოდო, — ჩაილულულა პატარა დათომ, — გამოცდილი კაცია, რაღაცას გვირჩევს.

სამთავენი მიხედნენ, სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ, ანდა ვისთვის უნდა მიემართათ ამ უცნობ ქალაქში, ვინ შეეშველებოდათ უბედურებაში.

ისიც კი არ იცოდნენ, რომ მოხუცი ბერძენი საღამომდე არ მობრუნდებოდა. მაგრამ სხვაგვარად მოხდა.

მდინარის პირას მოთევზავე ბერძენს ვალმა მხრიდან ნაცნობი შეეხმობა მჭრე ბაზაში დიდი არეულობა, იქიდან გამუდმებული სროლის ხმა ისმისო, და ისიც დაუყოვნებლივ გამოეშურა უკან, ცუდი წინათგარძნობით გულდაძმობებული.

ოთახში შევიდა და მაგიდაზე ზეწარგადაფარებული ცხედარი დაინახა, იმწამსვე ფეხზემდგომ ბიჭებს შეავლო მზერა.

— ჩიორა?! — ძლივს ამოდერდა სათქმელი, — ჰო, ჩიორა...

ჯერ თავდახრილი ჩააცქერდა იატაკს, მერე განსვენებულს მიუახლოვდა, ზეწარი გადახადა და ათრთოლებული ხელი ქონორზე გადაუსვა.

— დედა ცოცხალი ჰყავს? — იკითხა.

— ჰო, — მიუგო რომელიღაცამ.

— ვაი იმ უბედურს. — აღმოხდა და ცხედარს სახეზე ზეწარი გადააფარა.

ბერძენი უცრად ღრმად მოხუცებულს დაემსგავსა, მოიშწვარა, ნაოჭებიც უფრო გამოკვეთილად დააჩნდა. მერე საკამთან მივიდა და მძიმედ დაეშვა. ჩაბრუნებული ხელისგულები მუხლებზე დაიბჯინა.

— თქვენიანებს ალბათ ვერ დაუკავშირდებით, — ივარაუდა, — არც ჩამოყლენ, ერთი ჯარისკაცის გამო თვითმფრინავს არავინ მოაძღვენს... ასე რომ გამოსავალიც არა ვაქვს, ისევ აქ მოვიწვევს ღაკრძალვა.

შეაახუხებთ არავინ წებშიანებიც, მხოლოდ უსმენდნენ და ნათქვამის მნიშვნელობას სრულად ვერც კი ხედებოდნენ.

— მე წავალ და ვალოდას მოვიყვან.

— თქვა მოხუცმა და წაიღვა.

— ეგ ვინაა? — იკითხა დიდმა.

— ვინც ბალზამს გაუკეთებს, — უპასუხა იმან, — სხვანაირად არ შეიძლება, წესია ასეთი.

თქმისთანავე კარისკენ გაეშურა. ჩოჩალით ადგამდა ნაბიჯებს. ეტეობოდა, ძალდატანებით მიდიოდა.

ვიდრე გავიდოდა, შედგა და შემოტრიალდა.

—სად მოკლეს? — თვალი გაუსწორა დიდ დათოს.

—გაღმა ნაპირზე, — უთხრა იმან, — ეკალიპტოს ხის ძირში.

— ვიდრე მოებრუნდები, გადადი და სადაც იპოვნეთ იქვე გაუთხარეთ სამარე. ნიშნები და ბარი საკუჭნაოშია, იქ კი მიწა ფხვიერია, არ გაავჭირდებით.

მოხუცი როგორც კი წავიდა, ბიჭები საწოლებზე ჩამოსხდნენ და სივარუტები გააბოლეს. ნიკოტინი თითქოს სადარღებელს უმსუბუქებდათ, თუმცა ეს მხოლოდ ეჩვენებოდათ, სინამდვილეში კერძოდ შეელოდათ.

— შე აქ დავრჩები, — ირჩია დიდმა დათომ, — თქვენ კი გადადი და გათხარეთ. ავტომატებიც თან გაიყოლეთ.

უკვე შუაღლე იდგა მოხუცი რომ მოებრუნდა. თან ხნიერი, კოჭლი კაცი მოიყოლა, ტყავის გაბერილი ჩანთით ხელში. ახლადმოსული უცნობი დათოს მიუახლოვდა და უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი. მერე ჩანთა სკამზე შემოღო.

—ვედრო და თბილი წყალი დამჭირდება. — მოითხოვა მან.

—ეზლავე შემოვლამ, — ბერძენი თავის დაქნეით დაეთანხმა და მერე დიდ დათოს მხარზე შეეხო ხელით, — ბიჭები წავიდნენ?

— კარგა ხანია, იქ არიან. — მიუგო იმან.

— გადადი და შენი მიეშველე, — დასაქმა მოხუცმა, — დამაიწყდა მეთქვა, ფართედ გათხარეთ, გრძელადაც, მხოლოდ ღრმად არა. ადრე თუ გვიან გადასვენება მოგვიწევს.

დათომ საწერ მაგიდაზე განრთხმულ შეგობარს გახედა.

— აქ ვალოდია იქნება, — დამშვიდა მოხუცმა, — ის მიხედავს.

როგორც კი ორთავენი ოთახიდან გავიდნენ, ახლადმოსულმა ჩანთა გახსნა და იქიდან სპირტით სავსე სამედიცინო ბოთლი ამოიღო, საცობი მოაძრო და პირდაპირ მოიყუდა. არც იყო ვასამტყუნარი. ფხიზელს ვასაკეთებელი საქმე ეძნელებოდა. ეს პროფესია კი გაჭირვებამ აიძულა.

დაბინდებამდე უკვე ყველაფერი უღმურთაერებული ჰქონდათ. სპირტიც განსხვავებული იყო, ვალოდიაშიც ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. ბიჭებმა ისიც მოახერხეს, რომ კომისარიატიდან თბილისს დაუკავშირდნენ და უფროსობას მომხდარი აცნობეს. იმათაც ჩიორას ადგილობრივ დაკრძალვაზე თანხმობა მისცეს და ისიც ურჩიეს იქაურობას გასცლოდნენ, „ჩვენი დახმარების იმედი ნუ გექნებათ, მოწინააღმდეგეებმა გზები გადაკეტეს“. მოკლედ „ჯანდაბამდე ვხა გქონიათ!“ ასე ერქვა ამას.

ვიდრე საქმიანობდნენ, ბიჭებს ისე არ უჭირდათ, თითქოს გულს აყოლებდნენ, შემდეგ კი, საკეთებელი რომ მოილიეს და ოთახში შეიყარნენ, აღარ იცოდნენ, რა ელონათ, რა წყალში ჩავარდნილიყვნენ. გაუსადლისი აღმოჩნდა უტყვად ჯდომა და მოკლული მეგობრის ცქერა.

მოხუცი მცირეოდენი ხნით გავიდა და მალევე შემობრუნდა ძველებური კვარტიანით ხელში.

— მომისმინეთ, — ერთგვარად მომთხოვნი ტონით თქვა, — ახლა იქით ოთახში გადი და ისაუბრეთ, ვხვდები დღეს ხეში არ ჩავსვლიათ ველში. ასაკით უფროსი ვარ და გამოცდილებაც მეტი გამაჩნია, უნდა დამიჯეროთ.

თქმისთანავე ბოთლიანი ხელი მათქვენ გაიშვირა.

— ეს ხურმის არაფია, — აცნობა, — ცოტ-ცოტა დალიეთ, გუნებას გაგიხსნით, ასე აჯობებს.

ყოველივე უბრალოდ და დამაჯერებლად წარმოთქვა.

ვიდრე გაცლებობდნენ, კისა-კისა წინ გაუჩერდა და ჰკითხა:

— როდის დაეკრძალავთ?

ბერძენმა პირისახის სივრცეში ჩამოისვა ხელისგული.

— ხვალ. — გადაწყვეტილად ამცნო.

— რაში? — ახლა პატარა დათო შეეხმინა, — ბრეხენტში ვახვეულს ხომ არ ჩაეასვენებთ...

— არა, — იუარა მოხუცმა, — ერთი ახალთახალი ნაეი მაქვს, ჯერ წყალშიც არ ჩამიშვია, იმაში მოვათავსებთ,

ხემოდან კი ფიცრებს დავაკრავ. უკვე ყველაფერი მოვისახრე.

ბიჭები უხმოდ დაეთანხმნენ. უკეთეს გამოსავალს ვერც თაქად ხედავდნენ.

მაგდას რომ მიუსხდნენ და თითო ჭიქა გამოსცალეს, დიდმა დათომ შუა თითონი მიიბიძგა საფეთქლებზე.

— დედაჩისს რა უნდა ვუთხრა, რა პირით შეეხედო?! — გამწარებულმა ამოვიმინა, — მე ხომ თითქმის ძალისძალად წამოვიფვანე. მართალია, თავადც უნდოდა, მაგრამ მაინც... ახლაც შესმის, როგორ მოგვეციოდა საწყალი ქალი — „მოკლავენ, აუცილებლად მოკლავენ!“

პატარა დათომ კვლავ შეუვსო სასმისი. ხელი უკანკალებდა და ბოთლის ყელი ჭიქაზე რაწკუნებდა.

— ხომ ხვდები, რომ ტყუილად ასკდები გულს, — თანაგრძნობით უთხრა, — ბედისწერაა ყველაფერი. შენ არაფერში ხარ დამნაშავე, თვითგვემით მოგდის... ჩვენ მაინც ხომ ვიცით, რატომ და რა მიზნით წამოიყვანე, გვეგონა გამოასწორებდი, უკეთესი გინდოდა და უარესი გამოვიდა... აღარაფერი ეშველება.

— იქნებ აღარც მოგვიციოს დედაჩისთან შეხვედრა, — სიტყვა ჩაურთო კისაკისამ, — ამ სასაკლაოდან არც მთლად იოლია თავის დაღწევა.

— ჰო, — უგერვილოდ დაეთანხმა დიდი, — ნამდვილად გავეკვირდება.

ამ დროს მოხუცი ბერძენი გვერდით ოთახში ღია სარკმელთან იჯდა და მზის შუქით ვარდისფრად შეფერილ ღრუბლებს გასცქეროდა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, ძალიან ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. ეს წადილი მის მოზღვავებულ საწუხარს ვერ ჯაბნოდა. „რისთვის, რის გამო? — აკვიტებოდა მოუშორებელი კითხვა, — ეს ახლადწამონიტული დღაპები რატომ ვუჭავენ ერთმანეთს, რა ძალა ადგათ? რომ ჰკითხო, ერთიც ვერ გაგვემს დამაჯერებელ პასუხს, რატომ სჩადიან ამას?“

მერე საფიქრალი სხვა მხრივ გადავსვლი

ძელა. „ამ განწირულმა ვმანწილებმა მთლიანად არც იციან მომხდარი უბედურებისა... სხვა გზა არცა მაქვს, როცა შემოვლენ, უნდა გაუუმხილო“.

ნახევარი საათის შემდეგ მართლაც შემოლავდნენ რივირგობით, ეტყობოდათ, სასშელი ოდნავ მოკვიდებოდათ. პირუანდელივით გაწუწული ლეკვებივით არ გამოიყურებოდნენ.

ყველანი ერთ საწოლზე ჩამოსხდნენ. ინსტიქტურად უნდოდათ ერთად ყოფნა. თითქოს ეშინოდათ, არაეინ დავგაშოროხო. თავადაც ვერ მოუძებინდნენ ახსნას ასეთ საქციელს.

მოხუცმა ბერძენმა გადაწვიტა უცბადვე მოუშორებინა სათქმელი.

— ზევ აქაურობას უნდა გავცალოთ, — მომთხოვნად განუცხადათ, — სხვაგვარად ცუდი დღე მოგვლითო..

— ვითომ რატომ? — შეიცხადა კისაკისამ, — მაგათ კაცი მოგვიკლეს და მაინც ჩვენ უნდა ვუვანოთ, კურდღლებივით გავიქცეთ?

მოხუცმა ხელი შემართა და გააჩუმა.

— თქვენ არ იცით, ანდა საიდან გაიგებდით, რომ ჩიორამ ორი ბიჭი იმსხვერპლა და ერთიც მიმივდ დაჭრა. ამბობენ არ გადარჩებო. დაღუპულები კი ისეთი ოჯახის შვილები არიან, რომ მათი ახლობელ-ნათესავეები აუცილებლად ეცდებიან შურისძიებას. ამიტომაც გირჩევთ, გაასწოროთ და ახალ უბედურებას გაერდით.

— კი მაგრამ სად? — იკითხა დიდმა დათომ, — ტრანსაზე თუ გაყალთ იქ ამოგვხოცავენ, არც ტყემლე მიგვიშვებენ, ფრთები კი ჩვენ არა გვაქვს.

— ზღვიით. — ურჩიათ ბერძენმა, — ნაცს მე მოგცემთ. ეგ ერთადერთი გზაა ხსნისა.

ამჯერად პატარა დათო ჩაერთო საუბარში.

— ჩვენ არც ნავის მართვა გვეხერხება ხეირიანად და არც ცურვა. ზღვაზე კი ისეთი ღელვაა, უეჭველად გადაგვაბრუნებს და ბრმა კნუტებივით ამოვიზ-

ჩრობით... ისევ სჯობს, დავრჩეთ და კაცურად ამოვწყდეთ.

მოხუცმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— ახლა არც ქარია და ამინდსაც კარგი პირი უჩანს. უფიქრობ, მალე დაწყნარდება და აღარაფერი შეგიშლით ხელს.

— როგორც თქვენ ამბობთ, თუ ის ჯარისკაცები ჩიორამ დახოცა, მაშინ საპატიუროც გადახდილი აქვთ და ჩვენზე რატომ უნდა იძიონ შური? — აღშფოთებით თქვა კისა-კისამ.

მოხუცს ცალკეად გაელიმა, რაც იმას ნიშნადა, არაფერი გაგვეგებო.

— იმათ არც იციან და არც აინტერესებთ, მათი ახლობლები თქვენ დახოცეთ თუ ჩიორამ. ახლა მათთვის უმთავრესია სისხლის აღება, რათა ყველას საკუთარი ვაჟაკობა დაუმტკიცონ.

დიდი დათო რალაცას ფიქრობდა და მარჯვენა ხელის თითებს ისვამდა შუბლზე.

— ვითომ რა უშლით ხელს, ამდამვე რომ შეასრულონ ჩანაფიქრი, ზეგამდე რალატომ დაიცდიან?

— დაიცდიან და თანაც მაზეგამდე, რადგან იმ ბიჭებს კვირას ასაფლავებენ. იქამდე კი არაინაა თქვენი შემწეუბეული.

საგონებელში ჩავარდნილ მეგობრებს ამ ძველისძველი ადათწესისა არაფერი გაეგებოდათ. გულჩათხრობილები დუმდნენ.

— თეთრი არწივის ბიჭებს რომ შევატყობინოთ, არ მოგვეშველებიან? — იკითხა პატარა დათომ.

— ვერ მოგვეშველებიან, — მიუგო მოხუცმა, — იმათ საკუთარი გაჭირვებაც ეყოფათ, მათზეც მოხდა თავდასხმა და ქალაქის სამხედრო კომისარი რომ არ ჩამდგარიყო შუაში, დიდი მსხვერპლი იქნებოდა.

— ვინმე ხომ არ მოუკლავთ?

— არა, არაინ, მაგრამ დაჭრილები საქაოდ არიანო, ასე მითხრეს.

ბინდს ღამე მოეძალა. ცაზე აქა-იქ გაჩონჩნდნენ ვარსკვლავები. არხის ვადაღმა

ჩაროგებული ეკალიბტები მთიერი ფეკაცებს დამსგავსენ. ოთახში შემაწუხებელი სინურე ჩაშოღვა. ფანჯრიდან ტალღების შრიალის ხმა შემოდოდა. ისე ქშენდა და გმინავდა როგორც მუნჯი ჭირისუფალი.

— ამდამდეღ ღამეს მე გავეუთენებ, — შესთავაზათ მოხუცმა ბერძენმა, — თქვენ იქნებ საწოლები გაიტანოთ და ცოტახნით მაინც მოისვენოთ, დაღლილები იქნებით.

— მაინც არ დაგვეძინება, — იუარა დიდმა დათომ, — ვიმორიგევევთ.

მოხუცი აღარ გაძლიანებია. ხედებოდა მართლები იყვნენ. ამ თითქოსდა უცხო ბიჭების ერთმანეთთან დამოკიდებულება მოსწონდა, თავშეკავებაც და სიღინჯეც. უკანასკნელი ღამე მართლაც უნდა გაეთენებინათ დაღუბული მეგობრისათვის. ეს მათი კაცური მოვალეობა იყო. თავადაც ხომ ასე მოიქცეოდა. მსგავსი რამ რამდენჯერმე ჰქონდა გამოცდილი და გადატანილი.

არც ერთი ღამე არ არის ისეთი დაუსრულებელი და მძიმე როგორც მიცვალებულთან გატარებულს. განსაკუთრებით ძნელია იგი ახალგაზრდებისათვის, ვისაც სიკვდილის საშინელება ჯერაც არ განუცდია სრულად და პირველად ხედება პირისპირ. სიუძლეურის შეგრძნება არასოდესა იმრიგად დამორტყუნველი და შემზარავი როგორც ამ შემთხვევაში. სწორედ ასეთ დროს ხედება ადამიანი თუ რა სუსტ და უსუსურ არსებას წარმოადგენს სინამდვილეში.

როგორ გაათენეს ღამე?.. როგორ?

ამას მხოლოდ ის მიხედება, ვისაც უახლოები მეგობარი დაღუპვია და მის ციება და უგრძნობელ ცხედართან საათობით მჯდარა.

ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს — გაჭირვებას, ტკივილს, დამცირებას, დაღატს და ბოროტებასაც კი, მხოლოდ სიკვდილს ვერ შეეგუება ვერასოდეს. თვით თვითმკვლელიც თავისი არაბუნებრივი საქციელით ამას ადასტურებს, იქნებ განუსჯელად, გაუთვი-



თინობიერებლად, მაგრამ საბოლოოდ ერთი აზრი აუცილებლად გაუელვებს კონებაში — „მინც დავამარცხე!“

რამდენი რამ გვაკლია რიგით პიროვნებებს სრულყოფილებამდე, ანდა იცის ვინმემ, რა არის სულიერი არსების სრულყოფილება?

მეორე დღეს დაბინდებამდე ვერ გაიმეტეს ჩიორა დასამარხად. ბიჭებს ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს ღალატობდნენ და ნაძალადევად იშორებდნენ.

მოხუცმა ბერძენმა რამდენჯერმე შეახსენათ, „დროა“. მაგრამ რომელიმე აუცილებლად ამბობდა, „ცოტა ხანს კიდევ“, თითქოს უკვე სამარადფაშოდ დაკარგულ მეგობარს შეეყოვნებოდა რაიმეს უშველიდნენ. სულაც იქნებ იმიტომ აჭიანურებდნენ, რომ თავად დაკრძალვის, ცხედარის მიწისათვის მიბარების პროცედურისა ეშინოდათ. იქნებ...

მაგრამ გარდაუვალი უნდა აღსრულებულიყო, ამას გვერდს ვერ აუვლიდნენ, ვერსად გაექცეოდნენ.

ბებერი ევკალიპტის ძირში, ფესვებს შორის გათხრილ სამარეში დაკრძალეს ჩიორა.

ახალთახალ ნაეში ჩასვენებული, ბერძენის მიერ საგულდაგულოდ ფიცრებით თავგადახურული, სქელი ბრეზენტიც კი გადააფარეს ზევიდან, თითქოს ამით რალაცივან იცავდნენ და უკანასკნელ დახმარებას უწყვიდნენ.

უკვე მიწით ამოვსებულ საფლავთან იდგნენ ბიჭები, როდესაც დიდ დათოს მოეჩვენა, რომ მოშორებით მდგომ ევკალიპტთან ერთიანად თეორ, ქათქათა სამოსელში გამოწყობილს ქალი იდგა და უკმაყოფილო მზერით მათკენ იცქირებოდა... და ეს ქალი ჩიორას დედა იყო.

მოლანდება საოცრად ცხადი, რეალური და ამიტომაც სულითხორცამდე შემზარავი აღმოჩნდა.

— ამან გადაგვარჩინა! — ნერვიულად და ხმაშაღლა გასმახა დათომ, — ჩვენ ყველანი ჩიორამ გვიხსნა!

რალა თქმა უნდა, ბიჭები ვერ მიხე-

დნენ, ვის შეეხშიანა მათი მივლიანი ამას ვერც წარმოიდგენდნენ და ამიტომაც მხოლოდ გუნებაში დაეთანხმნენ, „მართალია“.

ალბათ ფუჭი ოცნებაა, მაგრამ ხათქმელად მინც ღირს — დემრთმა არაგის გამოცდევინოს ის სიმძიმე, რაც ახლობელი ადამიანის სამარეში მიტოვებაა და უიმისოდ სახლში დაბრუნება. ვერაუი-თარი განცდა ვერ შეედრება სიმძაფრით ამ სატანჯველს, იმ აზრის შეგუებას, რომ „ოთხნი უწყავით და ხამნიღა ღაერ-ჩით“.

უკან მობრუნებული ბიჭები შეგნებულად დათვრნენ, სწრაფად მოეკიდათ სახმელი, ეგონათ ამით რალაცა ეშველებოდათ, მაგრამ შეცდნენ. ერთხელ ჩიორას საფლავზეც გავიდნენ და კიდევ მეტად მოიმატეს სადარდებელი. აღარ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ გაელიათ და შეეკვცათ დრო... დრო, რომელიც არახოდეს ყოფილა მათ მიმართ ასეთი უღმობელი.

მოხუცი ბერძენიც მათთან იყო, წუთითაც არ მიუტოვებია. ისინი კი ოთახიდან ოთახში დაბორილოდნენ, თითქოს ვილაცას ეძებდნენ, მერე შავიდასთან ბრუნდებოდნენ და უსიტყვოდ ხვამდნენ.

— ცოტაოდენი ხნით უნდა მიგატოვოთ, — მოულოდნელად გამოუცხადა ბერძენმა, — იმ დაღუბული ბიჭების მშობლები ჩემი ახლო ნაცნობები არიან, უნდა მიუხამძიმრო.

— შორს ცხოვრობენ? — კვითხა კისაკისამ.

— ძველ ბაზართან, — ამცნო მოხუცმა, — მოსკოვის ქუჩაზე, ერთიმეორის გვერდით, ისინიც ბავშვობის მეგობრები იყვნენ, თანაკლასელები.

ამ სიტყვამ „თანაკლასელები“ მთლად დამორგუნავად იმოქმედა ახალგაზრდებზე. თითქოს რალაც ჩაწყდათ მკერდში და სუნთქვა შეეკუზათ.

მოხუცი ბერძენი მძიმედ წამოიშართა ოა ამოიხრა. წარბებსშეკუმუხენილს დაქანცულის იერსახე კქონდა. მისი ას-

აკის კაცისათვის ძნელი იყო ამდენი დავიდარაბის გაძლევა.

— მე მალე დავბრუნდები. — დააიშედა ბიჭები და გავიდა.

როდესაც ის გაშორდა, პატარა დათო სარკმელს მიადგა და არხის მხარეს გაიხედა. მთვარე ჯერ არ ჩანდა და ვაღმა ნაპირი უკუნში ჩაძირულიყო.

— კარგი აღამიანია ბერძენი, — აღნიშნა კისა-კისამ, — მამასავით გვეპყრობა.

კუნაქტი და ამასთანავე ცხელი ღამე საწუხარს კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა და მაჯლაჯუნასავით აწვავდა გულზე.

თითქმის გამოფხიზლებული დიდი დათო საწერ მაგიდასთან მივიდა, იქ სადაც დღისით ჩიორა ესვენა, ზედ შემოდგომული კვარტიანი აიღო და ჭიქა შეივსო.

— მე უნდა წაიღე. — გადაწყვეტილად თქვა და სასმისი ერთი აქნევით დაცალა.

— სად? — შემოთუბით ჰკითხა პატარამ.

— პანაშვიდზე, — მიუგო დიდმა, — ჩვენი ტოლები ყოფილან და თანაც თანაკლასელები.

დამაფიქრებელი მდუმარება ჩამოდგა. ეს გადაწყვეტილება თავგანწირვას უდრიდა, საკუთარი ნებით სიკვდილთან მიახლებას.

პატარა დათომ კედელზე მიყუდებული ავტომატი აიღო და მხარიღლივ გადაიკიდა.

— მეც მოვდივარ, — მშვიდად განაცხადა.

„თუ სიგიჟეა, ერთად გავვიქდეთ“. გუნებაში გაივლო კისა-კისამ და მანაც იგივე მოიმოქმედა რაც მისმა ამხანაგმა.

— იარაღი დატოვეთ, — მომთხოვნი ხმით შეაგონათ დიდმა, — პანაშვიდებზე ავტომატით არავინ დადის.

მეგობრები უხიტივოდ დაემორჩილნენ.

იმ დროს, როდესაც ისინი სახლიდან გამოდიოდნენ, ქალაქის ძველ ბაზარ-

თან უამრავი ხალხი შეგროვდებოდა ჯგუფგუფად იდგნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ და დიდრონი ნათურებით გაჩახახებულ სახლს და ხეზილით დახურულ ეზოს გასცქეროდნენ.

იქ, მალა, მეორე სართულის დიდსა და ფართე ოთახში ოცი წლის ახალგაზრდა ესვენა. სამი მძიმე ტყვია ბუჭებში ჰქონდა ჩაჭედვლილი, რომელთაც უკანასკნელ გზაზეც ვაიფოლებდა.

განცალკევებით მდგომ შუახნის მამაკაცების ერთ ჯგუფს ხანდაზმული, ყაბალახიანი ხელების მოშველიებით რაღაცას უმტკიცებდა, და სრულიად მოულოდნელად სიტყვა გაუწყდა, ხოლო მხერა ერთ წერტილზე გაუჩერდა.

— შეჩვენება თუ... რა უბედურება მემართება?! — წყრომით ამოილულულა და ხელი ბაზრისაკენ მომავალ ქუჩას მიუშვირა.

იქ, შემოსასვლელ კუთხეში, ამჟამინდელი სამთავრობო ჯარების სამი რიგითი ჯარისკაცი მოდიოდა, ერთი შეხედვით ღინჯად და თითქოს მშვიდად თუმცა ვერავინ მიხვდებოდა, რა ქარბორბალა უტრიალებდათ სულში.

მათი გამოჩენა იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა, რომ ბაზრის წინ მოედანზე მდგომი ხალხი გაოგნდა და განცოფრებული მიაჩერდა მათ, ვისაც მათი აზრით დაღუპული ბიჭების ცოდვა ელოთ.

ყაბალახიანმა მის წინ მდგომ ჩანჩურა კაცს რაღაც დაავალა და ისიც გაჩქარებული ნაბიჯით გაეშურა სახლისაკენ.

ახლადმოსული უცხო ჯარისკაცები, რომლებსაც თეთრი ნიღბებივით ჰქონდათ სახეები გაფითრებული, ეზოსთან მივიდნენ და ჭოჭკრის მახლობლად შედგნენ. სამთავრო უაღრესად დაბნეულები ჩანდნენ და მათი ამჟამინდელი მოქმედება მხოლოდ ერთს დაღალებდა, „ეჰა მოკედით... ახლა თქვენს ხელთა ვართ“.

ნერვების დამზაფრავი სიწუმე, რომელიც მცირეოდენ ჩქამსაც არ დაურღვევია, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, და ყველასათვის მოულოდნელად მეორე

სართულის აივანზე მოხუცებული ქალი აკივლდა:

— აქ არ შემოუშვათ ეგ კაცისმკვლელები, ნაძირალები, იუდეები... არ შემოუშვათ, გაყარეთ, გარეკეთ! სისხლის-მსმელებო, მხეცებო, ეშმაკის ნაბუშრებო, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა, როგორ?

გაშმაგებით მომკივანი ქალი მოკლული ბოჭის ბეზია იყო, მისი გამზრდელი და დამფრთიანებელი. ამიტომაც არ გაიმტყუნებოდა. ამას ვეწვლა გრძნობდა, თვით კარიბჭესთან გახევებული ჯარისკაცებიც.

— დაიკარგეთ აქედან, ცოცხლად ჩასაქოლებო და ამოსაწვევებო. მალე, სულ მალე დადგება თქვენი დროც. ცოფიანი ძაღლებივით მოგსაობენ და გაგაწუჭავენ!

ძაძებით შემოსილ მოხუცებულ ქალს ხმა წაერთვა და უკვე ისე ხაოდა, რომ მის სიტყვებს ვეღარავინ არჩევდა. მერე ოთახიდან ორი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, დაღუპულის ბეზიას მკლავებში წაწვდნენ და ძალისძალიად შეიფეხანეს ოთახში.

ის კი მაინც ვაბძით, ისტერიულად, ხრიალეზდა და ალბათ დამამშვიდებელი ნემსებიც ვერ გამოიფეხანდა ამ ალგზნებული მდგომარეობიდან.

ხანდაზმულების ჯგუფს ყაბალახიანი გამოეფოთ, ბიჭებთან მივიდა, დოინჯშემოდგმული გაუჩერდათ წინ და თვალეზბით რამის შეეჭამათ.

— წადით აქედან, — მკაცრად უთხრათ, და ისიც იცოდეთ, დღეები დათვლილი გაქვთ, ვეწვლას, თქვენც და წაჩაღების იმ მეთაურსაც ახლა რომ პრეზიდენტს ეძახით, იმასაც მალე ამოვიღებთ ოთხში.

ჯარისკაცები უარესსაც ელოდნენ, უსიტყვოდ გაერიდნენ. არც მოხუც ბეზიაზე იფენენ ნაწყენები. ზედებოდნენ იმის უბედურებასაც.

ახლა მეორე სახლისაკენ გაეშურნენ, ისიც იქვე იდგა, ასიოდე ნაბიჯის მოშორებით. სამძიმარზე მოსული ხალხი

ერთი სახლიდან გამოდიოდა და მისი შედიოდა.

— შემეცოდა ის ქალი, — ჩაილაპარაკა პატარა დათომ, — ეტყობა ახლობელია და ამიტომაც იყო ასე გაკაპახებული.

— ეკ, — ამოიოხრა დიდმა დათომ, — რა გეკონდა გასაყოფი, რა ძალა გვაღვას, რას ვერჩით ერთმანეთს...

მოდიოდნენ და იქ მყოფ ადამიანებს, რომელნიც ისე უთმობდნენ გზას, როგორც სახადმეფრილებს, ზედ არ უფურებდნენ. ხანდახან ბიჭების სმენას მამაკაცების ბილწი ვინება და ქალების წყველა-კრულვა წვდებოდა.

მეორე სახლთანაც პირველის მსგავსი მდგომარეობა დახედათ. მხოლოდ ბინა უფრო მომცრო და მოძველო ჩანდა. ეზოში ხეივანი გაეშენებინათ და მიწაც კონიდრის ბალახით იყო გადახასხასებული. იქაც შესასვლის მახლობლად შედგნენ და იქაც ისეთივე ღუმილი ჩამოდგა. გარშემო მყოფნი არაკეთილმოსურნედ უფურებდნენ და ვერაფრით აეხსნათ მათი საქციელი.

— მასხრად გევიგებენ? — დაიბუხუნა ვიღაცამ მშრალი, ხრინწიანი ხმით. ეტყობოდა ნასვამი იყო.

— გაჩუმიდი, თუ კაცი ხარ! — გააჩუმა მბრძანებლურმა შეძახილმა, რომლის მოქმელიც მათ სიახლოვეს იდგა. ამ მაღალსა და მოსულ კაცს ოფიცრის ფორმა ეცვა, დიდი, კუზიანი ცხვირი და სქელი, ჩამოფანული უღვაშები ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ძლიერ პიროვნებას წარმოადგენდა.

ბიჭებს თავეები არც მოუბრუნებიათ, ისე გვერდულად გახედეს და მაშინ შენიშნეს ოფიცრის მხარმარცხნივ მდგომი ბერძენი, რომელიც დაჟინებით უძქეროდათ.

მალე ისიც შეამჩნიეს, რომ მოხუცი სახელოზე წაეპოტინა ოფიცერს და რაღაცის ახსნა-განმარტება დაუწყო, ამასთანავე მათკენაც ახედებდა. ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ საუბარი მათ შეეხებოდა. პოლო სქელულვაშა ვერადღე-

ბით უსმენდა ბერძენს და იგრძნობოდა, იმის სიტყვასაც ჰქონდა ფასი.

ბოლოს უღვამა ოფიცერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მხარზე ზედი დაჰკრა და ეზოში შევიდა.

დრო საერთო მდუმარებაში მიზობინებდა და, როდესაც ბიჭებმა გაიფიქრეს, ჩვენი წასვლის დროც დადგაო, ეზოდან ოფიცრის თანხლებით ხანდაზმული კაცი გამოვიდა და ორთავენი მათ მიუახლოვდნენ.

— მე გარდაცვლილის ბიძა ვარ, — გაეცნოთ ხნიერი, — გმადლობთ, რომ მოხვედით, შევიძლიათ, შეგვიდგეთ და სასახლეს შემოვართო, მხოლოდ ნურავის მიუსამძიარებთ, ზედმეტი იქნება.

„გმადლობთო“, ხნიერმა რომ თქვა, კისკისამ გაიფიქრა მომეფურაო და მეგობრებს გადახედა. ისინი კი განცვიფრებული გამოშტყველებით მისჩერებოდნენ დაღუპულის ბიძას და ეტყობოდათ, ვერ გაუაზრებინათ რა შესთავაზა, ერთ-ერთმა უახლოესმა ჭირისუფალმა. როდესაც ხნიერი გაშორდა, მაშინდა აღიქვეს ნათქვამის მნიშვნელობა.

— აედვიართო, — თქვა დიდმა დათომ, — მოსახლენი მოხდეს.

როგორც კი ეზოში შეაბიჯეს, ვარეშემო მყოფ ხალხში ისეთი ჩურჩულ-შრიალი გაისმა, თითქოს ნიაჟმა წამოუბერაო. უშეტეობა აღშფოთებას გამოთქვამდა, ნაწილი კი გაოცებას.

დიდი უხერხულობა იგრძნეს ბიჭებმა, ფეხები უკან რჩებოდათ. არ იყო იოლი იმ მიცვალებულის პატივისცემა და გარშემოვლა, რომელიც ყველას მათი მოკლული ეგონა.

როგორც აღმოჩნდა ჭირისუფლები ელოდნენ მათ მიხვლას. ოფიცერი და ბიძა წინასწარ თუ მოეთათბირნენ და არბორდინალური, უჩვეულო ვიზიტის ნებართვაც მიიღეს. მხოლოდ ის მოხდა, რომ ქალებმა წინასწარვე შავი თაშალები ჩამოიფარეს პირისახეზე, ხოლო მამაკაცები სისხლმონყურებული მგლებივით უბღვეროდნენ.

მართალია, მიცვალებულს სუღარა სახეს არ უფარავდა, მაგრამ ახლადმო-

სულთაგან არც ერთს არ ეცნო მხნეობას მისთვის დაეხედა. ეგ კი მონდგა მისი კედელზე მიმაგრებული გადიდებული ხურათისაკენ გაექცათ მზერა, საიდანაც თეთრ პერანგში გამოწყობილი ლამაზი ჭაბუკი უღიმოდათ.

ერთერთმა ჭირისუფალმა ქალმა გულისმომწველად ამოიკვნესა „ვაი, დედა...“ და მის უსასოო ჩივილზე ბიჭებს ცივმა ჭრუანტელმა გაუარათ, ნაბიჯს აუჩქარეს, კიბეზე დაეშენენ და იქაურობას გაეტკაღნენ.

ნაცემებივით მიუყვებოდნენ უკაცრიელ ქუჩას, გულნათხრობილად, მდუმარედ, ახლახანს ხილულს ვეღარ იშორებდნენ — იმ ჭაბუკის მომღიმარ სახეს.

ტურბაზისაკენ მიმავალ ბილიკზე გადაუხევეს თუ არა პატარა დათომ დაარღვია სინთე:

— ჩიორას არ მივაკითხოთ?

მეგობრებმა თანხმობის უთქმელად იცვალეს მხარი. ლუსკუმ სიბნელეში გუძანით მიიკვლევდნენ გზას.

მათ იქ არყოფნაში სუსტი ქარი ამოვარდნილიყო და ევკალიპტებს აშრიალებდა. ეს ხმა ზღვის მხრიდან იწყებოდა, თავზე უვლიდათ და გაურკვეველი მიმართულებით ინთქმებოდა.

საკმაოდ დიდხანს ისხდნენ ჩიორას სახლოვეს. ვერ კიდევ სრულად ვერ წარმოედგინათ, რომ სუსტი და ბავშვივით გულუბრყვილო მეგობარი საშუალოდ გაშორდათ, გაქრა და სხვა საუფლოში გადასახლდა. არსებობდა კი სადმე ეს სხვა?...

როდესაც ტურბაზაში მიბრუნდნენ, მოხუცი ბერძენი უკვე იქ დახვდათ, კართანვე შეეგება და გვერდით ოთახზე მიანიშნა — იქ შედიოთ.

მაგიდა გაწყობილი იყო, პატარა ბოცით წითელი ღვინოც იდგა. მოხუცი პირველი შემოუფდა სუფრას და ჭიქები შეავსო.

ბიჭებმაც მიბამეს, ცოტა წაიხემეს კიდევაც. თითქოს ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, ცხოვრებაც კვლავინდებურად ვრძელდებოდა. მხოლოდ ჩიორა

აკლდათ, იმის ნაცვლად ცარიელი სკა-
მი და საესე ჭიქა იდგა, რომელსაც არა-
სოდეს არაინ შესვამდა.

რამდენიმე სასმისის შემდეგ მოხუცი
წამოდგა.

— წავალ, ზღვისპირზე გავივლი, სუ-
ფთა პაერზე. თქვენ კი საფრთხეზე ნუ
ღარ იფიქრებთ. ფარნაოზმა — ქალაქის
კომისარმა, ყველაფერი მოაგვარა. იმათ
უფროსობას შეხედა და პირობა წამოა-
რთვა ფარნაოზისათვის მიცემულ სიტყვ-
ას კი ვერაინ უღალატებს. აქ მოსვლას
ვერც ერთი სულიერი ვერ გაბედავს.
ახე რომ შევიძლიათ, დარჩეთ და მშვი-
დად იცხოვროთ.

მოხუცმა სათქმელი მოამთავრა და სა-
წყალობლად გაუღიმიათ: ზედებოდა
დაზაფრულ ბიჭებს მარტოდ დარ-
ჩენა ესაჭიროებოდათ. დიდ სატკი-
ვარს ვერაერთარი ძალა ვერ გაუქარვე-
ბდათ. საკუთარ ნაღველს თავადვე უნ-
და მორეოდნენ

ვიდრე დასტოვებდა და წაიდიოდა მო-
ხუცმა ბერძენმა. ერთი აზრიც განუცხა-
და:

— ისე, რომ იცოდეთ, სულმთავრად
მეტად თქვენ უშველეთ საკუთარ თავს.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა დიდ და-
თოს.

— ვინც თქვენს საქციელს შეესწო-
და ვის სიტყვასაც აქ ძალა აქვს, ყვე-
ლამ აღნიშნა — ვაჟაკები ყოფილან რა-
კი სამხიმარზე მოსვლა გაბედესო.

მოხუცი წაიდა. ბიჭები კი უთქმე-
ლად, უგემურად სცლიდნენ სასმისებს.
ამასთანავე ცდილობდნენ ერთიმეორისა-
თვის არ შეეხედათ, ზედებოდნენ უფრო
გაუკვირდებოდათ.

ზღვიდან მონაბერი ქარი უფრო გაბ-
ლიერდა და ეკვლიბტების შრიალის ხმა
ოთახში იჭრებოდა.

არხს იქით კვლავინდებურად ბნელო-
და, თითქოს სულ სხვა სამყარო სუფევ-
და, შეუცნობადი და ძნელად წარმოსად-
გენი.

იქ ჩიორა იწვია, მკერდზე მიწამიფრი-
ლი და სრულიად მარტოდმარტო. პო,
სამარადისოდ მ არ ტ ო დ მ ა რ ტ ო.



გიორგი კვიციანი

●
იცოდე ჯერიდან
გარდამოხსნეს
იესო ქრისტე...
შაგრამ ის ჯვარზე
ხომ კი დარჩა?...
ვისი ჯერია?...
გოლგოთაზე ხალხის რიგია —
ქურდბაცაცები, მეძავენი, ბელზევეულები,
სხვადასხვა ჯურის ჳინეები და
ეშმაკუნები

●
ათასობით თეთრი სანთელი
ათასობით თეთრი ხელი
და შაეი აზრი
და
შაეი საქმე
გაკეთებული
ანდა კიდევ

სიცილ-ზორზოცით თხემის ადგილს
ემურებიან
და ორი გროშის საფასურად
ჯვარზე გაკვრის მისტერიას
ათამაშებენ...
და შემდეგ, უკან მობრუნებული
საროსკიპოში, ლოგინსა თუ
სწელი ქუჩის კუთხე-კუნჭულში
ვევლას ჳკონია, რომ ისინიც
გარდამოხსნეს
და ახლა სულში ატარებენ
მაცხოვარის უხილავ ნაწილს...

ის რაც წინ არის
ჯერ თაეშია როგორც ფიქრი
მერე ხელში იქცევა საქმედ
თეთრი სანთელი
შაეი ხელი
მთავარია არა სანთელი
არამედ ხელი
სამარის მთხრელი
წმინდა სანთლის ბილწი შანდალი.

„ჩემი ბრალია, შენი, მდიდარო კაცო,
შენი ოქროსი...“
ვიქტორ ჰიუსო.

ახეთი ქაში დაგვიდგა, ბიჭი,
შენისთანები არ უნდა იხზდნენ
მობუზული ბელურებივით ქუნის კიდეში.
ვისი ბრალია, შეკითხები?
დიდი ძიების,
შენ წინ აღმა-დაღმა რომ დაქტიან
უზარმაზარი ავტობით
და ვერ გხედავენ, ან თვალს გარიდებენ.
დე, სხვამ იკითხოს შენი ბედი თუ უბედობა.
ეს სხვა მე ვარ, მეც, დამნაშავე შენს წინაშე,
ჩემი შეილის წინაშე და ვინ იცის,
შეიძლება იმ ავტომფლობელის შეილის წინაშეც...
ახლა ვდგავარ აქ, ქუნის კუთხეში და გიცქერ
და არ ვიცი რა ვითხრა ან რა მოგცე,
იმიტომ რომ ჩემი ასაკის და ხელობის კაცისთვის
ჯერ ცოტა ადრეა შენს გვერდით ჩამოჯდომა...
შენ დედა გყავს აჟად, მე კი არვინ მყავს
სხეული, თვითონ ვარ აჟად რაღაც სხვანაირი
ავადყოფობით, რომლის წამალი ჯერ არავის მოუგონია,
ვერაფერს გეტყვი და ვერას მოგცემ,
შემიძლია ჩემი ცხოვრება ავიხსნა, მაგრამ
აბა ამას რა თაეში იხლი?
არაფერი მაქვს გასაცემი, გესმის,
ამ ერთი ცრემლის გარდა და მასაც
შენ გაძლევე,
ვინ იცის ადამიანის ცრემლი იქნებ რამეში
წავადევს?
ახლა კი წაეალ,
იქით ვინმე შენისთანა რომ შემხედეს,
იმას რაღა მივცე?
შენთან მოუახწავლი, ის ერთი ცრემლი
მთელ სამყაროს ეყოფა...
თუ ვებეურა,
ხურდად შენი ღიმილი დამიბრუნე...



პახტანუ პორბასალი

მძლეო-მძლე მეფეე! მტარვალთ მუდამ შიშის ზარს სცემდი,
 წამთა აღსასრულს ელოდება რჩეული მსხვერპლი,
 მგლისებრ ელვარე თვალებიდან იქუხებს მეხი,
 ღმერთო, წყალობა მოუვლინე! მე ამას გვედრი...
 განთიადს მშვიდად ეგებება ზოზობი ჭრელი,
 იკიულებს ღამე და იელვებს სიკვდილის ცელი,
 ძუ მგელი მარტოდ დარჩენილი გულისწორს ელის
 და ფერდობიდან დაეშვება დამფრთხალი მწვერი.
 გამარჯვებული ბრძოლებიდან მოჭრის ჭაბუკი,
 რომ აღაშენოს დიდებული ქალაქის ბჭენი,
 ხად გარდასული ბრწყინვალემა მომავალს ერთვის.
 ეისტვის უცხოა ვერავობა, სიმშდალე ზეცი,
 ღალატის ზაფანგს გაუმზადებს ცბიერი ბედი,
 მაგრამ ჯერ კიდევ გადარჩენას მოელის ზეცით.

ღეჟიტრა II - თავდადებული

საქართველოსთვის ეწირები მეფეე ზვარაკად,
 გადაგქცევა განაჩენად იღბალი უნდო,
 ნახახლარები, სისხლის წვიმა, მონღოლთა ურდო,
 მტერთა მოძულეს ჯოჯოხეთიც გინანს არარად.
 საკუთარ ხულსაც მიაართმევი სამშობლოს ხარკად,
 ზოგჯერ სიცოცხლე უზრუნველი წამებას უდრის,
 მეტეხთან მტკვარს რომ უერთდება ოცნება მყუდრო
 ერთხელ დიდება გისახსოვრა განგებამ რაკი...
 ყაენის კარზე ზეიშია, შენთან კი გლოვა,
 აწ განწირულის დასახსნელად არავენ მოეა,
 მშობელი მიწა გელანდება უცხო ზმანებად
 და შენს ფეხებთან დაჩოქილი ღანდი სიკვდილის
 არველოსები მოვლენილნი ციდან მფარველად
 გაგიტაცებენ წმინდა ფრთებით უკანასკნელად.





გულში იღვრება

გულში იღვრება

●

გულში სევდა იღვრებოდა, გრძნობა გადამალული,
და მღეროდა ბორბლები „ოდელია რანუნი“.
სისინა ხმით ნიავე ხეებს აუვლ-ჩაუვლის,
ცვლება ღამე ბებერი, როგორც ძველი შაური.
მიქრის მატარებელი, უკან ტოვებს სადგურებს,
არ იხვეწებს ფიქრი და სულში ხელს აფათურებს.
ცვლება ღამე ბებერი, როგორც ძველი შაური,
ღმერთმა ყველას შეუნდოს, ცოდვა-დანაშაული...

●

შენი მუხლებით, გამოთლილი თითისტარივით,
მოშიახლოვდი, გვეედრები, დამდე პატივი.
შენი ალერსით დამატკებ და გული გამოიბე,
მიქრალი გრძნობა სანთელივით ისევ ამინთე.
კვლავ გამოიხლე სიყვარულის გრძნობა პირველი,
და ერთმანეთსაც ბევრ რამესაც ნუ დაეპირდებით,
მხოლოდ მუხლებით, გამოთლილი თითისტარივით,
მოშიახლოვდი, გვეედრები, დამდე პატივი...



მოსუნი ექიმბაში

მოთხრობა

მთის მწვერვალი რაც უფრო მაღალია, მით უფრო დიდი ჩრდილი ახლავსო, მძიმე ზვნიშით დაასკვნა მოხუცმა იაკობმა... ვერა და ვერ დააღწია თავი ამ უსაშველოდ დიდ, ზღაპრული ურჩხულივით გაფოფრილ ჩრდილს, რომელიც ზურგიდან წამოსდგომოდა, იაკობის ბებერ ძელებს კი მზის სხივი უნდოდა, სითბო ენატრებოდა. ადრინაი დილით დაადგა ამ გზას, სივრთლე კარგია სიარულის დროს, მაგრამ დილის სუსხმა ცოტა გადამეტებულად აგრძნობინა თავი. უკვე შემოდგომის პირი იყო, მთებში კი ნაადრევად იცის აგრთლება.

სიჩქარეს და სულსწრაფობას მაინც დამაინც დიდ პატივს არ სცემდა მოხუცი იაკობი. ყოველთვის დინჯად, აუჩქარებლად ირჯებოდა. სიარულიც ნელი იცოდა. ამ დროს ათასი ფიქრი გაუვლიდა ხოლმე თავში და გარშემო შემოჯარულ მთებს თუ ხეებს ადამიანივით ემუსაიფებოდა. „მერე რაო, ვითომ ხმას არ იღებენო, მართლა ასე ხომ არ გკონია? — ჩაცინებით შეეკამათებოდა ხოლმე ვიღაცას გულში, მე მათ ათას რამეს ვეკითხები, ისინიც მპასუზობენ. ძალიან კარვად, გასაგები ენით მპასუხობენ. ხან მეშუქრებიან, ხან მეფერებიან. ერთი მეორეს როდის შეცვლის, ვერასოდეს გაიგებ. აგერ, ახლა ეს მთა ისე ამჟავად რომ დამცქერის, რა აბუჩად მივადებს, რომ იცოდეთ. მეუბნება: ვინა ხარ, შე საცოდავო მდილო, ძლივს რომ მოლოდავ ჩემს ფერდობებზე. თანაც მიბრაზდება და წუწუნებს, ამხელა ჩრდილი რად გაქვსო. მერედა, რისთვის

დგახარ ჩემს ჩრდილში? რაო... გზა აქეთ მიდევსო, ბაქარის ვაფი ავად გამხდარაო, მერედა, ეგ რა ჩემი საქმეა. შენ თვითონ რაღაზე იწუხებ თავს? მაღლობას თუ გეუბნება ვინმე... თუმცა, როგორ არა, დიდად მაღლიერნი არიან, დიდი მკურნალის სახელი დავიგვია მთაში. მაგრამ შენისთანა ბევრი მინახავს და ხალხს კი ჭირი არ დაჰკლებია. თუ ვინმეს გადაარჩენ, ამით ვითომ დიდ სიკეთეს სჩადი? ბოლოს ხომ მაინც უნდა მოკვდეს. პოდა, რა დიდი სიკეთეა სიკვდილის ვადის გახანგრძლივება? შეიძლება, უფრო უარესი სიკვდილითაც კი მოკვდეს. შეიძლება, ისიც კი ინატროს, ნეტავი მაშინ მოემკვდარიყავითო და შენ წყველა-კრულეა შემოვითვალის. გახსოვს მოხუცი ზეინაბი? რამდენი გწყველა, სიკვდილს აღარ დაგაჯერა, ათასი სიკვდილი გისურვებო... შენც აღარ ეკარებოდი ახლოს, მაგრამ ამბავი ხომ მოგიტანეს... აი, იმას თუ შეძლებდი, ვინმესთვის უკვდავება მიგენიჭებინა, ეს უკვე სულსხვა საქმე იქნებოდა. მაგრამ ამის უნარი ვინ მოვცა, თვითონაც მოკვდავი მდილი ხარ...“

— არც შენ ხარ უკვდავი, მთაო, — ნიშნისმოგებით თქვა მოხუცმა იაკობმა და ჩრდილს თავი დააღწია კიდევ, უკან მოიტრევა ზეობის მთელ სივრთესივანეზე გაფოფრილი ცივი ურჩხული, როგორც კი მზის გულზე გამოვიდა, მოხუცი იაკობი შედგა, მთელი ტანით ვაიზმორა და მზეს მიუფიცხა ბებერი სხეული. „არც შენ ხარ უკვდავი“, ვაი-

ფეხზე შემოდგომულ დიდ ქვაბში სურნელოვანი საჭმელი ქაფქაფებდა. ცეცხლთან შორიახლოს სამი მთიელი ვაჟკაცი მოკალათებულიყო ნოხზე. სამივე ჩოხებში იყო გამოწყობილი, ბეწვიანი ფაფახები გვერდით ელთო. ერთი მამინეუ შეიცნო იაკობმა, თვითონ ბაქარი იყო, ყმაწვილის მამა, დანარჩენი ორნიც, ძმადნაფიცები იქნებოდნენ. მათი ვინაობა არ აინტერესებდა იაკობს, მთელი ყურადღება დიდი, ქაფქაფა ქვაბისკენ გადაიტანა, შავპირსაბურავიანმა ქალმა ტაბლა გააშხადა და ქვაბს მარჯვენდ ამოურთა. მთელი ოთახი საჭმელის სურნელებით გაივლინთა. იაკობს პირზე ნერწყვი მოადგა. ქალმა ჯამი პირთამდე აავსო და იაკობს მიართვა პირველად, როგორც სტუმარს და უხუცესს. იაკობს ხიამოვნებით გაელიმა.

რბილი, ჩვილი ბატკნის ხორცი პირში დნებოდა, ნებიერად, მოხვენებით იფდა რბილ ბალიშზე და უკემრეილვს საჭმელს მიერთმევდა.

— ძალიან გემრიელია, — ხმამალა აღნიშნა კიდეც და ოთახში მყოფებს გაბრწყინებული თვალებით გადახედა. მათაც თავი მღუმარედ დაუქნევს თანხმობის ნიშნად.

სიამოვნებით ტკებოდა მოხუცი იაკობი სიცოცხლის ამ უხვი, წყართი, რომელსაც ამ ქოხში წააწყდა.

როცა გემრიელად მიირთვა კარგა მოხრდილი ჯამი და ქორფა კიტრიც დააყოლა, მერეღა მიიხედ-მოიხედა ყურადღებით, გაკვირვებით შეთვალეირა შუა ცეცხლთან მჯდარი ვაჟკაცები. ბაქარი უძრავად იჯდა, თავი მძიმედ დაეხარა, მისი დადარული შუბლი თითქოს ქვისგან გამოეკვეთათ.

ასეთი არასოდეს ენახა იაკობს ბაქარი, მსგავსი ვარინდება არა სჩეოლა მთაში სახელდაგებულ, ხელგამომავალ ვაჟკაცს. შვილზე დარდი მძიმე ტვირთით დასწოლოდა მხრებზე და თითქოს მეტყველების უნარიც წყურთმია მისთვის. იგი ელოდა რას იტყოდა მკურნალი, თან შეკითხვისაც ეშინოდა... ის ორი ვაჟკაციც უხმოდ იჯდა. მა-

თი თვალეირება უფრო უნაზრდო მისა ხუც იაკობს. ბევრად უფრო ახალგაზრდები იყვნენ ბაქართან შედარებით. მათ ძარღვიან სხეულებში მთიდან დაქანებული ჩანჩქერის ძალა და მოქნილობა იგრძნობოდა. ერთ მთვანეს ნახმლევერ ანნდა სახეზე, მაგრამ ოდნეოდაც არ ამახინჯებდა. ნამდვილი მთის მგლები იყვნენ. მათი გამჭვალავი, მახვილი მზერა თითქოს ცეცხლს აკვებებდა. სიცოცხლე, სიცოცხლე ჩქეფდა მასში! ძალზე ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ოღე სმე ისინიც გადაუვლებდნენ ყელს სიკვდილის ანგელოზს იმ ყმაწვილის დარად, გვერდით ოთახში რომ კვდებოდა.

— არჩეზე სანადიროდ მივიღვართ ხვალ, შენ ბიჭს მეტად უყვარდა არჩეზე ნადირობა. ნანადირებს მოუყვანთ, იქნება გახალისდეს, — თქვა ერთმა მთვანამა, სახეზე ნახმლევი რომ ანნდა.

თითქოს ამას ელოდაო, მეორემ მამინეუ მიაგება:

— შე რომ ვიყო, დაეკვლებდი ხელს და თან წაიყვანდი. თოფის ხმაზე იქნება თვალის გაახილოს.

ბაქარმა მძიმედ ჩაიქნია თავი.

— ხელში ავეანილი დამყავდა ყველგან, როგორც უწინ, ბალღობისას. მისი თვალი ვერაფერმა მიიხიდა. არც ხული და არც სხეული ჩემი აღარა მკვიბი.

სინუშე ჩამოვარდა. იგრძნო მოხუცმა იაკობმა. მეტად აღარ შეიძლებოდა მისი ღუმელი, თუმცა კი არ უყვარდა ლაპარაკი მამინ, როცა აუადმყოფის მკურნალობას ვერ მოჰკიდებდა ხელს. გუნებაში გაბრაზდა კიდეც ამ მოურიდეველ ხალხზე. მთაში იცოდნენ მოხუცი იაკობის ამბავი: თუ არაფერს იტყოდა აუადმყოფზე, არც არაფერი უნდა ეკითხათ, ცხადია, ეს ამათაც კარგად ეცოდინებოდათ. მიუხედავად ამისა, მაინც აქეთ-იქიდან უკლიდნენ, მიკობ-მოკიბვით ლაპარაკობდნენ და აიძულვებდნენ ხმა ამოეღო.

— აღსრულდეს ნება ღვთისა. სიკვდილისგან ხელდებულია, კაცთაგან აქ არავის აქვს ხელი, — თქვა მოკლედ.



ბაქარს თითქოს უფრო დაუმიძიდა შუბლი, კრანტი არ დაუძრავს. იმ ორმა პითელმა ნაკვერჩხლებით ანთებული თვალები მიაპყრეს მოხუც იაკობს, სახენახმლევემა პირდაპირ მიახალა:

— შენ შენი სცადე, მოხუცო. აქ რისთვის მოვიხმეს, ხომ იცი... მკურნალის სახელი დაგივლია.

— ის ყმაწვილი სრულიად ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვი და უკვე ხელი მოუწვდინა სულელების საუფლოს, — სრულიად მშვიდად ჩაილაპარაკა იაკობმა, — ეს მისი საქმეა. ხელს ვერ შეუშლი, ნება არა მაქვს.

— ესე იგი, სიკვდილი უნდა ვეცალოთ?

— ჰო, — თავი დაუქნია იაკობმა.

ორივემ დამტყინადად გაიღიმა და ერთმანეთს გადახედეს.

— უცნაურ რამეს ბრძანებ, მოხუცო, — ახლა მეორე აღაპარაკდა, მის ხმაში თითქოს ფილადმა დარეკა. — რა წესია სიკვდილისთვის თავის გადაგდება... მძიმედ დაჭრილს დამე უფსკრულის პირას მითენებია, ყოველ წუთს გული მიმდიოდა სისხლისგან ნახევრად დაცლილს, თოფს მაინც ხელს არ ვუშვებდი, მეშინოდა ნადირს არ დავევლიჯე გულწასული. დილით ძმადნაფიცმა მომაგონო თოფის ხმაზე. — მან თავი სახენახმლევისკენ გადაიქნია, — კარგი დასტაქარივით მიექიმა. მაგას რომ არ ეშველა ჩემთვის...

— ჰეი, მტდარია შენი მსჯელობა, ყმაწვილო... — ხმადაღმა შესძახა მოხუცმა იაკობმა. — ძმადნაფიცმა მიშველო, ამბობ... რომელი ძმადნაფიცი გიშველიდა, თვითონ რომ არ გეშველა საკუთარი თავისთვის. შენ არ გინდოდა სიკვდილი, მაშინაც კი, როცა გონებას კარგავდი, შენი ხული და სხეული იბრძოდა სიცოცხლისთვის. სიკვდილი ქორივით გაჯდა მხარზე, მაგრამ მაინც ვერ გაკარებოდა. თავი არ გადაგივლია სიკვდილისათვის. ამან ვიშველა...

იაკობის სიტყვებს სიჩუმე მოჰყვა,

რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა.
— მამ, არ უნდა ვეცალოთ? — უფრო დინჯად იკითხა სახენახმლევემა.

— მე ჩემი ვიქვი, — მშვიდად უპასუხა იაკობმა, — იკითხე მთაში, გეტყვიან, მუდამ ასე ვიქცევი. თუ გული უარს მეტყვის ავადმყოფის მკურნალისაზე, ვიცო... იქ უძღვრია ჩემი ხელოვნება. ვერაფერსაც გაეაწყობ და სახელსაც გავიტებ.

ისევე გაჩუმდნენ, მხოლოდ ცეცხლი ტკაცუნებდა.

— მეზობელ სოფელში ერთი შემლოცველი ყოფილა. კაცს გაეაგზაინი ვინმეს. ანდა მე თვითონ წავალ. ჯადოსანიაო, ამბობენ, — ბაქარს მიმართა სახენახმლევემა.

ბაქარს თავიც არ აუწვია, ამ ხნის მანძილზე იაკობისთვის თვალში წესიერად არც შეუხედავს. სახენახმლევის სიტყვებზე თავი ოდნავ ასწია და იაკობს თვალებში შეხედა. ერთი წამით გაუხწორა თვალი და ისევე დახარა. კიდევ უფრო მძიმე ნაოჭი ჩაუწვა შუბლზე. არც მაშინ აუწვია თავი, როცა მოხუცმა იაკობმა საღამო მშვიდობისა უსარკა და გარეთ გავიდა.

მზე გადახრილიყო. მისი სხივები ახლა კიდევ უფრო ალერსიანი გამხდარიყო და უფრო ეტკბილა მოხუც იაკობს. დასვენებულმა და დანაყრებულმა გახედა თავის გასაეულ გზას. საკმაოდ შორი იყო ეს გზა. იმ მაღალი მთის გვერდით უნდა გაევიღო და ისევე მის ჩრდილში ამოჰყოფდა თავს. მერე საღამოს ბინდიც მოუსწრებდა გზაში. ბოლოს სიბნელეშიც უნდა ევლო.

ჯერჯერობით კი მზე ანათებდა. თითქოს სიბნელე არც კი არსებულობს. შემოდგომის სიახლოვით ჩამტკბარ-ჩამტკბებული სხივებს უხვად უგზავნიდა მოხუც იაკობს. „ჰო, მომეფერეთ, მომეფერეთ“, — ეწურწურებოდა მოხუცი იაკობი თბილ, მოალურსე სხივებს, — სანამ ჩემთან ხარო, მომეფერეთ, მერე კი სიბნელე და სიცოცხლე დამეშუქდება...

მანია ნონიძე

„ჭეშმარიტება გულის“

მე სამი ღვთაებრივი საუნჯიდან, რომელიც მამა-პაპათაგან დაგვრჩა ქართველებს და რომელთა შენარჩუნება და პატრონობაც ჩვენი უბირველესი ადამიანური ვალია, ერთ-ერთად ილია ჭავჭავაძეს სარწმუნოება მიანდა. ეს სარწმუნოება კი, როგორც საქართველოსათვის, ისე მისთვის მართლმადიდებელი ქრისტიანობა იყო.

1888 წელს ვაზეთ „ივერიის“ მეცხბრენომერში ილია წერდა: „ქრისტეს რჯულს — ამ ახალ აღთქმას შეუერთა ჩვენმა ხალხმა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს. შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწინენ, ისე ჩაიქსოვნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწაწყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწაწყლის დაცვა—რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედ მისევეისათვის და ფარად ზედ მოსეულთათვის“.

პუბლიცისტურ წერილში, „ქვათა ღალი“, ასევე მკვეთრად გამოჩნდა ილიას დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი: „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩავსახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახედ ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორ-

სახედ სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერს წიაღშია, ორთავა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე ღროს. იგი ერთთავა და ერთგულაა. — თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ხედავდეს მართლმადიდებლად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომ შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევად, უარყოფად. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს“.

მიუხედავად პუბლიცისტურ და პირად წერილებში მკვეთრად გამოხატული პოზიციისა, მიუხედავად იმისა, რომ თავის თხზულებებში ილია განადიდებს ქვეყნის ქრისტიანულ წარსულს და თაყუანისცემას გამოხატავს მისი წმინდანებისადმი; მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწერები აღსაესება წმინდა წერილისეული გამოხატვებებით, ციტატებით, ალუზიებით, მხატვრულ-იგავურ სახეებით, სწავლებებითა და საერთოდ

მართლმადიდებლური სულისკეთებით, ათეისტური მსოფლმხედველობის ბატონობის პირობებში მოხდა ყოველად გაუმართლებელი რამ — ილია ჭავჭავაძე ურწმუნოდ გამოცხადდა, ათი წლის წინათ, მწერლის დაბადებიდან 156 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებზე, როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი სტატია გვამცნობს, სხვადასხვა დარგის მეცნიერებმა: ლიტერატურათმცოდნეებმა, ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა, ეთიკოსებმა და ესთეტიკოსებმა საბოლოოდ „დაადგინეს“, რომ ილიას მსოფლმხედველობა მატერიალისტური იყო და არა იდეალისტური. ამ დასკვნას წლების მანძილზე უმზადდებოდა საძირკველი სხვადასხვა „მოგონებებით“, გამოკვლევებითა და ნარკვევებით. ამიტომ საკითხის გარკვევისათვის თვალი გადავავლოთ მათ მოსაზრებებს, არგუმენტებს და ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ისინი სინამდვილეს.

სამწუხაროდ, ილიას მსოფლმხედველობის შესახებ არასწორი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მისმა თანამედროვეებმა — ცნობილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ ამ პირთა სახელზე მალა მინც ჭეშმარიტება დგას და არდგან მათ შეხედულებებს, როგორც სარწმუნოს და მისაღებს დღესაც იყენებენ თანამედროვე მკვლევარები, აუცილებლად მიგვაჩნია შევამოწმოთ მათი სიშართლე.

ნარკვევში „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“ წერია, „ილიას ნაწერებში გამოვლენილია ანტითეოლოგიური სულის განწყობილება“. სხვა ცნობილი მეცნიერის წიგნში კი ეკითხულობთ: ილია ებრძოდა ასკეტიზმსა და მისტიციზმს და მისი მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად შეგვიძლია გამოვიყენოთ თეოფილ გოტიეს სიტყვები: „ქრისტი ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა და მე წარმართი ვარ როგორც ალკიბიადე: გოლგოთის

მწვერვალზე ვნების ყვაველმანქანას სოდეს არ დამიკრფეია და არც აღმსემ იმ მდინარეში მიბანავია, რომელიც ჯვარცმულის მკერდიდან მთელს მსოფლიოს თავს გადაესხა. ჩემს ამბოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა“.

ვნახოთ სინამდვილეში როგორი იყო ილიას დამოკიდებულება ბერ-მონაზვნური ცხოვრებისა და ასკეტიზმისადმი. კახადოკელი წმინდანის — სვიმონ მესვეტის შესახებ, რომელიც ოთხმოცი წლის მანძილზე ურთულეს ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა სვეტზე და იქვე აღსრულა ღოცვაში. ილია წერდა: „სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გახრწნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუფიქრა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ზელ-ფენის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას კთხოულობდა და სვეტზედ კი უძრავად შეეძლო დებულ-იყო... ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმაღავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და რამოდენადაც ეს ფართლნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შეილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება მხვედროა მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი...“.

ბერ-მონაზვნობისადმი ილიას დამოკიდებულება კარგად ჩანს 1898 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიმართული სიტყვიდანაც: „თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნოებაა, რომლის მაგალითს მარტო იმ მაღლით ცხებულ მღვდელ-მონაზვნების შორის ვაოულობთ, რომელნიც ერთხდროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა სახედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ აღარ არიან... თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა და ამ გზაზე დეაქლომობისათვის არა დაგიზოგიათ რა ამისდა მოწამეთ თქვენს მიერ აღდგენი-

ლი მონასტრები. ეს ნაშთი ჩვენის სულიერად ზე-აღსავლობისა“.

როგორც ვხედავთ, ილია უდიდესი პატივისცემით იხსენიებს როგორც მონასტრებს და მათში მოღვაწე სამღვდელეობებს, ისე მესვეტეობასაც, რომელიც ასეკტიზმის ერთ-ერთი ურთულესი სახეა. რაც შეეხება ზოგადად სასულიერო წოდებას, ამის შესახებ ილია ასეთ რამესაც წერს: ჩვენს წინაპრებს სასულიერო წოდებაში შესვლა „დიდ პატივად და დიდ ღირსებად მოაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ-კი ეღირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესზე, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჭილვაც მოღვაწისა. საქართველოს მეფენი ჰგრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ჭონებით უღონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებსა ქართველებისას“ (იხ. გაზ. „ივერია“, 1888 წ. №9).

რაც შეეხება ზეადამიანური, ღვთაებრივი ძალის რწმენას, ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ილიას სიტყვები სტატიიდან „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“: „განა შეტყობა იმისი, თუ რა არის ცაში ან ცას ბქით, მუღდამის წყურვით შესატყობი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერმიღწევის უღონობა ზოგადკლობრიული ჩივილი არ არის უშლურებისა?“ იქვე ვკითხულობთ: „ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ, ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა

ადგილებია მაძებარ გონებისსტევის რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. რწმენაში დაეკვების „საქარბოროტო“ საკითხის შესახებ იმავე წერილში ვკითხულობთ: „განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გაღესილი ჰქუა დღემუდამ ტამარს აშენებს რწმენისას და ისევე თავის ხელითვე აქცევს, იმავე საღვურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? (იგულისხმება ნ. ბარათაშვილი), განა ამ ქცევა-შენებით დაღუპული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებილამ დღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის საღვურს და მაგ საღვურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგადკობრიული?.. აი, სად არის ხათვე ადამიანის სასოწარკვეთილებსა, თავგანწირულებისა, ჰქუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახანა ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზროვნე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა...“

შორს რათ მივიდვიართ, ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუღიზმობა, გრაფტოლსტოის „სულისკვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში საღვაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირების იმის თავყვანისსაკემლად, ბევრი სხვა ამისთანა განა იმას არ ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაეძრა და თვით თალიც მთელის შენობისა გაირღვა და ჰლამის გადმოქცევისა?“

როგორც ვხედავთ, აქ საკვებით ნათლად არის გამოკვეთილი ილიას დამოკიდებულება არამართლმადიდებლური აღმსარებლობებისა და ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომისადმი. როგორც ვხედავთ, ამ გამოწვევებში საკვებით აშკარად ჩანს იდეალისტური მსოფლხედვა, სწრაფვა ზეციურისაკენ. და გულისტკივილი ადამიანთა ჭეშმარიტ რწმენაში დაეკვების გამო. ეხლა გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება ილიას შრწამსს

თოფილი გოტიეს გამონათქვამიდან თოფიული ფრანკი.

გოტიე წერს: „ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა“, ილია ჭავჭავაძე კი ქრისტეშობის დღისადმი მიძღვნილ სტატიაში ამბობს: „ჩვენ გვესმის, და ადვილად გამოსაცნობიერებ არის, რისთვის ვეზიარებთ იესო ქრისტეს შობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილთა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალეებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრღობილთა აღმადგენელი, სნეულთა მათრგებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მამურობისა და ტვირთ-მძიმეთა მეობპატრონი და მოწყალეობელი... და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმზიარებლობთ და თვითოეულს გული მოწყალეებისა და მადლისათვის სძგერს“. (იხ. სტატია „საბაღალლო“).

გოტიე წერს: „მე წარმართი ვარ, როგორც აღკვირებ“, ილია კი აშკარად აღიარებს ერთ ღმერთს — ქვეყნის შემოქმედს. მის სტატიაში „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ ვკითხულობთ: „არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი სავანი, ყოველი სავანი მაღალია თავის კვალობაზე და ერთნაირად მოგვიტზრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანას“.

მნიშვნელოვანი რამ, რითაც იცნობა ქრისტიანული მსოფლმხედველობა, არის სინანული, რომლის აუცილებლობასაც ქადაგებს ილია არაერთ სტატიაში. იგი მიძღვნილია განიცილებად სარწმუნოების შესუსტებას მის თანამედროვეთა შორის და გულისტკივილით აღნიშნავ-

და 1898 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში: „სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჰკუა ჰკუის ადგილასო“. ჰქონდა თუ არა სინანული პირადად მას? ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1885 წელს დიდმარხვის დაწყებისას დაწერილი ერთ-ერთი „მონაწერი მიმოხილვა“: დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა... ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თითონ ბრალეული თავისის თავის გამკითხველია და მსაჯული... აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინაწინო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისი ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღსარულისა და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს... რასაც ვირველია, ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი, თავისი შესაწონი ღონე უნდა სულისა. ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის ჩვენის ფიქრით, მზვარია და არა კაცი“. განა ჩანს ილიას სულისკვეთებაში რაიმე წარმართული ან ზოგადად არაქრისტიანული? როდის იყო წარმართები სინანულს ქადაგებდნენ.

გოტიე აღნიშნავს: „გოლგოთის მწვერვალზე ვნების ყვაილები არასოდეს დამიკრეფთა და არც ოდესმე იმ მდინარეში მიბანავია, რომელიც ვარცხულის მკერდიდან მთელ მსოფლიოს თავს გადაეხება“. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია მაცხოვრის ვნებების თანაგრძნობაზე და ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარებაზე. ილია რომ მთელი თავისი არსებით უერთდებოდა მაცხოვრის მიერ გოლგოთაზე მიღებულ ვნებებს და ღირსეულად აფასებდა ცოდვილი კაცობრიობის ჯოჯოხეთის ტყვეობიდან გამოსასხნელად გადადგმულ ან ნაბიჯს, სწორედ ამიტომ წერდა ლექსში „ლოცვა“:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ
თუნდა გულს დახვარა მკრან,

ვთხოვე: „შეუნდე, — არ იციან

ღმერთო, რას იქმანს!

ეს ხომ ის სიტყვებია, გოლგოთაზე რომ წარმოთქვა ჭვარცმულმა მაცხოვარმა. მაცხოვრის შესახებ ილია წერს: „ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა ხანთლად, რომელიც დღეს აქამოდღე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის ეწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს: მონიჭებულურ, ეკლის გვირგვინი დაიღვა თავზედ, ზუთ-მეტრ საფუქუნე გულ-გულდრეკლად ატარა თავ-ბირ-დასისზღიანებულმა, ჩვენს დრომდე შეუღწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ — შეილებს გადმოგვცა, ესლა თქვენ იციით“. და ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ სიტყვების ავტორი თავად იტყოდა უარს ამ ეკლის გვირგვინზე? იქვე ვკითხულობთ: „ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით შორათულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჰეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მამურალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშვიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყყნარებისათვის — ნუ თუ ეს იგივე თვალ-მარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?.. დიდი წამება იგავ დიდი გამარჯვება...“.

წმინდა ლუარსაბ წამებულისადმი მიძღვნილ სტატიაში ვკითხულობთ: მხოლოდ დიდ-ბუნებიათა კაცთა თვისება ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს შესწირონ თავი თავისივე ნიშნად იმისა, რომ ჰეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე

საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“. როგორც ვხედავთ, ილიას რწმენისათვის თავდადება დიდ ღირსებად და დიდ გამარჯვებად მიაჩნდა და თავდაც სიკვდილის საშიშროების წინაშეც კი არ უღალატია თავისი მრწამსისათვის.

თეოფილ გოტიეს სიტყვებია: „ჩემს ამბოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჭვარცმა“. სულსა და ხორცს შორის თუ რომელს ანიჭებს უპირატესობას ილია, კარგად ჩანს 1895 წელს დაწერილი ერთ-ერთი შინაური მიმოხილვიდან: „ეინცა სჩივის და ქალაღებს სახორციელო პურისათვის, ის იმდენადე, თუ არა მეტად, უნდა იღწეოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმი-სათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმი-ტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი. „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრულიო“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია ცალკე ადამიანი თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებულ იქვს სულთა სწრაფვა. ამ გზაზედ დაუღალავად სიარულისათვის, — აი, საწყაო. როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა“.

ილიას თქმით „ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორციითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი სული და გულია, უქცნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა აუბა. შესაძლეთა ხორცი დაბერდეს, ეფძლურდეს, სული და გული კი ჰყვადოს ზეგარდმო მდღლით შექმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად ვაზ-

დის და ხორცს არ ვაალახენებს... უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერებაზე ამისთანანი ყოფილან. (იხ. სტატია „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“).

ალექსანდრე ეპისკოპოსს ილია ასე მიმართავს: „თქვენ ხორცი დაუმორჩილეთ სულსა და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არისო“. მოთსრობაში კაცია, ადამიანი?!“. კი ვკითხულობთ: „ხშირია ხოლმე, რომ როცა სული კლევდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნებაო“.

და ბოლოს გავიხსენოთ ილიას პოეტური სიტყვები:

„ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, ხაქმით მიტაცველი
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი“.

რაც შეეხება სხეულის ჯვარცმასთან დაკავშირებულ გოტიესულ სიტყვებს; შევადაროთ იგი ილიას ნათქვამს: „საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნო იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევიანა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. წყაროვლადგენელია იმის დაშვება, რომ როცა მთელი ერი ჯვარს ეცვა“, ილია იტყოდა, „ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმაო“, პირიქით „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვისო“. ამბობს იგი. სწორედ რომ თავდადება, თავისი თავის სხვათა სანაცვლოდ გამეტება იყო ილიას სულისკვეთება და ამანვე ათქმევინა ლექსში „ჩემი თარი-არალი“- „ვემხვევრპლოთ ქრისტისა მცნებას“.

როგორც ვხედავთ გოტიესულ მსოფლმხედველობასთან ილიას არაფერი აქვს საერთო.

ილია ჰვეჰავადის ყრმობისდროინდელ ლექსებში აშკარად ჩანს მისი სარწმუნოებრივი მრწამსი. ლექსში „კაბუჯობაზე“ ვკითხულობთ:

...იმისთვის გეტყვით, რატომ
ბრწყინავს,
ხვალ დაბნელდების, ამ სოფელს
ბრუნავს,
თქვენ ის ეძებთ, რისთვის ბერი
ძრწუნავს,
სამოთხეს მპოებთ, მუნ ბნელიც
(ბრუნავს)...“

მსგავსი სულიერი განწყობა ჩანს ამ-ავე პერიოდის უსათაურო ლექსშიც „დაღონებული, არ ვიცი რაზედ...“

„სიამოვნით სრულსა მომეცა ღებნა,
მაშინ ატოკდა ეს ჩემი ენა,
ატოკდა, ღმერთი ევრეთ ახსენა:
ღმერთო, გადიდებს ქვეყანა შენა“.

პოეტის პირველი ბიოგრაფი გოგა ყიფშიძე წერდა, ილია ბავშვობაში ბერად შედგომასზე ოცნებობდაო, მაგრამ ზოგი მეცნიერი სკეპტიკურად უყუარებდა მწერლის უაზლოესი თანამშრომლის ამ განცხადებას და ამტკიცებდა, „შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმტკიცებია განდევნილობის შესაფერიო“. მართალია, ილია ბერად არ აღკვეცილა, საერო მოღვაწეობის ჯვარი იტვირთა, მაგრამ ეს რომ იმავე სიყვარულით და იმავე სულისკვეთებით იყო ნატვირთი, ამას მისი შემდგომი ნაღვაწიც კარგად მოწმობს, თუნდაც იგივე მხატვრული შემოქმედება.

პოეტის რამდენიმე ლექსი პირდაპირ მიმართავა ღმრთისადმი — ლოცვა-ვედრებაა. ორ მათგანს ასეც ჰქვია — „ლოცვა“, მაგრამ ამას გარდა არსებითად ასევე ლოცვაა მაგალითად ლექსი „გაბბ.“ რომელიც უფლისადმი ვედრების სახით არის დაწერილი და სამივე სტროფი იწყება ღმრთისადმი მიმართვით:

„ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა
ძალნი...“
„ღმერთო! მოპაძლე მადლი
წეცისა...“
„ღმერთო! თან ხდევედე უხუსურს
ბავშვსა...“

საინტერესოა. რომ ილიას დისწული, რომლისადმი მიძღვნილადაც ითვლება

ეს ლექსი, ნაწარმოების დაწეროს დროს აღარ იყო ასე მცირეწლოვანი და ლექსი ჩვენი აზრით, მარტო ამ პიროვნებისა კი არა, ზოგადად საქართველოს მომავალს, უნდა გულისხმობდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა „აჩრდილისეული“ ლოცვა ღვთისმშობლისა და ღვთისადმი:

„ღედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მცობებს ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა...“

„ძლიერო ღმერთო! შენთვის მბრძოდნენ ქართველისა ძენი, დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა...

იკმარე ხალმროოდ მათ პატიუნი და სისხლის ძღვენი, თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა“.

მართალია, პოემაში ამას წარმოთქვამს მყინვარზე მდგომი აჩრდილი, მაგრამ პოემა მთლიანად ლირიკულ განცდულადაა აგებული. რასაც პირდაპირ გვიდასტურებს ტექსტის ადრეული ვარიანტის ეპილოგში ავტორის სიტყვები:

„გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,

მის აღსრულებას ვავედრებდი ღმერთს,

მე შევტიროდი ჩემს ქვეყნის ბედსა და მშენებარს კალამს ვანდობდი

ცრემლსა“, —

ამრიგად, სრულიად დაწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს თვით ავტორის ვედრებაც არის ღვთისადმი.

ამჯერად ვაღიუხვებთ იმ შწირ მტკიცებებს, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ ილიას მატერიალისტობის დამტკიცებას თანამედროვე კრიტიკოსები. გამოთქმული აზრი: ილია „თავისუფალია უზენაესის რელიგიური რწმენისაგან“ და ამის დასასაბუთებლად მოშველებულია ასეთი რამ — „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობისას გრიგოლ ორბელიანმა „შვილთა“ ბანაკს ურწმუნობაში დასდო ბრალიო.

ეს ფაქტი არგუმენტად გამოიყენება არ გამოდგება იმიტომ, რომ ეს ბრალდება საესეებით დამაჯერებლად უარყოფით ილიამ თავის საპასუხო ლექსში „პასუხის პასუხი“, რომელშიაც აშკარად გამოიკვეთა მისი რწმენის არსი და „ჯვარცმული ღმერთის“ — ქრისტე მაცხოვრის სახე. ამის უარყოფა და ილიასეული მსოფლმხედველობის მოწყვეტა მამაბაბეული მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან ყოველად გაუმართლებელია. ლექსში ვკითხულობთ:

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?..
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძღურთა შემწყწარებელი:
.....

ხოლო გვწამს ღმერთი —
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთშიძიეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ყოველთა ძმობის,
თანაწორობის
მოძღვრებისათვის ქვეყნად
ჯვარცმული“.

განა ეს ლექსი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ურწმუნობაში დავდეთ ბრალი მის ავტორს? ნუთუ საესეებით ცხადი არ არის, რა სულისკვეთებით არის იგი დაწერილი ან ვინ იგულისხმება „ფარისეველთა, საღუჯეველთა, გამკიცხველ“ და მამხილებელ ჯვარცმულ ღმერთში? განა არის აქ მწერლის ნათქვამში რაიმე ბუნდოვანება და არ ჩანს მისი მტკიცე სარწმუნოებრივი პოზიცია?

ერთგან რომანტიკოსი პოეტების შესახებ ილია წერს: „ცას შეპყრებდნენ საიდანაც მოელოდნენ საუკუნო განსვენებასო“. ზოგმა მეცნიერმა ეს ისე ახსნა, თითქოს მწერალი იმ ზელოვანთ აკრიტიკებს „ცის თვალშეჩერების გამო“. პირიქით. ილია, როგორც ზემოთაც ამოვიკითხეთ, იმას ამბობს, არა მარტო ერთეულების, მრავალთა მზერა არის მიმართული ცისკენ, რადგან მისი

შეცნობა მუდამის წყურვით შესატყო-
ბარი არის ადამიანისთვისო.

ცოცხალმა ადამიანმა უფუოდ ცაის
უნდა უყუროს სასოების თვლით, მა-
გრამ არ უნდა დაიფიქოს, რომ ჭერ
ამქვეყნიური ცხოვრება აქვს გასავლე-
ლი, რადგან ცის სასუფევლის დამკვი-
დრებას დამსახურება სჭირდება წუთი-
სოფლის ვალის პირნათლად მოხლით.
ამიტომ, ილიას აზრით, როგორც ჩანს,
ცის მიჩერება კი არ არის ცული, არა-
მედ მართო ცის მიჩერება და უმოქმედ-
უზრუნველობა, პასიური ცხოვრება
„ძილი“ — სულიერი სიფხიზლის მო-
დუნება, კაცი რომ ყველაფერს ღვთი-
სგან ითხოვს და თავად თავის ადამია-
ნურ მოვალეობას ბოლომდე არ ასრუ-
ლებს. „წყალობა ღვთისა კარგია, მა-
გრამ რა ქმნას მართო წყალობამ თუ,
ღვთის მიერ ნაწყალობებეს თითონ ადა-
მიანი არა პრწყავს. არა სხლავს.. არა
პატრონობს“ — წერს ილია. („რა გი-
თხრათ, რით გავახაროთ?“)

წერენ, რომ ილიასთან ვერსად ვნა-
ხვით, რომ „ცხოვრების გარდაქმნა-გან-
კარგების იმედს ღმერთის კეთილ ნე-
ბასა და სურვილზე ამყარებდესო“. მა-
გრამ ილია გარკვევით გვეუბნება: „ღმე-
რთი არის სიყვარული და სიყვარული
მსხნელია ქვეყნისა“. (იხ. ალ. ებისკო-
პოსისადმი მიმართული სიტყვა) სტა-
ტიაში „რა გითხრათ, რით გავახა-
როთ?“ კი გვითხვლობთ: „რაც ღვთის
შემძლებლობით არის და არა კაცისა-
თი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა
ღმერთმა“.

ადამიანისადმი ღვთის სიყვარული და
მასზე ზრუნვა უპირველეს ყოვლისა
ჩანს იქედან, რომ ღმერთმა იგი საკუ-
თარ „ხატად და მსგავსად“ შექქმნა,
სული შთაპბერა და ღვთაებრივი სრუ-
ლყოფილებსაკენ სწრაფვა დაუსახა
მიზნად. ამ ბიბლიურ ფაქტს ილია უაღ-
რესად დიდ მნიშნელობას ანიჭებს და
ხშირად ისენებს თავის თხზულებებში.
ლექსში „როდემდის“ ვკითხულობთ:

„ძრწოდე ხუდელთი ნუთუ ქრისტეს
არ სცნობ სიტყვათა,

ნუთუ შენს თავსა, მტვრათა
სეკმნიღს, მხედავ კვლავ მტვრათა
და შენს სიციცხლეს, ამ უკვლავ
ნიჭს — მტვრის თანამგზავრად?
რომ მართო მიხთვის იგი არ გაქვს,
ქრისტემ სიტყვა ცხადად...
ნუთუ არ იცის, რას გვამცნებდა
ღმერთი ჭვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის,
იყავ შენც სრული“.

ილიას თვლსაზრისით ეს არის წყა-
ლობა ღვთისა და საწყაო ადამიანის
ადამიანობისა-

ღმერთმა რომ ადამიანის ურჩობის,
მისი ცოდვით დაცემის შემდეგაც არ
დაიფიქვა იგი. ყველაზე კარგად ჩანს
იქედან, რომ მისი მხოლოდშობილი ძე
შესწირა ჯოჯოხეთის ტყვეობიდან ადა-
მიანთა სულების გამოსხნას. ეპისკო-
პოსი ალექსანდრე „მართლმადიდებ-
ლურ კატეხიზმოში“ წერს: პირველ
ადამიანების დაცემის შემდეგ ადამია-
ნი შეიცვალა, თორემ ღმერთი და ღვთის
სიყვარული უცვლელია და ღმერთიც
მოდის თავისი დაცემული ქმნილების
საშველად „ადამიანისათვის დაბრუნე-
ბული ეს ხე ცხოვრებისა არის ჭვარი
უფლისა — ხე სამხვერპლო სიყვარუ-
ლისაო“. ამ უდიდეს წყალობას ამ უდი-
დეს მსხვერპლს უფლისას, მის ჭვარც-
მას ილია ძალიან ხშირად გვახსენებს
როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ და
პუბლიცისტურ თხზულებებში. ღვთის
სიყვარულს, მის კეთილ ნებას იგი ყო-
ველთვის გრძნობს და ამიტომ კი არ
ფურჩება უზენაესის განგებულებას, არ-
ამედ ემორჩილება. იხილეთ მისი ორი
ლექსი სათაურით „ლოცვა“:

„მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა
შინა,

მუხლმოდრეკილი, ღმობიერი
ვღგავარ შენ წინა...

არცა სიმდიდრის, არც დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვეყო მე
ლოცვა წმინდა...

არამედ მწყურს მე, განმინათლდეს
ციფ ჩემი სული,

ეროვნული
რევოლუციური

შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენტოს გული...“

სწორედ ამ სულისკვეთებით არის ნა-
კარნახევი მეორე ლექსის სიტყვებიც:

„...მაგრამ თუ, ღმერთო, შენს
ღვთაებას სურს,
ჩათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს
სულს,
განაქრნენ შენ ხმასთან სურვილნი
ჩემნი

და იყავნ ნება, უფალო, შენი!“

ამიტომ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ილიას შემოქმედებაში არ ჩანს ღმერთის ზრუნვა ცხოვრების გარდაქმნა-განკარგებისათვის, ეს უფლის კეთილი ნების უარყოფად კი არ უნდა ჩაუთვალოს მწერალს. არამედ უნდა ახსნას იმით, რომ ილიას ზნეობრივი და სულიერი ამბღების და განკარგების საკითხები უფრო აწუხებდა, ვიდრე მატერიალური.

საინტერესოა ამ მხრივ ეპისკოპოს ალექსანდრესადმი მიმართული სიტყვის კიდევ ერთი ციტატა: „უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, რომ სათნოებებიანი, კეთილ-მოქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს, სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდრებელი ქვეითკირი აღამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს აღიდებენ და სამოთხედ, საცა ბედნიერება აღამიანისა ჰსადგურობს!“

ილიას აზრით სათნოებიანი კაცს ცხოვრების ავბედობანიც კი ვერ უღობავს გზას ღვთისაკენ. იგი მშვიდრიც, უპოვარიც, დაჩაგრულიც მდიდარი სულით სრული სისაგისით შეიტკობს უფლის დიდებას. ამიტომ ამბობს ილიას ლექსში „მოთქმა საწყლისა“ ასეთი კაცი:

„...ოხ, უხვო ღმერთო, მარტო შენგანა
არა ვარ დავიწყებულ ობღად
ყველგანა,
შენის წყალობის წყაროით განა
არ ვინდა ყოვლის ერდგან გაბანა!

ყოველს სოფელში გაქვს უფლისწობა,
იგი ყოველთვის განგინისა,
შეფიც, ხაწყალიც, თუნდა მწყემსია,
მუნ ვადიდებენ, რავარც წესია,
და წყალობა შენი უდიდესია,
რომ მუნ ალაგი მეც მიწესია.

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით ილიას ნაწერებში ვერ შევხვდებით ვერც იმის დამადასტურებელ ფაქტს, რომ წუთისოფლის მძიმე ტვირთის მოხსნის იმედს მწერალი საიქიო სასუფთველში ხედავდეს.

ილიას რწმენა მარადიული ცხოვრების არსებობის შესახებ კარგად ჩანს მისი პირადი წერილიდან ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი ელენე და ილიკო ჩოლოყაშვილების მიტრეწლოვანი ქალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ილია წერს, „ყველა ჩვეგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრელ ნეტარებით. ნუგეშით და სიწმინდითო“.

უფლის საბრძანებლის ხსენება გვხვდება „აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტში:

„ნუთუ იმ ქვეყნით შენ ხარ მოსული,
სადაც მშვიდობა, ნუგეში ცხოვრობს,
ანგელოზთ დასი ღვთაებას
ჰგალობს?...“

ის ფაქტი, რომ ზემოთ ციტირებულ ლექსში „ლოცვა“ ილია თავისი მტრის შენდობას სთხოვს უფალს, თავისთავად მოწმობს, რომ მწერალს სჯერა უფლის მეორედ მოსვლის და საშინელი განკითხვისა.

გამოთქმულია აზრი: „უმაღლეს ჰოეზიასა და ფილოსოფიას სამოციანელთა მეთაური საღმრთო წიგნებში კი არ დაეჭებდა, არამედ რეალური ცხოვრების სიღრმისეული პროცესების კონკრეტული-ისტორიული ანალიზიდან გამოჰქონდაო“. საღმრთო წიგნებისადმი სრულიად საწინააღმდეგო დამოკიდებულება ჩანს ილიას სტატიაში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელშიც ვკითხულობთ: „უეჭველია, ძრიელ გონიერად იქცევა ისა. ვინც მუ-

დამ ეამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: **შეისწავებხ ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დიანერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ: იქ შეხედება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამჟამად ბევრნი მათგანი აღარ იხმარებენ** საერო ლაპარაკში...“ საღმრთო წიგნების მნიშვნელობის უარყოფა კი არა, როგორც ვხედავთ ყველაფერში მის სარგებლობას და უპირატესობას ქადაგებს, ამიტომ უწონებს გრიგოლ ორბელიანს „სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აქრელება სიტყვიერებისა“. ამიტომ ჰქონდა სურვილი სწორედ საღმრთო წიგნების საფუძველზე ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენისა. როგორც ცნობილია, ამოწერილი ჰქონია სიტყვები „ოთხბედიან“ წმ. დავითისა ფსალმუნიდან, საქმე წმ. მოციქულთადაც და იაკობის ეპისტოლეიდან (სამწუხაროდ, ამ ლექსიკონის მასალათა დიდი ნაწილი დაკარგულია).

ილიასთან მოაზროვნისა და შემოქმედის მკვეთრი დაპირისპირება არ არსებობსო, ამბობენ კრიტიკოსები და მატერიალისტურ მსოფლმხედველობას მექანიკურად აცხადებენ მწერლის შემოქმედების საფუძველად, მაგრამ ვინ და რით დაამტკიცა, რომ იგი, როგორც მოაზროვნე, მატერიალისტია? განა ზემოთ ციტირებულთა მსგავსი ყოველად უსაფუძვლო არგუმენტებით ასეთი რამის მტკიცება შეიძლება? ილიას შემოქმედებას და მის აზროვნებას მართლაც აერთიანებს მსოფლმხედველობის ერთიანი საძირკველი, მაგრამ ეს მსოფლმხედველობა აშკარად იდეალისტურია და არა მატერიალისტური. ამიტომ მისი შემოქმედება სწორედ იდეალისტური თვალთახედვით უნდა იქნას განხილული. ასეთი მიდგომა, როგორც მისი არაერთი თხზულების ანალიზმა გვიჩვენა, ვასაოცარ შედეგს იძლევა,

მკითხველის აღქმის არგუმენტულად დასაბუთების სიღრმისეული მხატვრული შრეები და შემოქმედებითი ჩანაფიქრი.

რამ გამოიწვია ასეთი გაუგებრობა, რომ სიტყვით, საქმით, სულით და გულით მართლმადიდებლობის აღმსარებელ კაცზე დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, მატერიალისტი იყო? როგორც ჩანს, ილიას პიროვნებასთან დაკავშირებით შემთხვევით არაფერი ხდებოდა — ქვეყანაში ათეიზმის მქადაგებელთ სპირიტუალიზმით, რომ ილიაც ათეისტად გამოეცხადებინათ და მისი ავტორიტეტით ხალხი მიემხროთ.

ჩვენ ვერ კიდევ იმ საუკუნეში ვცხოვრობთ. რომლის დასაწყისშიც ილია ცოცხალი იყო, ქმნიდა და იღწევოდა. ჩვენ შევესწარიით იმ თაობას, რომელსაც ცოცხალი ილია უჩნახავს. მრავალი მოგონება დაიწერა მის შესახებ, მაგრამ ეპოთეტების სიუხვის მიუხედავად დიდ უმრავლესობაში მაინც არ ჩანს „კით განათლებული“ პოეტის სული, ალბათ არც ეს არ არის შემთხვევითი...

აი, რას წერს იაკობ გოგებაშვილი მოგონებათა ერთ-ერთი ასეთი წიგნის ავტორის ზეპირი გამოსვლების შესახებ: (იხ. ე. „საქართველო“, 1908 წ.): „ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური... არამედ სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა... „მომხსენებელმა მოგონების სახით“, თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ევებერთელა ზეინი კორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა: ძუნწი, გულქვავი, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა სოფისტი, ეგონისტი, გამჭულეტელი მართალი ადამიანისა და თითქმის უნიკო პუბლიცისტი... ამ მოგონებათა ავტორს ცოტა არ უწერიო, მაგრამ ილიას სიცოცხლის დროს თითქმის კრინტიც არ დაუძრავს რაიმე მისი ნაკლის შესახებ. საზარელი მკვლელობის შემდეგ კი მოიწადინა მისი მიწასთან გასწორება.“ „იქნება

არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაღალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულს ნიჭზე. მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის დაცემაზე... ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია სიოცარი სიტყვა-კახშელოებით“. სიოცარია რომ იაკობ გოგებაშვილის და ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ამგვარი აღმფოთების მიუხედავად, ეს „მოგონებები“ მაინც გამოვიდა წიგნად. ილია ჭავჭავაძე რომ მართლა ყვარებოდათ და მისი პატივისცემა ჰქონოდათ, რატომ დაუშვებდნენ, რომ ხალხს მსგავსი ყალბი მოგონებების მეშვეობით ჩამოყალიბდებოდა წარმოდგენა ილია ჭავჭავაძის პიროვნებაზე?

ზემოთ მოვიყვანეთ არაერთი ციტატა, რომელიც ასახავდა ილიას დამოკიდებულებას ქრისტიანული მრწამსისა და წმინდა წერილისადმი. პუბლიცისტური შემკვიდრებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ რწმენას და ეკლესიას ილია ერთმანეთისაგან არ აცალკევებდა, ტაძარი და ღვთისმსახურება რწმენის აუცილებელ, განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. ეკლესიას იგი უწოდებს წინდს „ჩვენი წინაპართა ქრისტიანობის რჯულის სიმტკიცისა და გულმხურვალედ ღვთისმოყვარეობისას“ (იხ. ოცტომეული ტ. V. გვ. 84).

ღვთის აღმამენებლის ხსენების დღეს დაწერილ სიტყვაში პოეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესია „ყოველთვის პატრონობდა ჩვენს ერს...“ წერილში „თ. ისტორია“ კი, ვკითხულობთ, რომ ჩვენი ერი „მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულიას“ იკლავდა ხოლმე.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართულ

ეკლესიას ჩამოერთვა პეტერბურგში იგი მოექცა რუსული ეკლესიის მმართველობის გავლენის ქვეშ, მაგრამ რადგანაც რუსული ეკლესია თავადაც განიცდიდა ვარეშე გავლენას და იმპერიალისტური პოლიტიკოსების ზეწოლას, საქართველოს ეკლესიებიდან განდევნილ იქნა ქართული ენა და მისი ადგილი სლავურმა დაიკავა. ამას მოყვა მოძღვრებად ისეთი ხალხის მოყვანა, ვისიც ქართველ მრევლს არ ესმოდა, შეწყდა ქადაგება და ხალხის ნაწილი ჩამოშორდა ეკლესიას, რამაც შემდგომში ხელსაყრელი წინაპირობა შეუქმნა ათეიზმის გავრცელებას.

1881 წლის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში ილია წერდა: სასულიერო სემინარიაში ქართულს ისე ასწავლიან, არ-სწავლება სჯობია. სამღვდლოება იმ ერის ენა არ იცის, სადაც უნდა იმოძღვროს, „დამუხრდა ამის გამო ჩვენი ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოველად ძლიერი ქადაგება, წააწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამოითხველი არავინ არის“, „მოძღვარი ფარხმალი ენა... უენო მოძღვარი მოძღვრობას ვერ იზამს“. მალე ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, ჩვენი ერი იძულებული გახდება „პერეეოჩიკის“ შემწყობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსო“.

ამის გამო ილია ჭავჭავაძე თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა, მხარში ამოსდგომოდა ეკლესიის ავტოკეფალურობის აღდგენისათვის მოღვაწე ქართულ სამღვდლოებას. 1905 წელს, პეტერბურგში, ეპისკოპოსებს — კირიონსა და ლეონიდეს. — იგი აბლდა სინოდის ობერპროკურორ ობოლენსკისთან აუდიენციაზე, სადაც ილაპარაკა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შევიწროებული მდგომარეობის შესახებ. მას უთქვამს, სომხებს, მუსულმანებს, ებრაელებს და სხვა ეროვნების არამართლმადიდებელ ხალხებს სრული თავისუფლება აქვთ სარწმუნოების საქმეში და რატომღაც სწორედ ერთ-მორწმუნე ქართველთა შევიწროება

ხდება. ისე გამოდის, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში სხვა ეროვნების ადამიანისათვის მართლმადიდებლობის აღსარებაა მხოლოდ შეზღუდული. (იხ. ამ სიტყვის ხელნაწერი რუსულად, ხელნაწ. ინსტ. ილია ჭავჭავაძის ფონდი № 202).

სხვადასხვა ზეპირ გამოსვლებსა და სტატიებში გამქლავებულია ილიას უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ღვთისმსახურთა მიმართ. ეპისკოპოს ალექსანდრეს იგი წერს, რომ არის მისი „მეუფების ლოცვა-კურთხევას მონატრული“ და წარმოაჩენს მას პიროვნებად, „რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთვნება ხასიათი. იწმინდება გრძობა და გული“ (ტ. X გვ. 126) ეპისკოპოს გაბრიელ ჭიქოძეს — უღრმესი და უგულითადესი პატივისცემით“ მიმართავს (ტ. X გვ. 138) და მისი გარდაცვალების შემდეგ წერს: „თითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის“ (ტ. IV). ღვთისმსახურთა მიმართ მისი ამგვარი დამოკიდებულება წარმოჩინდება მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ მღვდლის სახეში. აღსანიშნავია, რომ ილიას მიერ დიდი სიყვარულით შექმნილი კიდევ ერთი გმირი — სოლომანი, ეტიუდში „უცნაური ამბავი“, მღვდლის შვილია და ზნეობრივ-სულიერადაც მისი მემკვიდრეა.

1890 წლის 31 მარტს პეტრე უმიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ილია მარხვას ინახავდა და აღდგომა დღეს აპირებდა გახსნილებას. ალექსანდრე ყიფშიძის მოკონების მიხედვით ახლობლებს საერთოდ ჩეულებად ჰქონიათ ილიასთან თავშეყრა „აღდგომის მისაგებებლად“ (იხ. ლიტ. მატრიანე, 1940, 1-2 გვ. 188).

როგორც ვხედავთ, დაინტერესებული ადამიანი ილიას ნაწერებში ბევრ ისეთ რამეს ამოიკითხავს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება მწერლის შესახებ თითქმის საუკუნის მანძილზე დაყინებით გავრცელებულ ცრუ-ინფორმაციას.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ილიასთან „მოაზრე ცხოვრების გვერდით არსად არ იხსენიება რელიგიური ცნობიერება, რომელიც მოსაქმე (პრაქტიკული) ცხოვრების მამოძრავებელი იქნებოდა“. ასეთია ალბათ აზრი იმ ადამიანებისა, რომლებსაც სასულიერო პირთა მოღვაწეობა უსაქმურობად მიაჩნიათ, თორემ დაფიქრდებოდნენ იმაზე, რომ ილიას მიერ დიდ მოღვაწეებად მიჩნეული ბერ-მონაზვნები სწორედ სულიერად იღვწოდნენ. 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს გაენათის მონასტერში წარმოთქმულ სიტყვაში, თითქოს პირდაპირი პასუხიც არის გაცემული ზემოთ წამოყენებულ ბრალდებაზე. ილია წერს: „განსვენებულ დღეშია-მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე დღეშია მორწმუნეცა აქ არის, ჩემის ფიქრით. მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელია და მოუთავსებელია არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა... კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისათ, — ამას მარტო დღემად გამეცნიერებულნი სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს“. როგორც ვხედავთ აქ სწორედ მოაზრე ცხოვრების რელიგიურ ცნობიერებასთან კავშირის მნიშვნელობაზეა ყურადღება გამაზვილებული.

ილიას ნაწერებში ხშირად გვხვდება სახარებისეული ციტატა: „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვიან“ (მათე 12, 34). ჩვენც მოვიშველიებთ ამ ფრაზის შინაარსს და ვიტყვი. რომ ილიას მხატვრულ შემოქმედებაში იმიტომ არის ასე ხშირად საუბარი ქრისტიანულ რეალიზმზე, მცნებებზე, სწავლობებზე, მორალზე, წმინდანებზე, სასულიერო პირებზე, ეკლესიაზე, რომ მწერლის გული აღსავსეა ამ სულისკვეთებით, ამ განცდებით. ეს არის „ქე-

შმარიტება მისი გულისა“. ალბათ, ამიტომ ჰქონდა ილიას ნაწერებს ის მადლი, რომელმაც ერთ ჭაღბატონს ათქმევინა მათი კითხვისას „სულით და გულით ვმალდები, პირად აღდგომას ვდღესასწაულობო“ (იხ. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებები, 1990 ტ. 11 გვ. 142).

ილია ჭავჭავაძე ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და ამიტომ მტკიცება იმისა, რომ მწერალი ყოველივე ამას ნიღბად იყენებდა მორწმუნე საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ცილისწამება და შეურაცხყოფა მისი პიროვნებისა.

მიუხედავად სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით ილიას შეხედულებების ამსახველი მასალის სიმრავლისა, მათში მაინც არ ჩანს ბევრი დეტალი მწერლის პირადი ქრისტიანული ცხოვრებისა. ცალკეული საგაზეთო ინფორმაციებიდან ვიგებთ, რომ იგი სხვადასხვა დროს წირვა-ლოცვას და პანაშვიდებს ესწრებოდა ტაძრებში: 1898 წლის 11 იანვარს სიონში, 22 თებერვალს — სვეტიცხოველში, 1901 წლის 25 თებერვალს — ქაშვეთში, 1904 წლის ივლისში პეტერბურგში ალ. ნეველის ლავრაში, 1904 წლის 16 მაისს — ანჩისხატში და სხვ. მაგრამ ყველა ეს შემთხვევა სხვა მოვლენებთან დაკავშირებით არის გახეივანებული და ასე რომ არ იყოს, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის შესახებ, რა თქმა უნდა, მათში არაფერი იქნებოდა ნათქვამი.

აღსარებისა და ზიარების კონკრეტული ფაქტების ხსენებას ვერ ვხვდებით ილიას პირად წერილებშიც, მაგრამ ეს ხომ უდიდესი საიდუმლოებები და მისი გულის საკრალური საუნჯეა და განა ასე გამოიტანდა სააშკარაოზე? ამასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება გავიხსენოთ ილიას წერილი თავისი მეუღლის — ოლღა გურამიშვილისადმი: „...როცა მეტი გზა არ არის, რომ აღერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწით-

ლებას კიდევ გავუძლებდებოდა სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე გონია ხოლმე, რომ გული გავეუშაბურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით არ ჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია. (ტ. X, გვ. 376) ამას ამბობს პოეტი ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობის შესახებ და, რა თქმა უნდა უფრო გაუძნელდებოდა საღმრთო სიყვარულის პირდაპირ გამოთქმა და მის მიერ აღსარების ჩაბარებასა და ზიარების მიღებაზე სხვასთან ლაპარაკი.

ილია არც ურწმუნო ყოფილა და არც მხოლოდ რელიგიურად განსწავლული. მას ქრისტიანობა ჰქონდა შეტკობილი მთელი თავისი სულით. გულით და გონებით. სარწმუნოება არ იყო მისთვის მხოლოდ „მორალურ-ეთიკური კოდექსი“, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, ეს იყო მისი სულის მუდმივი წყურვილი, ცოცხალი რწმენა.

საყურადღებოა, რომ ილია ყველა ქრისტიანულ აღმასრებლობას ერთი საწყაოთ არ წყავს, არამედ აღიარებს მათ შორის არსებით განსხვავებას, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ მისთვის მხოლოდ მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი სარწმუნოება ილიას პუბლიცისტიკაში ვკითხულობთ: „ბ“-ნის გოლმსტრემის ლაღადი. რომ სომხებმა შეურყეველი ერთგულება აღმოუჩინეს ქრისტიანულ მართლმადიდებელს აღთქმასაო, არ არის მართალი, იმიტომ, რომ ამ სახელით წოდებას სარწმუნოების და, მაშასადამე, აღთქმისა სომეხნი გაეცალნენ ჯერ კიდევ შექმნეს საუკუნეში და მას აქეთ სარწმუნოებით ცალკე გავიღენ. სად იგი სარწმუნოება, რომელსაც სომხები აღიარებენ, და სად იგი. რომელიც მართლმადიდებლად წოდებულია... (იხ. ხუთტომეული, ტ. V, გვ. 108).

ჩვენ, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ შეგვეკრიბა მასალები, რომლებიც ნათელს მოჰქვენდა ილია ჭავჭავაძის სარწმუნოებრივ მრწამსს, თუმცა ყველა-

თვის არც იყო, ალბათ. საჭირო მტკიცება იმისა, რომ იგი მორწმუნე იყო რადგან ღმერთმა, რომელმაც იცის „დაფარულნი გულთანი“, ინება, რომ იგი წმინდანად შერაცხილიყო ამგვარი მტკიცებების გარეშე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის მატერიალისტად მიჩნევას არაფერია არც მატერიალისტიკა არც გააჩნია. ამის მტკიცება ერთგვარ ხარკს ჰგავს. რომელიც გაბატონებულმა იდეოლოგიამ დააკისრა ჩვენს მეცნიერებას. მაგრამ ვერც ამ თვალსაზრისის მოხარკეთა სიმრავლე და ვერც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მათი ტრიუმფალური სვლა ლიტერატურულ-კრიტიკულ ასპარეზზე ვერ აქცევს სიყალბეს ქეშმარიტებად. როგორც ილია იტყვოდა: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა. მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად“. ასე, რომ, სჭობს, დღეს მაინც ითქვას სიმაართლე წმ. ილია მართლის შესახებ. ეს ჩვენთვისვე არის აუცილებელი, რომ საშინელი განკითხვის ქამს

უფლის წმინდანის შერაცხულობის უნაებელ ცოდვად არ შეგვერაცხოს. და ბოლოს გვინდა დავამთავროთ ეპისკოპოს ლეონიდეს სიტყვებით:

„ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდაათი წელიწადი განუწყვეტლივ აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის საღმრთო ცეცხლი... 50 წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხვადა მსთესდა ყოველი ქართველის გულში ცაცთა გატანისა, სიბრაღულისა და სიყვარულის საკეთარი თითით გარჩეულს საღს და მამლარს თესლს!

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრაღულ-სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარქები შეგვემთხვეოდა... ეხლა მაინც მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გავიხადოთ იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად“.



ალექსანდრა მუჯირი

ილია და ქართველი სოციალ-დემოკრატები

ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდნენ და „მესამე დასის“ სახელით „მოინათლნენ“ თავიდანვე საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი აღიარებული ბელადის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდი ილიას წინამძღოლობით გაბედულად ამხედნენ და ერთსულოვნად გამოხდნენ ცარიზტული რუსეთის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნული ნიპილიზში წყალს ასხამდა თვითმპყრობელობის შოეინისტურ პოლიტიკას და ობიექტურად ხელს უწყობდა ცარიზმის მოხელეთა მიერ ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროებას.

სწორედ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნულმა ნიპილიზმმა, მათ მიერ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის შეუფასებლობამ და ფაქტიურმა უგულვებელყოფამ, მის წინააღმდეგ ცილისწამებულრმა და თავხედურმა გამოსვლებმა მათს ანტიეროვნულ პუბლიცისტურ წერილებში, იღური ნიადგი მოუშადა და მნიშვნელოვნად განაპირობა წიწამურის ტრაგედია.

აეადმოსავონარი 1907 წლის აგვისტოს დადი ხნის წინათ დაედო სათავე. იგი დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძეს ბრალად დაედო თავისივე ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუდნესო“ ღალატი.

ილიას „გაორების თეორიას“ მხარს უჭერენ მისი თანამოაზრეები და თანამშრომლებიც კი.

ილაშქრებდა რა ილიას „გაორების თეორიის“ წინააღმდეგ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „ამბობენ ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უღალატი. მე ეს არ მჯერა. პირიქით, უნდა დარწმუნებულნი ვიყენეთ, ილია სამარუმდის მთლიან ადამიანად დარჩა როგორც ზოდა ოქროსი. ილიას უფვარდა საქართველო იმ თავით ამ თავამდე და მის საკეთილდღეოდ იღწოდა. და იგი მოკვდა მუხთაღის ხელით არა როგორც თავადი, არამედ როგორც რწმენისა და აზრის კაცი“¹.

ცნობილი ეროვნული მოღვაწე და პუბლიცისტი ს. ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ ილიას მიმართ საყვედურები და სამდურავები სხვადასხვა მხრიდან გაისმოდა. ამ მხრივ თავშეუკავებლობას სწორედ ქართველი სოციალ-დემოკრატები იჩენდნენ. იგი წერდა: „ფართო და მოურიდებელი პოლიემიკა დაუწყევს ილიას „მესამე დასელებმა“ ამ საუკუ-

ნის დასაწყისში, უწუნებდნენ დემოკრატიზმს, საზოგადო საქმეების სიფერულს. მისი ეკონომიკური და სოციალური შეხედულებანი რაქციონურია, იგი ბანკირია, ბანკის ინტერესების დასაცავად პუბლიცისტობს¹².

ამ მხრივ განსაკუთრებით ნ. ფორდანიას აქტიურობდა.³

არც ილია რჩებოდა „ვალში“. სტატიისი „ქართუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარის“ ილია ბრალს სდებდა ნ. ფორდანიას ქართველი ერის აზრად ავლებაში, მის გაბიაბრუებაში. მაგალითად „კვალში“ ნ. ფორდანიას წერდა: „გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სახელით ხაძებარია, ხოლო უგუნურობა ყოველგან და ყოველთვის ადვილად მისაგნებია, ცხადია პირველი კურჭელი-ინტელიგენცია — ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის (ე. ი. უგუნურების ა. შ.) მთელი ხალხი, მთელი ვრია“¹⁴.

ამით ნ. ფორდანიას მართლაც რომ მთელ ქართველ ხალხს აბიაბრუებდა, უგუნურად, უვიცად მიაჩნდა იგი. „ჯარო და ჯამათხო, — წერდა ილია, ღვთის გულიხათვის მაინც, იკითხეთ, ეს რა კაცს შევესწართო, ეს რა კაცი მოგვევლინა, ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა! ქვეყანას ღმერთი ვახტებია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა ღუშართა ამ ისეც უბედურს საქართველოს, რომ ეს დიდებული პროგრესისტი გამოსულა და ჭკუას ვეასწავლის და გზას ცხოვრებისას გვინიშნავს. წარმოიდგინეთ თურმე ყურისმგებელიცა ვაჟს, ამყოლიცა და მგალობელიც! მართალი ნათქვამია: როგორც ალხანა, ისეთიც ჩაღხანაო, მაგრამ განა ეს ნუგუშია! მარტო ის ამბავი, რომ არის ქვეყანა, საცა ამისთანა კაცო ლიტერატურობს, მარტო ეს ამბავი ხაკმარისია კაცმა ამ ქვეყანაზე ხელი აიღოს და ცხრა მთას იქით გადაიხვეწოს. განა ყოვლად შესაბრალებისი არ არის ის ქვეყანა, ის ვრი, საცა ჰფარფაშობს და ჰფახიფუხობს ამისთანა კაცი, რომელსაც ჭკუა არ უშლის

სიქვას: „ხალხი“ და ინტელიგენცია ინტელიგენცია და ხალხი [ქართული] მეტოქე და მებრძოლი ელემენტი“¹⁵.

ილიამ თავის კრიტიკულ წერილებში საფუძვლიანად ამხილა ნ. ფორდანიას უპირინციპობა, წაჯექ-უაუჯექობა, მისი ფაქტური გალაშქრება ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ილია მარტოღმარტო იყო თავის იდეურ-პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. მას მხოლოდ არჩილ ჯორჯაძე ესარჩლებოდა და იცავდა.

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე არჩილი მწვავედ ეკამათებოდა ნ. ფორდანიას, რომელსაც მიაჩნდა, რომ თანამედროვე ეროვნება კაპიტალისტური წეს-წყობილების ნაყოფია, იგი მისივე აზრით ფეოდალიზმის წიაღში ვერ განვითარდებოდა, ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა. ამ დროს, როდესაც რუსეთის შესვლით პოლონეთში უფრო დაბალმა კულტურამ უფრო მაღალი დაიმორჩილა, საქართველოში პირიქით მოხდა, რუსეთმა უფრო განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური წეს-წყობილება შემოიტანა. ამას ნ. ფორდანიას მტკიცებით ქართველი ხალხი გრძნობდა და იგი ყოველი ანტირუსული პოლიტიკის წინააღმდეგი იყო, ამიტომაც მას ტერიტორიული ავტონომია მიუღებლად მიაჩნდა.

არჩილ ჯორჯაძე ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა დამოწმებებით ცხადყოფდა, რომ ქართველ ხალხს, განსაკუთრებით კი მის იდეურ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნამდე ჰქონდათ გამახვილებული ეროვნული თვითშეგნება. იგი საპართლიანად თულიდა, რომ საქართველოში რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის დამყარებას ქართველი არისტოკრატია უფრო ადვილად შეურიგდა, ვიდრე ქართველი გლეხობა, რომელმაც მძლავრი აჯანყებებით უპასუხა ეროვნული სახელმწიფოს გაუქმებას, რაც შეეხებოდა ტერიტორიული პოლიტიკური ეროვნულ-

ბის შექმნას და მათ ფედერაციულად შეკავშირებას, იგი არ ნიშნავდა ინტერნაციონალიზმის იდეალის დღეს, პირიქით ხელს შეუწყობდა ერთა სოლიდარობის განმტკიცებას.

არჩილი საიმედო ფარად და იდეურ მოკავშირედ ედგა დიდ ილიას, რომელიც დაუნდობელი იყო ყველას მიმართ, ვინც კი ხელს ოღნაედაც აღმართავდა ქართველი ერის წინააღმდეგ.

ახასიათებდა რა ილიას პიროვნებას ს. ფირცხალავამ აღბათ ყველაზე უკეთ წარმოაჩინა მისი შეუდრეკელი ბუნება, ერის მოღალატეთა მიმართ აბსოლუტური უკომპრომიზობა. ს. ფირცხალავა წერდა: „რკინა იყო, ფოლადი, ძნელად მოსაღები, დინჯი, იოლად არ აპილიძღებოდა, მოუფიქრებელს არაფერს იტყოდა. მის ნათქვამს წონა ჰქონდა, მძიმე იყო, დატვირთული თავის ძაღვს გრძნობდა. მიპირდაპირეს ყურადღებით უსმენდა“.⁶

ცხადია, არა ისე მწკვედ და არა ცილისმწამებლურად, არამედ, ზომიერად, ტაქტიკაში ედავებოდა დიდი ილიას „ახალი თაობის“ მეორე ჯგუფი „ცნობის ფურცლიდან“, თუმცა დიდად აფასებდა მის ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსს (განსაკუთრებით არჩილ ჯორჯაძე), ამ ჯგუფის წარმომადგენლები ილიას და საზოგადოდ გამათავისუფლებელი მოძრაობის უფროსი თაობის მოღვაწეებს მოუწოდებდნენ, რომ ისინი მხოლოდ ეროვნულ საკითხს აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ერის კეთილდღეობისათვის საჭირო და აუცილებელი იყო როგორც ეროვნული ჩაგვრისაგან გაათავისუფლება, ისე სოციალური სამართლიანობის დამყარება ეროვნულად გათავისუფლებულ ხალხში. ამ ჯგუფს არ მოსწონდა ძველ მოღვაწეთა ფრთხილი, გაუბედავი ბრძოლის მეთოდი და ბრძოლის მთავარ იარაღად მიაჩნდა რევოლუციური მოქმედება, მასობრივი გამოსვლები.

უნდა ითქვას, რომ „ახალი თაობის“ მეორე ჯგუფმა შემდეგში ევოლუცია გა-

ნიცადა, ეროვნული საკითხი უმთავრეს რულ ერში სოციალურის წინააღმდეგ და მისი გადაჭრის საფუძვლად აღიარა. არჩილ ჯორჯაძეს სწორედ ილია და მისი თანამებრძოლები ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლის მეზარაზტრებად მიაჩნდა.

როდესაც მოძრაობა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მთელ იმპერიაში, კერძოდ საქართველოში სულ უფრო ფართოვდებოდა, ამ დროს თითქოს ილია და მისი ყველა თანამოღვაწე უმოქმედო და უზრუნველი იყო. 1904 წელს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ ქართველ მწერლებსა და პუბლიცისტებს საახალწლო მილოცვები შექსპირის „მეფე ლირიდან“ და „ამლეტიდან“ მიუძღვნა. ილიას მილოცვაში ნათქვამი იყო: „შეგრჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ზმა ვაძე, კარგო კაცი! რა დაგემართა?“ („მეფე ლირიდან“). თვითმპყრობელობის მიმართ რადიკალურად განწყობილი ეროვნული მოღვაწეები ყველაზე მეტს სწორად ილიასაგან მოითხოვდნენ, რომელმაც აღზარდა ისინი მამულიშვილებად, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლებად. ყოველ ქართველს სამშობლოსა და საკუთარი ერის სიყვარული დიდმა ილიამ ასწავლა. საქმით მას არასოდეს არ უღალატია თავისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსისათვის.

ილია ბრძენ-კაცი, აზროვნების ოკეანე თავის ოპონენტებზე ბევრად უფრო შორს იხედებოდა, რეალისტურად აფასებდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, თვითმპყრობელობის უშუალო აღსასრული ჯერ მოახლოებულად არ მიაჩნდა. ცხოვრებამ მთლიანად გაამართლა ილიას წინასწარზედვა.

არჩილ ჯორჯაძესა და მის ამხანაგებს პირადად ილიას წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ. ისინი ეკამათებოდნენ „ივერიას“, როდესაც მას უკვე 1901 წლიდან ილია აღარ ზღმძღვანელობდა და ამის შემდეგ ჯერ აღ, სარაჯიშვილი იყო რედაქტორი, ბოლოს კი ფ. გოგინაიშვილი.

ილია, როდესაც „მესამე დასელებს“ ვერძოდა ხანდახან ფედერალისტებსაც გადაკრავდა ხოლმე, განსაკუთრებით კი არჩილ ჯორჯაძეს „არ წყალობდა“. „საკვირველია, — წერდა კ. გამსახურდია, — ილიამ არჩილი ვერ იცნო. მოფონეთ, მისი სარკაზმით შეზავებული პამფლეტი არ. ჯორჯაძეზე არჩილმა კი ილია ვეღვა მის თანამედროვე კალ-მოსნებზე უკეთ დააფასა... არჩილმა ილიას გზა განაგრძო, მისი პორიზონტები გააფართოვა“.⁷

არჩილის აზრით ახალ თაობას უნდა განეხორციელებია ილია ჭავჭავაძის მიერ გამოცემული ეროვნული იდეალი. ილიაში იგი ხედავდა „ეროვნული ცხოვრების წინამძღოლს... ეროვნული ჭირ-ვარამის გამოშხატველს“⁸.

რაც შეეხებოდა სოციალ-დემოკრატებს, მათი გაღმარება ილიას წინააღმდეგ ყოველთვის უხამის და უკიდურესად ყოველგვარ ზღვარს გადაჭარბებული იყო. ისინი ილიას პიროვნებას ხატავდნენ უაღრესად მუქ ფერებში, როგორც ვეღვაზე უბოროტეს, საშინლად მავნებელს.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ცილისმწამებლური კამპანია ფართოდ გააჩაღეს ილიას წინააღმდეგ ჟურნალ „მოგზაურის“ (რედ. ფ. მახარაძე) ფურცლებზე. კერძოდ, აქ დაიბეჭდა ვ. ნ.-ის (ვახტანგ ნაცვლიშვილის) გახმაურებული კორესპონდენცია „საკურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“, რომლითაც ავტორმა მრავალი ცილი დასწამა ილიას, თითქოს იგი გლეხებს უდიერად ეპყრობოდა და ძლიერ ავიწროებდა, „ფაქტებიც“ მოყავდა.

თავის პასუხში „ნუთუ“?, რომელიც უშუალოდ „იკერიის“ ფურცლებზე კ არ გამოქვეყნდა, არამედ მისი 1905 წლის 68-ე ნომრის ცალკე დამატებად დაიბეჭდა, ილიამ საფუძვლიანად უკუაგლო წამოყენებული ბრალდებები.

ილიას ამ პასუხმა არამც თუ მიანება ცილისმწამებელი სოციალ-დე-

მოკრატები, არამედ მას კიდევ მეტის გამწარებით შემოუტიეს და ახალი ცილისწამებები „გამოაცხვეს“. ჟურნალმა თავის „პასუხის-პასუხში“ ახალი ბრალდებები წამოუყენა ილიას ორ სარედაქციო წერილში. ერთ მათგანში ნათქვამი იყო, რომ ბევრი სისამაგლე გვინახავს და ბევრიც გავვიგონია, მაგრამ ამისთანა არასოდეს არ ვესმენია: „ამერიიდან ქართველ მკითხველს, — ნათქვამი იყო „მოგზაურში“, საქმე ექნება ქართველ მემამულესთან (ე.ი. ილიასთან ა.შ.), რომელსაც მთელი თავისი ზიციოცხლე იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ვეღვიფადა ეტყავებია. ჩვენ არ გვეონია, რომ საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმობლად მოყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“-ო.

არც კორესპონდენტმა ვ. ნ.-მ დააკლო ილიას ცილისმწამებლური და მწარე სიტყვები, ოინბაზობა, ფაქტების შეგნებულად დამახინჯება, მოპირდაპირის ლანძღვა-გინება. ეს დამახასიათებელი ჩვეულებრივი თვისებაა ილია ჭავჭავაძისაო.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა მკითხველმა იმ დროს სრულიად დაიჯერა „მოგზაურის“ ბრალდებანი, ზოგს კიდევ მიაჩნდა ცილისწამებად, უმრავლესობა მერყეობდა, ვერ გაერკვა საქმის ნამდვილ დედარსში, ფიქრობდა, რომ „რადაც“ მინც უნდა ყოფილიყო ამასთან ეს „რადაც“ ზოგიერთი მკითხველისათვის მცირე იყო, მკითხველთა მეორე ნაწილისათვის „დიდი“.

თანამედროვეთა გადმოცემით ილიას სამწუხაროდ არავინ გამოექომაგა, ნუგეში არავის უთქვამს, არავინ დაინტერესებულა სიმართლის გამოძიებით, ფაქტების პირადად შემოწმებით. ფაქტიურად ილია მარტო დარჩა საკუთარი თავის ანაბარად — ეს ეროვნული საქმის დიდი ხუროთმოძღვარი, ერის ტვინი. არავინ იცოდა თუ რა

სულიერ მღვდელმთავრებს განიცდიდა როგორ დაიტანჯა ზნეობრივად როგორ დაამცირეს. წიწმურის ეროვნულ ტრაგედიაში, ილიას გულში უკვე დაიბუდა სულიერმა ტრაგედია, რაც თითქმის არავის შეუმჩნევია, არავის აღმოაჩნდა წინდახედულება, სიფრთხილე, მომხდარის განსჯის უნარი და ილიას გარშემო შექმნილი მოწამლული ატმოსფერო თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ანტიეროვნულმა ძალებმა.

ილიას მუხანათური მკვლელობის 50-წლისთავზე მიხაკო წერეთელი საზღვარგარეთის ქართულ ემიგრანტულ გამოცემაში წერდა: „წმინდა იდეურ ბრძოლით რომ ვერა დააკლეს, რა, ცილისწამებით და ღვენიტ მოსდგენ ილია ჭაუჭავაძეს, და რაც მახარაძემ, გელეიშვილმა და მათმა სხვა მომხრეებმა მის წინააღმდეგ სიბინძურე წერეს, მართალია უდიდეს ხირცივილად არის მოსაგონებელი იმ უბედური ეპოქისგან ჩვენი ცხოვრებისა. და როდესაც ვერც ამან გასჭრა და გამანადგურებელი პასუხი მიიღეს ილიასგან შერცხვენია მათი, მაშინ ხატანამ საჭურველი ააღებინა მათ ხელში და მოაკვლევინა დიდი ქართველი“⁸.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ვარაუდის საწინააღმდეგოდ ილიას მოკვლა და დასაფლავება მთელი ქართველი ხალხის ეროვნულ გლოვად გადაიქცა. ილიას დასაფლავებისას მკზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთებით იყო გაღვინთილი აკაკი და მიხაკო წერეთლების, სხვა გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეთა, მწერართა სიტყვები⁹.

ყველას უხერხულად ერეენა სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლის კ. ჩხეიძის სიტყვა. მან გაიხსენა ძველი ვალაშქრება ილიას წინააღმდეგ და პოლემიკა მის მკვლელობასთან დაკავშირებით. სრულიად უადგილო, ამასთან საფლმეულს მოკლებული იყო მისი შემდეგი სიტყვები: შენ დავტირიან თავდაზნაურები (და თითქოს

არა მთელი ერი), როგორც მკვლელნი მესაკუთრეს, მთავრობის წარმომადგენლები, როგორც ახლანდელი სახელმწიფო წყობილების მომხრეს, ხოლო შოეინისტები, როგორც მამულიშვილს და ჩვენ მათთან არა ვართო.

ამიტომ სწორი იყო ფედერალისტთა „ისარი“, რომელიც ილიას მუხანათურ მკვლელობასთან, საუკუნის ამ დანაშაულთან დაკავშირებით შეურიგებლად ილაშქრებდა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ: „განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეხიზდება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების ადვოკატებმა არ იშუავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც, რომელნიც ხალხის პირად მტრებად გამოყავდათ ბრბოს უსისინებდნენ — ჰკა მაგათო?! ხალხს, რომელმაც არ იცოდა თავისი ქვეყნის წარსული, თავისი ლიტერატურა, არ შეეძლო კრიტიკულად დაეფასებია სხვისი ღვაწლი და მოღვაწეობა, ისტორიულის წერტილის თვალთახედვით დაეფასებია ძველთა ამაგი და ძველთა შეცდომანიც, ეს ვაებატონნი პირდაპირ ეუბნებოდნენ — აი ესენი ნაციონალისტები არიან, ე.ი. თქვენი პირდაპირი მოსიხზლე მტრები, რომელთაც ძველი საქართველოს აღდგენა უნდათ მეფეებით, ბატონეშობით და ამგვარი წარსული დიდებითო! ადილად წარმოსადგენია რა ფანატიკურ მძულვარებას სოფსავდა ამგვარი ქადაგება პნელ მახაში ყველა იმათ მიმართ, ვინც „მართლმორწმუნე“ არ იყო და ვინც ილიასავით, სხვა მიმართულების იდეოლოგი და წინამძღოლი იყო“¹¹.

როგორც ვხედავთ აქ ზუსტადაა დახასიათებული ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკური ფიზიონომია, რომლებიც ძველ ყავლგასულ დოგმებს ებღაუჭებოდნენ, თან ახლებური აზროვნების ნიმუშად აცხადებდნენ, ვერ ითმენდნენ სხვანაირ მოსაზრე-



ბებს და მათ „წმინდა წყლის ნაციონალისტურად“ თვლიდნენ.

მიხაკო წერეთელმა, თავის ცნობილ სიტყვაში, ილიას დასაფლავებისას დიდი ქართველის მკვლელობაში მთელი ქართველი ერი დაადანაშაულა, ილია საქართველოს ერთი ყაფა, რომელმაც ვერ მოუარა უბადლო მამული-შვილსო. „ეგვლახ ბედშაჲო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ გაივებს ვინ მოკვალით ჩვენზე ხელით ტყვიით განგმირული! საქართველო? ერი ლაჩარი, ზნედაცემული, ვახრწინლი, უგრძნობელი, რომელმაც დაკარგა კაცთა სახე, — აი, ამ ერმა თვით მოკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უკვანი, უმსგავსონი, და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებად — აი რას იტყვიან! და, მართლაც, რას უნდა მოელოდეს ადამიანი იმ ერისგან, რომელსაც მონური სიღაჩრე შეჰპარვია. რომელიც ეს სამი წელია გაჰყვირის ძლიერად: ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო“.¹² რომდენად მართალი იყო მიხაკო.

დიდ ილიას საფლავშიც არ ასვენებდნენ მისი მტრები. ნ. ჟორდანიას მიერ ფ. მახარაძისათვის გადაცემული „ესტაფეტა“ ილიას საღანძღავად, რომელიც „მოგზაურში“ ჯვარს აცვეს ნ. ჟორდანიამ ისევ უკან დაიბრუნა. აქაც მოწოდების სიმძლავრე აღმოჩნდა ალბათ ერთადერთი არჩილ ჯორჯაძე, მან რაინდულად შეაკვება თავისი ფარი ილიას მტრებს. როგორც ჩანს არჩილმა ვველაზე უკეთ ცაიგო ილიას ეროვნულ-პოლიტიკური იდეალის არსი და ქართველი ხალხისათვის მისი მნიშვნელობა.

ნ. ჟორდანიას შეინშნავდა, რომ „კვალის“ ფურცლებზე ფართოდ იყო დახასიათებული როგორც „ივერია“, ისე „ცნობის ფურცლის“ მიმართულება. კერძოდ მის წერილში „ქართული პრესა“ (1900), სადაც ვრცლად იყო განხილული და გაკრიტიკებული ივერიელთა მოხაზუბანი ნ. ჟორდანიას

ცილისმწამებლურ გამოხდომებს. როგორც ითქვა საქადრისი პასუხი ვასცა ილიამ. ნ. ჟორდანიას თვლიდა, რომ „კვალში“ მოთავსებული მისი წერილები ვერც არჩილ ჯორჯაძემ და ვერც სხვებმა (მათ შორის ილიამ) ვერ დაარღვიეს. „ახლა გამოდგარა ბ. ჯორჯაძე და „ისტორიას“ თავიდან იწყებს, სადაოს ზდის ისეთ კითხვებს, რაც კათ ბანია უდათო არის აღიარებული. ჩვენ „ივერიის“ მიმართულება დავახასიათეთ თავადაზნაურულ მიმართულებად. ბ. ჯორჯაძე კი გვედავება ეს ტყუილიაო. მას დიდი სურვილი აქვს ეს მიმართულება მიიფუჩეროს. და ასე ამ მიმართულების სულისჩამდგმელთა რეაბილიტაცია მოახდინოს. ნათქვამია მტყუანს კარებამდე მიყვით და ჩვენც მივყვით ბ. ჯორჯაძეს“¹³.

ილიასეულ „ივერიას“ (1901 წლამდე იგი იყო ვაზეთის რედაქტორი და გამომცემელი) არა გვეონია კატეგორიულად ვინმეს დაცვა დაჭირებობდეს, ვერც „ივერიას“ და ვერც „ცნობის ფურცელს“ ანტიქართულ, ანტიეროვნულ სულისკვეთებაში ბრალს ვერ დავდებთ. რაც შეეხებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მეტადრე მათს ბელადს ნ. ჟორდანიას, ისინი „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელს“ ებრძოდნენ „ინტერნაციონალური“, ანტიეროვნული, ანტიქართული პოზიციიდან. აი ის ციტატა, რომელიც ნ. ჟორდანიას მოყავდა არჩილ ჯორჯაძის „გახამტყუნებლად“ მისივე წერილიდან „ისტორიის სამართალი?!“ აქ არჩილი 1908 წელს წერდა: „იმ დროს, როდესაც ჩვენ საზოგადოებაში თანამედროვე პარტიების სახსენებელიც არ იყო, სამწერლო ასპარეზზე მოქმედებდა თაობა, რომელსაც ჩვენ დღეს ძველ თაობას ვუწოდებთ... ილია ჭავჭავაძის ნაწერებს რომ ეცნობით, თქვენთვის ამკარად ჩნდება ის აზრი, რომ მწერლის მთავარი საზრუნავი ეროვნების დაცვა და მისი მოსარჩლეობა იყო. ეხლანდელის აზრით, რომ შევხედოთ ამ

საგანს, არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს მხარე ჭკვეჭკაძის პუბლიცისტიკის რეაქციონური იყო. დამცირებული ერის დაცვა ფრიალ კთილშობილი გრძნობა და იგი ყოველთვის იყო არის და იქნება პრინციპი პროგრესული¹⁴.

ნ. ჟორდანიამ არჩილ ჯორჯაძის ასეთი მტკიცება არამც თუ სადაოდ, არამედ უბრალოდ არასწორად და დაუსაბუთებლად მიიჩნია. თითქოს ილია ჭკვეჭკაძის საზრუნავს სრულიადაც არ შეადგენდა „დამცირებული ერის დაცვა“, რამდენადაც ილია „ძველი თაობის“ წარმომადგენელი იყო. ნ. ჟორდანიას მიხედვით „ძველი თაობის“ მოღვაწეობა ორ პერიოდად იყოფა: პირველი 60-იანი წლებიდან და მეორე 80-90-იანი წლებიდან. პირველ პერიოდში მეთაურობდა „დროება“ მეორეში „ივერია“. „დროებაში“ ი. ჭკვეჭკაძემ ცოტა ხანი დაჰყო, მოათავსა მხოლოდ ერთი წერილი და რედაქციასთან დავის გამო გაწვევითა მასთან კავშირი... ასე, რომ „დროების“ ხანის წარმომადგენლები ყოფილან“ ვ. წერეთელი, ს. მესხი და სხვა მათი თანამშრომლები¹⁵. ნ. ჟორდანიას თავს ესხმოდა არჩ. ჯორჯაძეს: „ილია ჭკვეჭკაძე აქ რა შუაშია ბ. ჯორჯაძე? ჭკვეჭკაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა იფურჩქნება და ვითარდება „ივერიის“ დაარსებიდან... „ივერიას“ ხელში უფარდება ქართული პრესის მონოპოლია 1886 წლიდან, როცა „დროება“ მთავრობამ დახურა და თვითონ „ივერია“ ყოველდღიურ „ივერიათ“ გადაკეთდა. აი სწორედ ამ დღიდან ილია ჭკვეჭკაძე დგება პუბლიცისტური მოძრაობის სათავეში და ამ სახის წარმომადგენლათ ის ჩაითვლება ბ. ჯორჯაძე კი ყველაფერს ერთმანეთში ურევს“¹⁷.

კიდევ უფრო ცოდადა ნ. ჟორდანიას, როდესაც ქართველი ერის გულგადაკლული მოამავე ილია ჭკვეჭკაძე არ მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დამცველად. იგი

დაუფარავად აცხადებდა, რომ ილია ჭკვეჭკაძის მიმართულება არ ხასიათდებოდა ეროვნების დაცვით. „დახასიათებდა... ფილოსოფოსობდა“ ნ. ჟორდანიას, ნიშნავს ისეთი თვისების აღმოჩენას, რომელიც მეორეს არა აქვს, თუ კი თქვენ ისეთ თვისებას იჩენთ, რომელიც ხაერთოა მრავალი პირისა და ჯგუფის — ეს არ ნიშნავს ერთი პირის თუ ჯგუფის დახასიათებას. „დროების“ ჯგუფი ებრძოდა „ივერიის“ ჯგუფს, თუმცა ორივე იცავდა ეროვნებას. მაშასადამე ეროვნების დაცვა კი არ ახასიათებთ მოპირდაპირეთ, პირიქით ეს მათ აერთებთ. მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური მოძღვრება ანსხვავდება მათ და თუ გნებავთ მათი დახასიათება, აი ეს მოძღვრება უნდა გამოიკლიოთ და შეადაროთ. როცა 1883 წელს „ივერია“ წერდა ჩვენ ყველანი ერთი მიმართულების, ერთი პარტიის უნდა ვიყოთ, რომ ვინაობა დავიცვათ, „დროება“ უბასუხებდა, „ჯერ ძმობა განახორციელეთ ცხოვრებაში, მხრლოდ მაშინ გვიქადაგეთ, სხვადასხვა მიმართულებას თავი დავანებოთ და ერთ უღელში შევებათ ანუ დაივიწყებთ თქვენ ღირსეულსო და ბრწყინვალე გვამსო, რომ შრომის მონას, რომელიც მუდამ ოფლს ღვრის და გულის კენესით ამბობს: „ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“. მამულიშვილობის გარდა სხვა ბევრი რამე სადარდელი და სანატრელი აქვს“¹⁸.

სწორედ „დროებიდან“ მოტანილი ადგილი არ მტყვევლებს ეროვნული ინტერესების, ეროვნული მეობის დაცვას. „ივერია“ კი სწორედ ხაერთო-ეროვნული ინტერესების, ქართული ენის დაცვის, წერა-კითხვის გავრცელების საჭიროებას ქადაგებდა ამ მხრივ ივერიელნი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. რაც შეეხებოდა „დროებას“ და მის ეპიგონებს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მათ მხო-

ლოდ „შრომის მონის რეცეპტის“ სახით პროპაგანდა მიიწიეს ხელთ „სოციალური თავისუფლებისათვის“ მებრძოლთ.

რომ ი. ჭავჭავაძის მიმართულება „არ ხასიათდებოდა“ ეროვნების დაცვით ამაში ნ. ჟორდანიას თქმით „კვალიც“ ეთანხმებოდა. „თავის გასამართლებლად მელამ საკუთარი კუდი დაიმოწმაო“ ამაზე იტყვიან. „კვალი“ ხომ სოციალ-დემოკრატების ვახუშტი იყო, რომელსაც მთელი ხაში წელი თვით ჟორდანიას ეღვა სათავეში.

შეხვედლობაში ჰქონდა რა არჩილ ჯორჯაძის სიტყვები, რომ დამცირებული ერთი დაცვა ფრიად კეთილშობილური საქმე იყო ნ. ჟორდანიას კვლავ „ფილოსოფოსობდა“. „მაგრამ კითხვა იმაშია თუ ვინ როგორ იცავს მას? „დროება“ იცავდა ერთნაირად, „ივერია“ მეორენაირად, „კვალი“ მესამენაირად, „ცნობის ფურცელი“ მეოთხენაირად, და აი, სწორედ ამით სხვაგვებიან ეს გამოცემები ერთმანეთისაგან“.¹⁹

ცხადია ეს იყო სიტყვების თავისებური თამაში და არა ის, რაც დამტკიცებდა ილიას მიერ ქართველი ეროვნების დაუცველობას. ცხადია, დაუმტკიცებლის დამტკიცება ნ. ჟორდანიას არ შეეძლო.

ნ. ჟორდანიას თვლიდა, რომ „ივერია“ იყო „თავდაზნაურულ-სოფლური“ მიმართულების, ამდენად „ცხადი ხდებოდა“ თუ როგორ დაიცავდა იგი ქართველი ეროვნების ინტერესებს.

არჩილ ჯორჯაძეს ასეთი ბრალდება „ივერიისა“ ილიას მიმართ უსაფუძვლოდ მიიჩნდა.

ნ. ჟორდანიას მოყვავდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომლებსაც არჩ. ჯორჯაძე იმორწმუნდა: „ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუვლია, მარტო იმ ერს გამოვლენა თავი ათასგვარი განსაცდელი-საგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე დაუტყვია და მიუვინია, რომ ერთი რომელსამე წუთების წინ წაწე-

ვა არაფრის მაქნისია, თუ დაწინაურდეს ერთი არ წაწეულა პირიქმის მტრის წუთების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მიჰყოლია“²⁰.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, რომელსაც ნ. ჟორდანიას არ ეთანხმებოდა, აქ წოდებრივი უპირატესობის საჭიროებაზე კი არ იყო ლაპარაკი, არამედ მათს თანხმობასა და სოლიდარობაზე. იგი წერდა, რომ ილიას მიერ „წარმატების მმომრავ მძლავრად ბრძოლა და მოცილეობა კი არ არის აღიარებული, არამედ მშვიდობა, წოდებათა შორის თანხმობა და ერთობა! თუმცა ავტორი ამბობდა, რომ „ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დახვევა მოჰყოლია“-ო, მაგრამ ავიწყდება, რომ ყოველთვის ანგარიშში მისაღებია ის, თუ „ვინ“ რჩება უკან, რომელი წუთები იმარჯვებს!“. ავიწყდება აგრეთვე, რომ მხოლოდ ისტორიის მხედველობაში მწარმოებელი წუთების ფეხის წინ წადგმა ქვეყნის წარმატების მომენტად ჩაითვლებოდა და არა იმის უკან დახვევისა. როცა ჩვენი ავტორი ზემოთ მოყვანილ სიტყვებსა სწერდა აშკარაა კეთილი განზრახვა ჰქონდა და გარედან შეხედულებით მის სიტყვებს რადიკალური ელფერიც ეღვა. თავდაზნაურობას ურჩევდა იზრუნეთ თქვენის კეთილდღეობისათვის, მხოლოდ სხვანიც ნუ დაგავიწყდებათო. თქვენი ბედნიერება სხვისი ბედნიერებით გაპზომეთო“²² ილიას ნაზრების ამ ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის არჩილ ჯორჯაჯისეული ანალიზი ბევრად უფრო სარწმუნოა, ვიდრე ნ. ჟორდანიას მოფიქრებლად და გაუაზრებლად გაკეთებული დასკვნა. ნ. ჟორდანიას თვლიდა, რომ ვინაიდან ილია წოდებათა თანხმობას (ეს საკითხის ერთი მხარეა), ჰქადაგებდა, ამიტომ მისი მიმართულებისათვის თავდაზნაურული და არაბურჟუაზიული უნდა ვეწოდებოდა. „ვინაიდან – წერდა ნ. ჟორდანიას – აქ ლაპარაკია წოდებაზე, ხოლო ჩვენში ორი მთავარი წოდებაა: თ. აზნაურობა და ელვობა;

მათი თანხმობა ნიშნავს უკანასკნელის გაწეობას და თავისი უღლის წინანდებურად ტარებას. მან არ უნდა შეებრძოლოს პირველს თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე სწავლიან ევროპის ბურჟუა ეკონომისტები. ესენია არა თ. აზნაურობის მიმართულების, არამედ ბურჟუაზიულის, ენიიდან ისინი ქადაგებდნენ კლასთა თანხმობას, ხოლო ევროპაში წინანდელი ორი მთავარი წოდების მაგიერ დღეს ორი კლასია: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ამიტომ ვის მოუვა ფაქეში ამათ მიმართულებას თ. — აზნაურული უწოდოს? რასაკვირველია არავის.²³

ცხადია თავისი არსით, ეს საკითხის დაყენებაა და არა მისი ახსნა. გლეხობისათვის მიწების უსასყიდლოდ დარიგება, რასაც ილია ემხრობოდა, მიწის ნაკვეთებით და ეკონომიკური კეთილდღეობით, მისივე პროგრამის მიხედვით გლეხობა შემამულეს უნდა გატოლებოდა და ამ ორი წოდებიდან არც ერთს არ უნდა წაეწია წინ, ერთმანეთისათვის არ უნდა გაეწროთ.²⁴ საკითხის სხვა მხარეა თუ რა გზით განხორციელდებოდა პრაქტიკულად ილიას აგრარული პროგრამა. თუ კი შემამულესა და გლეხს შორის გარკვეული ეკონომიკური წონასწორობა დამყარდებოდა, ცხადია შემამულე აღარც კი იარსებებდა ძველებური გაველით ვითარცა „უზარმაზარ მამულთა“ მფლობელი, ექსპლუატატორი. საქმე არსებითად ფერმერულ მეურნეობას ეხებოდა, რაც განხორციელდებოდა თანდათანობით, სოფლის მეურნეობის დემოკრატიული ევოლუციის გზით.

ცხადია, ილია, როდესაც ლაბარაკობდა წოდებათა თანხმობაზე მხედველობაში თავადაზნაურობა და გლეხობა ყავდა, მან ჩინებულად იცოდა რომ ინტელიგენცია წოდება არ იყო. ილია არც წინააღმდეგობის არსებობას უარყოფდა ორივე წოდებას შორის. 1879 წელს „ცხოვრება და კანონში“ (წერილი მეექვსე) წერდა, რომ ჩვენშიც

აქვს ადგილი წოდებათა შერეობას ხეტილებას. მაგრამ მისთვის ამის მიზეზი წოდებათა წყობას, მის შინაგან პირებს, ჩვეულებებსა და აქედან გამომდინარე მიდრეკილებას არ უნდა მივაწეროთ. ამის მიზეზი იყო იგივე რაც არსებობდა თითოეულ ადამიანთა შორის „ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“.

აქედან გამომდინარე ნ. ჟორდანიას აკეთებდა დასკვნას, რომ ი. ჭავჭავაძის მიმართულება „უშეკველად“ თავადაზნაურული იყო, არც მეტი, არც ნაკლები.

ცხადია წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი ძირითადად სოციალურ წყობაში უნდა ვეძიოთ და ამის ასახსნელად სრულიადაც არაა საჭირო მარქსიზმი, მეტადრე მისი დოგმები, რომლებსაც „გულუხვად“ მიმართავდა ნ. ჟორდანიას ი. ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების რეალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ამიტომ ი. ჭავჭავაძის მიმართულების ხელაღებით თავადაზნაურულად გამოცხადება თუნდაც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არ იყო მართლზომიერი. ილია ყოველთვის გვევლინებოდა როგორც დიდი დემოკრატი, ლიბერალი (კლასიკური გაგებით), ჰუმანიტი და პატრიოტი. მისთვის უცხო იყო ვიწროკლასობრივი, ვიწროპიროვნული (პიროვნების სრულ უფლებრივ თანასწორობას მოითხოვდა) პრივილეგიები, მეტადრე მამის, როცა საქმე ერის საერთო ინტერესებს შეეხებოდა. „იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. ასე დაახასიათა თავისი დიდი თანამედროვე იაკობ გოგებაშვილმა.²⁵

ნ. ჟორდანიას ცდილობდა „ლოგიკური თანამიმდევრულობა“ გამოეჩინა ილიასა და საერთოდ „ივერიელთა“ მიმართულების კრიტიკაში. რაკი მისი აზრით, ეს მიმართულება თავადაზნა-

ურული იყო, ამდენად იგი უაქველად სოფელურ ხასიათს ატარებდა. ცხადია ამას არც არან. ჯორჯაძე უარყოფდა, ადასტურებდა კიდეც, მაგრამ თურმე „დიდათ სათაკილო ხერხით“.²⁶

და აი თურმე რა ყოფილა „სათაკილო ხერხი“; არჩილ ჯორჯაძე აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი საყვედურობდა „ივერიელებს“ სოფლისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას. ნ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ თავის „ქართულ პრესაში“ ნამდვილად რომ „ჯვარს აცვა“ ილია სოფლის მეურნეობის სიყვარულისათვის. ეს ცხადია რაიმე გამართლებას ვერ პოულობდა, რასაც თავის დროზე ყურადღება მიიქცია არჩილ ჯორჯაძემ, რომელსაც მიაჩნდა, რომ ილია ჭკვევაძის „ცალმხრივობა“ იმაში კი არ გამოიხატება, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოფელს, არამედ, მარტო სოფლისკენ იყო მიპყრობილი მისი გულის ყურიო.

ნ. ჟორდანიამ კი თელიდა, რომ არან. ჯორჯაძე მას აბრალებდა ილიას მართლმადიდებლურ სოფლისათვის ყურადღების მიქცევის, მეურნეობაზე ზრუნვის გამო. ნ. ჟორდანიას აზრით, რომელიც გამოთქმული იყო ჯერ კიდევ „ქართულ პრესაში“ „ივერიამ“ სულ მთლიანად შეაბრუნა მაშინდელი ვითარება და მთელი მისი მარტვი ქალაქიდან სოფელში გადაიტანა, რომ... ამ მხრით გაკლენა ჰქონოდა და საქართველოს მისი პროგრამით ეულო დღეს უაქველია უფსკრულის კიდზე ვიდგებოდით“.²⁷

გამოდიოდა, რომ სოფლისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას თურმე შეეძლო საქართველოს დადუპვა. ნუთუ რაიმე გამართლება ჰქონდა ან აქვს დღევანდელ პირობებში ანალოგიური, ან ამ გულუბრყვილო მოსაზრებას?

ნ. ჟორდანიამ მაინც თავისას არ იშლიდა: „ჩვენ ვებრძვიტ „ივერიელთ“ იმიტომ, რომ მათ შეაბრუნეს თანამედროვე ვითარება, უარყვეს ქალაქი და

ქალაქური ცხოვრება და თავის დროში დააწესეს „მხოლოდ სოფელი და მეურნეობა“.“²⁸ ამის „საილუსტრაციოდ“ მოყავდა ილიას სიტყვები: „დიან ბატონებო ჩვენი გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანინი. მარტო ხმალი მართალია თავითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს თუ ამხანავათ გუთანინ არ იყოლია. ხმალი იცავს გუთანინს, ხოლო გუთანინი ასაზრდოებს ხმალს... გუთანინი ქართველებო გუთანინი! და ხმალი იყოს ფარი მისი თავი და თავი, ბოლო აქ არის, და მიჯერეთ!“.²⁸

ღრმა შინაარსის შემცველია და პრაქტიკული ძალისხმევისათვისაა ნათქვამი. მხოლოდ საჭირო იყო მისი დაკვირვებული განსჯისა და სათანადო დაფიქრების შედეგად გააზრება, გამოძინარე საქართველოს მაშინდელი რეალური ეკონომიკური პირობებიდან და მიუხედავად ამისა ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ სწორედ „ივერიის“ აღნიშნულ პროგრამას ებრძოდნენ დასელები. სინამდვილეში რა იყო აქ საბრძოლო „ივერიელთა“ წინააღმდეგ, რომელთა აზრით საქართველოს როგორც მიწათმოქმედების ქვეყანას (ბერძნულად — გეორგია) სხვანაირად არ შეეძლო არსებობა.

ნ. ჟორდანიამ აღნიშნავდა, რომ არჩილ ჯორჯაძეს და მის თანამოაზრეთ უნდოდათ ილია უაქველად დიდებულ პოლიტიკოსად და შორსმჭვრეტელ პუბლიცისტად, ქართველი ერის წინსვლის მედროშედ გამოეყვანათ. „ჩვენ ვურჩევთ, — წერდა ნ. ჟორდანიამ, — მათ ამ უნაყოფო შრომას თავი დაანებონ და ილაპარაკონ ილიას იმ ღირსებაზე, რომელსაც ჩვენ ერთნაირად ვცნობთ. ილია იყო პოეტი და ბელეტრისტი. ამით მან გაითქვა სახელი და ამითვე დარჩება მუდამ. კარგი პოეტი რომ ცუდი პუბლიცისტი იყოს კარგა ხანია ცნობილია, დოსტოვესკი კარგი ბელეტრისტი, ყველა თავიანთ სცემს,

მაგრამ აიღეთ მისი პუბლიცისტური ნაწერები, გაჟღერითილი კლერიკალიზმით, შოვინიზმით და ნაციონალიზმით და ნახვით თუ რა ცუდი პუბლიცისტი ყოფილა ეს დიდებული ბელეტრისტი".²⁹

თითქოს ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. მისი პუბლიცისტური წერილები საეჭვოა ვინმეს დახსომებოდეს, მის აპოლეგეტიკებს გარდაო. თითქოს ქართველმა ერმა უარყო ილიას პუბლიცისტური მოღვაწეობა, ხოლო არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი უსაფუძვლოდ იცავენენ ილიას და მიიჩნდათ იგი გზის მანქანებლად ქართველი ერისათვის.

როდესაც მოგვიანებით ფედერალისტურ და ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში ფართოდ გაიშალა კამათი ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ რამდენადმე შეცვალა თავისი შეხედულება ილია ჭავჭავაძის შესახებ. ქუთათურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „თანამედროვე ქვეყანაში“ გამოაქვეყნა წერილი „ჟურნალისტის შენიშვნები“ ნარიძის ფსევდონიმით, რომელშიც აღნიშნავდა: „მე ჩემდა თავად დიდ პატივს ეცემდი სოცოცხლშივე ილიას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნამდვილი მებრძოლი იყო, შეუდრეკელი, პირდაპირი და ნიჭიერი. ის ამ მხრივ ოდნავადაც არ გავდა დღევანდელ მის დაჩაჩანაკებულ ჭირისუფალთ, რომელთაც იმდენი გამბედაობაც კი არა აქვთ, რომ გუშინ ნათქვამი დღეს განიმეორონ. ილიაში იხატებოდა ერთ დროს ჩვენი საზოგადოების მთელი მდგომარეობა და მისი გავლენის დაძლევა ერთნაირი საზოგადოებრივი ევოლუცია იყო. ილიას დამარცხებამ მთელი ქართველობა შეანძრია, ისე როგორც დიდი ხის მოტკვლევა მთელ ტყეს გააქანებს ხოლმე. საკვირველია მუშა ხალხის პროტესტი ლიტერატურული ეთიკის შესახებ ორჯერ გაისმა პირველათ 1900 წ. ილიას პოლემიკური წერილების გამო და

მეორეთ ისმის ახლა, ფედერალისტების დემაგოგიის გამო იმავე ილიას შეხახებ. ილია იქ, ილია აქ, ის მკვლარიც კი ორად ვოფს ჩვენს საზოგადოებას, ერთს მეთაურობს, მეორეს ებრძვის. ის იყო დროშა ძველი საქართველოსი. სოცოცხლშივე ამავე დროსით რჩება ახლაც ფედერალისტების მეფობაში... ამიტომ ვინც ილიას მოღვაწეობის შესახებ მართალი არ იცის, ის არ არის ცნობიერათ ჩახედული ჩვენს შინაურ ბრძოლაში...³⁰

როგორც ვხედავთ თავისი შეხედულების ზოგიერთი შეცვლის მიუხედავად და ისიც გარეგნულად ნ. ჟორდანიას ამართლებდა მის ცილისმწამებლურ გამოხდომებს ილიას წინააღმდეგ „კვალის“ ფურცლებზე 1900 წელს და ისინი „მუშა ხალხის პროტესტად“ კი აღიარა.

იჩენდა რა ვაგუონარ არათანმიმდევრულობას ილიას პუბლიცისტური ნააზრევის შეფასებაში ნ. ჟორდანიას წერდა: „ამბობენ: ილია პირველ ყოვლისა პოეტიკო, ეს მართალი არ არის. ილია პირველ ყოვლისა პუბლიცისტი, ის პოეზიაშიც პუბლიცისტად რჩება. მან დიდი კვალი გაავლო ჩვენ საზოგადოებრივებას არა პოეზიით, არამედ პუბლიცისტიკით, საზოგადო მოღვაწეობით (ხაზი ჩვენია ა.შ.). ილია ილიობდა როგორც სხვადასხვა ორგანიზების რედაქტორი, როგორც ბანკისა და სხვა დაწესებულებათა მეთაური, როგორც ინტელიგენციისა და თავდაზნაურობის წინამძღოლი, როგორც მებრძოლი, მისი პოეტური ნაწარმოები იშვიათად თუ დაიბეჭდებოდა და ისიც ისეთი დროგამოშვებით გამოცემებში, რომელთაც მეტად მცირე მკითხველები ფავდათ...“³¹

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბელადის მეტი „გულმავიწყოება“ მართლაც რომ წარმოუდგენელია, როგორც უკვე ვნახეთ ხუთი წლის წინად გაზეთ „კვალში“ იგი სრულიად საწინააღმდეგოს ამტიკებდა, გადაჭრით უარყოფდა ილიას პუბლიცისტობას.

ილიას პუბლიცისტური ნაზრევის კრიტიკა უძნელესი იყო. ამის არც ცოდნა შესწევდათ და არც უნარი ნ. ჟორდანიას, ფ. მახარაძეს და მათს ამყობებს. ამიტომ ისინი უპირატესად ცილისწამებით და ლანძღვით იზღუდებოდნენ დიდი ილიას მიმართ.

გაზეთი „ისარი“ წერდა „ცნობილი მიმართულება (ე.ი. „მესამე დასი“ ა.შ.) ილიას „ტყვის ნაფოტს უდარებდა, და ეს გულგრილობა კი ფრიად სექტვო იყო და უმეტრება“.³²

„ისარი“ განმარტავდა, რომ მხოლოდ უმეტრებამ აიძულა ილიას მტრები „გაცხარებული კამანია დაეწყეთ პოეტის წინააღმდეგ ჯერ კიდევ იმის სიცოცხლის დროს, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში განსვენებული პოეტის ირგვლივ იყრიდა თავს ქართველი საზოგადოების ყველა ნაციონალური მიხწვრაფება... ბრმა შეთაურებმა ნაციონალურ იდეალებთან ბრძოლა ილიას პიროვნებაში გამოკვეთეს... განსვენებული პოეტი ფანატიკურად შეაძულეს ხალხს როგორც თავადაზნაურთა ინტერესების დამცველი, ნაციონალისტი და შოეინიზმის წყარო საქართველოში! და

განა ყველა ამის შემდეგ ცხადრ მარტო იმის, რა ნიადაგზე მოხდებოდა მკვლელობა?³³

როგორც ვნახეთ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეროვნული ნიპილიზმის მოწამლული მახვილი სწორედ ყველაზე დიდი ქართველის ილია ჭავჭავაძისა და მისი უკვდავი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის – „ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ წინააღმდეგ მიმართეს.

სწორედ უამრავ ცილისწამებათა გზით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს გაუნათლებელ, პოლიტიკურ კულტურას საერთოდ მოკლებულ ბნელ მასაში იდეურად მოეშადებიათ 1907 წლის ავადმობაგონარი 30 აგვისტოს ეროვნული ტრაგედია.

დიდი ილიას ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ ცოცხლობდა და ცოცხლობს ჭეშმარიტ ქართველებში ვითარცა ლამპარი, რომელიც უნათებდა და უნათებს მათ გზას ეროვნული თავისუფლებისათვის, ქვეყნის სრული ეროვნული სუვერენიტეტის დამკვიდრებისათვის. მთავარია ილიას გზით ვიაროთ.

შენიშვნები:

1. ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. 5, 1961, გვ. 241.
2. სამზონ ფირცხალავა, მოვონებათა ფურცლები, თბილისი, 1988, გვ. 68.
3. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეროვნულ საკითხში ნ. ჟორდანიამ გასაოცარი მეტამორფოზა განიცადა, მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას და გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთერთი უმთავრესი ხუროთმოძღვარი.
4. „ეკალი“, 1898, №12 გვ. 201.
5. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6. გვ. 282.
6. ს. ფირცხალავა, დას. წიგნი, გვ. 68.

7. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 21 მარტი №824.
8. იქვე.
9. „ბედი ქართლისა“ პარიზი, 1957 №24-25 გვ. 29.
10. ინ. ვრცლად ილია ჭავჭავაძის ბიკვდილი და დასაფლავება, რედაქცია, „მიწისა“ (ს. ფირცხალავასი), ტ. 1967, თბ. 1990.
11. „ისარი“ 1907, 2 სექტემბერი, №192.
12. მიხაკო წერეთელი „ერი და კაცობრიობა“, თბ. 1990, გვ. 288.
13. „ეკალი“ 1908, 7 სექტემბერი №7

14. არჩილ ჯორჯაძე, თხზ. წიგნი პირველი გვ. 144-145.

15. „ეკალი“ 1908, 7 სექტემბერი №908.

16. იქვე.

17. იქვე.

18. იქვე.

19. იქვე.

20. „ივერია“ 1888 წ. 3. ნოემბერი №281.

21. აქვე შევნიშნავთ, რომ ილია მართო წოდებათა შუთახმებაზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ მათის ეკონომიკურ თანასწორობის დამყარებაზე. ამას გრძნობდა არჩილი.

22. არჩილ ჯორჯაძე თხზ. წიგნი მეორე, ტფ. 1911, გვ. 318-319.

23. „ეკალი“ 1908, 7 სექტემბერი.

24. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აგრარული რეფორმა მი-

რითადად ასეთნაირად განხორციელდა, რაშიც მთავარი დამსახურება ეროვნულ დემოკრატებს მიუძღვით, რომლებიც სწორედ „ილიას ბუდიდან იყვნენ ამოფრენილნი“.

25. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, თბ., 1955, გვ. 215.

26. „ეკალი“ 1908, 7 სექტემბერი.

27. ნ. ჟორდანიას, ქართული პრესა, ტფ. გვ. 59.

28. „ივერია“ 1881, № 11, გვ. № 151-152.

29. „ეკალი“ 1908, 7 სექტემბერი № 7.

30. „თანამედროვე ქვეყანა“ 1913, 27 ივლისი №29.

31. „თანამედროვე ქვეყანა“, 1913, 27 ივლისი №29

32. „ისარი“ 1907, 8 სექტემბერი, № 97.



გაინს რაგანი „სომხური“ ეკლესია საქართველოში?

ამ რამდენიმე ხნის წინ ერევანში დაარსდა სომხური ზუროთმოძღვრების კვლევის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციამ 1992 წელს გამოცა ფერადი ბუკლეტი „ახალქალაქ“ სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მისი შინაარსის მიხედვით არც მეტი და არც ნაკლები, ახალქალაქი ძველი სომხური ქალაქი ყოფილა. აკად. რ. მეტრეველმა, პროფ. ნ. შოშიაშვილმა და სხვებმა საკადრისი პასუხი გასცეს. მაგრამ რა, ორგანიზაცია ჭიუტად აგრძელებს თავის საეჭვო საქმიანობას და ანალოგიური ბუკლეტის გამოცემას აპირებს — წყალთბილაზე, სამშვილდეზე, ბარაღეთზე, ახალციხეზე, სათხეზე და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ადგილებსა და ძეგლებზე. ახლა ამ ორგანიზაციამ ერევანში გამოაქვეყნა რუკა-ცნობარი — „სომხური ეკლესიები საქართველოში“, 1995. (სომხურ ენაზე). ავტორია სამველ კარაპეტიანი.

რუკა-ცნობარის მოკლე განხილვას (ვრცლად იქნება წიგნში, რომელიც მალე გამოვა) ვიდრე შევფუძვებით თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილავ სომეხთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიას, მნელია თქმა, როდის შემოვიდა საქართველოში სომეხ ლტოლვილთა პირველი ტალღა. მაგრამ ერთი

კი ფაქტია — „ამ პროცესმა ფართო ხასიათი მიიღო ჯერ XI საუკუნეში, ხოლო შემდეგ XV ს. როცა მომთაბარე დამპყრობლებმა სომხეთში თითქმის მთლიანად დაიკავეს საარსებო ფართობები“ (გ. მაისურაძე — „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში“, 1982, გვ. 167). ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით XVI-XVII სს. სომხები ძირითადად ცხოვრობდნენ ქცია-ზედრუჯის მიდამოებში, ტაშირში, ჩიხორში, საჩხერესა და ქუთაისში და სხვ. ქართველ მეფეთა ხელშეწყობით სულს მოითქვამდნენ თუ არა ზიზნები, მაშინვე იწყებდნენ თავიანთ სალოცავებზე ზრუნვას. ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს. ავიღოთ თუნდაც ახალქალაქში (ქართლი) წმ. მარიამ ღვთისმშობლის სომხური ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩატანებულ ქვაზე ამოკვეთილი ცნობილი ქართული წარწერა. ეს ეპიგრაფიკული ძეგლი მაუწყებელია იმისა, რომ ზიზან სომხებს ხელშეწყობა საკმაოზე მეტი ჰქონიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სომხური ეკლესიები საქართველოში უჩვეულოდ არ აღიქმება და მათ შესახებ რუკა-ცნობარის გამოცემა ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. დაეიწყოს ხსენებული რუკა-ცნობა-

რის ანოტაციით: „ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით მოიცავს 69.7 ათას კვ. კმ. საქართველო დაყოფილია 65 რაიონად (აქედან აჭარაში — 6, აფხაზეთში — 5, სამხრეთ ოსეთში — 4). საერთოდ, სომხური ეკლესიები განთავსებულია 40 რაიონში. საქართველოში ცოტაა რაიონები, სადაც სომხური ეკლესიები არ არის.

განსაკუთრებით მრავალია და ფართოდაა წარმოდგენილი სომხური ეკლესიები ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, გუგარქის რეგიონის ჩრდილო მხარეში. ესენია, წობოფორ, ბოლნო-ფორ, თრელქ და ჭავჭავთის რაიონები. ამჟამად მათ შეესატყვისება მარნეული, ბოლნისი, დმანისი თეთრიწყარო, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ასპინძის რაიონები (ხაზგასმა ჩვენია ბ. ა.).

სომხური ეკლესიების რიცხვი არ არის მცირე საქართველოს ისტორიულ ქართლსა და კახეთის რაიონებში. აქ სომხები ძველი დროიდან მკვიდრდებოდნენ. ამიტომ ამ რაიონებში სომხური ეკლესიები ადრეულ საუკუნეებშია აშენებული (XIII-XIV სს). უფრო გვიანდელია დასავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, კოლხეთის სომხური ეკლესიები, აფხაზეთისა და აჭარის სომხური ეკლესიები აშენებულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში.

დღემდე არ არსებობდა საქართველოს სომხური ეკლესიების ცნობარი. მართალია, იყო ცალკეული დოკუმენტები, რომლებშიც რაიონების მიხედვით აღწუსებულია სომხური ეკლესიები, მაგრამ მათში აღრიცხულია მხოლოდ მოქმედი ეკლესიები და იშვიათად ვანქები. მაგალითად, ერთ სოფელში ორი—სამი სომხური ეკლესია იყო, მაგრამ მოქმედებდა ერთი. იქ მოხსენიებულია მარტო მოქმედი, დანარჩენები კი — არა.

ამ თვალსაზრისით 1847 წელს საქართველოში იყო აღრიცხული 198 სომ-

ხური ეკლესია, ვანქი და ეკლესიები (ალექსანდრე ერციანი, „სრულიად სომხეთი და კავკასიის სომხები XIX საუკუნეში, ნაწ. II, თბილისი, 1895, გვ. 256 (სომხურ ენაზე). სომხური ეკლესია ართვინისა და არტანუჯის რაიონებში 256-ია (1903 წლის სომხური კალენდარი. კონსტანტინეპოლი, 1903, გვ. 363). ეს რიცხვი სომხური ეკლესიებისა ამ გამოცემებში ზუსტი არ არის, რადგან მასში არ შედის სომხური კათოლიკური ეკლესიები.

წერილობითი წყაროების მეცნიერულ კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, საქართველოში არის 650 სომხური ეკლესია (არ არის გამორიცხული ზოგიერთი მათგანი გამოკვრჩა). სომხური ეკლესიები განლაგებული არიან აღნიშნულ რაიონებში. ისინი დღევანდელი მდგომარეობით არიან წარმოდგენილი“.

რუკა-ცნობარის აუკარგის გარჩევამდე, გვინდა ერთი შევნიშნოთ. მისი სიის ნუმერაციის მიხედვით სომხური ეკლესია საქართველოში 638 ყოფილა-ანოტაციამი კი აღნიშნულა 650. არ ვიცით, ეს შეუსაბამობა უნებდებოდა ლაფსუნია თუ ავტორის სურვილი.

ჯერ მოკლედ ბ-ნ ს. კარაპეტციანის ერთ „აღმოსიენაზე“. ეს არის „ისტორიულ სომხეთში“ გუგარქსა და ჯავახეთის ე. წ. სომხური ტაბლინის შესახებ — ბოლნოფორ, ქვეშაფორ, კანგარქ, მანგლესაფორ, თრელქ და ჯავახქს, თითქოს შეესატყვებოდეს დღევანდელი — მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ასპინძა. ს. კარაპეტციანს უნდა მოეხსენებოდეს, ქვემო ქართლი ანუ გოგარანი (სომხები გუგარქად მოიხსენებენ) არის ძირძველი ქართული მიწა, ისე როგორც სამცხე-ჯავახეთი. ამას მოწმობს ქართული და უცხოური წყაროები. ამ მხარეების ქართულობა დადასტურებულია სომეხ ისტორიკოსის შრომებში: ავათანგელოსი, მოვსეს ზორენცი, უბტანესი, სომეხი უცნობი გეოგრაფია — „აშხარაყუიცი“ და სხვ. ნ. მარს გოგარანი მიაჩნდა იბერთა სატომო სა-



ხელად. აკ. შანიძე კი თვლიდა-ქართული „გოგარანი“ ნაწარმოებია მეგრულ-ჭანური-არ წარმოშობის სუფიქსით. „გოგ-არ“-ნიშნავს „გოგ-ელს“, ხოლო „გოგ-არ-ა-ანი“ გუგარეთს, გუგარქ-გოგარანიდან რომ მოდის, ეს ჩანს იქიდან, რომ რუსეთის გენერალური შტაბის ზუთერსიან რუკაზე (1828), ფაშაკის ხეობაში აღნიშნულია სოფელი გოგარანი. ამჟამად ეს სოფელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა და ჰქვია – გუგარქი! რაც შეეხება ამ მხარის ეთნიკურ შემადგენლობას, იგი ოდითგან იყო ქართული. ამ ფაქტს მოწმობს, უცხოური წყაროებს რომ თავი დავანებოთ, თვით სომხური საისტორიო მწერლობა, სადაც გუგარები სომხებად კი არ არიან მიჩნეულნი, არამედ ქართულ ტომად მოიხსენიებიან: მოვსეს ხორენაცი, ლაზარე ფარაბეცი, ოვანეს დრასხანაკრტიცი, სტეფანოს ორბელიანი და სხვა.

ქვემო ქართლის ისტორიული პედი კი ასე წარიმართა: სტრაბონის ცნობით, მოღონიერებულმა სომხეთის სამეფომ გოგარენე ქართლს წაართვა ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში, ხოლო ახალი წ. აღ. I-II საუკუნეებში მომძლავრებულმა ქართლის სამეფომ კუთვნილი გოგარენე უკან დაიბრუნა და სომხეთის დაპყრობაც სცადა. უდავოდ ანგარიშგასაწევია სომეხი გეოგრაფის (VII ს.) ცნობა ქვემო ქართლის კანტონებად დაყოფის შესახებ, მაგრამ ეს თხზულება ასახავს იმ ხანას, როცა გოგარენე სომხეთს ჰქონდა ანექსირებული (ძვ. წ. ს-ის დასაწყისი) და არა გვიან – VII ს-ის სურათს, როცა ეს მხარე ქართლის სამეფოს დიდი ხნის წინ დაბრუნებული ჰქონდა.

ანალოგიური ისტორიული ვითარება იყო ჯავახეთშიც და რაოდენ გულსატკენია, სომეხი ისტორიკოსები ამ ფაქტს რომ ვერ შერიგებიან და გაუგონარი სიკერპით ქვემო ქართლს, ჯავახის და წარაღვიდგინეთ მესხეთის ისტორიულ სომხებად ნათლავენ. ს. კარაპეტიანი იმეორებს თავის თანამემამულე მეცნი-

ერთა ამ აბსურდულ აზრს და მისი პულარიზაციას ეწევა. არანაკლებ სავალალოა ს. კარაპეტიალის უსაფუძვლო განცხადება, თითქოს პირველადია სომხური ტომონიმი – წიბოფორ, ბოდნოფორ, მანგლისაცფორ და ა. შ. მეორადია ქართულ-ბოლნისი, მანგლისი და ა. შ. ეს მხარე როგორც ენახეთ ერთხანს სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი და ამ პერიოდში ზოგიერთი ქართული ტომონიმი შესაბამისი სომხურით შეიცვალა. ამ მოვლენაში განსაკუთრებული არაფერია და ასეთი ტომონიმიკური ტრანსფორმაცია სხვა ქვეყნების ისტორიულ გეოგრაფიაშიც გვხვდება. ასე რომ აღგვათუ არა ქართლის იურისდიქცია ქვემო ქართლში ბუნებრივად მოხდა ქართული ტომონიმიის რესტავრაცია: „ფრიალ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გუგარქის და ტაიქის შემადგენელი კანტონების სახელწოდებით, სომხურად „ფორ“ ტერმინით არის გაფორმებული, რომელიც ქართული „ხევის“ შესატყვისად იხმარება. საკუთრივ სომხური პროვინციების კანტონები კი, როგორც წესი „მორ“ ტერმინით არის გაფორმებული (თ. ს. პაკობიანი „სომხეთის ისტორიული გეოგრაფია“, ერევანი, 1968, გვ. 260, სქოლიო-1, სომხურ, ენაზე). ეს მოწმობს, რომ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომერკლატურა პირველადია, ხოლო სომხური მის თარგმანს წარმოადგენს. ეს ბუნებრივია, რადგანც, როგორც ვიცით, გოგარენე (გუგარქ) და ტაიქ „ტაიქ“ ძირეული ქართული პროვინციებია“. (აკად. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1980, გვ. 51, სქოლიო – 178).

იმდენად ზუსტად და არგუმენტირებულად არის ნათქვამი, კომენტარი ზემოთქვამი მიგვაჩინა.

ს. კარაპეტიანი აცხადებს, რომ სომხური ეკლესიები საქართველოში დღევანდელ მდგომარეობით აღვრცელო, მაგრამ ერთერთ წყაროდ იყენებს ისეთ

ტენდენციური ავტორის ნაშრომს, როგორც ალ. ერციანიძე. ასევე ეტყობა, გამოყენებული აქვს პ. მურადიანის ნაშრომები საქართველოში არსებული სომხური ეპიგრაფიკის შესახებ. ამ მცირე შესავლის შემდეგ, ვნახოთ როგორ არის წარმოდგენილი რუკა-ცნობარში საქართველოში არსებული სომხური ეკლესიები. დავიწყოთ თბილისის სომხური ეკლესიებით: სურბ-ნშანი (წმ. ჯვარი) ეკლესია თბილისში ერეკლეს მოედანთან ახლოს დგას... ვახუშტი ვეაუწყებს: „არს კუალად დაბალსა ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და აწ ცარიელი, და სხუანი გუმბათიანი არიან. გუმბათიანი უპერავთ სომეხთა. უგუმბათო აღაშენა კარის საყდრად პით დედოფალმან მარიამ. კუალად აღაშენა ჟღ მეფემან ვახტანგ ორი უგუმბათო, ჟღ დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუმბათო. კუალად უგუმბათო ოთხი აწ უპერავთ სომეხთა („ქართლის ცხოვრება“, 1973, ტ. IV, გვ. 336) ამ ცნობას კომენტარი ვაუკეთა და დააზუსტა პლ. იოსელიანმა, რომელიც წერს-სომხები თბილისში დაეპატრონენ შვიდ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მათგან სამი გუმბათიანი. მითვისებულ ეკლესიებიდან ცნობილი ყოფილა სამი. ერთ-ერთი მათგანია «Сурб-нишани, бывшая в руках православных во имя св. Николая Чудотворца («Описание древностей города Тифлиса»), 1866, ст. 258). აქვე მიუთითებს ქართველი ისტორიკოსი-სურბ-ნშანი, მასზე არსებული სომხური ეპიგრაფიკული წარწერის მიხედვით ვახტანგ VI-ის მამის ლეონ მეფის დროს აშენდა-1701 წ. (გვ. 232), კორექტურული შეცდომა უნდა იყოს 1703 წ. იოსელიანი იყო ქართული ეკლესიის ისტორიისა და თბილისის სომეხების საუკეთესო მკვლევარი, ამდენად მისი ცნობა, ამ შემთხვევაში კი არა, საერთოდ სარწმუნოა და არ არსებობს საფუძველი მასში ეჭვის შეტანისა. ის პირდაპირ მიუთითებს სურბ-ნშანის მართლმადიდებლობის ე. ი. ქართულობის შესახებ. ბერძნული მართლმადიდებელი

რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოიხსენიებოდა, რასაც სხვა შემთხვევაში აკეთებს. საფიქრებელია და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ძველი ქართული ტრადიციით, წმ. ნიკოლოზის სახელი ფუძე-ქართულ ეკლესიაზე აგებულ-სომხურად ქცეულ სურბ ნშანის ეკლესიას სახელწოდებაში შემორჩა. ამ ეკლესიის ცენტრალური საკურთხეველი წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელია. სხვათა შორის, ეს ეკლესია რუკა-ცნობარში ასეცაა წარმოდგენილი „თბილისის სურბ-ნშანის ნიკოლოზის ეკლესია, ახლად აშენდა 1703, 1789, 1789, 1868.“ აქაც და შემდეგ ყურადღება მიაქციეთ, „ახლად აშენდა“ ე. ი. ადრე არსებობდა ეკლესია, რაღაც უბედურების შედეგად დაინგრა და ახლად ააშენეს. ახლად აშენება გულისხმობს გადაკეთებ-გადმოკეთებას და რეკონსტრუქციას... 1700-იან წლებზე გაცილებით ადრე სურბ-ნშანი ქართული სალოცავი ყოფილა, მაგრამ ძნელბედობის გამო სომეხთა ხელში გადასულა და „ახლად“ აუშენებიათ. თუ რა კონკრეტული მიზეზით მოხდა, ახლა ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ 1703 წლის სომხური წარწერის მიხედვით მის „ახლად აშენებას“ შესდგომია ვინმე მელიქ კიორკი. ადრე კი მელიქ კიორკის მამა-ასლამაზას და პაპას ამირას გარკვეული სამუშაო შეუსრულებიათ. მათ თავიანთი თანამდებობის წყალობით (მამასახლისები ყოფილან) არ გაუჭრდებოდათ უპატრონო, დანგრეული ქართული ეკლესიის ხელში ჩაგდება. თუმცა გამორიცხული არ არის კიდევ უფრო ადრე მომხდარიყო მითვისება. ამიტომ, ბუნებრივია პ. მურადიანის მიერ სურბ-ნშანის ეპიგრაფიკული მასალა და სომხურ ეპარქიის სინოდალური ჩანაწერები ასახავენ 1703 წლის და მის შემდგომ პერიოდის გადაკეთებ-გადმოკეთებას, ახლად მშენებლობის პროცესს და ერთობლივ სდუმან ამ ეკლესიის თავდაპირველ ქართულობაზე.

თბილისის სომხური ეკლესიების შესახებ საკმაო სამეცნიერო ლიტერატუ-



რა არსებობს. ბოლო ვრცელი ნაშრომი პ. მურადიანის მონოგრაფია «Армянская эпиграфика Грузии», (Тбилиси), გამოცემულია ერევანში, 1988 წ. სამწუხაროდ, მასში ტენდენციურად არის წარმოდგენილი არაერთი საკვლევო ობიექტი და მასთან დაკავშირებული საკითხები, რაზეც ვხადავხა შევჩერდებით...

რუკა-ცნობარშია — „თბილისის ნორაშენის წმ. ღვთისმშობლის ეკლესია, აშენდა 1467 წელს. ახლად აშენდა 1650, 1795, 1808, 1830 წწ. თუ რა წერილობით წყაროს ემყარება ს. კარაპეტიაჩი ამ ეკლესიის აშენების თარიღად 1467 წელს რომ დებს, ჩვენს ხელთ არსებული საარქივო და სამეცნიერო მასალების მიხედვით ვერ დავადგინეთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნორაშენის წმ. ღვთისმშობლის ეკლესიის ძირითადი საძვარეულო სომხური წარწერის ორიგინალი ფიზიკურად არ არსებობს. შემორჩენილია ნორაშენის ოთხი სომხური წარწერის გადაღებული პირი. აქედან სამი წარწერის ზოგადი შინაარსია ვადმოცემული, მეოთხე ე. წ. ქტიტორული წარწერა (1507) ორიგინალის პირად მიაჩნია პ. მურადიანს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 74-75). ეს სომხური წარწერები შედგენილი ყოფილა სრულიად სომეხთა კათალიკოსის ნერსეს ამტარაკუცის (1770-1858) დავლებით. ისმის კითხვა, კეთილხინდისიერად შეადგინა კი ნორაშენის ეკლესიის ე. წ. ქტიტორული წარწერა ორიგინალიდან მან, ვისაც ეს ჰქონდა დავლებული? ეკვპის საფუძველს იძლევა ნორაშენის ე. წ. ქტიტორული წარწერა, რომელშიც კონკრეტულად არ არის ნორაშენი მითითებული, ასე რომ ეს წარწერა ნებისმიერი სომხური ეკლესიის ქტიტორულ წარწერად გამოდგება. ძნელია ვენდოთ უცნობ ვადამწერს, მით უმეტეს, საყოველთაოდ ცნობილია ზოგიერთი სომეხის არაკეთილხინდისიერი მტრული დამოკიდებულება და ჩადენილი სიყალბე ქართული ეკლესიების მიმართ. ბოლოს

და ბოლოს, ჩნდება კითხვა, ^{არქივული} დაკარგული თბილისის ნორაშენის ქტიტორული წარწერა?... ასეთი რამ არსებობდა კი? თუ არსებობდა რამ განაპირობა მისი ნორაშენის ეკლესიიდან ამოღება და უგზოუკვლოდ გაქრობა. ისიც ხომ ცნობილია, სომეხები მითვისების მიზნით ძველ სომხურ წარწერებში კვებს ღვამენ ქართული ეკლესიების კედლებში და ძნელი დასაჯერებელია ამ დროს თბილისის ნორაშენის ეკლესიის ქტიტორულ წარწერებიანი ქვა დაეკარგათ. ასე რომ ბევრი საეჭვო კითხვა ჩნდება ნორაშენის ე. წ. სომხურ ქტიტორული წარწერის პირისადმი. ამიტომ, ბუნებრივია, მის მეცნიერულ სანდოობას ვერ ვირწმუნებთ.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ნორაშენი ასე იმოფრება-ნორ-არის სომხური და ნიშნავს ახალს. ქართულად გამოდის-ახალშენი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, თბილისის ნორაშენის ეკლესია მეორეა, ე. ი. ძველზე ან მის ადგილზეა აშენებული. ჩვენს მიერ ჩაწერილ ქალაქურ ფოლკლორულ მასალებში ნორაშენი იხსენიება ქართულ ეკლესიად, რომელიც სომეხებმა მიითვისეს, ეს ზეპირსიტყვიერება არ არის ეკლესიის ადრინდელი ქართულობის საბოლოოდ დასამტკიცებლად მტკიცე საბუთი, მაგრამ ანგარიშგასაწვევი კი არის. ამის უარყოფა ან დასაბუთება შეიძლება ახალშენის ეკლესიის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად. ერთი შეიძლება ითქვას XVII საუკუნეში ახალშენის (ნორაშენი) ეკლესია სომეხების ხელში გადასული ჩანს. აქვე შეიძლება გაიხსენოთ 1692 წლის საბუთი, რომელიც მეფე ნახარალიხანს (ერეკლე I) ვკუთვნის. ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ნახარალიხანი იძულებული გახდარა, ჯერის მამის ეკლესიის (იქვე ეზოში რამდენიმე მეტრზე ღვას ნორაშენი) გარშემო დასახლებული სომეხები აეყარა და გადაეხახლებინა (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-

XIX სს შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, წიგნი 1, 1962, გვ. 126). ხაინტერესია, რატომ არ მოიხსენიება ნორაშენი ამ საბუთში?

თბილისის დანარჩენ „სომხურ“ ეკლესიების შესახებაც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ სტატიის მოცულობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ გადავდივარ რუკა-ცნობარში აღნიშნულ ქართლ-კახეთის ზოგიერთი „სომხური“ ეკლესიის ისტორიის განხილვაზე. ჯერ გვ'რს მკითხველის ყურადღება მივაქცევთ პ. მურადიანის მონოგრაფიის ერთ „ლაფსუსს“ «Армянская Эпиграфика Грузии (Кახети и Картли, 1985), ერევანი. ვრცელ შესავალ ნაწილში მიმოხილულია შრომები, რომლებშიც დამუშავებულია საქართველოში არსებული სომხური ეპიგრაფიკა და სხვა საკითხები. ამათგან აღსანიშნავია სომეხი ბერის, სარგის ჯალალიანცის ნაშრომი ორ ნაწილად, შთამბეჭდავი სათაურით „მოგზაურობა დიდ სომხეთში“. ეს თხზულება ჯერ სომხურ პერიოდიკაში გამოქვეყნდა, შემდეგ ცალკე გამოიცა თბილისში. განსაკუთრებული სიყვარულით ლაპარაკობს პ. მურადიანი ამ ავტორზე და მის მართლაც ფართო მოცულობის ნაშრომზე. ბერი სარგის ჯალალიანცი თურმე, სომეხ პატრიოტთა შორის გამოირჩეოდა მგზნებარე სომხური პატრიოტიზმით. ეს რომ მართლაც ასეა, კარგად ჩანს ნაშრომის სათაურიდან „მოგზაურობა დიდ სომხეთში“. თურა იგულისხმება მასში, ამის შესახებ სჯობია მოუსმინოთ პ. მურადიანს: «Обладая достаточной по тому времени компетенцией, этот ученый-монах, подвижный патриотизмом, совершил долгое путешествие по исторической Армении и в 60-е гг. XIX в. издал двухтомное описание армянских древностей [266]. Памятниками Внутренней Картли и Кახети он не занимался, но к надписям Нижней Картли (Гугарка-Сомхети) и самой столицы Грузии Тбилиси он проявил надлежащий интерес и переписал то, что ему по-

казалось заслуживающим внимания. (დასახელებული ნაშრომი, გვ. 7). კი, ბატონო, სარგის ჯალალიანცმა იმოგზაურა „დიდ სომხეთში“, ე. ი. ქვემო ქართლში, თბილისში და სათაურიც ნაშრომს „შესაფერისი“ მისცა... რა ვქნათ? ამ „აღმოჩენაზე“ თვალი დავხუჭოთ და წერნი დავიხშოთ?... ეს რომ გამონაკლისი იყოს, კიდევ, პო, მაგრამ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი, რა ვქნათ, უკუღმართად რომ ფიქრობს და წერს გაეწუძღეთ, არგებს საქმეს ღუმლით?... ისე, გულუბრყვილოდ ვიფიქრე პ. მურადიანი ჯალალიანცის ნაშრომის სათაურს მცირე კომენტარს მაინც ვაუკეთებს და ორიოდე სიტყვით ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდიდა მკითხველს, მაგრამ დახეტ, ის „მოძრაე“ თუ „მგზნებარე“ პატრიოტ ბერზე უფრო შორს წაიღა და შიდა ქართლი, კახეთი და ა. შ. არხეინად მოათავსა ისტორიულ სომხეთში!...

ქვემო ქართლი, ჯავახეთი რომ ძირძველი ქართული მიწებია, ეს უკვე აღვნიშნე დასაწყისში და აღარ გავიმეორებ. პ. მურადიანს და მის თანამოაზრეებს შევახსენებ ერთს: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ეპოქაში დიდი საქართველოს სამეფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ე. ი. აღმოსავლეთ სომხეთი საქართველოს იმპერიის ფარგლებში შედიოდა ყოველგვარი სუვერენული უფლებების გარეშე. ასე შორს რატომ მიედივართ, ავტო XVIII ს-ში საქეთარ სამეფო დაკარგული და ერევნის სახანოდ ქცეული აღმოსავლეთ სომხეთი გახდა ერეკლე მეფის ვასალი ყმა, მაგრამ ჯერ არცერთ ქართველ ისტორიკოსს აზრად არ მოსვლია ერევანს, ახარატის ევლს და საერთოდ, სომხეთს უწოდოს ისტორიული საქართველო. სომეხი მეცნიერები კი შინ თუ გარეთ შემთხვევას არ უშეკებენ და წერებს უჭკვლავენ მსოფლიო საზოგადოებას ყალბი მეცნიერული პროპაგანდით. გამოდის ე. წ. ისტორიული სომხეთის, დიდი სომხეთის“ ფანტასტიკური რუკე-

ბი, ნაშრომები და ამით ცდილობენ უცხოელი მკითხველი დარწმუნონ, თითქმის არ არსებობს აღმოსავლეთ საქართველო, ეს იყო და არის მხოლოდ ისტორიული სომხეთი?!

უნახოთ, როგორაა ასახული რუკაცნობარში სხვა „სომხური“ ეკლესიები. ვერ ერთ ლეტალზე. სვეტიცხოველში დასავლეთის შესასვლელის, სამხრეთ კედლებზე არის კათალიკოს დომენტის (1660-1676) ეპიტაფია.

ბაგრატიონის ძე ბატონი კ(ა) (ოლიკო) ზი დომენტი მიცვლ

ა ხექტენბერის კბ გასულა ქ (რონი) კ (თ) სა ტნილ.

კათალიკოსი დომენტი — ქიბოხსო მუხრან ბატონის ძე თავამოდებულე წინააღმდეგი იყო იმ დროს გავრცელებული ტყვის სყიდვა-გაყიდვისა. ვაჭრებისგან 1664 წელს შეიძინა სამცხედან ჩამოტანილი ანჩისხატი და დაასვენა თბილისის საპატრიარქო ეკლესიაში — ანჩისხატში. მის სახელთან არის დაკავშირებული ანჩისხატის ეკლესიის განახლება და სამრეკლოს აგება 1673 წ. მანვე სვეტიცხოვლის სახელზე შეიძინა სახნავ-სათვის მიწები და სხვ. ასე რომ კათალიკოსი დომენტი გახლდათ ღვაწლმოსილი პიროვნება და დიდი ქართველი მამულიშვილი. მისი ეპიტაფია, რასაც ქართველ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული ფურადლება აქვს დამოძიებული განხილული აქვს პ. მურათიანს («Армянская эпиграфика Грузии, Картли и Кахети, 1985, ст. 38»). მართლაც მოულოდნელია ქართველი კათალიკოსის გარდაცვალების თარიღის ტნიდ-ის შემდეგ სომხური ქორონიკონის არსებობა.¹ თავის დროზე ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია სომეხმა სწავლულმა მ. სმბატიანმა და სომეხი ოსტატის ნახელავად მიიჩნია.

1. სომხური შრიფტის უქონლობის გამო სომხური ასოები გამოტოვებულია (რედ.).

ამ ვარაუდს ნაწილობრივ იზიარებენ სომხურადიანი, მაგრამ კორექტორები ეპიტაფიის ოსტატი, ხელოსანი, ასლამაზ ყარაშვილი სომხად მიაჩნია. მაგრამ ის ეპიტაფიის შემდგენლის ნებართვის გარეშე სომხურ თარიღს ვერ ამოტყფრავდაო. შემდგენელი კი მისი აზრით კომპეტენტური მღვდელთმსახური იქნებოდა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ კათალიკოსი დომენტი ერისკაცობაში მუხრანელი ბაგრატიონი იყო, ხოლო მუხრანში არც თუ მცირერიცხოვანი სომეხი ცხოვრობდა, რომელთაც ბაგრატიონები მიაჩნდათ თავიანთი ეროვნული ინტერესების მატარებლად. ამ ვარაუდს მიუცია ბიჭი ეპიტაფიის შემდგენლისათვის, მიუიბოძებინა კათალიკოს დომენტის გარდაცვალების თარიღი ქართულთან ერთად სომხურადაც. ეს ყველაფერი მურათიანს დასჭირდა იმისთვის, რათა დაამტკიცოს მტერთაში და მის შემოგარენში გინდა თუ არა, ოდითგანვე სომხური თემი არსებობდა. ეს ერთი, მეორე რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამოატივტივა ქართველ ბაგრატიონთა სომეხ ბაგრატიონთა ბაგრატილთა-გან წარმოშობის უსაფუძვლო და დრომოჭმული „თეორია“, აქვე ვიტყვი, მის ვარაუდს თუ გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ ყველა ქართველი ბაგრატიონის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია სომხური ქორონიკონით უნდა იყოს შესრულებული. მაგრამ ეს ასე არ არის და არც იქნება, რადგან კათალიკოს დომენტის აღნიშნულ ეპიტაფიას ანალოგი არ მოეპოვება, ამიტომ ეს შემთხვევით მოუღვნად უნდა ჩაითვალოს, ბაგრატიონთა მუხრანელობა ან არამუხრანელობა არაფერ შუაშია. ქართველი ბაგრატიონების ყველა შტო გამოხატავდა ერთადერთ ქართველი ხალხის ერთიან ეროვნულ ინტერესებს და მისი განუხრელი დამცველები იყვნენ. ეს ეპიტაფია არის ყოველგვარი კანონზომიერებიდან ამოარდნილი ვიდაცის ნათავხედარი და მისგან დასკვნების გამოტანა, როგორც

ბატონი პ. მურადიანი აკეთებს, რბილად რომ ეთქვას, მიუღებელია. ეპიტაფიის ოსტატი, როგორც ყველა ხელოსანი გათვითცნობიერებული და დაოსტატებული იყო არამარტო ქართული ეპიტაფიების ამოტყეფრაში, არამედ ხელეწიფებოდა სომხურად ეპიტაფიების ამოკვეთა. ეს არ ნიშნავს, ოსტატი მაინცდამაინც სომეხი ეროვნებისა ყოფილიყო, როგორც პ. მურადიანს სურს. ხელოსანი გამოიჩინა ზედმეტი ინიციატივა, ქართულის გვერდით სომხური ქორონიკონიც ამოჭრა და ამით სურდა გამოეჩინათავეს საქმეში ფართო განსწავლულობა. ამ ნაძალადევი ფაქტს-სომხურ თარიღს, თავის დროზე ყურადღება არავინ მიაქცია ქართული ტოლერენტარობის და თუ გნებავთ დაუღვერობის გამო. კიდევ უფრო გაოცებას იწვევს ამ ეპიტაფიის ოსტატის ასლამაზ ყარაშვილის ერთი ხელის მოსმით გასომხება პ. მურადიანის მიერ (დასახ. ნაშრომი. გვ. 39). ასევე სომხად აქცია ქართველი ბიჭიაშვილი, ჩეკურიშვილი, გაბრიელაშვილი, მუსხელიშვილი (გვ. 48). ყარაშვილის ეტიმოლოგიას თუ გავეშვეთ, „ყარ-ადმოსავლურია და „შავს“ ნიშნავს. ყარაშვილი იგივე შავიშვილია. პ. მურადიანს ყარაშვილი თუ მინოფიზიტი ჰგონია, ამის საბუთი მას არ წარმოუდგენია. სომხურ რიტაზე მოქცეული კათოლიკეს ქართველად თუ მივიღებთ, ამგვარი ადამიანები ქართველობას არასდროს გადასცდებიან, როგორც ამას ბრძანებს დიდი მამულაშვილი ივანე გვარამაძე-იძულებით სომხურ კონდაკზე შემდგარი ქართველების შესახებ. „ასლამაზი“ სახელის მიხედვით თუ ჰგონია პ. მურადიანს ყარაშვილი სომეხი, ძალიან სცდება. ეს სახელი ქართულია და გავრცელებული იყო საქართველოში. მისგან ქართული გვარიცაა ნაწარმოები — ასლამაზიშვილი.

პ. მურადიანი ერთგან წერს: «Ниже этой эпитафии, на той же грани надгробия, имеется поминальная запись мастера», ფრიად ცოდვილ ასლამაზ ყარაშვილის დანაწერია,

ვინც წაიკითხოთ დ(...). მურადიანი საინტერესოა ამ წარწერის არსებობა დიოფიზიტურ, ქართულ საკათედრო ტაძარში მისი ამოჭრელის მართლმადიდებლობის და ქართველობის ერთერთ საბუთად არ გამოდგება?..

პ. მურადიანი უცნაურს უწოდებს ანაურის ქართულ ეკლესიის (1689) მშენებელ — არქიტექტორის, ქაიხოსრო ბაღსარაშვილის ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა რიცხვში შეტანას (დასახ. ნაშრ. გვ. 145). მას ქაიხოსრო მშენებლობის მწარმოებლად, უფროსად მიანია და არა არქიტექტორად. სამაგიეროდ, მან ანაურის ეკლესიის ხუროთმოძღვრად წამოაყენა ვინმე სომეხი გრიგოლი?! საბუთი? ინებეთ-სახელი გრიგოლი სომხურად ყოფილა ამოკვეთილი «...под орнаментированным крестом южного фасада» (табл. XXVI, 8, დასახ. ნაშრ. გვ. 146) შემოქმედების მიზნით მითითებული ცხრილი ამაოდ ვეძებთ პ. მურადიანის ნაშრომში. ამ ეკლესიის მშენებლობაში სომეხი ხელოსნებიც მონაწილეობდნენ ალბათ, ეს სადაო არ უნდა იყოს, მაგრამ მარტო იმისათვის, რომ გრიგოლის სახელია ამოკვეთილი ეკლესიის კედელზე, თუნდაც მოზრდილი ასოებით საფუძველს არ იძლევა ეჭვი შევიტანოთ ამ ეკლესიის ხუროთმოძღვრობისა, და მისი ხუროთმოძღვრის ქართველობასა და ქართულობაში. ეს ტენდენციური მოსაზრება პ. მურადიანმა კიდევ უფრო მკვეთრად გადმოსცა შემდეგ სტატიაში (მცირე სომხური ენციკლოპედია ტ. I, 1990, გვ. 183, სომხ. ენაზე). აქვე აღვნიშნავ, რომ პ. მურადიანს აღრინდელ სტატიაში შედარებით ობიექტურად აქვს წარმოდგენილი ანაურის ეკლესიის (1689) ისტორია, — («საბჭოთა სომხური ენციკლოპედია», 1974, ტ. I, გვ. 336, სომხ. ენაზე). ერთი სიტყვით, რადგანაც პ. მურადიანმა ვერ წარმოადგინა სარწმუნო ფაქტები, სურვილი კი არგუმენტად არ გამოდგება, ამიტომ ანაურის დიდი ტაძრის ხუროთმოძღვრად

კვლავ ქაიხოსრო ბაღსარაშვილი რჩება და არა ვინმე სომეხი გრიგოლი.

რუკა-ცნობარშია — „ღუშეთის“ წმ. გიორგის ეკლესია (ტყეშია) XIX, ნახევრადანგურულია“. ამ ეკლესიის ქართულობის შესახებ არის პლ. იოსელიანის ცნობა — «Часовню св. Георгия Бодавского, бывшую православную. Она в лесу, недалеко от кладбищенской церкви». («Описание города Душети», 1860, стр. 58). ეს არის 1820 წლის მონაცემებით. ეკლესია რა გზით და ხაშუალებით გახდა სომხური, გაურკვეველია, მაგრამ ერთი, ცხადია, — ამ დროს (1820) იგი უკვე სომხებს ჰქონიათ დაჩემებული (?)

პლ. იოსელიანის მიხედვით სოფელ თელეთის ერთ ნაწილს ეწოდებოდა ქურდის თელეთი, მეორეს — ხატის თელეთი, მესამეს — მუხრან-ბატონის თელეთი. შემდეგ მუხრან-ბატონის თელეთი შეუსყიდა ვინმე მირზოიანს და დაჩემვია მირზოიანის თელეთი. ხატის თელეთის წმ. გიორგის თავდაპირველი ეკლესია აშენებულია XVIII საუკუნეში. ამ ეკლესიის შესახებ ვახუშტი წერს — „უძველესი აღმოსავლეთ მტკურისაჲს არს თელეთები და ეკლესია წმ. გიორგი სასწაულმოქმედი“. („ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 328). აღ. ხაჩანაშვილს მოტანილი აქვს ერთი ძველი ქართული ხელნაწერი, სადაც შელოცვებია ჩამოწერილი. ამ ნუსხაში მოხსენიებულ წმინდა გიორგებს შორის იხსენიება „წმ. გიორგი თელეთისა“. «Очерки по истории грузинской словесности. кн. I, М., 1895, ст. 129). თუ გავიხსენებთ ილია ჭავჭავაძის გმირებს, ლუარსაბსა და დარეჯანს, ისინი მწერალმა სალოცავად თელეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წაიყვანა და იქ მიატანინა შესაწირავი. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ „ქეთათა ღაღადის“ ავტორი მშვენიერად არჩევდა ერთმანეთისაგან ქართულ და სომხურ ეკლესიებს. ასე რომ არავითარ შემთხვევაში ილია თავის ქართველ მართლმადიდებელ პერსონაჟებს სომხურ გრიგორია-

ნულ ერთკვლად ეკლესიაში მწერალმა იცოცხდა. რა თქმა უნდა, მწერალმა იცოცხდა თელეთის წმ. გიორგის ეკლესია სომხებმა რომ დინსაკუთრეს, მაგრამ ისიც იცოცხდა, ძველი ტრადიციით თელეთის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია ქართული მართლმადიდებლური სალოცავი რომ იყო.

თელეთის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია ხაყურადღებოა იმითაც, რომ აქ თითქოს დაცულია სომხური ეპიგრაფიკის ერთერთი ძველი ნიმუში (1001 წ.). პროფ. ლ. მელიქსეთბეგის აზრით „ეს ფრიალ საინტერესო წარწერაა, რომელიც პალეოგრაფიის მხრივ, მართლაც, შეიძლება მიეკუთვნოს XI საუკუნის დასაწყისს. თუ ვინ არიან მასში მოხსენიებულნი ასძათ, უტა, სარგის (თუ რასაკვირველია, სწორია ჩემი კონიუქტურა) და გრიგოლ, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ეტყობა, რომ იგინი ყოფილან აღმშენებელნი ეკლესიისა, მაგრამ რომელი ეკლესიისა ეს საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, ვგონებ, არა თელეთისა, ვინაიდან აღვილი საფიქრებელია, რომ ეს წარწერა ძველადვე გადმოტანილი ყოფილიყო სომხეთიდან სომეხ ლტოლვილთა მიერ“ („სომხური სიმბოლოები ტფილისის ახლო მიდამოებში“, 1922 წ. გვ. 88). პროფ. ლ. მელიქსეთბეგის ეს აზრი სარწმუნოდ არ მიგვაჩნია, რადგან უცხოელ მოძალადეებს ხმაღს თავდაღწეულ სომეხ ლტოლვილებს ძველი სომხური წარწერიანი ქვების წამოღებისათვის არ ეცადათ. მათი სიცოცხლე ზომ ბუნებურად ეკიდა. არც ქართველ მეფეთა მიერ გადმოსახლებულ სომეხ ხიზნებს ექნებოდათ საშუალება ამ სიმორე გზაზე ქვები ეზიდათ. პროფ. ლ. მელიქსეთბეგის ზემოთ მოტანილი აზრი თავის თანამედროველებისათვის ნამუსის მოწმენდა უფროა, ვიდრე სინამდვილე. სინამდვილე კი ასეთი უნდა იყოს. თელეთის წმ. გიორგი სასწაულმოქმედის ეკლესიის ძველი სომხურ წარწერებიანი (1001 წ.) ქვა ნაყალბეგია, შემდეგ არის ჩად-

ეროვნული

გმული ამ ქართული სალოცავის მითვისების მიზნით. ეს მოულოდნელი არ არის, რადგან „ზოგიერთი სომეხნი არ დასჯერდნენ ჩვენს მამა-პაპების სისხლით დაცულ პოზიურ მიწა-წყალს-მისგან მიღებული მრავალნაირი სიკეთე-სიმდიდრეხა, ვაძლენ, ვალონიერდნენ, ვაიმპარეს ურთიერთისაგან ზურგ-მხარი და უწყევს ნგრევა ჩვენ სათაფვანო ეკლესია-მონასტრებსა, სადაც შეიძლეს დაისაკუთრეს ზუცური წარწერები, წაშალეს და თავიანთისებურს ჯდახნა დაუწყეს არა მარტო ეკლესიებზედ... იგივე ნაოხარ სოფლების ლოდებზედ და ქვებზედ, თურქები, თარაქიშები, მაჰმადიანები კრძალვით და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ეკლესიებს და ზოგიერთი სომეხთაგანი კი მტრულად გვეპყრობიან, სიმართლეს წყინობს ბ. კლდია მათ დაუნდობლობასა მღვდლით ერამდის, მაგრამ გამგონი არა გვეყვს, თბილისსაც ისაკუთრებენ, ასინძა და აბასოუმანი რაღა ხახსენებელია“—გულისტკივილით აღნიშნავს ივანე გვარამაძე (ჟურნ. „მოგზაური“, 1901, №11, გვ. 1035-1036).

რაც შეეხება იქვე ხქოლიოში ვაკეთებულ პროფ. ლ. მელიქსეთბეგის შენიშვნას, თითქოს ხატის თელეთიდან არიან ხატისშვილები (ხატისოვები). მართებულად არ მიგვაჩნია. ამ შემთხვევის განზოგადება ხსოროი არ არის, რადგან ხატიშვილები-ხატიამშვილები საქართველოს არაერთ კუთხეში ვახვდებიან, მაგრამ მათ არაერთი კავშირი არ აქვთ ხატის თელეთთან.

ბოლნისის რაიონის სოფელ რატეჯანის „წმ. ვიორგის ეკლესია. XVI-XVII სს. რესტავრირებულია XIX ს.თ.“ ასეა აღნიშნული რუკა-ცნობარში ამ ქართულ და სომხურად ქცეულ ეკლესიის შესახებ. რატეჯანის წმ. ვიორგის ეკლესიის სომეხთა მიერ მითვისების ისტორია გადმოცემულია ჟურნ. „მოგზაურში“ 1901, №21 — „ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“. ავტორია — ბ. ამ წერილში ვრცლად და

დეტალურად არის გახსენებული იმ ხერხსა და საშუალებებზე, რასაც მიმართავდა ზოგიერთი სომეხი ქართული ეკლესია-მონასტრების სომხურად გადაკეთების მიზნით.

ინტერესი მოკლებული არ იქნება ვაკერით მაინც შევხვით რუკა-ცნობარში წარმოდგენილ სამცხე-ჯავახეთის ე. წ. „სომხურ“ ეკლესიებს. ამ მხარეში ერთ-ერთი სომეხების მასობრივი ჩამოსახლება 1830-1831 წწ. მოხდა. ისინი მეფის მთავრობამ დაასახლა აქედან განდევნილი ქართველი მაჰმადიანების ადგილებზე და ხელი შეუწყო მათ სამცხე-ჯავახეთში მტკიცედ დამკვიდრებას. ამ წლებიდან დაიწყო სამცხე-ჯავახეთში არსებული ქართული ეკლესიების მითვისება სომეხების მიერ, ქართული ეპიგრაფიკის განადგურება და ა. შ. თუ როგორ სპობდნენ ძველ ქართულ ეკლესიებს, მის ლამაზად თლილ ქვებს და სხვა მასალას იყენებდნენ ახალი სომხური ეკლესიების ასაგებად, ამის შესახებ მოგვეპოვება არაერთი ცნობა. ერთ-ერთია ივ. როსტომაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია — სოფელი არაკალი (არაქალი, დიდი არაკალი) არის ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე თაფარავნის მაღალ მარცხენა ნაპირზე. აქ ახლა ერთ-ერთიდან გადმოსახლებული სომეხები ცხოვრობენ. ადრე ქართველებს უცხოვრიათ. ძველი ქართული ეკლესია ახალმოსულებს (სომეხებს) დაუნგრევიათ და მშვენიერი ქვებით აუშენებიათ თავიანთი სომხური ეკლესია. («Ахал-калакский уезд в археологическом отношении», Тифлис, 1898, гл 35).

რუკა-ცნობარში ვატანილია — „ღვასტანის ეკლესია „ხარაბა“. ღვას სოფლის შუაგულში (XVI-XVII სს) ნახევრად-ღანგრეულია“. ჯერ ვიფიქრე ალბათ ქართული „ხარების“ დამახინჯებული სომხური ფორმაა, მაგრამ გამახსენდა, ეს სიტყვა ზშირად ისმის სომხურ, საუბარში და ქართულად ნიშნავს „გაფუჭებულს“, „გაიერანებულს“. პრ. აჭარიანიის სომხური ენის განმარტებით ლე-

სიკონში ასეა: „ხარაბა“ არაბულია, ნიშნავს — დანგრეულს, გატალღებულს, აკად. ს. ჯიქიას ეს სიტყვა აქვს დაფიქსირებული: „სოფ. პატარა ხანალი. ამ სოფელთან უჩვენებენ ნახოფლარ თეხ-ხარაბას“, სოფ. ტბასთან, საიდანაც მდინარე ვამოლის, არის ხარაბა ღუმა, ტბას ღუმას „ეძახიან“. (გურჯინტანის დიდი დათარი, ტ. III, 1958, გვ. 354, 340). „ხარაბა“ გვხვდება ძველ ქართულ სიგელებში და იხმარება ზუსტად გავიანებული, გაუკაცრიელებულის მნიშვნელობით. სომეხი ლტოლვილები საქართველოში „ხარაბა“ ადგილებში დაასახლეს. მათი ერთი ჯგუფი ქართველებისაგან დაცლილ სოფელ ალასტანს დამკვიდრებულან. „ხარაბა“ სოფელში (ალასტანა) ხიზანმა სომეხებმა ნახეს ქართული ეკლესია, მიტოვებული, გაუკაცრიელებული (ხარაბა) და მას დაეპატრონენ, რა თქმა უნდა, სოფელთან ერთად. ამ ეკლესიას უწოდეს „ხარაბა“ და ამგვარად სომხური სიტყვა „ხარაბა“ ეკლესიის სახელად იქცა. შეადარეთ ნაოხრების ეკლესია ახალციხის რაიონში, აგრეთვე ქართული გვარი ხარაბაძე, მესხეთსა და ჯავახეთში არსებული ქართული ეკლესიების სომხურად გადაკეთების, მითვისების კიდევ მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება, მაგრამ გასაგები მიზეზის გამო აქ ვერ ვახერხებთ. ჩვენ ერთ დაკვირვებას კი მოკლედ გვაცნობ მკითხველს. რუკა-ცნობარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში სულ არის 127 „სომხური“ ეკლესია აქედან 40 აშენებულია 1800 წლამდე. ასი წლის განმავლობაში (1800-1900) 87 ეკლესია „აუშენებიათ“ სომეხებს ამ მხარეში, XX ს-ში ცნობილი მიზეზების გამო სამცხე-ჯავახეთში (იხე როგორც სხვა მხარეში) მცირეოდენი ეკლესიები აშენდა. ე. ი. გამოდის ახალქალაქის, ახალციხის, ნიწოწინდის, ადიგენის, ბორჯომის, რაიონებში აქ მცხოვრები სომეხები წელიწადში ერთსა და მეტ ეკლესიას აშენებდნენ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს

ეკლესიები მკვიდრი ნაგებობები არა ნაქარვეად, სახელდახედავად ბული ხალიცავები. გასულ საუკუნეში კი არა, დღეს მექანიზებული მშენებლობის პირობებშიც კი ძნელია დროის ასეთ მონაკვეთში ამდენი შენობის, მით უმეტეს ეკლესიის აგება.

რამაი საქმე?
საქმე იმაშია, რომ სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებულმა სომეხებმა ისარგებლეს ქართველთა „რბილი რაინდიზმით“, ხელი მიჰყვეს ქართულ ეკლესიებს და გამოიყენეს ისე, როგორც ზურდავ, აკად. ექ. თაყაიშვილის, აკად. ს.ჯიქიას, ივანე გვარამაძის, ივ. როსტომაშვილის და სხვათა მონაცემებით ჯავახეთს, მესხეთს, თრიალეთს (წალკა) ქვემო ქართლს გვიან მოსული სომეხები, ადგილზე დახვედრილ ქართულ ეკლესიებს უსირცხვილოდ დაეპატრონენ და გაასომხურეს. აი, რატომ მოეფინა ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით ამ მხარეებს ე. წ. „სომხური“ ეკლესიები. ამრიგად ამ შეკოწიწებული რუკა-ცნობარის მიხედვით 127 „სომხური“ ეკლესიის არსებობა სამცხე-ჯავახეთში ფიქტია და ავტორის ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

რუკა-ცნობარში წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს სომხური ეკლესიების რიცხვი მცირეა და აშენებულია XIX ს-ში. ყველაზე მოულოდნელია გასულ საუკუნეში ზუგდიდში სომხური ეკლესიის არსებობის ფაქტი. არადა, ცნობარში შავით თეთრზე წერია: „ზუგდიდი, ეკლესია XIX საუკუნის მეორე ნახევარი“. ძალიან გაურკვეველად კითხვის ნიშნის მსგავსი რამ კი (-) უზის ბოლოს, მაგრამ ფაქტი დოკუმენტურად რჩება. ამიტომ მივმართე ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, ქალბატონმა მარინე ქობალიამ გულისხმირება გამოამიჩინა და მომავლად საყურადღებო საბუთი, რომელიც დატულია ამავე მუზეუმის ლიტერატურულ განყოფილებაში. ეს არის სამეგრელოს ეპისკოპოსის, ანტონ ჭყონდიდელის წერი-

ლი მთავარ დავით დადიანისადმი. სულ არის ერთი ფურცელი, დაწერილია მხედრულთ და იკითხება გარკვევით: „ახსასრულედ მოწერილობისა თქვენისა უგანათლებულესობისა 13-ს ოქტომბრიდან მდგომარისა წლისა № 1235-თა მაქვს პატივი წარმოგვანად შემდგომისა ცნობისა, სამფლობელოსა შინა თქვენსა რწმუნებულს ჩემდა ეპარხიაში მდგომარეობენ საკათედრო სობორი ერთი, სამრევლო ეკლესიები 24-სა, სასახლის ეკლესიები — 32, სასაფლაოს ეკლესიები 6, ხოლო ზედმოწერილი 28 ეკლესიები, ამათ რიცხვში ქვეთერის ეკლესიები 150, ხოლო ფიცრისა 148. ამ ეპარხიაში სასულიერო პირნი არიან 2156 სულნი, ხოლო ანგარიშსამებრ ოთხისა სულისა 539 კომლიანი, სრულიად მეწერელიაში სცხოვრობენ მრევლისა თავადთა და აზნაურთაგანნი ორსავე სქესისა 1948 სულნი, ვაჭართაგანნი აღებ-მიცემობის, კაცნი და სხვანი ქალაქში მცხოვრებნი 1745 სულნი, ხოლო ვლუხთაგანნი 208286 სულნი ორსავე სქესისა, ხოლო ჩათვლისამებრ ოთხის სულითა კომლად 27071 კომლნი, მონასტრები არიან მეგრელიაში: ლეჩხუმს სამი, ცაგერის, საირმის და ნურანევისა, ხოლო ოდიშში ცაიშის და ხობისა. მიიღეთ დარწმუნებაში ჩემი თქვენდა მიმართ პატივისცემა და სრულიადი ერთგულება თქვენსა უგანათლებულესობისა მოწყალისა ხელმწიფისა უმორჩილესი მოსამსახურე და ლეთისადმი მლოცველი ეპისკოპოსი მენერელიისა ანტონ ჭყონდიდელი-ოქტომბერი, № 865, 1852-ს წელსა მის უგანათლებულესობას მთავარს მენერელიისას დავით ლევანის ძე დადიანს“. ამ საარქივო მასალაში ყურადღებას იპყრობს ცნობა: „ვაჭართაგანი, აღებ-მიცემის კაცნი და სხვანი ქალაქში მცხოვრებნი 2745 სულნი“. აღებ-მიცემობის ხალხში პირველ რიგში, ებრაელობა უნდა ვიგულისხმოთ, (მათ თავიანთი სალოცავი სინაგოგა, ექნებოდათ) ვიდრე სომეხნი. თუმცა რუხში სომეხთა გარკვეული მცირე

ჯგუფი შეიძლება იყო. მაგრამ ამ დროს ასიმილების რა დონეზე შეყვნენ ეს სომეხი ვაჭარ-ხელოსნები, ძნელია თქმა. ასეა თუ ისე, დოკუმენტის მიხედვით არ ჩანს რუხსა და ზუგდიდში რაიმე სომხური ეკლესიის არსებობა. ასე რომ თუ იქნებოდა, უჭკველად მოიხსენიებოდა ვაკერით მაინც ანტონ ჭყონდიდელი. ის დეტალურად აღწერს სამეგრელოს ეკლესიებს, ასე ვახსენავთ თვით ქვეთერის ცალკე აღწუსხავს, ხისას ცალკე. იძლევა დემოგრაფიულ მცირეუბრაბს და ა. შ. ამ დროს არსად არ არის, არც ზუგდიდში სომხური მცირე დიასპორის ფაქტი დადასტურებული, ეკლესია საიდან იქნებოდა? აქვე დაკვირვებულნი, ზუგდიდში არ არის დაფიქსირებული სომხური ეკლესია 1911-1918 წწ. (საქართველოს ცენტრალური არქივი, სომხური ეკლესიების სინდოლური ჩანაწერები, ფონდი 489, აღწერა. 12).

ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებში ვერ ვნახეთ რუკა-ცნობარში დაფიქსირებული „ჩაილურის სომხური ეკლესია, ლეთისმშობლისა. (წმ. გიორგი) აშენდა 849-1893-1894“. ამ სოფელში არის ჩაილურის ქართული წმ. გიორგის ეკლესია (1907-1916), (საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 849, აღწერა. 1907-12). ჩაილურში IX ს-ის (849 შ.) სომხური ეკლესია არსად დასტურდება და რუკა-ცნობარში რატომღაც შეტანილი, გაუგებარია?!

საერთოდ, თვალშისაცემი ფაქტია ისიც, რომ 1800-1900 წლებში აკებული ზოგიერთ „სომხურ“ ეკლესიას ამ ენების თარიღი არ უზის და მითითებულია მხოლოდ ახლად, კვლავ, მეორედ აშენების წელი. ეს გარემოებაც, აღნიშნულ კონკრეტულ ფაქტებთან ერთად იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს ეკლესიები იყო ქართული და ამიტომ მათ თავდაპირველ აშენების თარიღს რუკა-ცნობარში შეგნებულად აქვს გვერდი ავლილი.

აღარას ვამბობ იმ ფაქტზე, რომ რუ-

კა-ცნობარში საქართველოში არსებული თითქმის ყველა კათოლიკური ეკლესია სომხურად არის გამოცხადებული... რა თქმა უნდა, საქართველოში არის ნამდვილი სომხური ეკლესიები, მათ შესახებ არვინ დავობს. ეს უკვე კვლევის ცალკე თემაა.

ასე წარმოვედგება ზოგადი სურათი ე. წ. ამ რუკა-ცნობარისა. იმედია დაინტერესდებიან ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარები და გამოწვლილვი შეისწავლიან რუკა-ცნობარში წარმოდგენილ თითოეულ „სომხურ“ ეკლესიას. განსაკუთრებული კვლევის ობიექტი უნდა გახდეს VII-XVII სს ე. წ. „სომხური“ ეკლესიები. ისე კი, თუ რუკა-ცნობარს დაუჯერებთ, გამოდის, სომხებს კი არ უცხოურიათ საქართველოში, პირიქით, ქართველები შეუხზნაათ სომხებს ამ

კურთხეულ მიწაზე. ეს წერილი გეგმურად დაგასრულოთ ილია ჭავჭავაძის წლის წინ ნათქვამი სიტყვებით: „ჩვენ ვიმოწმებთ იმავე ბატონ ნიკოლსკის იმასში, თუ რა ჭირვეულობას ეწვეიან სომეხთა მეცნიერნი, რომ ქვათა ლაღადს იგი ათქმევიანონ, რაც თვით ჰსურთ და ამ ხაზით ქვებსაც კი, ქვებსაც თაღლითობა გააწვევიანონ, ტყვილი აღაპარაკონ და ყურები გამოვეჭედონ „ქვები დაღადებენო...“ რომ აქ ქვანი კი არ ჰღაღადებენ, სტყვიან სომეხთა გაცუღლუტებული მეცნიერნი და სხვა ამისთანები. ისე კი, ღმერთმა მოახმაროთ თაუიანთი ქება-დიდება, მაგრამ ჩვენის მითვისებას ნურას უკატრავად, ვერ შევარწინთ, ვერ დავანებებთ და ამაში იმედია, ყველა ჭკაათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება!..“



საქართველოს მწერალთა კავშირი 1917–1997

1931 წელი.

— იანვრიდან „მნათობი“ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანოა. დაარსებიდან როგორც იქნა მხოლოდ ერთი წელი (1930) ანდვეს რედაქტორობა მწერალს. მანამდე სამი კომუნისტური ფუნქციონერი განაგებდა ამ ჟურნალს და ახლა ისევ კომპარტიის ცკ-ის მდივანი (იდეოლოგიის დარგში) გ. ყურულაშვილი დაინიშნა რედაქტორად.

პირველი ნომრიდან დაიწყო პარტიის ლოზუნგის მიხედვით სახელმწიფოებრივი კ. ლორთქიფანიძის მრავალჯერ სახელ-შეცვლილ-გადამუშავებული რომანის „ძირს სიმინდის რეესპუბლიკა“ ბეჭდვა.

— შეიქმნა ბრიგადა საბჭოთა არმიის ნაწილებში სამუშაოდ: ირ. აბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. მამაშვილი.

25. II — ახალი ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავზე საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამოუშვა ერთდროული „სალიტერატურო გაზეთი“, რომელს. ც დაბეჭდილია: ა. სულავა — პროლეტარული მწერლობის ათი წელი, შ. რადიანი — თანამგზავრობიდან მოკავშირეობამდე და „ქართული მხატ-

ვრული მწერლობის ბიბლიოგრაფია 1921 წლიდან 1931 წლამდე“...

ეს იყო ძაღლების მოსინჯვა ასეთი გაზეთის დასაარსებლად, რაც მართლაც განხორციელდა ამ წლის მიწურულს.

— საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა, იმ ხანებში ძალზე გააქტიურებული სიმონ წვერაევს მოხსენების შემდეგ, 1931 წლის 17 მაისს დამტკიცა პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის ანოციატივით ფედერაციის საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის დადგენილების („ჩატარდეს წმენდა შემარჯვენე რეაქციული მწერლებისაგან“) თანახმად შექმნილი საგანგებო კომისიის (შ. რადიანი — თავმჯდომარე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ს. წვერაევა, ა. ტუმბაძე) 1931 წ. 9 მაისის ოქმი, რომლის მიხედვით მწერალთა ფედერაციიდან გარიცხეს:

I კატეგორიით (როგორც აშკარა, გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერლები“):

ა) პ. ინგოროყვა, რომელიც ასე იყო დახასიათებული ოქმის განმარტებით ნაწილში: „პაუღე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტი საბჭოთა ჟურნალის „კაკაქიონის“ დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი თავის რეაქციონერი საქმიანობა ჟურნალის მთლიანი ტენდენციის ჩამოყალიბებისას ამავე რეაქციონერი ხაზ-

ით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეგვიპტე გამოაშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლითაც. მისი მტკიცება: „ქართული ენა იჩაგრება“, „ქართული კულტურა კვდება“ და „საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულ ეროვნულ შემოქმედებას გასაქანი არა აქვს“.

„ინგოროვცა თავის თეორიებით და პრაქტიკული მუშაობით ქართული მწერლობის რეაქციონურ ნაწილს ორგანიზატორობდა. ისევე ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართულ წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს“.

ბ) კ. გამსახურდია — „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრულ პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის თავდაზნაურული იდეოლოგიის შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავის გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ზიზღი და სიძულელი დაიმსახურა, ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი თანადროულობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავისი პოლიტიკური მავნებლობით ამაყოფს მწერლობაში და საზოგადოებრიობის წინაშე“.

გ) გ. ქიქოძე — „კომისიის მიერ გარიცხულ იქნა როგორც ანტისაბჭოთა მწერალი და ფეოდალური მსოფლმხედველობის აკადემიური წარმომადგენელი და თეორეტიკოსი. ამ დებულების გამამკლავებელი მასალა მან დაბეჭდა ჟურნალ „არიფიონში“ 1928 წელს. ამ წერილში მან ჩვენი ქვეყნის სოციალური ტენდენციის მატარებელ ინდუსტრიალიზაციასა და კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციასა და კოოპერაციას შორის იგივეობის ნიშანი დასვა. ამ დებულებიდან მან გამოიტანა ჯვარის მო-

ნასტრის უპირატესობა და უდიდესობა ზაქსითან შედარებით და ჩვენს ინდუსტრიალიზაციის მიღწევები ადამიანის გამოიფიტავ მოვლენად ჩათვალა. ხოლო კომუნისტური წყობილება მან აღიარა თემობრავი წყობილების ორიგინალურ გაგრძელებად.

ეს მოსახრებები მან შემდეგშიც განავითარა ზეპირ გამოსვლებში, ხოლო უკანასკნელ დისკუსტში მან დუმილი არჩია და ამით თავისი წინანდელი შეხედულებები დასტოვა მომავალი მოვლენების პროგრამად“.

დ) შალვა შარაშიძე („თაფუნა“) — „ეშმაკის მათრახის“ მენშევიზმის რომანტიზმით გაფლენილი მწერალი. მენშევიზმის აზრების ავტორი. თავის ბოლოდროინდელ ნაწარმოებში დასცინის მენშევიკური ხითხითით და გესლით საბჭოთა ხელისუფლებას“.

ე) ი. იქედაშვილი — „ცნობილი რეაქციონერი მწერალი, რომელიც გაუმდებობით ებრძვის მწერალთა ფედერაციას. უკიდურესი შოვინისტი“ (ლხცა, 8-2-12 ს; 8-1-238).

18. VI — გამოვიდა საბჭოთა მწერლების ფედერაციისა და პროლეტმწერლების ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ერთდროული გახეთი „მწერლობის დამკვრელი“. დაბეჭდილია: „საქართველოს პროლეტარული მწერლობა 10 წლის მანძილზე“, რეზოლუცია მწერლობაში დამკვრელ მუშათა განქვეის შედეგებზე და სხვ.

1-13. VII — თბილისში ჩატარდა უკრაინის კულტურის დეკადა. მწერალთა სასახლეში გაიმართა უკრაინულ (ივან მიკიტენკო, მიკოლა ბაგანი და სხვ) და ქართველ მწერალთა შეხვედრა. უკრაინის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ისაუბრა უკრაინის პროლეტმწერალთა ასოციაციის მდივანმა ი. მიკიტენკომ. განიხილეს უკრაინული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხი. ამ საქმის მოსაგვარებლად შეიქმნა მუდმივი კომისია ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ნ. მიწიშვილის, შ. რაღია-

ნის, პ. ხავეარულიძის, ს. წვერაევას შე-
მადგენლობით.

სეპტემბერი

3-5 - პროლეტმწერალთა ასოცი-
აციის გამგეობის სხდომაზე განიხილ-
ეს: 1. ლიტერატურული პოლიტიკის სა-
კითხები და პროლეტარული მწერლე-
ბის ამოცანები - ბ. ბუაჩიძე; 2. დამკ-
რელი მუშების გაწვევა მწერლობაში -
ს. წვერაევა.

გამგეობამ ასოციაციის პ/მგ მდივნად
აირჩია შ. რადიანი (ბ. ბუაჩიძის პრო-
ლეტმწერლების ასოციაციების საკავ-
შირო გაერთიანების - ვოაპპ - მდიუ-
ნად გადაყვანის გამო) (ლხცსა, 38-1-
152-28; 38-1-153).

14 - საბჭოთა მწერლების ფედერა-
ციის საბჭოს სხდომაზე ფედერაციის
პირველ მდივნად გაიყვანეს ს. წვერაევა.

„ერთ დროს ჩვენ მწერალთა ფედერა-
ციის მდივნად წამოვიყვინეთ ამხანა-
გი, რომელსაც არა ჰქონდა ლიტერა-
ტურული ავტორიტეტი. ჩავიდინეთ ეს
იმიტომ, რომ ეს ამხანაგი, ჩვენის ფიქ-
რით, იქნებოდა ჩვენ განკარგულებათა
ფერმოსტრიული შემსრულებელი და „ორ-
თოდოქსალური“ გამტარებელი“ - კ.
ლორთქიფანიძის აღიარება მწერალთა
კავშირის გამგეობის პლენარულ სხდო-
მაზე 1937 წლის 5-11 მაისს („ლს“,
1937, № 13).

იმ ამხანაგმა ამ თანამდებობაზე მხო-
ლოდ სამი თვე დაჰყო.

ოქტომბერი

14 - ბეჭდვითი სიტყვის საპაიო ამ-
ხანაგობა „ქართული წიგნი“, სადაც
დიდი იყო აკადემიურ მწერალთა გავ-
ლენა, გადავიდა საბჭოთა მწერლების
ფედერაციის გამგებლობაში „ფედერა-
ციის“ სახელწოდებით. მალე მის დირე-
ქტორად შემოსხენებული ს. წვერაევა
დაინიშნა, რაც პროლეტმწერლებმა თა-
ვიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს.

- მწერალთა ფედერაციის სამდიუ-

ნის დადგენილებით მწერალთა სახელ-
მწიფის ეგნატე ნინოშვილის სახელი შე-
კუთვნა (ლხცსა, 8-1-239-10).

1. XI - გამოვიდა ფედერაციის ათ-
დღიური „სალიტერატურო გაზეთის“
პირველი ნომერი. 1932 წლის ივლისი-
დან საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ორგანოდ იქცა და ამ სახელ-
წოდებით გამოდიოდა 1934 წლის სექ-
ტემბრამდე, შემდეგ 1934-1935 და
1953, 13, II-1963. 1. II - „ლიტერა-
ტურული გაზეთი“ ერქვა, 1943. 22, X
- 1953. 6. II - „ლიტერატურა და
ხელოვნება“, 1936. 25, II-1943. 29.
IX და 1963. 8. II-დან - „ლიტერა-
ტურული საქართველო“.

ეს გაზეთი იქცა ქართული სამწერ-
ლო ცხოვრების შემატიანედ, ჩვენი სი-
ტყვაკაზმული მწერლობის, კულტურის
განვითარების ხელშემწყობად. მას რე-
დაქტორობდნენ: 1931-1932 და 1937-
43 - შ. რადიანი, 1932-34 - დ. დე-
მეტრაძე, 1934-35 - პ. ქიქოძე, 1936
-37 - აკ. თათარაშვილი, 1943-63 -
გ. ნატროშვილი, 1963-67 - ი. ნონე-
შვილი, 1967-68 - რ. თვარაძე,
1968-73 - რ. მარგანი, 1973-87 -
ვ. ჭელიძე, 1987-91 - ე. ჯაფელიძე,
1991 - ს. სიგუა, 1992-დან თ. წიცი-
ვაძე.

დეკემბერი - ფედერაციის სამდიუ-
ნომ დაადგინა თბილისში ლიტერატურ-
ული მუზეუმის გახსნა („სგ“, 1931,
11, XII). ამ წლიდან 1953 წლამდე
მუზეუმის დირექტორი იყო გ. ლეონი-
ძე.

1932 წელი

01 ანგარი

13 - ფედერაციის პრეზიდიუმმა
მთელი ქართული მწერლობის ორგანი-
ზაციის მეთაურად - ფედერაციის პირ-
ველ მდივნად ს. წვერაევას ნაცვლად
დააბრუნა პ. ჩხიკვაძე (ლხცსა, 8-1-
283-1).

31 - მწერალთა სასახლეში გაიმარ-
თა დისკუსია თემაზე „თანამგზავრობა

და მოკავშირეობა“, მომხსენებელი — პროლეტმწერალთა ასოციაციის პ/მ მდივანი შ. რადიანი („სგ“, 1932, № 2, 4).

27. III. თბილისში ჩამოვიდა გერმანელი მწერალი ვ. ბრედელი. 29 მარტის ეწვია „სალიტერატურო ვახეთის“ რედაქციას, მწერალთა სასახლეში დაესწრო ვოეთეს ვარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს, რომელზეც შ. ნუცუბიძემ გერმანულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა.

აპრილი

6-19 — გაიმართა პროზის საწარმოო თათბირი (ეს იყო პროლეტმწერლური ტერმინი). მომხსენებელმა ვ. ნატროშვილმა, აგრეთვე ა. არსენიშვილმა და დ. ბენაშვილმა სასტიკად შეუტყეს მ. ჯავახიშვილს („სგ“, 1932, № 9, 10).

27 — „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“, რომელშიც როგორც იქნა ითქვა: პროლეტმწერლური ორგანიზაციები მწერლობის განვითარების შემფერხებლად იქცა და უნდა დაიშალოს. თუმცა რა, იმ დროისათვის ხელისუფლებამ პროლეტმწერალთა ორგანიზაციებს თავისი ბნელი საქმეები გააკეთებინა — სხვა ლიტდაჯგუფებათა მწერლებისათვის სისხლი გააშრობინა, ისინი აიძულა მეტნაკლებად საბჭოურ პოზიციებზე გადასულიყვნენ, მოთვინიერებულყვნენ... და ახლა შეიძლება იმ მწერლების ერთიან საბჭოთა მწერლების კავშირში შეყვანა.

მაისი

14 — ზემოხსენებული დადგენილების თანახმად პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობამ ასოციაცია დაშლილად გამოაცხადა (ლხცსა, 8-1-270; „სგ“, 1932, № 13).

16 — საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე (მომხსენებელი კომპარტიის ცკ-ის წარმომადგენელი კარლო გორდელაძე) გამგეობის სახელით ფედერაცია დაშლილად გამოცხადდა. დაადგინეს მწერალთა საგანგებო ყრილობის მოწვევა, შეიქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ საორგანიზაციო ბიურო კომპარტიის ცკ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის კარლო ორაგველიძის თავმჯდომარეობით. ბიურომ შექმნა კომისიები:

1. მწერალთა რეგისტრაციისა (ხელმძღვანელი — ს. ეული), 2. საწესდებო (პ. ჩხიკვაძე), 3. ოპერატიული მუშაობისა და ლიტერატურული საქმიანობის ხელმძღვანელობის (პ. ჩხიკვაძე, რ. გვეტაძე, ბ. ფლენტი), 4. პარტიული — სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად (კ. ცკ-ის მდივანი ვ. ყურულაშვილი) („სგ“, 1932, № 13; ლხცსა, 8-1-270-1).

ივნისი

— პროლეტმწერლების ორგანიზაციათა დაშლის მიუხედავად მათი მემარცხენე წევრებისათვის იოლი არ იყო შეენელებინათ ყოველივე არაპროლეტარულის, არასაბჭოურის ლანძღვა-გინების ტემპი: „სამხედრო მწერალში“ დაიბეჭდა ღვთისმშობლის, ქრისტეს, ვრ. ორბელიანის, მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას საღანძღავი ღვთისმშობლისა „სამხედრო“.

27-29 — მწერალთა სასახლეში ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო (პირველი) ყრილობა. პარტიის ცკ-ის მდივნის ვ. ყურულაშვილის მოხსენების შემდეგ მოისმინეს საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შედეგები (პ. ჩხიკვაძე).

ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოში სამწერლო ორგანიზაცია ყველაზე ადრე შეიქმნა და, შეიძლება ითქვას, ერთადერთიც კი იყო,

— ჩვენს მწერლებს არ ესაჭიროებოდათ ორი წლის მზადება ახლებური სამწერლო ორგანიზაციის შესაქმნელად.

ჩვენებმა, ეტყობა, ისიც გაითვალისწინეს, რომ რესპუბლიკური სამწერლო ორგანიზაციის შექმნით ფაქტის წინაშე დაეყენებინათ საკავშირო ხელისუფლება, რათა მას ეროვნული სამწერლო ორგანიზაციების ჩამოუყალიბებლად ერთიან საკავშირო მწერალთა ორგანიზაციაში არ გაეერთიანებინა ყველა მწერალი. ხოლო ერთიანი საბჭოთა მწერლობის შექმნას რომ აპირებდნენ ეროვნული მწერლობების გარეშე, ამას სულ მალე დაეინახავთ.

ყრილობამ შექმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“. ამ კავშირის 47-კაციან საბჭოს დაავალი მწერალთა კავშირში ჩამოყალიბებია კომუნისტური ფრაქცია (!) — („სგ“, 1932, № 16, 17; „კომუნისტი“, 1932, № 152; „ზარია ვოსტოკა“, 1932, № 152).

03ლისი

1 — როგორც მოსალოდნელი იყო, ახლებურ შემოქმედებით ორგანიზაციას — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირსა და მის საბჭოს სათავეში ჩაუყენეს პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის თვალი და ყური მალაქია ტორიშვილი, მოადგილეებად აირჩიეს მწერლები ს. ეული, ნ. მიწისვილი, მდიუნად — ბ. ქლენტი.

— მალე შეიქმნა ახალი მწერალთა კავშირის განყოფილებები: ქუთაისისა (თავმჯდომარე დია ჩიანელი-ჩხვიძე), აჭარისა (დავით ღუმბაძე), აფხაზეთისა (სამსონ ჭანბა), სამხრეთ ოსეთისა (ჩერემენ ბეგიშვილი).

— „პროლეტარული მწერლობის“ ნაცვლად გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური ჟურნალი „საბჭოთა მწერლობა“ შ. რადიანის რედაქტორობით.

სექტემბერი

ქართული
ლიტერატურის

საქართველოში ჩატარდა „მ. გორკის შემოქმედების ათდღიური“ მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით („ზარია ვოსტოკა“, 1932, № 214, 219, 221, 225, 227; „სგ“, 1932, 15. X).

სოციალისტური რეალიზმის მამად გამოცხადებული ამ მწერლის, ისევე როგორც სტალინის მიერ საბჭოთა ეპოქის საუკეთესო პოეტად მიჩნეული ვ. მაიაკოვსკის, აგრეთვე კერპებად ქცეული მარქსის, ლენინის, სტალინის, ბერიას და სხვათა საიუბილეო თუ ხსოვნის საღამოები, ლიტერატურული დეკადები, დღეები, ფესტივალები, კონფერენციები, მათთვის ზოტბის აღვლენა სავალდებულო ხდება და ბევრ დროსა და ენერგიას ართმევს მწერლებს.

— საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა თითო თვის შემოქმედებითი მივლინებით საქართველოს რაიონებში გაგზავნა ნ. ლორთქიფანიძე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ს. კლდიაშვილი, რ. გვეტაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, პ. სამსონიძე, ფ. ნაროუშვილი და გ. ბუხნიკაშვილი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი 30-იან წლებში

1933 წელი

აპრილი

— მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მოსკოვის „ლიტერატურისა და ხელოვნების“ კორესპონდენტად თბილისში დაამტკიცა ლევან ასათიანი, გადაწყვიტა ქვეშეთის მწერალთა სახლის გადაკეთება მწერალთა დასასვენებელ სახლად — პანსიონად.

21. VI—5. VII — გაიმართა გ. ტაბიძის დღეები: 21 ივნისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სამწერლო მო-

ღუაწობის 25 წლისთავეზე გალაკტიონის მინიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება და გადაწედა მისი თხზულებების სრული კრებულის გამოცემა. 29 ივნისს მწერალთა სახალხეში, 5 ივლისს კი ოპერის თეატრში გაიმართა პოეტის საიუბილეო საღამო („კომუნისტი“, 1933, № 153, 154).

ოქტომბერი

2 — მწერალთა აქტივის კრების სტენოგრაფიდან: ვილც ბოგდატიევის მსგავსად (იხ. 1921. დეკ. და 1925. აპრ.) გამოჩენილა მეორე ჭკუის კოლოფი — ვლ. ხუტირიანი (1928 წელს ა/კ პროლეტმწერლების 'ასოციაციის ჩამდევნოში შეიყვანეს).

აუ. დუღუნაე: „ხუტირიანი ამტკიცებდა, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის გეოგრაფიული პირობები ისეთია, რომ აქ არ შეიძლება პოეზია განვითარდეს, აქ მხოლოდ პროზა უნდა აღორძინდესო (სიცილი და ხმები: იყო კი პირიქით)“.

5 — მწერალთა კრებაზე აღინიშნა, რომ სპეციალური მომარაგება დაენიშნათ მწერლებს ვ. ბარნოვს, ვ. გაბაშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, დ. მეგრელს, შ. მღვიმელს, გ. ტაბიძეს, გ. ქუჩიშვილს, პ. ჩხიკვაძეს, მ. ჯავახიშვილს. აქტივმა მოითხოვა თბილისში გამოთავისუფლებული ი. ჭავჭავაძის სახლი (ორჯონიკიძის ქ. 22) მუზეუმის მოსაწყობად, ხოლო ანასტასია წერეთლის სახლი (კვალის ქ. 5) — საბავშვო მუზეუმისათვის, შექმნა სამდივნო: მ. ტორიშელიძე (თავმჯდომარე), დავით დემეტრაძე, ბ. ფლენტი, ნ. მიწიშვილი, პ. ჩხიკვაძე („სგ“, 1933. 18. X; „კომუნისტი“, 1933, № 230, 232).

ნოემბერი-დეკემბერი

17 ნოემბერს მ. ვორკის ინიციატივით თბილისში ჩამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის ორგანიზაციის მწერალთა ბრიგადა: პ. პავლენკო (ხელ-

მძღვანელი), ბ. პასტერნაკი, ნ. ტინოვი, ო. ფორში, ვ. გოლცენკო, შიგადა ოცი დღის განმავლობაში ეცნობოდა ქართულ მწერლობას, საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობას, აგროვებდა მასალებს საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისათვის. 5 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა ორგანიზაციის ბრიგადის მოხსენება (პ. პავლენკო) და იმსჯელა საკავშირო ყრილობისათვის მზადების ირგვლივ. ქართულმა მხარემ განსახილველად წამოაყენა ნ. მიწიშვილის სტატიის „საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები“ („სგ“, 1933. № 18) მოთხოვნა — ეს საკითხი დასმულიყო და განხილულიყო მომავალი ყრილობის პლენარულ სხდომაზე და არა კომისიების თათბირებზე, როგორც განზრახული ჰქონდათ („კომუნისტი“, 1933. 18. XI).

როგორც დაენახათ, საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს სწორედ პლენარულ სხდომაზე წარმოადგინეს ეროვნული ლიტერატურები, მ. შ. ქართული. ამით თავიდან აცილებულ იქნა ეროვნულ მწერლობათა ერთიან საბჭოურ ლიტერატურაში გათქეფის განზრახვის შესრულება.

11. XI — გაიმართა დისკუსია „რევოლუციური რომანტიზმის პოეტები“ (მომხს. — პ. ქიქოძე).

— „მნათობში“ (№ 12) დაიწყო კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ბეჭედა.

1934 წელი

ქართველი მწერლების ინტერესთა წრე იმთავითვე ფართო იყო. ასე მაგალითად, 7 იანვარს გაიმართა მწერლების შეხვედრა მეცნიერებთან და ინჟინერ-ტექნიკოსებთან, დაიხაზა ღონისძიებანი მათი ურთიერთობის განსამტკიცებლად.

სამწერლო საზოგადოება საქართველოს ღელაქალაქის არტიტექტურითაც

იყო დაინტერესებული, ამ საკითხს ემ-
ღვნა მწერალთა გაზეთის მთელი № 23.

რა გასაკვირია, რომ მწერლების ან-
ტერესთა არეში სალიტერატურო ენა
მოხვედრილიყო, იგი ზომ მთავარი ია-
რალია მწერლისა.

კ. გამსახურდიას მიხედვით პირველი
კამპანია ენის საკითხებზე 1929—1931
წლებში ჩატარებულა მისი და მ. ჯავა-
ხიშვილის წამოწყებით.

ახლა მწერალთა გაზეთმა კვლავ წა-
მოჭრა საუბარი ენის პრობლემებზე
(„სგ“, 1934, № 10, 11, 13): „ჩვენი
ამოცანაა — ახალ ქართულ ენაში
მთლიანობდეს ილიას ძარღვი და აკაკის
სიმსუბუქე — სოციალიზმის მანვენ-
ბელზე გამრავლებული“.

რამდენადმე სხვა აზრისა იყო კ. გამ-
სახურდია: „მე აბსოლუტურად კენ-
ნააღმდეგები იმ რეფორმას, რომელსაც
ილია ჭავჭავაძე ეწოდა. ასევე ვეწი-
ნააღმდეგები ქართული ენის გაიკერ-
ლების ტენდენციებს. ენასაც თავისი
მაგისტრალური ზაზი აქვს. მე ვიბრძო-
ლებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ამ
ზაზის დასაცავად“.

ცხადია, კ. გამსახურდია რაღაცაში
ცდებოდა. იქვე უპასუხა მას დ. დემეტ-
რაძემ — საუკუნით უკან გვახევენებს.
თითქოს ე. ნინოშვილის, ილიას ენა
ქართული არ იყოსო. („სგ“, 1934,
№ 22, 27).

(წურადლებას ნუ მივაქცევთ ნინო-
შვილის ილიაზე წინ დაყენებას, ისევე
როგორც ზემოთ მოტანილ გამოთქმას
სოციალიზმის მანვენებელზე გამრავ-
ლების თაობაზე, — ყველაფერი ეს ლე-
ნინოშვიტის გაბრწყინებული პროლეტარი-
ატის ახირება იყო).

აპრილი

5 — პრეზიდენტის სხდომაზე გაუქმ-
და სამდივნო და ამერიიდან მწერალთა
კავშირის გამეგობის თამეჯდომარესთან
(მ. ტორიშელიძე), პ/მგ მდივანთან (დ.

დემეტრაძე) და მის მოადგილესთან (მ. მ-
მიწიშვილი) ერთად არსებობდა შემოქ-
მელებითი სექტორები და სექციები.
პრეზიდენტის სხდომებს ხშირად დ. დე-
მეტრაძე წარმართავდა.

19—23 — პროლეტმწერლურ ორგა-
ნიზაციათა დაშლის ორი წლისთავზე
გაიმართა დისკუსია „პოეზიის ფორმ-
ტი საქართველოში“ („ლიტერატურის
ფორმტი“, „პოეზიის ფორმტი“, აგრეთ-
ვე მწერალთა „საწარმოო თათბირი“ და
მისთანანი იმ დროისათვის დამახასია-
თებელი გამოთქმებია). მომხსენებელმა
ბ. ვლენტმა აღნიშნა პროლეტმწერალ-
თა ასოციაციის ოფიციალური კრიტი-
კის მოტანილი ზიანი: ენების იერარ-
ქიის დამყარება — ლირიკის განდევნა,
მხატვრული ფორმის შესახებ მსჯელო-
ბის ფორმალიზმად მონათვლა...

პროლეტმწერლები ბ. ბუაიძე, ფრ.
ნაროუშვილი ისევე ძველ პოზიციებზე
იდგნენ, მაგრამ უფრო გასაკვირი ისაა,
რომ ღუტუ მკვრელმაც უარყო გრძნო-
ბები პოეზიაში: „დღეს, როდესაც ბრძო-
ლა არის ორ მოპირდაპირე ძალას შო-
რის, იმის მაგივრად, რომ პოეტმა
სწეროს, რომ ბრძოლაა საჭირო, — მე
ვერ წარმომიდგენია, ამ დროს სატრ-
ფოზე ან სიყვარულზე ილაპარაკო“
(„სგ“, 8-1 — საქმეები 413—415).

25 — გამოსვლას იწყებს ქუთაისის
განყოფილების გაზეთი „სიტყვა და საქ-
მე“ ყოფილი პროლეტმწერალთა მემო-
რცხენე ლიდერის პ. ქიქოძის რედაქ-
ტორობით.

მაისი

— დაბადების 60 წლისთავზე საქარ-
თველოს ცაქმა შ. დიდიანს ქართული
თეატრის წინაშე გაწეული ამავისათ-
ვის საქართველოს სახალხო არტისტის
წოდება მიანიჭა („სგ“, 1934, № 11).

— „სალიტერატურო გაზეთსა“ (№ 13)
და „კომუნისტში“ (21. V) გამოქვეყნ-
და პრეზიდენტის მიერ 5 აპრილს შექ-
მნილი მწერალთა ხელახალი აღრიცხ-
ვის კომისიისაგან (პ. საყვარელიძე, —

თავმჯდომარე, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქი-
აჩელი, ს. შანშიაშვილი, გ. ბუნიკა-
შვილი) მწერალთა კავშირში თბილისი-
დან მიღებულ წევრთა (94 კაცი) სია.
კომისიამ 1931 წელს ფედერაციიდან
პროლეტმწერალთა დაწოლით გარიცხ-
ული კ. გამსახურდია და პ. ინგოროყვა
ისევე კავშირის გარეთ დატოვა.

— გრძელდებოდა პროლეტმწერლური
დაპირისპირება მწერლობაში: დ. ბე-
ნაშვილმა, ფ. ნაროუშვილმა და შ. შავ-
გულიძემ წერილში „პოლიტიკური პო-
ეზიისათვის“ („სგ“, № 11) მისაბამ
კლასიკოს მწერლებში ქართველთაგან
მხოლოდ ე. ნინოშვილი დაასახელეს,
ფ. ნაროუშვილმა კი 20 მაისს ზესტა-
ფონის რაიგაზეთში დაბეჭდა ლექსი,
რომლის სათაურშივე ხაზი გაუსვა
კლასობრივ დაპირისპირებას — „ჩვენი
ეგნატე, თქვენი ილია“. „სიტყვა და საქ-
მეში“ (№ 4) პლ. ქიქოძე ბეჭდავს ნი-
კოლოზ ფხაკაძის ლექსს, რომელშიც ამ
მჯღაბნელმა იოსებ დაითიშვილი და-
უპირისპირა გრ. ორბელიანსა და ი.
ჭავჭავაძეს (ის ის ფხაკაძეა, რომლის
ყოვლად უნიჭო პოემა „შრომადღეებს“
მ. ტორიშვილიძე ხანამუშოდ თვლიდა).

— ამავე გაზეთში კ. გამსახურდიას წე-
რილის „როგორ ვწერ“ (№ 3) პახუ-
ხად მოთავსებული იყო სარედაქციო
წერილი „პროზის თუ პოზის ოსტატი“,
შემდეგ ნომერში კი — ასევე შეურაცხ-
მყოფელ სათაურიანი წერილი „კაცია-
ადამიანი“, რომლის ავტორი გრ. მუში-
შვილი წერდა: „იდეოლოგიური თვალ-
საზრისით ხალტურაა მისი ნაწერები,
ხალტურაა წერის მისი მანერაც“. რო-
მელ მუშას, გლეხს საბჭოთა ინტელი-
გენტს აწუხებს სურვილი რამენაირად
გაიფოს. კ. გამსახურდია როგორ წერ-
სო „სიტყვა და საქმე“ რატომღაც გა-
ულო კარები გამსახურდიას პათოლო-
გიურ სტრიქონებს. ვამტკიცებ გადაჭ-
რით: წერილი „როგორ ვწერ“ პათო-
ლოგიური ფაქტია და არა ლიტერატუ-
რული“.

კ. გამსახურდია იძულებული გამხ-

დარა 1934 წლის 7 იელისს დასის თა-
ობაზე განცხადებით მიემართა საქარ-
თველოს კომპარტიის ცკ-ის სამდიუნო-
სათვის: „არას ვიტყვი თუ რა უხერხუ-
ლობაში ჩამავლო გრ. მუშიშვილის წე-
რილმა „სიტყვა და საქმის“ იმავე ნო-
მერში, სადაც მე ვილაშქრებდი გერმა-
ნელი ფაშისტების წინააღმდეგ. მუში-
შვილი რატომღაც „ჭაკი ცხენის
ქურდს“ მადარებს. ნუთუ შეიძლება
აპრილის შემდეგ მაინც ასე ბარბარო-
სულად ლანძღავდნენ მწერალს?“
(ლხცსა, 8-2-17 ს.).

— აი, ადგილი კ. გამსახურდიას კიდევ
ერთი განცხადებიდან: „კ. მულაძე ასეთ
საშუალებებს მიმართავდა თავის კრი-
ტიკაში: „გამსახურდია ამბობს ფილილ
საბჭოთა საქართველოს საზღვარიან,
ამოიღეთ სიტყვა „საბჭოთა“ და რა
დარჩება, კითხულობს კრიტიკოსი, უთუ-
ოდ მენშევიკური საქართველო. რატომ?
რა საბუთით, ან რად უნდა ამოვიღოთ
ეს სიტყვა?“ (იქვე).

16-19. VI — პარტიის აპრილის
დადგენილების ორი წლისთავზე ჩატა-
რებულ საბჭოს პლენუმზე ისიც ით-
ქია, რომ ბევრი ნიჭიერი თანამგზავრი
(ა. აბაშელი, ი. ვრიშაშვილი...) ხუს-
ტად მუშაობს, პ. იაშვილს, ნ. მიწი-
შვილსა და ტ. ტაბიძეს „წმინდა ღირი-
კის“ აღორძინების ცდები აქვთ, ნ. მი-
წიშვილმა კლასობრივ-სოციალური
პრინციპი ქრონოლოგიისა და თაობათა
პრინციპით შეცვალაო.

კ. გამსახურდიას მოსაზრება, გამო-
თქმული „სიტყვა და საქმეში“ — ტა-
ლანტი ხელისუფლებას უნდა ებრძო-
დესო — ოფიციალურმა კრიტიკამ საბ-
ჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმარ-
თულად გაიფო. აი, როგორი იყო მ.
ტორიშვილიძის რეაგირება: „განა ყვე-
ლა ხელისუფლებას! განა გამსახურდი-
ამ არ იცოდა, რას წერდა! რასაკვირვე-
ლია, იცოდა, რომ სწერდა იმას, რასაც
მე ვამბობ, გერმანიის ფაშისტებს კი არ

ავიწესებს, არამედ ჩვენ გვაგინებს“ (ლხცსა, 8-1-383).

აი, ასე იწამლებოდა ლიტერატურული ცხოვრება.

ახვისტო-სექტემბერი

17. VIII—1. IX — შწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაში (მოსკოვი) გადაწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობდნენ: შ. დადიანი, დ. დემეტრაძე, ა. დუღუნავა, ს. ეული, ს. თალაკვაძე, პ. იაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, მარიჯანი (მარიამ ალექსიძე), ნ. მიწიშვილი, ბ. ფლენტი, პ. სავარელიძე, ტ. ტაბიძე, მ. ტოროშელიძე, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელია, ს. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე, მ. ჯავახიშვილი, აგრეთვე ნ. ბეკიშვილი, ყ. ყორიყვი, ს. ჭანბა, თ. კანონიძე. სათათბირო ხმით — ი. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. მიქაევა, პ. სამსონიძე, ლ. ქიანელი, გ. ქიქოძე, პ. ქიქოძე, დ. ჩიანელი.

პ. ინგოროყვას, გ. ქიქოძის, ა. ბარამიძის, მ. ხანდუკელის, ბ. ფლენტის, დ. დემეტრაძის, მ. ტოროშელიძის მიერ მომზადებული მოხსენება ქართული შწერლობის შესახებ მ. ტოროშელიძემ წაიკითხა ყრილობაზე (შემოკლებულად დაიბეჭდა „პრადაში“, — 21. VIII ხელმოკრულ მთლიანად — იქვე, 23. VIII).

„ამხ. ტოროშელიძის მოხსენება, როგორც აღნიშნა ა. მ. გორკიმ, დანარჩენ მოხსენებებს შორის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა. ყრილობა უსმენდა ამხ. ტოროშელიძეს საათნახვერის განმავლობაში იმ დროს, როცა სხვა რესპუბლიკების მოხსენებები, ჩვენდა სამარცხვინოთ, — თითქმის დაცარიელებულ დარბაზში მიმდინარეობდა“ (პ. პაულენკო, „ლგ“, 1934, № 26).

„ზრც ის უნდა იყოს საიდუმლო ვინმესთვის, რომ ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვივა ქართულმა ლიტერატურამ. საქართველოს დელეგაციის მოხსენება გახდა ყრილობის ერთ-ერთი

ცენტრალური მომენტი“ (დ. მიწიშვილი, „ლგ“, 1934, № 25).

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ მ. ჯავახიშვილი, ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი, შ. დადიანი, ტ. ტაბიძე, ს. ეული.

სექტემბერი

5 — შწერალთა საკავშირო ყრილობის მუშაობის დღეებში (20. VIII) საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს ჩატარების თაობაზე („კომუნისტისტი“, 1934, № 192, 194, „ხვ“, 1934, № 16).

დადგენილების მიხედვით ზეიმი უნდა გამართულიყო 1937 წლის ოქტომბერში, თბილისში უნდა აღმართულიყო პოეტის ძეგლი, დაწესებულიყო რუსთაველის სახელობის მუდმივი ვილდო საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისათვის. გათვალისწინებული იყო საიუბილეო გამოცემები, — კონკურსები, მუზეუმის შექმნა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის გ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი. შწერალთა კავშირიდან მასში შევიდნენ: კ. გასმახურდია, ალ. დუღუნავა, პ. ინგოროყვა, გ. ტაბიძე, მ. ტოროშელიძე, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, მ. ჯავახიშვილი (აქედან მას იუბილეს გამართვამდე მოუსწრაფებენ სიცოცხლეს).

14 — აღნიშნა დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის მკათასე წლისთავი. კ. ქიქოშვილთან, შ. ნუცუბიძესა და აკ. შანიძესთან ერთად სიტყვით გამოვიდა თბილისში საგანგებოდ ჩამოსული ირანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ს. ნაფისი.

ოქტომბერი

— შწერალთა აქტივის 1933 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების თანახმად

გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ახალ-გაზრდა მწერალი“.

— სსრკ სახკომსაბჭოს 1934 წლის 10 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ლიტერატურული ფონდი, რომლის გამგეობაში შევიდნენ: ს. ეული (თავმჯდომარე), ნ. მიწიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე და ლიტფონდის დირექტორი), ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, პ. საყვარელიძე, დ. შენგელაია და მ. ჯავახიშვილი.

25. VII — თბილისის საქალაქო საბჭოს ჯანდაცვის განყოფილებამ მწერალთა სასახლეში გახსნა დახურული ტიპის პოლიკლინიკა (ლხცსა, 8-1-757).

1935 წელი.

13. III — პრეზიდიუმმა სხვადასხვა თანამდებობებით ვადატვირთვის გამო მ. ტორიშელიძე მისი ვანცხადების თანახმად მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა და მის მაგივრად შეთავსებით თავმჯდომარედ დამტკიცეს განათლების სახალხო კომისარი აკაკი თათარიშვილი, მდიუნებად — დ. დემეტრაძე, ბ. ელენტი, ს. ეული და ვ. გაფრინდაშვილი.

— ახალმა თავმჯდომარემ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა იმით დაიწყო, რომ რამდენიმე დღეში ჩაატარა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, უფრო სწორად ხოტბის აღკვლენა. ხოტბის საგანი — საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი ლ. ბერია, საბაბი — მისი (და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. შეგალობლიშვილის) ლენინის ორდენით დაჯილდოება.

ა. თათარიშვილი, ეს განათლებული კაცი, თავად იყო უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი, ვველაფერს შიგნიდან უყურებდა და იცოდა: უნდა ექო და ედიდებინა... მწერლებიც მიზეზდნენ — საქმე საზუმროდ არ იყო, იძულებული იყვნენ ვალბად ელაპარაკნათ.

ბ. ჯავახიშვილი — საქართველოს მშრომელთა მასამ წამოაყენა შესანიშ-

ნავი ხელმძღვანელი ამხ. ფ. ბუჭიაშვილი ჩვენ ვიცით სოციალისტურ მშენებლობის ვველა დარგთან ერთად რა დიდი წურადლებით ეპყრობა ამხ. ლ. ბერია მწერლობას. გაუუგზავნით მისალმება და აღუთქვათ, რომ გვაგამართლებთ მათ იმედებს.

ს. ჩიქოვანი — პირობა მივეცეთ...

ტ. ტაბიძე — 1931 წლის ოქტომბრის 30-დან იწყება ამიერკავკასიაში და საქართველოში მუშაობის გადახალისება უშუალოდ სტალინის მიერ დასახული ამოცანების მიხედვით, მთავარი ხელმძღვანელი ჩვენი მიღწევებისა არის ლ. ბერია... ჩვენ რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა, უნდა ვისწავლოთ ამხ. ბერიას მიერ შექმნილი ახალი სტილით მუშაობა.

ქ. გამსახურდია — ის დიდი გარდატეხა, რომელიც მოხდა ქართველი საბჭოთა მწერლებისადმი დამოკიდებულებაში, შედეგია ამხ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობისა... მეტეხის ციხე, დილეგია, ამხ. ბერიამ კულტურულ სასახლედ გადააქცია.

ესალმებიან აგრეთვე გ. ბუხნიკაშვილი, ს. შანშიაშვილი, ალ. ქვიციანი (ლხცსა, 8-2 — ბოლო დრომდე საიდუმლო საქმე № 21).

გამოხდება ხანი და გამოჩნდება ბერიას ნამდვილი დამოკიდებულება მწერლებისადმი მართალია, მეტეხის ციხეს გააუქმებს, მაგრამ მათთვის (მსახიობებისთვისაც, მუსიკოსებისთვისაც, მეცნიერთათვის და დანარჩენი ხალხისთვისაც) სხვა საპატიმროებში საქამო ადგილებს გამოიწახავს.

— მივლინებით საზღვარგარეთ სალიტერატურო საქმეების გამო 1931 წელს წასულმა გრ. რობაქიძემ ვერ აიტანა საქართველოში გაჩაღებული მისი დანძღვა. ს. ორჯონიკიძე ურბატრიოტად თვლიდა, შემარცხენე პროლეტმწერლები უდიერად მოიხსენიებდნენ, ერთი მა-

ფრინდაშვილის და ნ. მიწიშვილის განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი აქტივი, დაადგინა:

უხოვოს სსრკ ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრ. რომაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, თვალთმაქცურად გადასული კონტრრევოლუციონერ, ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სამშობლოს მოღალატეთ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგის განხორციელებით“ (ლხცსა, 8-2 — საიდუმლო საქმეები 11, 15, 20).

21-25. VI — გ. ტაბიძე საბჭოთა მწერლების დელეგაციის შემადგენლობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდ პარიზში გამართულ მწერალთა პირველ მსოფლიო ანტიფაშისტურ კონგრესზე.

ივლიანი

— „ახალგაზრდა მწერლის“ (1934-35) ნაცვლად მწერალთა კავშირის პირველი მდივნის დ. დემეტრაძის რედაქტორობით (1935-36) გამოსვლას იწყებს ქურნალი „ჩვენი თაობა“ (1935-1941), რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მწერალთა ახალი ცვლის აღზრდას.

შედარებითი მშვიდი წლების შემდეგ დაიწყო მწერალთა დაპატიმრებები. პროლეტმწერალთა უკიდურესი მემარცხენე მწერლების ჯგუფიდან: პლ. ქიქოძესთან, ფრ. ნაროუშვილთან, კ. ფეოდოსიშვილსა და შ. შავგულიძესთან, ერთად გ. შატერაშვილიც წაიყვანეს, თუმცა მათთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ამის მიზეზი შეიქმნა მისი ორი ლექსი „დასაწყისი განთიადისა“ („მნათობი“, 1934, № 9) და „წერილი ახალგაზრდებს“ („სგ“, 1934, № 14) დაბეჭდვა. ცუდი სამსახური გაუწია აგრეთვე პრინციპულმა პასუხმა ცოტა ხნის წინ რუსთაველის თეატრში დადგმული მისი „დუმის“ შესახებ დაწერილ არაკვალიფიციურ რეცენზიაზე, რომლის ავტორი

შემდეგ აღმოჩნდა.. მისი გამტყვევებელი ლექსების გამო დაუყოვნებლივ შეტყვევებული ვანო წულუკიძემ („სექსუატიზმის შხამით მოწამლული“, „სგ“, 1934 № 15); დ. დემეტრაძემ („დაკარგული იმედები“, „კომუნისტი“, 1934; № 177) — ჩვენს ახალგაზრდობაზე მავნე შეხედულებებს ავრცელებსო. კარლო ორაგველიძემ ამ ლექსებს „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია“ (ასე ჰქვია მის წერილს — „ლგ“, 1935 № 6 და „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1935- № 5) და „ნამდვილი ანტისაბჭოთა, კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსები“ უწოდა, მ. ტროშე-ლაძის აზრით კი („ლგ“, 1935 № 7) ავტორი მზის ამოსვლას და განთიადს მხოლოდ აწი მოელის და ის, რაც უკვე არსებობს, ნამდვილ შუალამედ მიაჩნია.

...აშკარაა, ავტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად, ვიდრე შეუგნებლად) თავისი თავი ჩაუბამს კლასობრივი მტრის სამსახურში“.

გ. შატერაშვილი 1936 წელს ყაზახეთში გადაასახლეს.

მაგრამ ბედის დაცინვა ის იყო, რომ შემოხსენებულ პროლეტმწერლებს ბნელი საქმეები აკეთებინეს და ახლა თავიდან იცილებდნენ:

„ქიქოძე-შავგულიძეების რომანტიზმი — ეს არის კონტრრევოლუციური რომანტიზმი — ეს არის კონტრრევოლუციის ტროცკისტული სახარება“ („ახ. კომუნისტი“, 1935, № 52).

— გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორის პ. საყვარელიძის მოწადინებით ამ წელს ლიკვიდირებული საზოგადოება „პოლიტკატორელის“ საქართველოს განყოფილების (რომლის თავმჯდომარე თავად იყო) გამომცემლობა და სტამბა (ყოფილ პლენანოვის გამზ. № 181) საქართველოს ცაკ-ის დადგენილებით მწერალთა კავშირს გადაეცა (ლხცსა, 8-1-535; „კომუნისტი“ № 140).

ოქტომბერი

7 — მწერალთა სასახლეში, მოეწყო შეხვედრა უკრაინულ მწერალთა ჯგუფ-

თან, რომელშიც შედიოდნენ: მიკოლა ბაქანი, ალექსანდრ კორნეიჩუკი, ივან კულიკი, ივან მიკიტენკო, ლეონიდ პერვომისკი, ი. სენჩენკო, ვლადიმირ სოსიურა, პავლო ტიჩინა („კომუნისტი“, 1935, №ზარია ვოსტოკა“, № 134, 137, 138, 236).

16 — ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლისთავის აღსანიშნავად პრეზიდენტზე პოეტის შემოქმედებაზე მსჯელობისა და მისი დიდი ღირებულების აღიარების შემდეგ ვაჟას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

იმის მიუხედავად, რომ ეს მთავრობის დადგენილებით ხდებოდა, გადასვენება ჩატარდა ღამით, 22 საათის შემდეგ, პატარა ავტომანქანით, რომელშიც კუბო გარდიგარდმო ჩადეს (სივრცეზე არ დავტყობ).

„საწყალი ვაჟა-ფშაველა, ასე საცოდავად ჩაკეცილებული მანქანაში. გავგზავნეთ მთაწმინდისაკენ. რატომ ხდებოდა ასე ჩუმად და საიდუმლოდ ეს ამბავი ვერ ამეხსნა ჩვენ ქურდებივით მოვიპარეთ თითქმის მისი სხეული, რომ ქვეყანას არ გაეგო.

«Почему так нищенски все это обставлено?»

— მკითხა მიკოლა ბაქანმა (ლევან ასათიანი, უბის წიგნაკიდან, „მნათობი“, 1960, № 6).

მეორე დღეს მთაწმინდაზე სამოქალაქო პანაშვიდი, ხოლო კონსერვატორიის დარბაზში საღამო გაიმართა („მუშა“, № 141, 142).

1936 წელი

მარტი-აპრილი

31. III — 16. IV — მრავალდღიან დიკუსიაზე მომხსენებლებმა — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იკ. თათარიშვილმა და პ.მგ. მდივანმა დ. დემეტრაძემ მწერლებს ს. ჩიქოვანს, დ. შენგულაიას, ვ. გაფრინდაშვილს, გ. ლეონიძეს უსაყვედურეს ფორმალიზმით, ხოლო მათთან ერთად პ. იაშვილსა და

ტ. ტაბიძეს — ლიტერატურულ-სამეცნიერებით გატაცება. ვაკრიტიკულუბიანი გამოსვლებში ზაზგასმით აღნიშნეს: ფორმალისტური გატაცებები ადრინდელი ეტაპია, ფორმალიზმთან ერთად ფორმას ნუ უარვეყვდით, დღეს ფორმის ყოველ ძიებაში ფორმალიზმს ნუ დაინახავთო („სს“, 1936, № 4, 5).

15-19. VII — საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი მწერალი ანდრე ეიდი. მისი მონაწილეობით თბილისში ძეგრინსკის კლუბში გაიმართა ლიტერატურული საღამო. ა. ეიდი იმოგზაურა კახეთში, გორში, სტალინში, ბათუმში, სოხუმის პანსიონატ „სინოპში“. სამშობლოში დაბრუნებულმა ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ა. ეიდს ბევრი რამ არ მოსწონებია საბჭოეთში. ამის გამო სისხლი გაუშრეს იმ მწერლებს, რომლებმაც მას უმასპინძლეს.

— შეიქმნა შემოქმედებითი სექციები პოეტებისა (ბიუროს თავმჯდომარე — პ. იაშვილი) და პროზაიკოსებისა (მ. ჯავახიშვილი).

სექტემბერი

— ამ წელს ისევ ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა თათბირი. მწერლობის ახალ თაობასთან მუშაობის თაობაზე ისაუბრეს: პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარე პ. იაშვილმა, „ლიტერატურული საქართველოს“ პ.მგ. მდივანმა ნ. ჩაჩავამ, დრამატურგთა სექციიდან ს. მთვარაძემ, „ჩვენი თაობიდან“ პ.მგ. რედაქტორმა დ. დემეტრაძემ და პ.მგ. მდივანმა ა. აბაშელმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მწერლებმა შალვა ამისოლაშვილმა, მიხეილ ფოთხაძემ, ია ჩხაიძემ („ჩვენი თაობა“, 1936, № 3).

დაიწყო კიდევ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი იუბილეისთვის მზადება. ფ. შაბრადის ზეღმძღვანელობით კომუნისტებისა და პროლეტმწერლების მიერ

ნაგებნები ი. ჭავჭავაძის შეფასებაში 1934 წელს დაწყებული შემობრუნების გასაღრმავებლად საქართველოს სახკომსაბჭომ შექმნა ილიას დაბადების 100 და გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისია მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით.

1987 წელი

როგორც წინა წლების ქრონიკიდან ვიცით, 1937 წელს ქართველ ხალხს ბევრ სხვა რამესთან ერთად ორი დიდი იუბილე ელოდებოდა.

ძნელია ერთმანეთისაგან განაცალკევო ის მწვევე დისკუსიები, დრამატული, ტრაგიკული ამბები და შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საზეიმო დღეები, რაც პარაფელურად მიმდინარეობდა.

იანვარი

9 — მწერალთა კავშირის რუსთაველის საიუბილეო კომისიამ მოაწყო მ. ბაქანიის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა.

ამ საღამოზე გამოსულ კ. ჭიჭინაძეს უხსენებია ადამ მიცკევიჩის არც თუ დაშაქრული შეხედულებანი უკრაინულ და რუსულ ენებზე. ამაზე მესამე დღესვე იმსჯელა სამდივნომ და დაადგინა: წინადადება მიეცეს კ. ჭიჭინაძეს გადასინჯოს თავისი შეხედულებანი; კ. ჭიჭინაძის გამოსვლის უპასუხოდ დატოვების გამო მიეთითოს საღამოს თავმჯდომარეს ს. ჩიქოვანს და გამგეობის მდივნებს ვ. გაფრინდაშვილსა და ბ. ჟღენტს (ლხცსა, 8-1-60).

29 — მოღალატეებად შერაცხილ მწერლებს ზოგიერთი ის თანამოკალმეც ესროდა ტალახს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დაიღუპებოდა.

მწერლებმა დაგმეს (დაგმობინეს!) „ჯაშუშებისა და მოღალატეების ბანდა ბუდუ მდივნის მეთაურობით (მიხეილ ოკუჯავა, ვლადიმერ ჭიქია...)“ და მათთან ერთად საქართველოს საბჭოთა მწე-

რლების კავშირის ყოფილი თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე.

ამ კრებაზე, რომელსაც დ. დემეტრადე უძღვებოდა, სიტყვებით გამოვიდნენ ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, მ. ჯავახიშვილი, ა. ჯაჭანაშვილი... მწერალთა გაზეთი აქვეყნებს (30.1) შ. დადიანის, ა. მაშაშვილის, გ. ლეონიძისა („ზიზღი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს“) და მ. ჯავახიშვილის („სიკვდილი მუხანათურ მტერს!“) სიტყვებს.

— 13 თებერვალს მწერალთა სასახლეში, 17 თებერვალს კი ოპერის თეატრში გაიმართა ა. ბუშინის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მარტი

16-19 — ბუშინის ზემოაღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის შედეგების განხილვასთან ერთად ქართველ მწერალთა კრებაზე (მომხსენებელი — დ. დემეტრადე) იმაზეც იმსჯელეს, თუ რატომ თარგმნიდნენ (მაგ. ბ. პასტერნაკი) და აქებდნენ (მაგ. კრიტიკოსი დ. მირსკი) მხოლოდ პ. იაშვილსა და ტ. ტაბიძეს, გალაკტიონს კი არა. ი. აბაშიძემ იკითხა: თუკი ნ. ტიზონოვმა თარგმნა გალაკტიონი, რატომ პასტერნაკმა არ მოინდომო.

პ. იაშვილმა ასე ახსნა ბ. პასტერნაკის ეს „მიკერძოება“: „შემთხვევითი არ არის, თუ პასტერნაკმა თარგმნა მეტწილად ყოფილი „ცისფერყანწულები“, ცხადია, ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ ნათესაური სკოლების წარმომადგენლები ვიყავით და გვექონდა ესთეტიური გემოვნების ერთი და იგივე ფუძე.“

ეს არ ნიშნავს იმას, რომ პასტერნაკის შეცდომები არ დაეინაზოთ, მაგრამ არ შეიძლება მისი ხელაღებით უარყოფა“.

ამ კრებაზე მწერალთა კავშირის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მ. ტოროშე-

ლიძეც დაამუშავეს: მომხსენებელმა დ. დემეტრაძემ თქვა. ამ გარეწარმა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი აიძულა მხარი დაეჭირა ბუხარინის მიერ პოეზიის არასწორ შეფასებისთვის.

შ. აფხაიძემაც და ს. ეულმაც გამკემად და მოლაღატედ მოიხსენიეს მ. ტოროშელიძე, პ. საყვარელიძემ კი იყვირა: აქამდე სად იყავით, ახლა რომ ლაპარაკობთო („ლს“, 1937, № 5, 6).

აპრილი

14 — მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე რუსთაველის იუბილეს მხადებასთან ერთად საორგანიზაციო საკითხიც განიხილეს: დააკმაყოფილეს ა. თათარიშვილის თხოვნა სხვა ორგანიზაციებში მუშაობით გადატვირთვის გამო მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების შესახებ (ასეთი ფორმულირების მიღმა ხშირად სულ სხვა რამის დამალვას ცდილობდნენ). თავმჯდომარის თანამდებობაც გაუქმდა და მწერალთა კავშირში მთავარი ხელმძღვანელობა მიენდო პასუხისმგებელ მდივანს — დ. დემეტრაძეს (ლხცსა, 8-1-599; „ლს“, 1937 № 8).

მაისი

5-11 — საბჭოს პლენუმზე სასტიკად ლანძღეს მ. ტოროშელიძე და პ. ბუაჩიძე. ამ უკანასკნელმა 1933 წელს გამოცემულ წიგნში თქვა: მე ვმეთაურობდი ამიერკავკასიისა და საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციების ხელმძღვანელობას, რომელიც ძირითადად სწორ ბარტიულ ხაზს ატარებდაო.

ცხადია, პარტიას არ ესიამოვნებოდა იმის გამხელა, რომ პროლეტმწერლების მიერ არაპროლეტარულ მწერალთა დათრგუნვა პარტიის ხაზს იყო. ამის მოქმელი უნდა დაეტუქსათ.

1937 წლის 12 ივნისს „კომუნისტნი“ გამოქვეყნდა ბენიტოს უახლოესი მეგობრის შ. რადიანის წერილი „ტროცის-

ტული დივერსიის წინააღმდეგ, ლიტერატურაში“, რომელშიც ავტორმა ბუაჩიძე დაადანაშაულა: პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის დასაყრდენი — მხატვრული შეჯობების პრინციპი — უკიდურესი ჯგუფობრიობით შეცვალა, ხელის შეწყობის ნაცვლად უპარტიო მწერლების მიმართ უხემ ადმინისტრირებას მიმართაო, ავტორ ახლა „მნათობში“ (1936, № 12) თქვა: სოციალისტური ეპოქისათვის კარის პოეზია უცხოაო, სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს „გაცვეთილი ოდები“, „სასახლის პოეზია“, „ოპერული ბუტაფორია“ უწოდაო.

ეს სიტყვები საბედისწერო შეიქმნა პ. ბუაჩიძისათვის.

პლენუმზე საქართველოს კ.კ.ც.ის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგემ ე. გორდელაძემ პროლეტარულ მწერალთა ხელმძღვანელების შემდეგ სასტიკად სჯიჯნა პ. იაშვილი, მის ყველა მოქმედებაში ფარული და მტრული განზრახვა დაინახა, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაც“ კიდევ უფრო მწვევე, მოურიდებელი კრიტიკით უნდა გაიჩრესო (ლხცსა, 8-1-592).

27-30 მაისს დაწყებული პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ნაკარნახევი იყო 12 დღით ადრე (15. V) საქართველოს კპ X ყრილობაზე ცკ.ის პირველი მდივნის ლ. ბერიას მოხსენებაში ქართველ მწერლებზე გამოთქმული მკაცრი კრიტიკული შენიშვნებით: „ქართველ მწერლებსა და ბელოვების მუშაებს შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავისი კავშირთიერთობა ქართველი ხალხის მტრებთან — აღნიავილთან, ლომინაძესთან, ჭიჭიასთან, ელიავასთან და სხვებთან, სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან არავის ნებას არ მიეცემთ ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით, აკეთოს თა-

ვისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად.

მგალითად, პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ქუე ისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძისაგან ჯიქისაყენ, ჯიქისაგან აღნიაშვილისაყენ, ლოლობერიძისაგან ლომინაძისაყენ და, ბოლოს, ელიავას კლანკებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შვეარდნაძე და კიდევ ზოგიერთები...

ჩემ მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დამკობენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირთაერთობას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათადმი¹.

პრეზიდენტის ამ მრავალდიან სხდომაზე სინამდვილეში დაკითხვა ჩატარდა დ. დემეტრაძის დირიჟორობით.

3. იაშვილმა დიდხანს იმართლა თავი. ბოლოს თქვა: „ყოველ წუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შეეწირო თავი. ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებული მუშაობისა“. გამომსვლელებიდან კ. მელაძე, ვ. წულუკიძე, ა. არსენიშვილი განსაკუთრებით ჩაუჭინდნენ პ. იაშვილს, აგრეთვე ტ. ტაბიძეს და საერთოდ ცისფერყანწელებს. იმდენად, გაამწარეს, რომ ტ. ტაბიძემ წამოიძახა: „ამის შესახებ ვთქვი, რომ შემცდარი ვარ, ამაზე ილაპარაკა დემეტრაძემ, ბუაჩიძემ, უფრო დიდ დაწესებულებაშიც იყო საქმე, გამოირკვა, რომ ეს შეგნებით არ მიქნია, მე ის მოეხანინე. აქაც ვთქვი, რა გინდათ, ვირტყა თავში?“

3. აშვილმა კი მეორეჯერ გამოსვლის დროსაც იმართლა თავი, ვინაიდან და ა. შ. მაგრამ არაფერი გაუვიდა იმიტომ,

რომ განწირული იყო... დ. დემეტრაძემ საბოლოო სიტყვაში სასტიკად განაცხადა თხილავა:

„პავლე იაშვილმა იცის, რომ ხალხის მტრები აწყობდნენ თათბირებს, ის მათ წრეში ტრიალებდა და ფიქრობდა, რომ ანგდოტების გარდა სხვა რამესაც ისმენდა. მან ბოლომდე უნდა სთქვას თავისი კავშირის შესახებ ხალხის მტრებთან, მიკბულ-მოკბული ლაპარაკი აქ არ გამოდგება. თავისი შეცდომების გულწრფელი აღიარება ერთადერთი გზაა იმ ჭაობიდიან ამოსასვლელად, რომელშიც ის მოექცა“.

ასევე დაუწუნა გამოსვლები ნ. მიწიშვილს, გ. ლეონიძეს, კ. გამსახურდიას.

ამ პრეზიდენტის უკანასკნელი სხდომა 30 მაისს დილის ოთხის ნახევარზე დამთავრდა (ლზსა, 8-2—საიდუმლო საქმეები № 29, 30 და 31; „ლს“ 1937, № 13; „კომუნისტი“, 1937, № 115, 116; „ჩვენი თაობა“, 1937, № 5-6, გვ. 17-19).

— პრეზიდენტის შემდეგ სხდომაზე ოპერის თეატრში ჩატარებულ (29. V) საიუბილეო საღამოთი დაიწყო ილიას დღეები. მწერალთა სასახლეში გაიმართა (2-4. VI) ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო პლენუმი. მომზენებლებმა ილაპარაკეს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე (შ. რადიანი), მის როლზე ქართული კულტურის განვითარებაში (გ. ქიქოძე), პოეტურ მემკვიდრეობაზე (ს. ჩიჭოვანი), ილიაზე, როგორც რეალისტის ფუქმდებელზე (ბ. ელენტი), ბოლოს მწერალთა სასახლეში ჩატარდა საიუბილეო საღამო (5. VI).

8-9. VI — პრეზიდენტის სხდომაზე (ლზსა, 8-2- საქმეები 33 ს და 35 ს) წინათ დაწყებული მწერლების დაკითხვის გაგრძელებას, როგორც მკაცრი გაფრთხილება, სამი საკითხი წარუშლვარეს:

ა) გ. ბუხნიკაშვილმა, ს. ეულმა, გ. ლეონიძემ, შ. რადიანმა, ტ. ტაბიძემ,

ლ. ქიჩელმა და პ. ჩხიკვაძემ დაგმეს „გამომქვეყნებული მტერი და პროვოკატორი“, ამ დროისათვის უკვე დაპატიმრებული მ. მიწიშვილი, ერთხმად აღიარეს, რომ მიწიშვილი მთელი თავისი მუშაობის მანძილზე ყოველთვის ორკუთხულ პოლიტიკას აწარმოებდა, მწერლებში შუღლი და ქიშპობა შექმნიდა და უკანონო გზით ფულებს ითვისებდა“.

ს. შანშიაშვილთან სადილზე მთვრალი ნ. მიწიშვილის მიერ ბერიას გინების ფაქტის გამოძიებისას დ. დემეტრაძემ თქვა:

„მამინ არ გაამხილეთ არცერთმა, რაც თქვენს სახლში მოხდა, ამხანაგო სანდრო. ეს შანშიაშვილის, ლეონიძის, ტაბიძის დანაშაულია. შანშიაშვილი ვალდებული იყო თუ არა ეს ამბავი მწერალთა კავშირისათვის ეცნობებინა? ეს ჩენი კავშირის ტრადიციაა, პარტიულებმა უნდა თქვან ყველაფერი“.

პ. იაშვილმა თავი ვერ შეიკავა, სიფრთხილით, შეპარვით გამოთქვა აღშფოთება, რაც სტენოგრაფისტის მახვილ ყურს არ გამოეპარა: „ასეთი ტრადიცია იყო კავშირში, მართალია, ვის მიჰქონდა ასეთი ამბები, პარტიულს გარდა?“

დ. მიწიშვილი კი გარიცხეს „როგორც ხალხის მტრი მწერლის ნიღბით“ (ასეთია სათაური 30 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილისა).

2) ასევე ერთხმად, მაგრამ კამათის გარეშე, გარიცხეს მოსე გვასალია.

3) პრეზიდიუმის ამ სხდომაზეც გავრძელდა 5-11 მაისს დაწყებული ბ. ბუაჩიძის შეჩვენება. თუ მამინ მისმა ერთმა უახლოესმა მეგობარმა გასწირა, ახლა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მეორემ დააბრალა ყველაფერი — როცა კ. ლორთქიფანიძემ გაიხსენა: ს. წვერაძეა შემოქმედებითად ნაკლებ საინტერესო, სუსტ მწერლებზე დაყრდნობით ფედერაციის წმენდას ატარებდა, რასაკვირველია, ეს ბ. ბუაჩიძის მიითვებით კეთდებოდა, მე ამასი არ ვერიგო — თავად პროლეტარულმა მწერალმა პ.

სამსონიძემ ვერ მოითინა **ბ. ბუაჩიძის** დირექტივა შენიც იქნებოდაო, ხოლო რ. გვეტაძემ სააშკარაოზე გამოიტანა კ. ლორთქიფანიძის მიერ ყველაფრის ბ. ბუაჩიძისა და მისი სხვა უახლოესი თანამებრძოლ-მეგობრებისათვის გადაბრალება და სხვა უპრინციპობა, რაც კ. ლორთქიფანიძემ პრეზიდიუმის ამ სხდომაზე გამოიჩინა.

ამის შედეგად თვით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა დ. დემეტრაძემ დაგმო კ. ლორთქიფანიძის საქციელი და რამდენიმე თვის წინ სამდივნოში შეყვანილი ეს მწერალი, ხელმძღვანელობიდან გამოიყვანეს.

ამის შემდეგ დ. დემეტრაძემ გამოაცხადა: „ახლა ჩვენ უნდა მოვუსმინოთ იმ ამხანაგებს, რომელთა გამოსვლაც მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დამაკამყოფილებლად ვერ ცნო“.

პირველად მ. ჯავახიშვილი მოაქციეს ჯვარდინი ცეცხლის ქვეშ, მან საბუთიანად დაიცვა თავი, მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა საბუთებსა და ლოგოკას ყურს არ უგდებდა.

შემდეგ პ. იაშვილის მოსდგენა თვით იმართლა, კიდევ დამიცვინა, მაგრამ შეატყო — არაფრის დაჭერება არ უნდოდათ. დ. დემეტრაძემ ავის მომასწავებლად თქვა: უფსკრულის პირას დგანან იაშვილი და ჯავახიშვილი, ვაძლევეთ მათ იმ ვადას, რაც მათ ითხოვს. შემდეგი სხდომა -- ორი კვირის შემდეგ.

ივლისი

22 — ორ კვირაზე მეტიც გავიდა პრეზიდიუმის მორიგ სხდომანდე, რომელზეც კვლავ დამამცირებლად უნდა ემართლებინა თავი პ. იაშვილს, მიხ. ჯავახიშვილსა და ტ. ტაბიძეს.

და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც აწეთ აკ. თათარიშვილს ათასობრივდნენ, იქით დაბეზლების საფუძველზე აუქმებდნენ მწერალთა კავშირში აკ. ბელიაშვილის შეყვანის თაობაზე წინა სხდომაზე მიღებულ დადგენილებას,

შუალედში კი ეყოვს ესალმებოდნენ მისი ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო, სხდომის დარბაზიდან გამოვიდა პ. იაშვილი, ეტყობა, იფიქრა თავის მართლება არაფერს მოიტანსო, ავიდა მეორე სართულზე და წინასწარ მოტიანილი სანადირო თოფით თავი მოიკლა. იგი იმდენი ჭიჭენეს, იმდენი რამ მოუგონეს, შეუთითხნეს, პროვოკაციულად რალაც წამოაციდინეს, რომ არაფერს კარგს არ ელოდებოდა და თავად დაასწრო — წამებას სიკვდილი არჩია... (ლხცსა, 8-2-საიდუმლო საქმეები № 33, 35).

ერთი კვირის თავზე პრეზიდენტში იტლებული შეიქნა მკვდარიც არ დაინდო:

„...პაველ იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლების წინაშე ამოფარებული თვალთმაქცურად წარმოებდა მოღალატურ ჯამუშურ იშუაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

იგი მკიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან — ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მაგნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშისმის სასარგებლოდ.

და როდესაც მისი მაგნებლური მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამოქვავებულ იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართველი საბჭოთა მწერლობა მთელის სიმკაცრით ჰკიცხავს და ჰგმობს პაველ იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრედ ზიზღით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამ-

ყიდველთა სახელებთან ერთად (ლხცსა, 8-1-60-ფ. 5-6).

რუსთაველის გამზარის ბოლოს, მოედანზე დაიწყო გენიოსი პოეტის ძეგლის მშენებლობა. მის აღმართვას ეარაუდობენ საიუბილეო დღეებისათვის. საკვირველი ის კი არ არის, რომ ამ მშფოთვარე წელს ეს არ მოხერხდა (მთავარი ქვის გაბზარვისა და სხვა მიზეზების გამო), არამედ ის, რომ ძეგლი არანაკლებ მრისხანე 1942 წელს გახსნეს („ლხ“, 1937, № 15, 30).

აპვისტო

15 — გამთენიისას დაატუსადეს ქვიშხეთში საავარაკოდ მყოფი მ. ჯავახიშვილი.

17 — პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაზე დ. დემეტრაძემ გააკეთა ინფორმაცია: „მის. ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯამუშებისა და დივერსანტების, გარეწარის ზროვის მონაწილე აღმონდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული, ეს არავის არ გააკვირვებს, რადგანაც მის. ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უღრმესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიდწეკებისადმი მტრობით და სიძულელით. ცნობილია, რომ მის. ჯავახიშვილს საქმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღაწეობისა“. ქართველ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წიაღში აღზრდილი, იგი მტრულად დაუხვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონტრრევოლუციური კლასების ბატონობის რესტავრაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში, ის იყო პარტიტული კომიტეტის

წერი. მაგრამ როდესაც ბრძოლის ამ გზაზე იგი პირისპირ შეხვდა საბჭოთა ხალხის ურყევ ძლევამოსილებას, მან განიზრახა შეეცვალა გამარჯვებული მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და საშუალებანი. მან გაიხსენა თავისი დიდი ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი“.

პრეზიდენტმა დაადგინა:

„მიხეილ ჯავახიშვილი როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული“ (ლბცსა, 8-1-600-ფ. 7-11).

გარიცხოსო — იმ წლებში ბევრჯერ დაუდგენია პრეზიდენტს, მაგრამ ფიზიკურად განადგურდესო — სამუდამო დაღად დარჩა მწერალთა კავშირის.

ახეთი საშინელი მოთხოვნის შემდეგ როგორ შეეძლო ბ. ჟღენტს მ. ჯავახიშვილის შესაწვენებელი წერილისათვის არ მიეცა ახეთი სათაური — „მოღალატური სიტყვა და საქმე“ („ლს“, 1937, 24, VIII, № 19).

— მ. ჯავახიშვილთან ერთად იმავე დღეს ხალხის მტრად, მოღალატედ, ჯაშუშად მიჩნეული აჭარის დედასამშობლოსთან შემომტკიცების დაუცხრომელი მოღვაწე მეხედ აბაშიძე და კომუნისტური ხელისუფლების ერთგული გრ. მუშიშვილიც გარიცხეს. ამ უკანასკნელსაც მოღალატეობა და ჯაშუშობა დააბრალეს და ორივე დახვრიტეს.

სამტკიცებარი

26 — პრეზიდენტის სხდომაზე დ. დემეტრაძის ნაცვლად „პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად“ დაამტკიცეს საქართველოს კ. ცკ-ის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე კანდიდ ნარკვიანი.

ეს გათავისუფლება კარგს არაფერს უქაღდა დ. დემეტრაძეს.

30 — „ლიტ. საქართველოში“ ტ. ტაბიძეზე იბეჭდება სტატია „პოლიტი-

კურ ვახრწის ჭაობში“ მწველი დასაჯურებელია, ეს თავისი სურვილით გაეკეთებინათ, მაგრამ ფაქტი ფაქტია. მზადდებოდა ტიცინის გარიცხვა-დაპატიმრება;

ოქტომბერი

8 — პრეზიდენტის სხდომის ანგარიშ-შიდან: „არც თავის წერილობით განცხადებაში და არც პრეზიდენტის ამ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ტ. ტაბიძემ არ ისურვა ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა“.

ეს შესანიშნავი პოეტიც უღმერთოდ მოსპეს.

17-13 ოქტომბერს დაპატიმრებული დ. დემეტრაძე, რომელსაც ბევრი ბინძური საქმე ვაკეთებინეს, პ. იაშვილის, მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის საშინელი დაკითხვები ჩაატარებინეს, თვითონ გარიცხეს მწერალთა კავშირიდან „როგორც გამოძვლავებული მტერი“.

21 — პრეზიდენტისგან გამოიყვანეს და კავშირიდან გარიცხეს ა. დუდუჩავა, მოტივი — „გამომვლავებული ხალხის მტერი“. მალე ისიც დალუპეს.

ნოემბერი

26 — მდივობიდან გაანთავისუფლეს ბ. ჟღენტის (ხალხის მტრებთან ახლო ურთიერთობა არ აღიარა, ამ სხდომაზეც არადამაკაყოფილებლად გამოვიდა). ამ დღეს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ვ. კოტეტიშვილი, ვ. ლუარსაშიძე, დ. ჩიანელი... ცოტა ხნის წინ ვ. ლუარსაშიძე თვითონ ბეჭდავდა წერილს „ბოლომდე გაანადგურეთ ტროცკისტულ-აყერბახული აგენტები ლიტერატურაში“ („ლს“, 1937, № 15). ყველა გარიცხული სამუდამოდ გააქრეს.

ამ გამოხშირვის შემდეგ იბეჭდება მწერალთა სასახლის ბაღის კიბეებზე განლაგებული გადარჩენილი მწერლების დიდი ჯგუფის ფოტოსურათი („ლს“, 1937, № 25-26).

დეკემბერი

24-29 — რუსთაველის თეატრში ჩატარდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავისადმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები და მეცნიერები საბჭოთა კავშირიდან, რომლებმაც მოისმინეს მოხსენებები: „რუსთაველი და მისი პოემა“ (პ. ინგოროვცა), „პოემა ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (პ. პავლენკო), „რუსთაველი და თანამედროვეობა“ (ვ. გაფრინდაშვილი), „საქართველოს მატერიალური და ინტელექტუალური კულტურა რუსთაველის ეპოქაში“ (ი. ჯავახიშვილი) და მწერალთა კავშირის გამგეობის პ/მგ მდივნის კ. ჩარკვიანის ანგარიში „ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“.

მოხსენების წინ, პირველ დღეს სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბ. ჟღენტმა. გაუთავებელი ტაშისცემის, „ღიადი და მშობლიური“, „ყვე-

ლა მშრომელთა დიდი ბელადისადმი — სტალინისადმი, აგრეთვე ეფოვისა და ბერიასადმი გაუთავებელი მისალმებუბის, ეაშას ძახილის შემდეგ ბ. ჟღენტმაც გაიმეორა ყველა ეს რეკერანსი. თავის ადგილას, რა თქმა უნდა, ისიც თქვა, ტროცკისტმა ბანდიტებმა, ჯაშუშებმა ქართული ლიტერატურის ბოროტად გამოყენება მოინდომესო.

ტყუილად ამბობენ — პირველად დიდი რუსი ხალხი ამ ხალხს ომის მოგების შემდეგ სტალინმა უწოდაო. დიდი რუსი ხალხიო — ბ. ჟღენტის ამ სიტყვაშიც გაისმა და პლენუმისადმი მოსწავლე ვოგონას, ვოკიელის მისალმებაშიც (ლხცა, 8-1-643).

ამბობენ მისასალმებელი სიტყვის ასე ყოველმხრივ გამართულ-შემკობილად, თანაც რუსულ ენაზე ზეპირად და მგზნებარედ მთქმელი სხვა არავინ ვგულებოდათ და ბესო დაპატიმრებას ამან გადაარჩინაო, თვით ბ. ჟღენტიც ადასტურებს მოგონებაში: მე ღედის გულთან ერთად „ვეფხისტყაოსანმა“ დამიცვაო.

□ზაზრქელაბა იძინება□



კაპიულ სპე-საგნი

ისტორია და ლეგენდა მუსიკალურ დრამაში

საიდან ავიღოთ ოპერის სიუჟეტები, ისტორიიდან თუ ლეგენდებიდან? ამ შეკითხვას აუარებელი მელანი დაახარჯეს, მაგრამ ჯერ პასუხი ვერაფერს ვასცა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ეს შეკითხვა არც წამოჭრილიყო, რადგან პასუხს არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავარი ხომ ისაა, თუ როგორ ვლერს მუსიკა და საინტერესოა თუ არა ახალი მუსიკალური ნაწარმოები. თავად ეს შეკითხვა ტანჰეიზერის, ლონგრაინის, ტრისტანისა და ზიგფრიდის განქანამ წარმოშვა. მაშინ ასე აგვიხსნეს: ეს გმირები ისეთი შარავანდედით არიან შემოსილები, ისტორიულ პირებს პრეტენზია რომ ვერ ექნებათო; ლეგენდარულ გმირებთან გარეგანი მოვლენები მნიშვნელობას კარგავენ, მის ადგილს შინაგანი მოვლენები იკავებენ, ეს კი მუსიკალური დრამისთვის დიდი უპირატესობააო. მიუხედავად ამისა, ზემოთ ნამოთვლილ გმირთა შორის გამოჩნდა ჰანს ზაკსი, ვინც არალეგენდარული და მაინც, საკმაოდ წარმოსადგევი გმირი გახლავთ. თუმცა ამ შემთხვევაშიც, თავად ინტრიგას თურმე მნიშვნელობა არა აქვს, ინტერესს მხოლოდ შინაგანი ქმედება იწვევს და ეს ურთადერთია, რაც

მუსიკის ლეთაბრივ ენაზე გამოსახვის უფლებას იმსახურებს.

თქმა არ უნდა, მუსიკა საშუალებას იძლევა, გარეგანი მოქმედება გაამარტივო და ამით გრძნობებისა და ვნებების გამფლავებას გაუხსნა გზა; მუნჯ სცენებსაც ვასაგებს ხდის მუსიკა, რომლის გარეშე ყოველი სცენა უაზრობა იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში თავადაც უფრო ლალად გადმოიღერება, მაგრამ, განა ამის გამო უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ყოველივე მუსიკას უცილობლად ჭირდება? რა თქმა უნდა, არა. მუსიკალური ხელოვნება მოქნილი და დამყლილია, იგი ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა და მოცარტს „ჯადოსნური ფლეიტის“ მსგავს ფეერაის მიაწვდის თუ „ფიგაროს ქორწინების“ მსგავს ცხოველ კომედიას, ძალდაუტანებლად, ორივე შემთხვევაში, უკვდავ შედეგებს შექმნის.

არის თუ არა ისტორიასა და ლეგენდას შორის არსებითი განსხვავება?

ისტორია ისაა, რაც, ეტყობა, მოხდა. ლეგენდა ისაა, რაც ეტყობა, არ მომხდარა.

ისტორიაში გვხვდება ლეგენდის ელემენტი, ლეგენდაშიც არის ისტორიის ელემენტი. ლეგენდა ისტორიის წინაპ-



რად გვევლინება, ამიტომ ფოველი ლეგენდა ფსევდობით ჭეშმარიტებას უკავშირდება. ეს კი მითოლოგიურ თქმულებებში ისევე უნდა მოვიძიოთ, როგორც გადაშენებული ცხოველების აღდგენას ვცდილობთ იმ ძელების მეშვეობით, დრომ რომ შემოგვინახა. პროშეთეს მითი ცეცხლის აღმოჩენის ამბავს მოგვიხსრობს, ცერერას ხასიფარულთა თავადახაველი — გუთნის გამოგონების და მარცელიანების დათესვის ამბავს, არგონავტიების მითი კი, შორეული ექსპედიციების პირველ მცდელობასა და ოქროს აღმოჩენაზე გვიამბობს. მითებში ასახული სინამდვილის შესახებ დიდი შრომებია დაწერილი, იმ ველაზე უცნაური ფაქტების თუ მეტამორფოზების ახსნაცაა მოძებნილი, ასე პოეტურად რომ აღწერა ოვიდიუსმა...

ახლა ისტორიის წიგნები გადავხალთ. აქ ფაქტები იმგვარადაა აღწერილი, უდავო მოგვეჩვენება, მაგრამ იგივე ფაქტებს, სხვა ისტორიკოსის მიერ გადმოცემულს, ვეღარც კი იცნობთ.

რატომ? იმიტომ, რომ მწერალი არახოლეს შეეჭვივება იმ კოლოსს, რომელსაც ისტორია ჰქვია, თუ მისთვის უდავო პოზიცია სახელმწიფო ორგანიზმის მოწყობის შესახებ წინასწარ არ შეიმუშავა და მისი უპირატესობის დამტკიცების სურვილი არ გაუჩნდა. ნებაჲს თუ არ ნებაჲს, ისტორიკოსი ფაქტებს თავის შეხედულებების მიხედვით აღიქვამს, გამადიდებელი ან დამაკინებელი შუშებით ათავალიერებს და ანგარიშმოუცემლად ამახინჯებს. ლუი მეოთხემტე, ლუი მეთხუთმეტე, მაღამ დე მენტენონი, მაღამ დე პომპალური, ლუი მეოთქვესმეტე და მარია ანტუანეტა, თვით ნაპოლეონი და ფოხეფინაც კი, სულ ახლახანს რომ ცხოვრობდნენ, უკვე ნახევრადლეგენდარული პერსონაჲები არიან. თუ ბოლო დრომდე ლუი მეცამეტე სწორედ ისეთი გვეგონა, როგორც „მარიონ დე ლორმში“ აიხსნა, ბოლო აღმოჩენებმა დაგვანახვა, რა მცდარად აღიქვამდით მის ზატებას...

1870 წლის ომის გამოშფოთების შესახებ ბუერს მსჯელობენ და სულ ახლახან ეს მტკიცეული მოგონებები კვლავ გამოაღვიძეს. ჩვენ ვიცით ის ფოველივე, რასაც კატასტროფის წინა დღეებში ამბობდნენ და წერდნენ, მაგრამ განა შეგვიძლია მეფეთა, მინისტრთა და ელჩთა იდუმალ აზრებს ჩაეწვდეთ; რაღაც მიუწვდომელი ხომ ველაზე შორსმჭვრეტელი ისტორიკოსისთვისაც არსებობს. ეს მიუწვდომელი, ადამიანური სინდისის სამალაგებია.

თუ თავად ისტორიაც კი იმდენად ახლოა ლეგენდასთან, რომ ხანდახან შეერწყმის კედელს, რაღა უნდა ვთქვათ რომანსა და ისტორიულ დრამაზე, სადაც მხატვრული ჩანაფიქრი აუცილებლად იწუნს თავს? როგორ აღვიქვათ ისტორიული პიროვნების გამოსვლები და სიტყვები გენბავთ წიგნში და გენბავთ სცენაზე? როგორ მივიღოთ თავად ფაქტები, რომლისგანაც ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას ვერ მოითხოვ, ოღონდ კი სიმართლეს ვავდებ? ისტორიას ერთადერთი რამ აკლია, რათა საბოლოოდ დაემკვანოს ლეგენდას: ზღაბრულ-სასწაულებრივი ელემენტი.

მუსიკა კი, ამ დროს, ველაზე კარგად სწორედ ზღაბრულ-სასწაულებრივს იმორჩილებს და მისგან ძვირფას შესაძლებლობებს იწივს. მაგრამ, ეს შესაძლებლობა განა უცილობლად ჭირდება? არა და არა. მუსიკა, უპირველეს ფოვლისა, სიტუაციას რომ ვეძახით, იმით შთაგონებული გრძნობებითა და ვნებებით სუნთქავს. არადა, ისტორიის ვარდა, სად შეიძლება იპოვნო შესაფერისი სიტუაციის ასეთი რაოდენობა?

ლუილიდან მოყოლებული მეფერამეტე საუკუნის ბოლომდე, ფრანგული ოპერა ზღაბრული ანუ მითოლოგიური იყო. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გრძნობებს გამოხატავდა, შინაგან სიამაროს ასახავდა და როგორც ამტკიცებენ, შემთხვევითობას თავს არიდებდა, (ოპ, ეს „შემთხვევითობა“, როგორ აღარ გამოიყენეს ეს სიტყვა,) არამედ, ძირითადად,

იმიტომ, რომ მითოლოგიური ფონი მოხერხებული მასალაა ექვიტური სიუჟეტის შესაქმნელად. ტრაგედია, როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით ვერ განვითარდა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აქტიორები, მიყვრულებით გატენილ ხცენაზე, ძლივს მოძრაობდნენ. ოპერას კი ფართო სასცენო სივრცე ეკავა, მომღერალ-აქტიორები მოქმედებაში შეზღუდულები არ იყვნენ, ამიტომ, იგი მდიდრულ სანახაობას ესწრაფვოდა და თანაც მექანიზაციის სრულყოფას მოითხოვდა. ამ მიღწევათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „კლორია“ გახლავთ. ესაა დეკორაციულ ღრუბლებს შორის ჩამოკიდებული მოწვობილობა, რომელშიც ღმერთების და ღმერთიქლების შემსრულებელი აქტიორები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ამ სანახაობებში ადგილობრივი კოლორიტი მხოლოდ იმიტომ არ გადააქციეს აუცილებლობად და არ გამოიყენეს, რომ მაშინ ეს უბრალოდ ვერ მოიფიქრეს.

ბოლოს და ბოლოს მითოლოგია ყველას მოგზრდა და ახლა ისტორიულ ქანრს მიმართეს. მაშინ „ეკსტალი“ და „ფერდინანდ კორტესი“ გამოჩნდა (ყველამ იცის, რა წარმატება ხვდა წილად) და სცენაზე ისტორიული ქანრი გამოეფადა, ხანამ „რობერტ ეშმაკის“ სახით თეატრში მოკრძალებით კვლავ ღვეკნდა არ დაბრუნდა და შემდგომში, რიპარდ ვაგნერის მფარველობით, სრულ გამარჯვებას არ მიაღწია.

ამავე დროს, „რობერტ-ეშმაკის“ შემდეგ გამოჩნდა „ჰუკენოტები“, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე ისტორიული ოპერის მწვერვალად გადაიქცა. ახლაც კი, როცა მისი შესრულების ტრადიციები თითქმის დაიკარგა, ხოლო ინტერპრეტაცია უწინდელთან ახლოსაც ვერ მიდის, ეს შესანიშნავი ნაწარმოები მაინც ჩამავალ მხეხავით შთამბეჭდავია. ვანა შეიძლება დავუშვათ, რომ ამ ოპერით აღტაცებული რამდენიმე თაობა მწარედ ცლებოდა ან გაუკებრობად ჩაეთვალათ ის ბრწყინვალე წარმატება

მას რომ ხვდა წილად, მხოლოდ იმიტომ, რომ რობერტ შუმანმა, ვინაც თეატრის არაფერი ესმოდა, მისი ღირსება ხაღავოდ გაზადა? უცნაურია, რომ შუმანის განაჩენს არ დაუპირისპირეს ბერლიონის მსჯელობა და „ჰუკენოტები“ მისი აღტაცება, რაც გამოითქვა ცნობილ ტრაქტატში „ინსტრუმენტობის შესახებ“.

ფართო აუდიტორიას ნაკლებად აინტერესებს პოლემიკა ამაღლებულ თემებზე და ნაცნობი ქანრების ერთგული რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრული ხასიათის ზოგიერთმა მუსიკალურმა დრამამ უკანასკნელ ხანებში ღიდი წარმატება მოიპოვა, ისტორიული დრამისაღმე ინტერესი მსმენელს მაინც შეერა და არც თუ უმიზეზოდ; ერთმა ავტორიტეტულმა კრიტიკოსმა, მოვეხსენებათ ასე ბრძანა: „ისტორიული დრამა გაცილებით მეტად შეიძლება იყოს ღირიზმის სასიცოცხლო ძალით განმსჭვალული, ვიდრე იმ საცოდავ ზღაპრულ ლიბრეტოთა უმეტესობა, ჩვენი კომპოზიტორები თავს რომ ამტკრევენ და გულბრყვილოდ ჯერათ, ამით ბიორეითის წმინდა სელს ვიზიდავთ“. სხვათა შორის ეს კომპოზიტორები არასოდეს იფიქრებდნენ ზღაპრულ სიუჟეტზე, მათ ღვთაებას სქანდინავიური მითოლოგიისთვის რომ არ მიემართა და ამის ნაცვლად სცენაზე, ვთქვათ, ფრიდრიხ ბარბაროსას საგმირო საქმეები გამოეყსახა. იხვე სხვათა შორის: ახალგაზრდობის წლებში ვაგნერი სულაც არ იყო ისტორიული ქანრის მტერი. მან ხოტბა შეახა ოპერებს „პორტიჩელი მუნჯი“, „ურია“, „კობროსის დედოფალი“ და თუ სამართლიანად უარყოფდა ამ უკანასკნელი ნაწარმოების ლიბრეტოს ზოგიერთ თვისებას, იმასაც აღიარებდა, რომ არადაამაგამოფილებელმა ლიბრეტომ კომპოზიტორს, მშვენიერი ჯვერდების შექმნაში, ხელი ვერ შეუშალა.

„როგორ არ შეეპოთ ვალევი, — ამბობს იგი, — იმ სიმტკიცისათვის, რითაც წინ აღუდგა ცლებებას, ბრმად დანდობოდა მომღერალ-შემსრულებელთა

ნიჭს, რათა იოლად მისაღწევი აპლოდი-სმენტები მოეპოვებინა. ბევრი მისი კო-ლეგა ხომ სწორედ ასე მოიქცა. მან კი, პირიქით, მოითხოვა, რომ ყველაზე სა-ხელგანთქმული ვირტუოზებიც კი, თლი-ანად მისი მუხის მაღალ მოთხოვნებს დაპირიქილებოდნენ; ამას იმ უბრალოე-ბითა და სიმართლით მიაღწია, რითაც მისი დრამატული მელოდია განმსჭვა-ლული“, ასე შეაფასა რიპარდ ვაგნერმა „ურია“ 1842 წელს.

საბედნიეროდ ახლა აღარ მოითხოვენ მუხიკალური დრამა აუცილებლად ზღა-პრული იყოლო. მაშინ ხომ ყველაზე ცნობილი რუსული ოპერები უნდა დავი-წუნოთ, ეს კი სრულიად დაუსველებლია-ახლა ერთსდა მოითხოვენ, მასალას გან-საკუთრებულად მიუღებოთ. ეს კი დაბ-ნეულობას იწვევს. სრულიად გაუგება-რია რატომღა ერთი ტრეკტირება დასა-შვები, მეორე კი დაუსველებლი; ამაში გა-რკვევა ძალიან რთულია.

იძულებულიც კი ვარ „ჰენრი მერვე“ ვაეხსენო, რომელიც თურმე საჭირო მა-ნერით არაა დაწერილი. განა საკუთარი მუხიკის დაცვას ვცდილობ, არც იმ მხველობას ვუპირისპირდები, რომელიც მას შეიძლება წარმოეშვა. არა და არა. ეს არაა მიღებული. მაგრამ ნება მიბო-ძეთ, თავად პიესაზე ვისაუბრო და ისიც მოგახსენოთ, მუხიკა როგორ შეეუფარ-დე. თურმე ჩემს ოპერაში ყველაფერი ზედაპირულია, სიღრმე აკლია, მხოლოდ გარეგანი მომზიბელებლობა აქვს, მოქ-მედ პირთა ხულიერ მდგომარეობას კი არსად აჩვენს; თურმე მეფე თავიდან კამ-ფეტვიით ტყბილია და ყოველგვარი მომ-ზალებიზა და მიზეზების ვარეშე უცებ მძვინვარე ხდება და ა.შ. და ა.შ.

აბა „ბორის გოლუნოვი“ კი არ ვაგვ; აიო, ამბობენ, ისტორიული დრამა, რომელიც მთლიანად ემთხვევა მუხი-კასო.

უნახე, მე, ეს „ბორის გოლუნოვი“ და დიდი ინტერესითაც ვუსმინე. მკვეთრი, მკლერი და შთამბეჭდავი ნაწილებიც მო-ვისმინე და ისეთებიც, ნაკლებ შთამბეჭ-დილებას რომ ქმნიდნენ. ერთ სურათში

მონასტრის უბადრუკი მხახურთქმებელ სურათში უცებ იმპერატორი გახდა; ერთი მოქმედება საზეიმო სვლით, ზარე-ბის რეკვიით, სახალხო ვალობითა და თვალწარმტაცი კოსტიუმებით გამოირ-ჩეოდა, შემდეგ მოქმედებაში კი, სადაც ძიძა ბავშვებს ზღაპრებს უყვებოდა, სრულიად შეუმზადებელი სასიყვარულო დუეტი გამოჩნდა, რომელიც უშუაგო-დაც დარჩა; ენახე გაუგებარი, პნელით მოცული დამის დღესასწაული და ბო-ლოს, ტრაგიკული სამგლოვიარო სცენე-ბი, სადაც ბატონი შალიაპინი განუქეო-რებელი იყო და გარეშუნებთ, ნამდვი-ლად არა ვარ დამნაშავე თუ ყოველივე ამაში ვერ შევინშნე ის სულიერი ცხო-ვრება, ფსიქოლოგია, შემზალება ან გა-ხსნა, რის ნაკლებობასაც ასე სწამებენ „ჰენრი მერვეს“.

„ჰენრი მერვესთვის არაფერია წმინ-და“, ნათქვამია პიესის დასაწყისში. მე-გობრობა, სიყვარული, ფიცა, მისთვის არაფერს ნიშნავს; არც საწუკვარი გა-ანია რამე, არც სინდისი აქვს არც ნა-მუსი. და როდესაც ეს მეფე, მასთან მო-სულ ელჩს, უსაფუძვლო დაპირებებით, ღიმლით აბრიყვებს, ორკესტრი, რო-მელიც მის სიტყვებს წინა ხცენის მუ-სიკით მიყვება, სწორედ მის ხულიერ მდგომარეობას ამუქებს. აი, როგორი ხერხებითაა თავიდან ბოლომდე დაწე-რილი ოპერა და ამას, თურმე, „გარე-განი მომზიბელებლობა“ ქვია. მსმენელი-სთვის ოპერის მუხიკალური თვისებე-ბის შესახებ განმარტებითი სიუბარი არავის ჩაუტარებია. დღევანდელი მო-დის მიხედვით არავის აღუნიშნავს, რომ არსებობს ვერაგობის თემა, სი-სასტიკის თემა, ორპირობის თემა, ამის თემა, იმის თემა და კრიტიკას აღბათ უნდა ვაპატიოთ, რომ მან ეს ყველა-ფერი ვერ შეამჩნია.

ისიც ითქვამს: არ არსებობს არც ერთი სიტყვა, არც ერთი სცენა, რომელიც ჰე-ნრი მერვეს ხულს გულავისხსნიდაო. რო-გორ? არც ერთი სცენა? აბა ის დიდი სცენა მისა და ეკატერინეს შორის? სცენა, სადაც ისე ეთამაშება დედოფალს,

როგორც კატა თავებს, სადაც ნიღბავს თავის სურვილის რელიგიური მრწამსით დაშორდეს მას და ვერავი, სასტიკი ინსინუაციებით დაუსრულებლად კაწრავს. უკანასკნელი სცენა? განა მთლიანად მისი საშინელი თვალთმაქციობით არაა გაყვანილი?

ნუთუ ყველა ამ კოლიზიაში ენებები და კრამნობები არ ბოლოქრობენ? ამის მეტი რა შეიძლება მოეგაროთენ რუსულმა ლიბრეტოებმა, რას მიუმატებდნენ ამას ზღაპრული სიუჟეტები?

დაეჯამებ. მუხიკალური დრამის თვალსაზრისით ლევენდას ერთი უპირატესობა აქვს: სასწაულის ელემენტი. დანარჩენს რაც შეეხება, ლევენდა უფრო მეტ წინააღმდეგობებს შეიცავს. მართლაცაა განა შეიძლება გმირებმა, ვისი არსებობაც დღეს უკვე აღარავის ჯერა, თავისთავად დაინტერესოს მსმენელი? თუმა ითვლება, რომ სწორედ მათ ეფრდნობა ტექსტიც და მუხიკაც, სინამდვილეში პირიქითაა, სწორედ ტექსტი და მუხიკა ანიჭებს მათ სიცოცხლეს. როგორ მიიღებდით აუტანელი ვოტანის დაუსრულებელ ქაქანს, თან ასეთი მშვენიერი მუხიკა რომ არ ახლდეს? განა ვერიდიკეს დამტირებელი ორფეოსის ცრემლი ასე აგვაღელვებდა, გლიუკს პირველივე ნოტებით რომ არ მოეხიბლეთ? ან რას დაემსგავსებოდნენ მოცარტის გარეშე „ჯადოსნური ფლეიტის“ მარიონეტები?

მამ მიეცი უფლება მუსიკოსს თავად აირჩიოს საოპერო ლიბრეტო და ამ ოპერათა ფორმაც კი თავის ტემპერამენტს შეუსაბამოს. რამდენი ახალგაზრდა ნიჭი იღუპება დღეს იმის გამო, რომ აუცილებლად არ თვლიან საკუთარი ბუნების მოთხოვნას მიჰყვენ და თავი

ვალდებულად მიიჩნიათ თითქოს ზვეტიდან მოვლენილ ბრძანებას დაეცნონ? ყველა დიდი არტიტი, სხვებზე მეტად კი გენიალური რიპარდი, დასცინოდნენ კრიტიკოსებს. ივაივისული მეწისქვილეხავით ისინი თავის ჭკაუზე დადიოდნენ და სწორადაც იქცეოდნენ.

რადგან ახალგაზრდა ვაგნერზე ჩამოვარდა სიტყვა, ვისარგებლებ შემთხვევით და მისი ერთ-ერთი ნაწარმოების შესახებ იმ პაჭარა საიდუმლოს გაგამხელთ, მხოლოდ მე ერთმა რომ ვიცი. ვაგნერის სიჭაბუკისას, მე ბავშვი ვიყავი და საკონცერტო საზოგადოების საღამოებს ვუღმოდვინედ ვესწრებოდი. ეს, სიკვითთ აღსაგებ ქალბატონი მარსელინა დე ფრენის წყალობით გამომდიოდა, რომელსაც აბონიმენტი ქონდა და ლოქაში ჩემთვის ადვილს ყოველთვის იტოვებდა. მე შევაძინე, რომ ლიტავრებზე დამკერვლს უცნაური ჩვევა ქონდა: ყველაზე ადრე იწყებდა დაკვრას და როცა მისი შესავალის შემდეგ, ორკესტრში ერთი მთლიანი აკორდი აჟღერდებოდა, ისეთი ეფექტი იქმნებოდა, რაც ნაწარმოების კომპოზიტორს არ ქონდა ჩაფიქრებული, ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს დასაგმობია, თუმა თავისებურ ხასიათს მაინც ქმნიდა. მახსოვს, მაშინვე ვიფიქრე, კარგი იქნება ეს როდისმე გამოვიკვლიო-მეთქი.

რიპარდ ვაგნერი, ამ პერიოდში პარიზში ცხოვრობდა და ცნობილ კონცერტებს ესწრებოდა. მან, როგორც ჩანს, ყურადღება მიაქცია ზემოთ აღნიშნულ ეფექტს და იგი „ფაუსტ-უვერტიურაში“ გამოიყენა.

თარგმნა მანანა მიქელაძე





უიწსტონე ჩარჩილი

მეგუარები

ნაწყვეტები წიგნიდან
„მორე მსოფლიო რში“

წიგნი II

თავი I რში

პირველ სექტემბერს, გამოენიისას, პოლონეთს თავს დაესხა გერმანია. დილით გამოცხადდა მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია. პრეზიდენტი-მინისტრმა მთხოვა, ნაშუადღევს დაუნინგ-სტრიტზე ეწვეოდი. გამომიტყდა, რომ იმედის ნატამალიც აღარ დარჩენილა გერმანიასთან ომის თავიდან აცილებისა და უკვე ამასა ფიქრობდა, ჩამოეყალიბებინა რიცხობრივად არც თუ დიდი სამხედრო კაბინეტი, რომელსაც უსამინისტროებოდ დარჩენილი მინისტრები გაუძღვებოდნენ. როგორც თავად ბრძანა, მას შეგნებული ქონდა, რომ ლეიბორისტულ პარტიას არ სურდა ნაციონალურ კოალიციაში თანამონაწილეობა და მაინც იმედოვნებდა, რომ ლიბერალები შემოერთდებოდნენ. მან სამხედრო კაბინეტის წევრობა შემომთავაზა. ულაპარაკოდ დაეთანხმდი მის წინადადებას და

ამის თაობაზე გამართული ხანგრძლივი საუბრისას არაერთ პიროვნებასა თუ ჩაფიქრებულ ღონისძიებაზე ჩამოვადეთ სიტყვა.

რუდესაც ბევრი რამ ავწონ-დავწონე, ვაკაცნობიერე, რომ იმ მინისტრთა საშუალო ასაკი, ვინც საომარ მოქმედებათა გასაძლეად უმძლეს აღმასრულებელ ორგანოში უნდა გაწვერიანებულიყო, მეტიმეტად უახლოვებოდა სიჭარმაგის ზღვარს; ამიტომ ნაშუადღევს ასეთი რამ მივწერე ჩემბერლენს:

„2. 9. 39.

„ერთობ ბებრული ნაკრები ზომ არ გამოვივიდა?! მე გამოეთვალე, რომ იმ ექვსეულის ასაკი, თქვენ რომ გუშინ დამისახველეთ, ჯამში 386 წელს უკაკუნებს, ანუ საშუალოდ 64 წელს აღმატება! სულ რაღაც ერთი წელი უკლია ზანდაზმულობის საპენსიო ასაკს! თუმცა თუ ამ შემადგენლობას სინკლერი (49) და იდენი (42) შეემატება, საშუალო ასაკი ორმოცდაჩვიდმეტნახევარ წლამდე შემცირდება.

თუკი „დილი პერალდი“ მართებულად ამტკიცებს, რომ ლეიბორისტები არ შემოვიკვირდებიან, მაშინ უეჭველად თავს დაგვატყდება გამუდმებული კრი-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

იხევეტა შემოკლებით.

ტიკის ნიაღვარი, ისევე, როგორც არ აგვედება ათასნაირი იმედგაცრუება და მოულოდნელობა, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ომის დროს. ამიტომაც მით უფრო მნიშვნელოვნად შესახება ლიბერალური ოპოზიციის შემომტკიცება ჩვენს რიგებში. იდენის ზეგავლენა კონსერვატორულ დაჯგუფებებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან მასთან და, იმავედროულად, ზომიერ ლიბერალურ ელემენტებთან, ჩემის თვალსაზრისით, უთუოდ გაამყარებდა ჩვენს პოზიციებს.

აი, უკვე ოცდაათი საათია პოლონელებზე სასტიკი იერიში მიაქვთ და მე ძალზე მაშფოთებს ხმები ომის თაობაზე, რომ პარიზში ლაპარაკია ახალ ნოტაზე. მწამს, რომ თქვენ შეძლებთ გამოაქვეყნოთ ჩვენი ერთობლივი დეკლარაცია ომის გამოცხადების შესახებ არა უგვიანეს ნაშუადღევისა; ამ დროსაა დანიშნული პარლამენტის სხდომა.

საზღვაო სამინისტრო საგანგებო ღონისძიებებს თუ არ მიიღებს და დღევანე თუ არ მიეცემა სიგნალს, „ბრემსს“ სულ მალე ვედარხად მოვიხელთებთ. ეს თუმც ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხია, მაინც შეიძლება ძალზე უსიამოვნოდ შემოგვიბრუნდეს.

მივუღოთ თქვენს განკარგულებაში.¹ მე იმან გამოაცა, რომ ორ სექტემბერს, — იმ დროს, როცა იგონებოდა კრიზისის უკიდურესი გამძაფრება, მისტერ ჩემბერლენი მთელი დღის განმავლობაში ერთხელაც არ შემხმიაინებია. უკვე იმას ვფიქრობდი, ამ ბოლო წუთში მშვიდობის შენარჩუნების მცდელობას ზომ არ ნიშნავს-მეთქი ეს ამბავი; და არც მოვტყუებულვარ. მაგრამ ნაშუადღევს, პარლამენტი რომ შეიკრიბა, გაიმართა ხანმოკლე, თუმც საკმაოდ ცხარე კამათი, რომლის დროსაც პრემიერ-მინისტრის ორჭოფულ განცხადებას უთავაზოდ შეხვდნენ პალატის წევრები. მისტერ გრინუდი რომ წამოდგა, რათა ლეიბორისტული ოპოზი-

ციის სახელით ელაპარაკებინა მისტერ ტემპერშიმ — კონსერვატორთა პანაკის წარმომადგენელმა — მიამახა, „ინგლისის სახელით ილაპარაკეთ“, რასაც ტემპის გრიალით შეხვდნენ. ხათუო აღარაფერი იყო, — პალატა მხარს უჭერდა ომის დაწყებას. მე ისიც კი მომჩვენა, რომ იგი ახლა უფრო შემართულა და ერთხულოვანი იყო, ვიდრე 1914 წლის 3 აგვისტოს მსგავს ვითარებაში, — მე ხომ-მამხინდელ ამბებშიაც ემონაწილეობდი! საღამოთი ვველა პარტიის ცნობილ ჯენტლმენთა კარგა დიდი ჯგუფი მეწვია შინ, ბინაზე, უესტმინსტერის ტაძარს რომ გაცსკეროდა; ისინი ერთობ დიდ შეშუოთებას გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, შევძლებდით თუ არა ჩვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებას პოლონეთის წინაშე. მეორე დღეს, შუადღისას, პალატა კვლავ უნდა შეკრებილიყო. ღამით პრემიერ-მინისტრს მივწერე შემდეგ:

„2. 9. 39.

პარასკევს აქვთ, ჩვენი საუბრის შემდეგ, ერთხელაც აღარ შემხმიაინებიათ. მე მაშინ მიხვდი, რომ მოვალე ვიყავ თქვენი კოლეგა გაემხდარიყავი, თქვენ კი ბრძანეთ, რომ ამას სულ მალე საჯაროდ განაცხადებდით. ვერ გამოვიცა, რა მოხდა ამ შფოთიანი დღის მანძილზე; თუმც ასე მგონია, იმძაფრა ახლმა აზრებმა, ერთობ განსხვავებულმა იმათგან, ჩემთან საუბრისას ამგვარად რომ გამოხატეთ — „წილი ნაყარიო“. ჩემოვის სრულიად ნათელია, რომ ვეროპაში შექმნილ შემადრწუნებელ ვითარებასთან დაკავშირებით შესაძლოა აუცილებელიც შეიქნას სხვა მეთოდის გამოყენება, მაგრამ ვფიქრობ, უფლება მაქვს ვთხოვოთ, შუადღისათვის დანიშნული დებატების დაწყებამდე მაცნობოთ, რას ვაპირებთ როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადული თვალსაზრისიდან გამომდინარე.

ასე მგონია, თუ ლეიბორისტულსა და, როგორც მე ვასკენი, ლიბერალურ პარტიებს ჩამოვიცილებთ, გავვიჭირ-

¹ Feing, op. cit, page 420.

დება ქმედითი სამხედრო მმართველობის შექმნა იმ ზღუდემორყვეულ საძირკველზე, თქვენ რომ ახსენეთ. საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ კიდევ ეცადოთ ღიბერალების მოზიდვა და, ამას გარდა, გადაეხედოთ შემადგენლობასა და რიცხოზობობას სამხედრო კაბინეტისა, რომ ღის შესახებაც მე და თქვენ ვიმსჯელებთ. დღეს ღამით პალატაში იგრძნობოდა, რომ ჩვენი შემართების აშკარა მოღუნებით ღახვარი ჩავეციოთ ერთენული მთღიანობის სულისკვეთებას. მე არ ვაქინებ იმ სიძნელებს, თქვენ რომ გზად ვეღობებთ ფრანგებთან ურთიერთობისას; მაგრამ მწამს, რომ ახლა ჩვენ თავად გადაეჭრით საკითხს და ამით ფრანგ მეგობრებს ვუჩვენებთ მაგალითს, რაც მათ, იქნება, კიდევ სჭირდებათ. ამისათვის დაგვეჭირდება რაც შეიძლება მძღავრი და შეკრული კომბინაცია, ამიტომ ვთხოვთ, ნუ გაახმაურებთ სამხედრო კაბინეტის შემადგენლობას, ვიდრე კიდევ ერთხელ არ ვისაუბრებთ.

როგორც გუშინ დღღას გწერდით, მთღიანად თქვენს განკარგულებაში მიგულეთ მუღამ მზად მყოფი შემწვეობის განაწვეად თქვენი ამოცანის განხორციელებაში“.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ პირველ სექტემბერს ზღამოს ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე ინგლისმა ულტიმატუმი წაუყენა გერმანიას და რომ სამ სექტემბერს დღღის ცხრა საათზე ამას მოჰყვა კიდევ ერთი და ამჯერად უკვე საბოლოო ულტიმატუმი. სამი სექტემბერის დღღის რადიოგადაცემა იტყობინებოდა, რომ პრემიერ-მინისტრი გამოვიდოდა რადიოთი 11 საათსა და 15 წუთზე. რაკი სარწმუნო ჩანდა, რომ დღღი ბრიტანეთიცა და საფრანგეთიც დაუყოვნებლივ გამოაცხადებდნენ ომს, მოვაშხადე მოკლე სიტყვა, რომელიც, ჩემი ფიქრით, ეხმიანებოდა ჩვენი ცხოვრებისა და ისტორიის ამ დღღებულ, ღირსშესანიშნავ წუთებს.

პრემიერ-მინისტრმა რადიოთი გამო-

აცხადა, რომ ჩვენ უკვე საომარ ვითარებაში ვიმყოფებოდით და იმის იყო ღღასრულა თავისი სიტყვა, რომ გაისმა უცნაური, გაბმული, ვშუიღისებრი ხმა, რასაც მერე და მერე ყური შევიჩვიეთ. კაბინეტში შემოვიდა შემამოთებელი ამბებით აღღვლებული ჩემი მეუღლე და წესრიგთანობა-სიყოჩაღე შეუქო გერმანელებს; ზახღის სახურავზე ავედით, რათა იქაურობისათვის თვაღი შეგვევლო და გვენახა, რა ზღეზიდა. სექტემბრის ნათელი, გრღღი დღღე იღღა და გარშემო ყოვეღი მზრიღან ღღონღონის შენობათა წაწვეტებული სახურავები ამოზიდღულიყო. მათ თაღზე ნელ-ნელა იკვეთებოდა ოცღაღათი თუ ორმოცი ციღინდრული აეროსტატის მოზახუღობა. მთაგრობას დავეუღადღეთ მზღადყოფნის ეს უტყუარი ნიშანი და რაკი შეპირებული თხუთმეტი წუთი, რის იმეღითაც ვიყავით, უკვე იწურებოდა, ჩვენს კუთენიღ თაღ-შესაფარს მივაშურეთ და თან წავეიღღვანიღეთ ერთი ბოთღი ბრენღი და რაღღაც-რაღღაც სამკურნაღო საშუაღლებები.

ჩვენი თაღშესაფარი, რომღღისკენაც გზა თაღკვე მიუყვებოდა, ასიღღე იარღღში იყო და წარმოადგენდა ერთ მღღღიავებულ სარღაფს, რომელიც სიღთი საღვსე ტომრებითაც კი არ იყო ჩაზერღიღღი; იქ უკვე შეგროვიღღივენენ ახღღო-მანღღო სახღღების მოზინადრენი. ვვეღღღას ღღადი და ზღღღისიანი განწყოზიღღება კქონდა, როგორც ეს შეუცნობღღის პირისპირ მღღღომ ინგღღისეღღებსა სჩვეეღათ. ზღღურბღღთან მღღღარმა ჯერ დღღარიღღღებულ კუნას და შემღღვე გადაღვეხულ სარღაფს შეეავღღე მზერა. უმაღ თვაღღწინ წარმოზიღღდა სურათები სგრეეღასა და სისხღღიანი სასაკღღაღოსი; საშინელი სიძმღღავრის აფეთქებებისა, მიწას რამ აზანზარებენ; ჩამოზღღღღეღული და მტვერში აზღღიღღი შენობებისა; ზახანძრო რაზმებისა და სანიტარული მანქანებისა, კვამღღს რომ აპობენ მტრის თეითმფრინავთა გუგუნში. განა იმთავითვე არა გვმომღღვრავდნენ, თუ რა შე-

მაძრწუნებელი იქნებოდა საჰაერო იერაშები?! საკუთარი ღირსების შეგნებით გამსჭვალულ ავიაციის სამინისტროს მეტიმეტად გაუზვიადებინა მათი შესაძლებლობები. პაციფისტები ხალხში შიშის დათესვას ესწრაფოდნენ; ისინი კი, ვისაც ჩვენი რიგებიდან ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ დაეუბნებინა სათანადო მომზადებისა და უპირატესი სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის საჭიროება, თუმც სარწმუნოდ არ მიიჩნევდნენ ავ წინასწარმეტყველებას, მაინც იმედოვნებდნენ, რომ იგი ბიძგის მიმცემი შეიქნებოდა. ვიცოდი, რომ მთავრობა მოემზადა და ომის პირველსავე დღეებში მის განკარგულებაში იყო 250 ათასზე მეტი საწოლი საჰაერო იერიშების მსხვერპლთათვის. ასეა თუ ისე, მოცემულ ვითარებაში არსად იყო ნიშანწყალიც კი საშიშროების შეუფასებლობისა. აწ კი იმასაც ვნახავდით, რაც მოხდებოდა.

ათილედ წუთის მერე კვლავ იმ ყმუილისებრმა ხმამ გააფრუა არემარე. დავეჭვდი, განგაში ხომ არ მეორდება-მეთქი, მაგრამ ამ დროს ქუჩაში გამოჩნდა კაცი, რომელიც ყვირილით იუწყებოდა, „განგაში შეწყდაო“. მყის ჩვენ-ჩვენს ბინებს მივაშურეთ და საქმეს შეუდევით. გავეშარეთ თემთა პალატაში, რომელიც ზუსტად შუადღისას შეიკრიბა; იგი მისთვის ჩვეულ აუჩქარებელ პროცედურას ასრულებდა და მოკლე ლოცვას აღავლენდა დარბაისლურად. ამ დროს მივიღე ბარათი პრემიერ-მინისტრისაგან, რომელშიაც მთხოვდა დებატების დამთავრებისთანავე მასთან შექვედო. იქ რომ ვიჯექი და გამოსვლულეებს ვუსმენდი, ჩემს ხულში უკიდურესმა სიმშვიდემ დაისადგურა ბოლო რამდენიმე დღის გამუდმებული ვნებათაღელვისა და აღტყინების შემდეგ. უშფოთველობამ მოიცვა ჩემი სული და ადამიანურ თუ პირადულ ამბებზე ამადლებისა თუ განდგომილობის გრძნობა დამეფლდა. მშვიდობისმოყვარე და თუმც ცუდად მომზადებული,

მაგრამ თავისი ღირსებების მქონე მუდამ შემართული და მამაცი ძველი ინგლისის დიდება ავსებდა მიელს ჩემს არსებას და, როგორც ჩანს, ჩვენს ბედობადას იმ ზენა სამყაროს აზიარებდა, ძალზე დაშორებული რომ იყო მიწიერი სინამდვილისა და სხეულისმიერი შეგრძნებებისაგან. ჩემს გამოსვლაში შევეცადე პალატის წევრთათვის ნაწილობრივ მაინც გამეზიარებინა ის, თურას განვიცდიდი და ამას მშვენივრად ვაერთი თავი.

ჩემბერლენმა ბრძანა, რომ საგულისხმოდ მიიჩნია ჩემი წერილები; რომ ლიბერალები არ შევიდოდნენ მთავრობის შემადგენლობაში; რომ იგი მზად იყო გარკვეულწილად გაეზიარებინა ჩემი თვალსაზრისის საშუალო ასაკის თაობაზე და სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში შეეყვანა სამი სამხედრო მინისტრი მათი აღმასრულებელი ფუნქციების მიუხედავად, რის წყალობითაც საშუალო ასაკი სამოც წელზე დაბლა დაიწვედა. მისი სიტყვით, ამით მას საშუალება მიეცემოდა ჩემთვის შემოეთავაზებინა როგორც სახლვაო სამინისტროს მესვეურობა, ისე ადგილი სამხედრო კაბინეტში. მე ფრიად ნახი-ამოვნები დავრჩი და თუმც ამას არ ვამხელდი, ბუნებრივია, მერჩია, უშუალოდ ჩემი საკეთებელი საქმე მქონოდა, ვიდრე მეფუთფუთა და ტყინი მეჭყლიტა სხვათა მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რაიც შეიძლება წილადა ზედეს ნებისმიერ მინისტრს — რაგინდ გავლენიანიც არ უნდა იყოს იგი, — თუკი მის განკარგულებაში არ არის სამინისტრო. რჩევის მიცემაზე ადგილი განკარგულბების გაცემა და უმჯობესია, ვბედობის ნაცკლად თუნდაც შეზღუდული მოქმედების უფლება გენიჭებოდეს. პრემიერ-მინისტრს იმთავითვე რომ შემოეთავაზებინა არჩევანი სამხედრო კაბინეტსა და სახლვაო სამინისტროს შორის, რა თქმა უნდა, უკანასკნელს ვარჩევდი, ახლა კი ორივეგან გზა ხსნილი მქონდა.

არაფერი თქმულა იმის თაობაზე, თუ ოფიციალურად როდის მაკურთხებდა მისი უდიდებულესობის ხელისუფლება, — და მართლაც, ხუთ სექტემბრამდე საქმეს თავი არ დასდგამია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ომის პირველივე საათები შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ზღვაოსანთათვის. ამიტომ საზღვაო სამინისტროს შეუთვალე, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებოდა ჩემი მოვალეობის შესრულებას და გამოცხადდებოდა ექვს საათზე. სამინისტრომაც კეთილმოსურნეობა გამოიჩინა და ფლოტს აუწყა, უინსტონი დაბრუნდაო. ასე რომ, კვლავ შეედგა ფეხი იმ ოთახში, წუხილითა და გულისტკივილით რომ დავტოვე თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ, როცა ლორდ ფიშერის გადადგომამ გამოიწვია ჩემი — პირველი ლორდის — პოსტიდან გადაყენება და, როგორც გაირკვა, დარდანელის სრუტის ფორსირების მნიშვნელოვან კონცეფციაზე საბოლოოდ ხელის აღება. ჩემს ძველ სკამს უკან, სულ რამდენიმე ნაბიჯს იქით, კვიდა ხის ჩარჩოიანი რუკა, ჯერ კიდევ 1911 წელს რომ მივაშაგრე კედელზე, — თურმე დღემდე გაკრული ყოფილა ჩრდილოეთის ზღვის სქემა, რომელზედაც, ჩემი მითითების თანახმად, უმთავრეს ობიექტზე ყურადღების გამახვილების მიზნით, სამხედრო-საზღვაო დაზვერვის განყოფილების მუშაკები ყოველდღე აღნიშნავდნენ გერმანული სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადაადგილებასა და დისპოზიციას. 1911 წლიდან მეოთხედ საუკუნეზე ბევრად მეტი გასულიყო და, აი, კვლავ სასიკვდილო საფრთხე ვეშუქრებოდა იმავე ქვეყნის შეილათვან. ახლაც ნაღდი აგრესიის გადაქვიდე ღირსებაშელახული და დასაწყრობად განწირული სუსტი სახელმწიფოს უფლებათა დაცვამ აგვაღებინა ხელში მახვილი. კვლავ სიცოცხლისა და ღირსების გადასარჩენად უნდა შევერკინებოდით მთელ ამ ძლევამოსილებასა და

გააფთრებას შეუპოვარი, დიდად მსწრაფი თობი და დაუნდობელი გერმანული რახისის! კვლავაც! დე, აგრე იყოს!

მაღე საზღვაო შტაბის უფროსი მეწვია სტუმრად. საზღვაო სამინისტროში ჩემი ადრინდელი მოღვაწეობის პერიოდში დადლი პაუნდს ასე თუ ისე ვიცნობდი, როგორც ლორდ ფიშერის ნდობით აღჭურვილ შტაბის ოფიცერს. აღბანეთში იტალიის შეჭრის დროს პარლამენტში გადაჭრით ვგზობდი დისპოზიციას ხმელთაშუა ზღვის ფლოტისა, რომელსაც იმხანად პაუნდი მეთაურობდა. ახლა კი ერთმანეთს შევხვდით, როგორც კოლეგები, რომელთა მჭიდრო ურთიერთობასა და სრულ თანხმობაზე დამოკიდებული საზღვაო სამინისტროს მთელი ვეებერთელა მანქანის მწვობრი მუშაობა. თუმც ოდნავი უნდობლობით, მაგრამ მაინც კეთილგანწყობით შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ პირველივე დღეებიდან ჩვენი მეგობრობა და ურთიერთნდობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მე ვაფასებდი და პატივს მივაკებდი აღმირალ პაუნდის პროფესიულ და პიროვნულ თვისებებს. როცა ომი მისთვის ჩვეული ილზიანობა-უიღბლობის მონაცვლეობით მძიმე დარტყმებს გააყენებდა, ჩვენი ამხანაგობა-მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა; ხოლო ოთხი წლის შემდეგ — სწორედ მაშინ, იტალიაზე რომ გავიმარჯვეთ, სამუდამოდ მიიძინა და მე მწარე გულისტკივილით დავიტარიე ფლოტისა და ქვეყნის ეს დანაკარგი.

სამი სექტემბრის ღამე მეტწილად ღეპარტამენტთა თავაკებთან საუბარში გავატარე, ხოლო ოთხი სექტემბრის დილით საზღვაო სამინისტროს ხელმძღვანელობას შეუუდექი. ისე, ვით 1914 წელს, საყოველთა მობილიზაციამდე კარვა ხნით ადრე გატარდა უსაფრთხოების ღონისძიებანი ნებისმიერ მოულოდნელობათა თავიდან ასაცილებლად.

ჯერ კიდევ 15 ივნისს გაიწვიეს კარგა ბლომად ოფიცრები და თადარიგოსნები. ცხრა აგვისტოს მისმა უდიდებულესობამ შეამოწმა საწრთენლო სწავლები-სათვის სრულად დაკომპლექტებული სათადარიგო ფლოტი, 22 აგვისტოს კი დამატებით გაიწვიეს თადარიგოსანთა სხვადასხვა რაზმები, 24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო კანონი საგანგებო უფლებამოსილებათა შესახებ და იმაუ-დროულად ფლოტს უბრძანეს გასული-ყო თავის სამხედრო ბაზებზე. არსები-თად, ჩვენი მთავარი ძალები ჯერ კი-დეუ რამდენიმე კვირის წინ განლაგე-ბულიყვნენ სკაპა-ფლოუში. ფლოტის სრული მობილიზაციის შესახებ გადა-წყვეტილების მიღების შემდეგ საზღ-ვაო სამინისტროს სამობილიზაციო გუ-გმა დაუბრკოლებლად ხორციელდებო-და და რამდენიმე სერიოზული ხარვე-ზის მიუხედავად - კერძოდ, არ იყო საკმარისი რაოდენობის კრეისერები და გემები წყალქვეშა ნავებთან საბრძოლ-ველად, - ომის დაწყებისას, ისე, ვით 1914 წელს, ფლოტი აღმოჩნდა მის წი-ნაშე დასახული დიადი ამოცანების სი-მალღეზე...

ვითარება ზღვაზე მკვეთრად ვანსხ-ვაედებოდა იმ საზიფათო ვითარებისა-გან, 1914 წელს რომ შეიქმნა. მაშინ ომში ჩავებით ამგვარი შეფარდებით - თექვსმეტი ათზე მსხვილი სამხედრო გემი და ორი ერთზე კრეისერი. იმზა-ნად მობილიზებული გვეყვდა ექვსი სა-ბრძოლო ესკადრა, რომელთაგან თი-თოეული მიითვლიდა რვა სამწკრიფო ხომალდს, კრეისერთა ესკადრასა და მომცრო გემების ფლოტილიას; ბლომად გვეყვდა, აგრეთვე, ცალკეული კრეისე-რები. მაშინ წინ მქონდა გადამწყვეტი ბრძოლა მტრის უფრო სუსტ, მაგრამ მაინც მრისხანე ფლოტთან. ახლა კი გერმანული ფლოტი ჯერ მხოლოდ იწ-ყებდა ძალების მოკრფვას და საბრძო-ლო მწკრივის გამართვასაც ვერ შეძ-

ლებდა, მათი ორი დიდი სამწკრიფო ხო-მალდის „ბისმარკისა“ და „ტირაპიტის“ გამართვას - ხომალდებისა, რომელთა ტონაჟი მნიშვნელოვანწილად აღემატე-ბოდა ხელშეკრულებით დაწესებულ შეზღუდვებს - ერთ წელი მაინც დას-ჭირდებოდა, მშენებლობა მსუბუქი სამ-წკრიფო კრეისერებისა „შარნგორსტი-სა“ და „გნეიზენაუსი“, რომელთა ტო-ნაჟი გერმანელებმა მოტყუებით ვაზარ-დეს ათი ათასიდან ოცდაექვს ათას ტო-ნამდე, 1938 წელს დასრულდა. ამას გარდა, გერმანელებს ჰყავდათ სამი „ჯიბის სამწკრიფო ხომალდი“: „ადმი-რალი გრაფ შეე“, „ადმირალი შეერი“ და „დოიჩლანდი“, რომელთაგან თი-თოეულის წყალწყვა ათი ათას ტონას უტოლდებოდა და კიდევ რვადიუმიანი ქვემეხებით აღჭურვილი ორი სწრაფ-მაგალი კრეისერი ათიათასტონიანი წყალწყვით, ექვსი მსუბუქი კრეისერი, სამოცი საესკადრო ნაღმოსანი და სხვა უფრო მომცრო გემები. ასე რომ, გერ-მანელთა წყალზედა ფლოტი ვერ ხელყოფდა ზღვაზე ჩვენს ბატონობას. თქმა არ უნდა, ბრიტანელთა სამხედ-რო საზღვაო ფლოტი გაცილებით უფ-რო ძლიერიც იყო და რიცხობრივადაც ბევრად სჭარბობდა გერმანელებისას; ვერც იმას დასწამებდა ვინმე, რომ ან საქმის ცოდნა აკლდა, ან კიდევ გაწა-ფულობა. კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსანთა ნაკლებობას თუ არ ჩავთ-ვლით, ფლოტი, ჩვეულებისამებრ, მა-ღალ დონეზე იდგა. მას უამრავი ვე-ებერთელა მასუსხაგები საქმე ეკისრე-ბოდა - ისეთი, მტრისთვის თვალის გასწორებას ტოლს რომ არ უდებდა.

საზღვაო სამინისტროში რომ მოვე-დი, უკვე ნათელი წარმოდგენა მქონდა ზღვაზე სტრატეგიული მღვომარეობის შესახებ. მტრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მქონდა ბალტიის ზღვაზე ბატონობის შენარჩუნებას. სკანდინავი-ური მომარაგება, შეედური მადანი და,

უპირველეს ყოვლისა, რუსთა სავარაუდო ღესანტისაგან თავდაცვის აუცილებლობა კარგა მანძილზე გაშლილ და დაუცველ ჩრდილოეთ სანაპიროზე გერმანიისა, საიდანაც ბერლინი ერთ ადგილას ახილდე მილით თუა დაშორებული, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ბალტიის ზღვაზე ბატონობის შენარჩუნების საჭიროებას ჰკარნახობდა. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საწყის ეტაპზე გერმანია არ დათმობდა თავის ბატონობას ბალტიკაზე. აქედან გამომდინარე, თუმც გერმანელებს შეეძლოთ გამოეგზავნათ წყალქვეშა ნაუბი, კრეისერები ან იქნებ ერთი „ჯიბის სამწერიო ზომალდიც“ კი ჩვენი კუმუნიაციების დახაზიანებლად, ისინი არ გასწირავენ არც ერთ გემს, თუკი იგი ბალტიის ზღვაზე ბატონობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდათ. გერმანულ ფლოტს, ამ დროისათვის ძალებს რომ იკრეფდა, არსებული ვითარებაში ეს უნდა მიეჩნია თავის პირველხარისხოვან და ღამის ერთადერთ ამოცანად. ჩვენი მთავარი მიზნების — ზღვაზე ძლევა მოსილების შენარჩუნებისა და უმთავრესი საიერიშო ღონისძიების, ბლოკადის — განსახორციელებლად, რასაკვირველია, უნდა გვეყოლოდა უძლიერესი ფლოტი ჩვენს ჩრდილოეთ წყლებში. თუმცა, როგორც ჩანდა, ბრიტანელებს სულაც არ გვესაჭიროებოდა მაინცდამაინც დიდი სამხედრო-საზღვაო ძალების ყოლა ბალტიის ზღვიდან თუ ჰელგოლანდის ყურიდან ჯარების გაშლისათვის თვალყურის სადევნებლად.

ბრიტანეთის უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად გაიზრდებოდა, საპაერო იერიშების წყალობით დროებით მაინც რომ შეგვეძლებოდა მწყობრიდან გამოგვეყვანა კილის არხი — ეს გვერდითი კარი ბალტიის ზღვიდან...

იყო, როგორც 1914 წელს, მისი ტონაჟი 21 მილიონ ტონას აღემატებოდა. გემების საშუალო სიდიდე გაიზარდა, ამიტომ რაოდენობა შემცირდა. თუმცა ეს ტონაჟი მთლიანად ვერ გამოდგებოდა სავაჭროდ. სამხედრო-საზღვაო ფლოტს სჭირდებოდა სრულიად სხვადასხვაგვარი დამხმარე გემები, რომელთა შერჩევა უმთავრესად შესაძლებელი იყო უმაღლესი კლასის ლაინერთა რიგებიდან. გემები ყველა სახეობის შეიარაღებულ ძალებს ესაჭიროებოდა სავანგეო მიზნებისათვის: არმიასა და სამხედრო-საპაერო ძალებს — ჯარისკაცების გადასაყვანად და ტექნიკის გადასაზიდად ზღვის გადაღმა, სამხედრო ფლოტს კი — სხვადასხვაგვარი სამუშაოებისათვის საზღვაო ბაზებსა და სხვა ადგილებში, სახელდობრ, საწვავის გადასატანად მთელ მსოფლიოში გაფანტულ სტრატეგიულ პუნქტებში. ამ მიზნებისათვის საჭირო ტონაჟმა დაახლოებით 3 მლნ. ტონა შეადგინა და ამას კიდევ უნდა დაემატოს მთელი იმპერიის ნაოსნობის საჭიროებანი. 1939 წლის ბოლოს შენაძენთა და დანაკარგთა საბოლოო დაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომერციული მიზნებისათვის დარჩენილი ხაერთო ტონაჟი დაახლოებით 15,5 მლნ. ტონას გაუტოლდა.

იტალიას ჯერ კიდევ არ გამოეცხადებინა ომი, მაგრამ ცხადი იყო, რომ მუსოლინი ელოდებოდა მოკლენათა განვითარებას. რაკი ეს გაურკვეველობა გავითვალისწინეთ და სიფრთხილე გამოვიჩინეთ, სანამ ჩვენი სამზადისი მთლიანად არ დასრულდებოდა, აუცილებლად მივიჩინეთ ჩვენი ფლოტის განთავსება კეთილი იმედის კონცხის მიდამოებში. თუმცა საკუთარი ფლოტის გარდა, გერმანულ და იტალიურ ფლოტებს რომ სჯობნიდა, ერთად აღებული, ჩვენს მხარეზე უკვე გვეზღუებოდა საფრანგეთის ძლევა მოსილი

ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტი ომის დაწყებისას დაახლოებით იმეკარივე

ფლოტი, რომელსაც დიდხანს მესვეურობდა აღმირალი დარლანი და რომელიც მისი გასაოცარი ნიჭიერების წყალობით ისე გაძლიერდა და გაიწაფა, როგორც არასდროს, მონარქიის ხანიდან მოყოლებული. იტალია თუ ომში ჩაებმებოდა, პირველი ბრძოლის ველი ჩვენთვის ხმელთაშუა ზღვა აღმოჩნდებოდა. მე გადაჭრით ვილაშქრებდი ზღვის შუაგულის გაშთიშვებისა და ამ დიდ შიდა ზღვაში შესასვლელთა დასაცავად ჩვენი ძალების თავმოყრის ყველა ვეგმის წინააღმდეგ, თუ ეს დროებითი აუცილებლობით არ იყო ნაკარნახევი. საკუთარი ძალების ამარა, ფრანგული ფლოტისა და მისი გამაგრებული ნავსადგურების შემწეობის გარეშე განუდევნიდით იტალიურ გემებს და ორიოდ თვეში სრულ ბატონობას მოვიპოვებდით ხმელთაშუა ზღვაზე.

ბრიტანელთა ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზე ლახვარს ჩასცემდა მტრულ იტალიას, რასაც, შესაძლოა, საბედისწერო ზეგავლენა მოეხდინა მის ბრძოლისუნარიანობაზე. მთელი მისი ლაშქარი ლიბიასა და აბისინიაში ფრთამოკვეცილი დარჩებოდა, ფრანგებთან და ჩვენს ჯარისკაცებთან ევკვიტში შესაძლებელი იქნებოდა საჭირო რაიონების მამულე ჯარების გაგზავნა, მაშინ, როდესაც იტალიელები შიშნით თუ არ დაიხოცებოდნენ, დაძაბუნდებოდნენ მაინც. ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური ნაწილიდან ძალთა გარიდება იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ იტალიის ლაშქარს გერმანელთა თავკაცობით ვზა გაეხსნებოდა ევკვიტსა და არხში, ისევე როგორც ფრანგულ სამფლობელოებში შესაჭრელად. ამას გარდა, იგი სწრაფი და ღირსშესანიშნავი გამარჯვებებისა ამ სცენაზე, რომელთა მოპოვება ომის პირველსავე კვირებში იყო შესაძლებელი, ერთობ ჯანსაღ და სასარგებლო ზეგავლენას მოახდენდა გერმანიასთან ვადამწვეპტ ბრძოლაზე. როგორც სამხედრო-საზღ-

ვაო, ისე სახმელეთო თვალსაზრისით ჩვენთვის არაფერს არ უნდა შეეძლო ხელი ამ შედეგების მიღწევაში.

ჯერ არც კი დაებრუნებულყავი საზღვაო სამინისტროში, რომ უკვე სავესებით ვიზიარებდი მის თვალსაზრისს იმის თაობაზე, თუ რაოდენ ანგარიშგახაწევ ძალას წარმოადგენდა წყალქვეშა ნაუბი. თუმცე „ახლიკის“ ტექნიკური ღირსებები არაერთხელ წარმოჩინდა წყალქვეშა ნაუბთან შეტაკებებისას ომის დასაწყისში, მათთან ბრძოლის ჩვენული საშუალებათა სრულიადაც არა კმაროდა საიმისოდ, რომ თავიდან აგვეცილებინა მნიშვნელოვანი და მწარე დანაკარგები. მდღერი როდი გახლდათ ჩემი მამინდელი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „ჩვენ სავესებით შეგვეწედა უნარი გვემკლავებოდით წყალქვეშა ნაუბებს გარე ზღვებზე და, უთუოდ, ხმელთაშუა ზღვაზედაც; და რომ უცილობლად გვემნებოდა დანაკარგები, მაგრამ ისინი ვერ იქონიებდნენ ზეგავლენას მოვლენათა მსვლელობაზე“. წყალქვეშა ნაუბთან ბრძოლის პირველ წელს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ატლანტიკისათვის ბრძოლა 1941-42 წლებისათვის გადაიღო.

საზღვაო სამინისტროში ომამდე გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ჯეროვნად ვერ შეეფასე ჰაერიდან ბრიტანულ სამხედრო გემებზე თავდასხმის საფრთხე თუ შედეგები. „ახე მეონია, — ეწერდი ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, — შეიძლება მოკრძალებულად ვიკარაულოთ (ვინაიდან ამის ზუსტად განსაზღვრა ძალზე ძნელია), რომ ავიაციის თავდასხმა ბრიტანულ სამხედრო ზომადღებზე, თუ გავითვალისწინებთ მათ ახლანდელ შეიარაღებასა და თავდაცვისუნარიანობას, ხელს ვერ შეუშლის ზღვაზე მათი სრული ბატონობის დამყარებას“. ოღონდ, ჩვენი ფლოტის ვადაადგილებისას

ძალე თავი იჩინა თუმცე გაზვიადებულმა, მაგრამ მაინც სერიოზულმა დაბრკოლებებმა, ავიაციის ლამის მასშინათვე საშინელ საფრთხედ შემოგვიბრუნდა, მეტადრე, ხმელთაშუა ზღვაზე. მალტა, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა ჰქონდა, ისეთ პრობლემებს ქმნიდა, ერთი ხელის მოხმით რომ ვერ გადაწყვეტდი. მეორე მხრივ კი, ომის პირველ წელს საბაერო იერიშის შედეგად არც ერთი დიდ ბრიტანული გემი არ ჩაძირულა.

იმხანად იაპონიის მხრიდან მტრულ ზრახვათა თუ მოქმედებათა არანაირი ნიშანწყალი არ ვიფილა. იაპონიის უმთავრესი საფიქრალ-საწუხარი, ბუნებრივია, ამერიკა გახლდათ. შეუძლებლად მესახებოდა, რომ შეერთებულ შტატებს — თუნდაც თავად მას იმ წუთში არაფერი შეხებოდა — გულზელ-დაკრეფილს უმოქმედოდ ეღვევებინა თვალი ერთიანი შემოტევისათვის ვველა ევროპულ უწყებაზე შორეულ აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში მტრული იაპონია ისეთს რას დაგვაკლებდა — რაკინდ უამურიც არ უნდა ვიფილიყო ეს მტრობა, — რასაც შეერთებული შტატები გვახეირებდა, თუკი შესაძლებელი შეიქნებოდა მისი იაპონიაზე გალაშქრება! შორეულ აღმოსავლეთში თავჩენილ არანაირ საფრთხეს არ უნდა მოედუნებინა ჩვენი ყურადღება ჩვენს მთავარ ობიექტებზე ევროპაში. იაპონელთა თავდასხმისაგან ვერ ვიხსნიდით ჩვენს სამფლობელოებს ვვითელ ზღვაში და ვერც ჩვენს ინტერესებს დავიცავდით. უშორესი პუნქტი, რომლის დაცვასაც შევიძლებდით იაპონიის ომში ჩაბმის შემთხვევაში, ჩვენი ციხე-სიმაგრე სინგაპური გახლდათ. აუცილებელი იყო სინგაპურის შენარჩუნება, სანამ უზრუნველყოფილ არ იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოება და არ გაანადგურდებოდა იტალიური ფლოტი.

ომის ამ ეტაპზე არ შენია იმისა, რომ ში, რომ იაპონია გაგზავნიდა ფლოტს და არმიას სინგაპურის ასაღებად, თუკი ამ ციხე-სიმაგრის განკარგულებაში იქნებოდა სათანადო განიზონი და ნახევარი წლით მაინც მოხაზიებული ექნებოდა სურსათი და საბრძოლო მასალა. სინგაპური ისევე შორს იყო იაპონიიდან, როგორც საუთჰემპტონი ნიუ-იორკიდან. იაპონიას 3 ათას მილს იქით უნდა გაეგზავნა მეტი წლი თავისი ფლოტისა, სატრანსპორტო გემებით ბადრავით გადაეყვანა სულ ცოტა 60 ათასი კაცი, რათა მიეტანა იერიში და შემოერთება ალყა, რაც მხოლოდ კატასტროფით დასრულდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იაპონიის საზღვაო კომუნიკაციები სადღაც გადაიჭრებოდა. ეს მოსაზარებანი, რა თქმა უნდა, გაქარწყლდება მას შემდეგ, რაც იაპონელებმა დაიპყრეს ინდოჩინეთი და სიამი, შექმნეს მძლავრი არმია და უშეველებელი სამხედრო-საჰაერო ძალები სულ მხოლოდ 300 მილის დაშორებაში სიამის ყურიდან. თუმცა ეს მოხდა მხოლოდ წლინახევრის შემდეგ.

სანამ ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ფლოტი ქედს არ მოიხრდა და სინგაპურიც ჩვენს ხელთ იქნებოდა, გამოორიცილებული გახლდათ იაპონიის შეჭრა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ჩვენ შეგვეძლო ავსტრალია-ახიისათვის ვის უსაფრთხოების სრული გარანტია მიგვეცა, თლინდ საკუთარი გზით უნდა აეველო და ოპერაციებიც წესითა და რიგით გვეწარმოებინა. ნაკლებად სარწმუნო ჩანდა, რომ ვვითელ ზღვაზე ბატონობით ფრთაშესხმულ მოქიშვე იაპონიას საექსპედიციო ძალები გაეგზავნა ავსტრალიის დაპყრობა-კოლონიაციისათვის. ერთხანს საჭირო იქნებოდა მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული არმია ავსტრალიის საჩიოზე გარკვეული ზეგააღუნის მოხაზიანად. ასეთი წამოწყებისათვის აუცილებელი იყო მოულოდნელად გატყუება იაპონიის ფლოტისა და მისი ჩაბმა კ-

სტრალიაში ატვილ ხანგრძლივსა და არაგვემარჯობიერ ბრძოლებში. ხმელთაშუა ზღვაზე ვითარების ვირკვევა კარგა ბლომად სამხედრო-საზღვაო ძალებს გამოათავისუფლებდა და თავდამსხმელებს თავიანთ ფუძე-სამყოფელს მოსწყვეტდა. არც შეერთებულ შტატებს გაუჭირდებოდა იაპონიისათვის განცხადებინა, რომ იაპონური ფლოტისა და ტრანსპორტის გავზაენას ეკვატორიდან სამხრეთისაკენ იგი ომის აქტად შერაცხავდა. იქნებ, სურდა კიდევ ამგვარი რამის განცხადება, და, აბა, რით იქნებოდა ცუდი, მათი აზრი რომ გავკერკვია ამ ერთობ შორეულ ეკებისობაზე...

...მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველ წელს მსოფლიო ომისა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას, რაც არ უნდა დატრიალებულიყო ამ ქვეყნებში, არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა, პირველი წლის მიწურულს კი შეგვეძლო გვევარაუდა ყველა ზღვისა და ოკეანის მტრისაგან გაწმენდა. რაც შეეხება პირველ წელიწადს ომისა ზღვაზე, ეს წინასწარმეტყველება ახდა. თავის დროზე გამცნობთ 1941-42 წლებში შორეულ აღმოსავლეთში დატრიალებულ ამბებს.

პრესა და, პირველ რიგში, გაზეთი „ტაიმსი“, მხარს უჭერდა პრინციპს სამხედრო კაბინეტის შექმნისა არა უმეტეს ზუთი-ექვსი მინისტრის შემადგენლობით, — მინისტრებისა, რომლებიც თავისუფალნი იქნებოდნენ სამინისტროში თავიანთი მოვალეობებისაგან. პრესა ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ ამნაირად შეიძლებოდა ღრმად გააზრებული და შეთანხმებული სამხედრო პოლიტიკის გატარება. მოკლედ რომ მოვჭრათ, „ზუთი კაცი, ომს რომ თავკაცობს და სხვა არაფრითაა დაკავებული“, — აი, იდეალი. თუმცა ამ გვემასბეური პრაქტიკული მოსაზრება დაუპირისპირდა, ვგუფი განკერძოებულ

სახელმწიფო მოღვაწეების ჩარჩილი დიდიც არ უნდა იყოს მათი ნომინალური ავტორიტეტი, მუდამ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როდესაც საქმეს დაიჭერს მინისტრებთან, დიდ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამინისტროებს რომ მესვეურობენ. მით უმეტეს ეს ასეა, როდესაც საქმე შეეხება სამ სამხედრო სამინისტროს. სამხედრო კაბინეტის წევრები უშუალოდ პასუხს არ აგებენ ყოველდღიურ ამბებზე. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ზოგადი რჩევების მოცემა წინასწარ ან გაკრიტიკება შემდეგ, მაგრამ, აბა, რას შეედრებიან, თუნდაც, საზღვაო მინისტრს, სამხედრო თუ ავიაციის მინისტრებს, რომლებიც ძირფესვიანად ერკვევიან ყველა საკითხში და თავიანთი კოლეგა-სპეციალისტების შემწეობით, ამოღენა ტვირთის ზიდვას კისრულობენ. მეგობრული ძალისხმევით მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ ლამის ნებისმიერი საკითხი, მაგრამ, ჩვეულებრივ, განსხვავებული ზედა აქვთ. სიტყვიერი დავა-პაექრობა არ წვდება, ომის ქარცეცხლი კი ამ დროს ხულ უფრო და უფრო მძაფრდება. თავად სამხედრო კაბინეტის წევრები, ბუნებრივია, ვერ გაბედავდნენ ციფრებითა და ფაქტებით აღჭურვილი პასუხისმგებელი მინისტრის თვალსაზრისს შედავებოდნენ. ისინი წუხან და ეკრძალებიან კიდევ უფრო აუორიაქებას იმ ადამიანებისა, ისედაც ხულ ერთთავად ჭაპანწყევტაში რომ არიან. ამიტომაც შესაძლოა ისინი მხოლოდ მეთვალყურეებად ან კომენტატორებად იქცნენ, რომელნიც ყოველდღე აუარება მასალას კითხულობენ, ოღონდ თავადაც არ იციან, საით მიმართონ თავიანთი ცოდნა და რაქნან და რა მოიმოქმედონ, რომ გაკეთებაზე მეტად საქმის გაფუჭება არ გამოუვიდეთ. მათი საქმიანობა ხშირად მართ ოდენ მომრიგებლობითა და უწყებათაშორისი სადავო საკითხების გადასაჭრელად რაიმე კომპრომისის მიგ-

ნებით როდი ამოიწურება. ამიტომ მინისტრები, საგარეო და სამხედრო საქმეებს რომ განაგებენ, უთუოდ უნდა გაწვერიანდნენ უმაღლეს ორგანოში. ჩვეულებრივ, ზოგიერთებს — „დიდი ხუთეულიდან“ მაინც — მართლაც ირჩევენ ამ ორგანოში, თუმცა არა იმდენად განსწავლულობისა და სამხედრო ოპერაციათა უნარიანი თავკაცობის, რამდენადაც პოლიტიკური გაუღწიანობის წყალობით. ამიტომაც, რომ მათი რიცხვი ხელ უფრო და უფრო ხცილდება თავდაპირველად შემოსაზღვრული წრის ფარგლებს. რასაკვირველია, იქ, სადაც თავად პრემიერ-მინისტრი ზღვება თავდაცვის მინისტრი, ყველა ერთ მუშტად და შეკრული, პირადად მე თანამდებობაზე ყოფნისას არა ვწყალობდი იმ მინისტრებს, რომლებიც მთელი გულისყურით არ ეკიდებოდნენ საქმეს. მერხია საქმე მქონოდა არა მრჩეულებთან, არამედ ორგანიზაციების ზელმძღვანელებთან. ყველამ კარგა ძალი შრომა უნდა გასწიოს ყოველდღიურად და თავის წილ საქმეზე პასუხი აგოს; მაშინ არც ტყუილ აღიაქმოს არაეინ ატეხავდა და არც არაეინ გაიბღინებოდა.

სამხედრო კაბინეტის თავდაპირველი შემაღვენლობა, ჩემბერლენმა რომ დაგეგმა, ლამის მაშინათვე გაიზარდა მოვლენათა მსვლელობის ზეგავლენით. ახლა უკვე მასში ირიცხებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ პალიფაქსი, პრესის ლორდ-მფარველი სერ სემუელ ჰორი, ფინანსთა მინისტრი სერ ჯონ საიმონი, თავდაცვის კოორდინაციის მინისტრი ლორდი ჩეტფილდი, უპორტფელო მინისტრი ლორდ ჰენკი, სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიში, ავიაციის მინისტრი სერ კინგსლი ვუდი. ამას გარდა, აუცილებელი იყო, რომ დომინიონების საქმეთა მინისტრი მისტერ იდენი და შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრი სერ ჯონ ანდერსონი ყოველთვის დასწრებოდნენ სხდომებს, თუმც იხინი ფაქტიურად არც ყოფილან სამხედრო კაბინე-

ტის წევრები. ასე რომ, სამხედრო კაბინეტის შემაღვენლობაში უკვე თერთმეტი კაცი კირიცხებოდათ. სამი სამხედრო მინისტრის გაწვერიანება გვარიანად არყვედა ღორდ ჩეტფილდის, როგორც თავდაცვის კოორდინაციის მინისტრის, მდგომარეობას; თუმცა მან ეს ამბავი, ჩვეულებისამებრ, გულშევიდად აღიქვა.

ჩემ გარდა, ყველა სხვა მინისტრი ბოლო წლებში კარგა დიდხანს უძღვებოდა ჩვენს საქმეებს ან ჩართული იყო იმ ამბებში, რომელთათვისაც თვალი უნდა გავკვსწორებინა როგორც დიპლომატიურ, ისე სამხედრო სფეროებში. იდენი გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან 1938 წლის თებერვალში. სახელმწიფო პოსტზე თერთმეტი წელი აღარ მიმსახურია, ამიტომ სრულებით არ მომეკითხებოდა პასუხი არც უწინდელ ამბებსა და არც იმ ნაკლოვანებებზე მოზადებაში, ახლა რომ იჩინა თავი. პირიქით, ბოლო ექვსიშვიდი წლის განმავლობაში გამუდმებით ეწინასწარმეტყველებდი იმ ათასნაირ უბედურებას, რომელთაც ახლახან პირისპირ შევეჯახეთ. ასე რომ, საზღვაო სამინისტროს მძღავრი მანქანით აღჭურვილი — სამინისტროსი, რომელსაც ახლა აქტიური ბრძოლის მთელი სიმძიმე აწვა ტვირთად — არანაირ უხერხულობას არა ვგრძნობდი, მაგრამ, კიდევ რომ მეგრძნო, პრემიერ-მინისტრისა და მისი კოლეგების კეთილმოსურნეობა და ღლიაჟობა გამიქარწყლებდა ამ შეგრძნებას. ამ ხალხს ყველას ძალიან კარგად ვიცნობდი. უმრაველესობა ჩვენთაგანი ხუთი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით ბოლდუინის კაბინეტში და, რა თქმა უნდა, პარლამენტურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე გამუდმებული კონტაქტი ვკვირნდა ერთმანეთთან. იქნებოდა ეს მეგობრული თუ წინააღმდეგობრივი ხასიათისა. უნდა ითქვას, რომ მე და სერ ჯონ საიმონი წარმოვადგენდით უფროს პოლიტიკურ თაო-

ინგლისური
რუსული

ბას. მე თუმც ხანგამოშვებით ვმსახურობდი, უკვე თხუთმეტწლიანი სტაჟი მქონდა ბრიტანეთის ხელისუფლებაში; საიმონსაც დაახლოებით ამდენივე ჰქონდა ნამსახურევი, სანამ სხვები არ შეცვლიდნენ სახელმწიფო პოსტზე. მე ვმეხვეურობდი საზღვაო და სამხედრო მომარაგების სამინისტროებს პირველი მსოფლიო ომის ავებლობის წლებში. თუმც პრემიერ-მინისტრი რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი ვახლდათ, მე მაინც ლამის ერთადერთი კაცი ვიყავი ადამისდროინდელი თაობისა. ეს სულ ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო უამაყოფილების საბაბი კრიზისის დროს, როდესაც, ბუნებრივია, ყველა აღიარებს ახალგაზრდული ძალებისა და ახლებური აზროვნების საჭიროებას. გამოძინარე აქედან, ყველაფერი უნდა შედონა, რათა ფეხდაფეხ მივეყოლოდი ხელისუფლების ხათავეში მყოფ თაობას და მხარი გამეხსწორებინა ჭაბუკი დევემირებისათვის, რომლებიც, ალბათ, წუთი წუთზე გამოვიდოდნენ ასპარეზზე. საამისო რწმენას მინერგავდა როგორც ჩემი ვანსწავლულობა, ისე საქმისადმი თავდადება და ვონებრივი შესაძლებლობანი.

ამ მიზნით დავუბრუნდი იმ ცხოვრების წესს, რომელსაც ძალაუნებურად მივხდედი 1914-15 წლებში საზღვაო სამინისტროში ყოფნისას და რომელიც, როგორც დაერწმუნდი, გვარიანად ზრდიდა ჩემს შრომისუნარიანობას. ყოველდღე ნაშუადღევს ერთი საათით მაინც ეწვებოდი დასასვენებლად და სრულად ვიყენებდი დეითთ მომადლებულ ნიჭს მვის დრმა ძილს მივეცემოდი. ასე

რომ, ერთნახევარი დღე სძიმეფრთხი ერთ დღეში ეტყევი. ბუნებას არ ვანუზრახავს შრომის უღელში შეება კაცობრიობა სისხამ დილიდან შუალამდე და დაეიწყების მაეოცხლებელი უნარი არ მიემაღლებინა მისთვის, - დაეიწყებისა, რომელიც თუნდაც ოც წუთს ვავრძელდეს, მაინც სრულად აღადგენს სასეოცხლო ძალებს. ყოველდღე, ნაშუადღევს, ბავშვივით დანახებით ეწეობოდი მოსახვევებლად, მავრამ ამის საეცვლოდ შემდეგ შემეძლო მეშუავე ლამის ორ საათამდე და უფრო გვიანობამდე კი - ზოგჯერ ვაცილებით უფრო გვიანამდე - და ახალი სამუშაო დღე დილის რვა-ცხრა საათზე დამეწყო. ამ განაწესის მიზანშეწონილობაში - განაწესისა, რომლისთვისაც დილიდან ომის დაწყებისა ომის დამთავრებამდე არ ვადამიხვევია - სხვებსაც ვარწმუნებოდი, მით უფრო, როდესაც ისინი გვერდს ვერ აუქცევდნენ ხანგრძლივსა და ილაჯისგამწყვეტ საქმიანობას. საზღვაო შტაბის უფროსმა ადმირალმა პაუნდმა ჩემი მეთოდი აითვისა ოდნავი სახეცვლილებით, - ლოგინში ჩაწოლის ნაცვლად სავარძელში თვლემდა. უფრო მეტიც, - ხშირად კაბინეტის სხდომებზედაც წაუძინებდა ხოლმე. თუმცა საქმარისი იყო სიტყვა დასცდუნოდა ვინმეს სამხედრო-საზღვაო ფლოტზე, რომ ხელად გამოფხიზლდებოდა და შეიძარბებოდა. არაფერი არ გამოეკარებოდა მის მახვილ ყურსა და ნათელ ვონებას.

**ინგლისურიდან თარგმნა
რუსულად მახათაჰაჰა.**



თბილისი ჩუხთავების ქ. № 25.

ბელოღონდანი: შ. ჩედეტორი - 22-51-51
 მახათაჰაჰაჰელი მდიანი - 22-51-06, და გან-
 ყოფილები - 22-51-00.

გადაეცა მანქობად 7. 08. 97 წ. ხელმოწერილია დასამეკვდად 30. 09. 97 წ., ინაწყოების ზომი 21/4 X 12, ქალაღის ფორმატი 70 X 108. ფიზიკური ნაბეღლი ფურცელი 11.8, ძირბობი ნაბეღლი ფურცელი 15.5. საადრ.-საგამომეკვლო თაბახი 16.8. ტირაჟი 700. შეევეთა 1030. ეწინაღ-გაბეუბების გამომეკვლობა „სამშობლო“, კოსტივას ქ. № 14.

1c 50

98-9

n 419/2

97443



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

0693440

76125

სახე სახელწიქვანობა